

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის,
არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

Институт истории, археологии и
этнографии им. И. А. Джавахишвили



1966

Д.А. Хажурашвили

Вопросы истории
городов Иберии



Издательство
«МЕЦНИЕРЕБА»
1966

დ. ხასუტაიშვილი

ბერიის და დათა
ისგოროის საკითხები

*

გ ა მ მ ტ ე მ ლ ო ბ ა
«მეცნიერება»
1966

9 (C41)
9 (47.922)
ხ 252

ნაშრომში, უახლესი წყაროების საფუძველზე, შესწავლილია ადრეკლასობრივი ხანის ქართლის (იბერიის) სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების მთელი რიგი საყურადღებო საკითხები. კერძოდ, განხილულია პირველი ქართული ქალაქების წარმოქმნის პირობები და დრო, შესწავლილია ქალაქთა განვითარების ეტაპები, მათი მეურნეობა, სოციალური წყობა, აღნაგობა. ნაჩვენებია ქალაქების ადგილი ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) სამეფოს ცხოვრებაში.

ავტორისაგან

ადრეკლასობრივი ხანის ქართული ქალაქების სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხების მონოგრაფიული შესწავლა, რაც პირველწყაროების მეტისმეტი სიმციროს გამო ფაქტიურად მხოლოდ 50-იანი წლებიდან დაიწყო, წინაფეოდალური ხანის ქართული საზოგადოების ბუნების გაგების, მისი ხასიათის გარკვევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. ქალაქთა ისტორიის საკითხების დასმის შესაძლებლობა გააპირობა ადრეკინის ხანისა და ანტიკური პერიოდის ნივთიერი კულტურის ძეგლების, კერძოდ, ნაქალაქარებისა და ნამოსახლარების ფართოდ გაშლილმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომლებიც, მართალია, 30-იან წლებში დაიწყო, მაგრამ სასურველი გაქანება და მასშტაბები მხოლოდ 50-იან წლებში მიიღო. კვლევა-ძიების წარმატებას და სწორი გზით წარმართვას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილმა დროულად და ახლებურად დასვა უძველეს გორანამოსახლართა შესწავლის პრობლემა, მიუთითა მისი გადაწყვეტის გზებსა და მიღებული თუ მოსალოდნელი შედეგების გადამწყვეტ მნიშვნელობაზე საქართველოს ძველი ისტორიის საკვანძო საკითხების შესწავლისათვის.

წინამდებარე ნაშრომი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მომზადდა. მუშაობა 1955 წ. დაიწყო, როცა აკად. გ. მელიქიშვილის წინადადებითა და ხელმძღვანელობით ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილება იბერიისა და კოლხეთის ადრეკლასობრივი ქალაქების სპეციალურ შესწავლას შეუდგა, ხოლო სამუშაოს შესრულება მ. ინაძესთან ერთად (კოლხეთის ქალაქები) მეც დამევალა (იბერიის ქალაქები). დასმული საკითხების შესწავლა გარკვეული წყვეტილებით მიმდინარეობდა, რადგან ჩემთვის იმთავითვე აშკარა გახდა, რომ სამუშაოს ვერ შევასრულებდი, თუ არ ჩაეებმებოდი შესაბამისი, სათანადოდ შერჩეული ძეგლების არქეოლოგიურ შესწავლაში.

ავტორი ფიქრობს, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილის, აკად. გ. მელიქიშვილის, აკად. შ. ამირანაშვილის, პროფ. ა. აფაქიძის და ქარ-

თველ არქეოლოგთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის კეთილგანწყობას, მხარდაჭერას და ხელშეწყობას უნდა უმადლოდეს იგი, რომ შეძლო ასე ფართოდ მიედო მონაწილეობა პრაქტიკულ არქეოლოგიურ საქმიანობაში და უშუალოდ გაცნობოდა იმ პირველხარისხოვან მასალებს, რომელთა გარეშე წინამდებარე ნაშრომის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა. ამ მხარდაჭერის შედეგია, რომ მან შეძლო აგრეთვე გამოექვეყნებინა მის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების ერთი ნაწილი („უფლისციხე I“), რომლის გაგრძელებასაც ეს წიგნი წარმოადგენს.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომის სასტამბო მოცულობა მკაცრად იყო განსაზღვრული. ამის გამო თავი ავარიდეთ ქალაქთა ისტორიის ყველა მხარის გადმოცემის ცდას და ძირითადად იმ საკითხებს შევეხეთ, რომლებიც, ჩვენი აზრით, სუსტად, არასრულად ან სულაც არ იყო შესწავლილი. ამიტომაცაა, რომ ნაკლები ადგილი დაეთმო გვიანანტიკური ხანის, ხოლო შედარებით მეტი—ელინისტური და წინაელინისტური პერიოდის ქალაქთა ისტორიის ზოგიერთ საკითხს.

შესავალი

1. ანტიკური ხანის ქართული ქალაქების შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა

ანტიკური ხანის ქართულ ქალაქებზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვისას, როგორც ჩვენ გვეჩვენება, დღემდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება იმას, რომ ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულიყო ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ორი მნიშვნელოვანი საფეხური და ნაჩვენები ყოფილიყო ის პრინციპული განსხვავება, რომელიც თითოეულ მათგანს საკითხის შესწავლისადმი მიდგომაში ახასიათებდა. წინამორბედ საფეხურზე, რომელიც XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედსაც მიითვლის, ქალაქთა ისტორიის ცალკეულ საკითხთა შესწავლა, უპირატესად, სოციალურ-ეკონომიურ პერიოდთა მიხედვით კი არ წარმოებდა, არამედ „სიძველის“ მიხედვით. ეს გასაგებობაა: ქართველოლოგიური დისციპლინების შედარებითი სისუსტის, კრიტიკულად დადგენილი წყაროების სიმცირის, ძველი ქალაქების არქეოლოგიის შეუსწავლლობისა და, რაც მთავარია, შესაფერისი საკვლევი მეთოდის უქონლობის პირობებში, ბუნებრივია, მოულოდნელი იქნებოდა ძველი ქალაქების და, საერთოდ, ძველი ისტორიის საკითხების სწორად დასმა და მარქსისტულად გადაწყვეტა. ქართული ისტორიოგრაფიის ამ საფეხურის პირველი თვალსაჩინო წარმომადგენელი პლ. იოსელიანი იყო, რომელმაც 1850 წელს გამოაქვეყნა ქართული ქალაქების ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილი სპეციალური მონოგრაფია¹. პლ. იოსელიანის მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, კერძოდ, შეხედულება უძველეს ქალაქთა წარმოქმნის თაობაზე, იმ-

¹ П л а т о н И о с е л я н и, Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850.

პლ. იოსელიანის მოსაზრებათა შეფასება იხ. ა რ ჩ ი ლ ბ ა რ ა მ ი ძ ე, კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, 1963, № 5, გვ. 103—111.

დენად ცხოველმყოფელი აღმოჩნდა, რომ იგი მხოლოდ მას შემდეგ იქნა დაძლეული, რაც ქართულმა არქეოლოგიამ და საქართველოს ისტორიულმა გეოგრაფიამ მდიდარი მასალები დააგროვეს ქალაქთა გენეზისისა და განვითარების საკითხების ახლებურად დასმისა და გადაწყვეტისათვის.

საქართველოს ძველი ქალაქების შესწავლას დიდი ამაგი დასდო აკად. ივ. ჯავახიშვილმა. მკვლევარი ადრევე დაინტერესებულა ქალაქთა ისტორიის საკითხებით, მაგრამ, სათანადო მასალების უქონლობის გამო, ძირითადად, საკითხების დასმით დაკმაყოფილებულა. ჩიხიდან გამოსავალს, მაგალითად, ისეთი საკითხის შესწავლისას, როგორცაა ქალაქთა გენეზისი, იგი ისტორიული გეოგრაფიის დაწინაურებაში, კერძოდ, ტოპონიმიკური მასალის დაგროვებაში ხედავდა? ივ. ჯავახიშვილმა 1905 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში, წერილობითი წყაროების მონაცემთა საფუძველზე, დააყენა ქალაქთა ისტორიის საყურადღებო საკითხები და მიუთითა მათი შესწავლის გზებზე. იგი მოკლედ შეეხო ძველ ქალაქთა წარმოქმნის, მათი რაობის, სოციალურ-ეკონომიური ყოფის, ეთნიკური სიჭრელის, ქალაქისა და ციხის გენეტიკური და ტერმინოლოგიური ურთიერთობის, „ქალაქის მამასახლისის“ (მმართველობის ორგანიზაციის) სახელოს, ქალაქის აღნაგობისა თუ სხვა საკითხებს და მიუთითა, რომ სტრაბონის დროისათვის იბერიაში დაწინაურებული საქალაქო ცხოვრება არსებულა. „ქალაქის მამასახლისზე“ მკვლევარი შენიშნავდა, რომ ამ სახელოს რაობის გადაწყვეტისათვის ლეონტი მროველის ცნობა მეტად მშრალია და მის საფუძველზე გადაწყვეტით რისამე თქმა რისკის გაწვევა იქნებოდაო. შუა საუკუნეების ქართული წერილობითი წყაროების საფუძველზე იგი აღგენს „ქალაქის მამასახლისის“ სახელოს არსებობას შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე და ფიქრობს, რომ ეს ინსტიტუტი, ალბათ, თემური წყობილების დროისა უნდა იყოსო. ივ. ჯავახიშვილი იბერიის ქალაქებს ეკონომიურ, კერძოდ კი, ხელოსნობა-ვაჭრობის ცენტრებად მიიჩნევდა და მიუთითებდა სტრაბონის „გეოგრაფიაში“ არსებულ შეუსაბამობაზე, როცა დაწინაურებული საქალაქო ცხოვრების მქონე ქვეყნის სოციალურ აღწერილობაში ერთი პიტყვითაც კი არაა ნახსენები „ვაჭართა ფენა“. ქსენოფონტეს ცნობების ანალიზის საფუძველზე მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ძვ. წ. V საუკუნეში ქართველ ტომთა ტერიტორიაზე ნამდვილი ქალაქები ჯერ კიდევ არ არსებულა და ფიქრობდა, რომ ქალაქებისა

²И. Джаваков, Государственный строй древней Грузии и древней Армении, I. „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“, т. VIII, С.-Петербург, 1905, гл. 46.

და საქალაქო ცხოვრების წარმოქმნა-განვითარების პროცესი ძვ. წ. IV—I საუკუნეებზე უნდა მოდიოდესო, თუმცა იქვე მიუთითებდა სათანადო ცნობების უქონლობაზე³. შემდგომში, ივ. ჯავახიშვილი კვლავ დაუბრუნდა საქართველოს ძველი ქალაქების ისტორიის საკითხების შესწავლას და უფრო ფართო ფონზე განიხილა ისინი. საკითხთა ერთ რიგს იგი განსხვავებულად წარმოიდგენდა და არ ერიდებოდა ადრე მის მიერ გამოთქმული დებულებების გადასინჯვას⁴. მკვლევარი კარგად გრძნობდა ქალაქთა არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობას და სინანულით აღნიშნავდა: „სტრაბონისაგან ვიცით, რომ ივერიაში მალალხარისხოვანი კულტურა იყო, რომ მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა ქალაქებითა და დაბეებით იყო მოფენილი. არსებობდა სავაჭრო ადგილები და მოედნები, სადაც საზოგადო დაწესებულებების შენობები იყო აგებული, ხოლო კრამიტით დახურულ სახლებს ხუროთმოძღვრების ხელოვნების წესზე აშენებდნენ. ამ ცნობას ქართული ხელოვნების ისტორიისათვის, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ წარმართობის დროინდელი ნაშთები აღმოჩენილი და შესწავლილი ყოფილიყო, მაგრამ ამ გარემოებისათვის ყური არავის უთხოვებია...“⁵. ივ. ჯავახიშვილს კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ საქართველოს ძველი ისტორიის შემდგომი წარმატება, მისი ჭეშმარიტად მეცნიერულ ნიადაგზე დაყენება მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების გზით იყო შესაძლებელი. ამიტომაც იყო, რომ დიდი მეცნიერი ასეთი ენთუზიაზმით მოეკიდა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობას და ემზადებოდა ახალი აღმოჩენების შუქზე გადაემუშაებინა მის მიერ ადრე შემუშავებული კონცეპტია საქართველოს ძველი ისტორიის საკვანძო საკითხებზე⁶.

წინაფეოდალური ხანის ქართულ ქალაქზე ივ. ჯავახიშვილის შეხედულების შეფასებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მკვლევარის წარმოდგენა საერთოდ წინაფეოდალური ხანის ქართული საზოგადოების ხასიათსა და მის პერიოდიზაციაზე. ბუნებრივია, ივ. ჯავახიშვილს უდიდესი მეცნიერული მემკვიდრეობის განხილვა და შეფასება არ შეიძლება ამ მცირე მიმოხილვის საგანი იყოს.

³ И. Джавахов, დასახ. ნაშრ., გვ. 40—46.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946, გვ. 32—71.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 2, აგრეთვე, გვ. 51—52.

⁶ გ. ლომთათიძე, ივანე ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „მიმოხილველი“, II, 1951, გვ. 27—36, განსაყ. გვ. 35—36.

ადრეკლასობრივი ხანის ქართული ქალაქების ისტორიის მარკსისტული შესწავლის პირველი ცდა, მისთვის თეორიული და მატერიალური საფუძვლების მომზადება, მეცნიერების თანამედროვე საფეხურის შესაბამისად საკითხების დასმა და მათი შესწავლის ძირითადი მიმართულებების ჩვენება აკად. ს. ჯანაშიას სახელს უკავშირდება. XX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს, საქართველოში კლასობრივ ურთიერთობათა შემდგომი გაღრმავებული შესწავლითა და საქართველოს ძველი ისტორიის ახალი პერიოდიზაციის შემუშავებით ს. ჯანაშიამ, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ქართული არქეოლოგია სათანადო მასალებს მოიპოვებდა, წერილობითი წყაროების ცნობები-სა და ნივთიერი კულტურის ძეგლთა მონაცემების ახლებური გააზრების საფუძველზე შეაჯამა ქართული ისტორიოგრაფიის მიერ მოპოვებული შედეგები და შექმნა ის მიჯნა, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის უახლეს პერიოდს წინა საფეხურისაგან ფაქტიურად გამოჰყოფს. „ფართო ისტორიულ-ფილოლოგიური და ენათმეცნიერული განათლება, მარქსისტული მეთოდის სწორად გამოყენება და დიდი ერუდიცია ს. ჯანაშიას შესაძლებლობას აძლევდა, მის დრომდე არსებულ შეხედულებათაგან განსხვავებით, სრულიად ახლებურად დაესვა და გადაეწყვიტა საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები“⁷. ამ პრობლემათა შორის საპატიო ადგილი ეჭირა ანტიკური ხანის ქართული ქალაქის შესწავლის საკითხს. ს. ჯანაშიამ 1932 წ. მიუთითა, რომ კოლხეთში ზღვისპირა ბერძნული ქალაქების გვერდით ადრიდანვე უნდა არსებულებოდა ადგილობრივი ქალაქები, ხოლო ძვ. წ. IV საუკუნიდან „მატერიალური წარმოების წესი იმდენად განვითარებული ჩანს, რომ შეუძლებელია იგი ძველი, გვიანდელი წყობილების საწარმოო ურთიერთობის ჩარჩოში ჩატეულიყო“⁸.

ს. ჯანაშიას ადრევე გამოთქმული თეორიული მოსაზრებები, რომლებიც უპირატესად წერილობითი წყაროების მონაცემთა ახლებურ ანალიზზე იყო დაფუძნებული, შემდგომში, ნაწილობრივ მის სიცოცხლეშივე, ბრწყინვალედ დაადასტურა ანტიკური ხანის ქართული ქვეყნების ტერიტორიაზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა კვლევამ-ძიებამ⁹.

⁷ შოთა მესხია, საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, თბილისი, 1960, გვ. 45.

⁸ ს. ჯანაშია, გვიანდელი წყობილება ქართველ ტომებში, შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 126—129, მისივე, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე (1936 წ.), შრომები, II, გვ. 414.

⁹ ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია როგორც ისტორიკოსი, კრებულიში, „აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია“, თბილისი, 1949, გვ. 102.

მცხეთისა თუ სხვა ძეგლების გათხრებისას მოპოვებული მასალებისა და წერილობითი წყაროების მონაცემთა ურთიერთმეჯერების გზით, 30-იანი წლების მიწურულსა და მომდევნო ხანაში, ს. ჯანაშიამ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ანტიკური ხანის ქართული ქალაქის შესწავლის საქმე და გამოთქვა რიგი საყურადღებო მოსაზრებები ქალაქთა წარმოშობის, ისტორიული ტოპოგრაფიის, მეურნეობის, სოციალური სახის, მშენებლობის ხელოვნების, ქალაქის მეურნეობაში მონის შრომის გამოყენების, ქალაქთა მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხებზე¹⁰.

სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილსა და ს. ჯანაშიას არ დასცალდათ სათანადო სისრულით გაეზრებინათ მათი ხელმძღვანელობით მოპოვებული უმდიდრესი არქეოლოგიური მასალები, მაგრამ მათ მიერ შექმნილი მეცნიერული საძიარკველი იმ წარმატებათა საწინდარი გახდა, რასაც ქართულმა ისტორიოგრაფიამ უკანასკნელ პერიოდში მიაღწია როგორც საერთოდ, ისე ანტიკური ხანის ქართული ქალაქების შესწავლაში¹¹.

1951 წ. აკად. ნ. ბერძენიშვილმა მიუთითა, რომ ანტიკური ხანის ქართულ ქალაქს უნდა ჰქონოდა თავისი სასოფლო-სამეურნეო რაიონი, რომელიც ქალაქის წარმოქმნა-არსებობა-განვითარების

ა. აფაქიძე, სიმონ ჯანაშია და საქართველოს არქეოლოგია, კრებულ¹⁰: „აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია“, გვ. 104—131. გ. ლომთათიძე, ივ. ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში, გვ. 35.

¹⁰ ს. ჯანაშია; საზოგადოებრივი მეცნიერებანი საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლის თავზე, ენიშვის „მოამბე“, I, 1937, გვ. XI—XL.

ს. ჯანაშია, Мухета-древняя столица Грузии, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის I სამეცნიერო სესიაზე 1941 წლის 2 მარტს წაკითხული შობსენების სტენოგრაფია. მისივე, ანტიკური ხანის მონათმფლობელური სახელმწიფოები საქართველოში, წიგნში: „საქართველოს ისტორია“, უძველესი დროდან XIX საუკუნის დამდეგამდე (1943). მისივე, საქართველოს ძველი ისტორიის ძეგლები, გახ. „კომუნისტი“, 1941 წ., I.VI, № 127. იხ. აგრეთვე, გახ. „კომუნისტი“, 1940 წ., № 279, 1944 წ., № 1, 1945 წ., № 13, 1945 წ., № 199 გახ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1945 წ., № 19. გახ. „Заря Востока“, 1940 წ. № 279, 1944 წ., № 137, 1945 წ., № 11, 1945, № 190, 1945 წ., № 200, 1946 წ. № 202. გახ. „Правда“, 1941 წ. № 147, 1945 წ. № 10 და სხვ.

¹¹ ძველი ქართული ქალაქების შესწავლაში მრავალ მკვლევარს მიუღია მონაწილეობა როგორც XIX საუკუნეში, ისე მომდევნო პერიოდში (თეიმურაზ ბატონიშვილი, მ. ბროსე, ს. მარტენი, დიუბუა დე-მონჰაერე, ა. ბართოლომეი, დ. მელვინეთუხუცესისშვილი, ა. ჯავახივი, დ. დადიანი, დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვი-

ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენდა¹². შემდგომში, ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიების პროცესში დაგროვებული უახლესი მასალების საფუძველზე მკვლევარი დაწვრილებით ჩერდება საქართველოს ძველი ისტორიის საკვანძო საკითხების, მათ შორის, ადრეკლასობრივი ხანის ქართული ქალაქების ისტორიის საკითხთა შესწავლაზე, ხოლო გზადაგზა უთითებს კვლევა-ძიების შემდგომი წარმართვის გზებს და ახალი მასალის საკვლევ სფეროში შემოტანის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევა. იქვე წარმოდგენილია მასალების შემდგომი დაგროვების გაშლილი პროგრამა და მითითებულია ის პერსპექტივა, რომელიც საქართველოს ძველი ისტორიის მკვლევართა წინაშე ისახება¹³.

აკად. ივ. ჯავახიშვილი 1905 წ. აღნიშნავდა: „ქალაქებისა და სოფლების წარმოშობის გამოსარკვევად უდიდესი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიული ნომენკლატურის შესწავლას. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია ჯერ არ არსებობს, რის გამოც გვიხდებოდა ვახუშტის ცნობილი ნაშრომით დაკმაყოფილებულიყავით“¹⁴. აკად. ნ. ბერძენიშვილმა ხორცი. შეასხა თავისი მასწავლებლის ამ ოცნებას და საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის სამეცნიერო დისციპლინის ორგანიზაციული და მეცნიერული საფუძვლების მომზადებით, საერთოდ საქართველოს ისტორიისა და, კერძოდ, ძველი ისტორიის, მათ შორის ადრეკლასობრივ ქალაქთა ისტორიის შესწავლაში ფართოდ შემოიტანა მასალების ახალი დიდმნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელიც ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიების პროცესში გროვდებოდა¹⁵.

ლი. ნ. მარი, ა. ნატროვი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, გ. ნათაძე, დ. ქუთათელაძე, ს. კაკაბაძე და მრავალი სხვა). ესარგებლობთ იმ გარემოებით, რომ ლიტერატურის მიმოხილვა უკვე გაკეთებულია სხვა მკვლევართა მიერ და მკითხველს მიუვუთითებთ ა. აფაქიძის, გ. ლომთათიძის, გ. მელიქიშვილის, არ. ბარამიძის და სხვა მკვლევართა ნაშრომებზე.

¹² ნ. ბერძენიშვილი, ქალაქ თბილისის ტოპონიმიკიდან (ავარანი), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „მიმოხილველი“, II, თბილისი, 1951, გვ. 50, შრომები, I, თბილისი, 1964, გვ. 318.

¹³ ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, შრომები, I, გვ. 346—366. მისივე, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, შრომები, I, გვ. 367—426. მისივე, „ქვეყანა“, შრომები, VI (მზადდება დასაბუქდად).

¹⁴ И. Джавახов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, გვ. 46.

¹⁵ იხ. ნ. ბერძენიშვილი, შრომები, I; შრომები, VI. აგრეთვე საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბილისი, 1960 წ., II, თბილისი, 1964, III, თბილისი, 1966 წ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს

ანტიკური ხანის ქართული ქალაქების შესწავლისათვის განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია ა. აფაქიძემ. მკვლევარი დიდი ენერგიით აგრძელებს ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას მიერ დაწყებულ საქმეს მცხეთისა თუ იბერია-კოლხეთის სხვა ქალაქების შესწავლის ხაზით. იგი აქვეყნებს მრავალრიცხოვან გამოკვლევებს, რომლებიც ანტიკური ქალაქების ისტორიისა და არქეოლოგიის შესწავლისადმია მიძღვნილი; ქალაქის წარმოქმნა და განვითარება, ქალაქთა შესწავლის ისტორია, ქალაქთა მეურნეობა და მისი დარგები, სოციალური ვითარებისა და ეთნიკური აღნაგობის საკითხები, ისტორიული ტოპოგრაფია და გეოგრაფია, მშენებლობის ხელოვნება, კულტურა და რელიგია — აი საკითხების ერთი ჯგუფი, რომელიც მკვლევარის ყურადღების სფეროში ექცევა¹⁶.

ფეოდალური ქალაქის შესწავლასთან დაკავშირებით, ანტიკური ხანის ქართული ქალაქების ისტორიის საკითხებს სწავლობს შ. მესხია. მკვლევარი ჩერდება ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების წარმოქმნის დროსა და ვითარებაზე, ქალაქთა მეურნეობაზე, ხასიათზე, განვითარების საფეხურებზე, ფეოდალური და ანტიკური ხანის ქალაქთა დამახასიათებელ ნიშნებზე და ა. შ.¹⁷. 1954 წ.

ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ნ. ბერძენიშვილის შრომებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მანე“, 1965, № 2, გვ. 93—116.

¹⁶ ა. აფაქიძე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს უძველეს დელდაქალაქში, ეურ. „ბოლშევიკი“, 1945, № 6. მისივე, არმაზციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის (1948), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, IV, 1, 1958, გვ. 71—98. მისივე, ანტიკური წყაროების *Σεσαμμορα* —წიშაური (1953 წ.), იქვე, გვ. 119—140. მისივე, სამშენებლო ერაშიკის წარმოების საკითხისათვის ანტიკური ხანის ქართლის სამეფოში (1952 წ.), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, IV, 2, 1959, გვ. 101—133. ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა, I, თბილისი, 1955. ა. აფაქიძე, საქართველოს უძველესი კულტურა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე, თბილისი, 1956. მისივე, ანტიკური ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში. „საქართველოს არქეოლოგია“, თბილისი, 1959. მისივე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბილისი, 1963, მისივე. მცხეთა—ქართლის სამეფოს ძველი დელდაქალაქი, თბილისი, 1959. მისივე, Об итогах новых археологических раскопок в Грузии, XXV Международный конгресс востоковедов. Доклады делегации СССР, Москва, 1960. მისივე, Результаты археологического изучения античных городов Грузии, „Античный город“, Москва, 1963, გვ. 146—152.

¹⁷ Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 9—26.

მკვლევარის მიერ გამოქვეყნებულ (დასაცავად წარდგენილ) ნაშრომში წარმოდგენილი იყო ყველაზე ვრცელი ნარკვევი, როგორც კი მანამდე ანტიკური ხანის ქართული ქალაქის შესახებ არსებულა.

საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით ანტიკური ხანის ქართულ ქალაქთა ისტორიის საკითხებს შეეხო გ. მელიქიშვილი. მკვლევარი უთითებს, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, მაგალითად, ბერძნული ახალშენების გვერდით ყალიბდება ქალაქის ტიპის ადგილობრივი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები. „უფრო მეტი — ისინი, როგორც ჩანს, ხშირად ჩნდებოდნენ სწორედ ისეთ ადგილებში, სადაც უკვე მათ მოსვლამდე მეზობელი ტომების ადგილობრივი სავაჭრო ცენტრები არსებობდა“. იგი მოკლედ ჩერდება ქალაქთა ისტორიის ძირითად საკითხებზე და იძლევა საყურადღებო მოსაზრებებს ქალაქთა ხასიათზე, სოციალურ და ეთნიკურ სურათზე და ა. შ. მკვლევარი ფიქრობს, რომ ქალაქთა მშენებლობაში მონათა მასები უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რაც კერძოდ დასტურდება იბერიის ქალაქების მაგალითზე¹⁸. ანტიკურ ქალაქთა ისტორიის საკითხები მკვლევარმა უფრო ფართოდ განიხილა 1959 წ. გამოქვეყნებულ კაპიტალურ მონოგრაფიაში¹⁹, სადაც, ამასთან ერთად, წარმოდგენილია საქართველოს ძველი ისტორიის ხაზით ქართველმცოდნეობის მიერ მანამდე მოპოვებულ უმნიშვნელოვანეს შედეგებზე დაფუძნებული ფუნდამენტური გამოკვლევა.

1955 წ. გამოითქვა მოსაზრება, რომ ანტიკური ხანის ქართული ქალაქების უძველესი ჩგუფი გენეტიკურად უკავშირდება ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგის იბერიისა და კოლხეთის (აგრეთვე, სამხრეთ მეზობელი რაიონების) ბარში დადასტურებულ იმ მსხვილ, დაბური ტიპის სამოსახლოებს, რომლებიც ეკონომიურად წელღონიერ რაიონებში მდებარეობდნენ და გარკვეული ტომისა თუ სატომო გაერთიანების ცენტრებს წარმოადგენდნენ²⁰.

შ. მესხია, შენიშვნები მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, 1960, № 2, გვ. 255—276.

¹⁸ გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955, გვ. 108, 113, 158-159.

¹⁹ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 439—454.

²⁰ დ. ხახუტაიშვილი, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. წ. IV—I სს-ში, ხელნაწერი, თბილისი, 1955, გვ. 55—56, 65. იხანება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების ფონდში (№ 15). წაკითხუ-

საქართველოში 1955—1965 წლებში წარმოებული არქეოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიების მონაცემები, აგრეთვე, ახლად გააზრებული აღრინდელი მასალები საიმედოდ ასაბუთებენ აღნიშნულ მოსაზრებას, ზომლის პირველ კონკრეტულ ამოსავალს ზოვლეს ნამოსახლარი წარმოადგენდა.

1956 წ. ა. ბოლტუნოვამ მიუთითა, რომ იბერიის ქალაქები იმ მსხვილ სამიწათმოქმედო სამოსახლოთაგან განვითარდნენ, რომლებიც ნაყოფიერ ადგილებში სავაჭრო გზებზე მდებარეობდნენ²¹. მკვლევარი შემდეგშიც უბრუნდება ანტიკური ხანის ქართული ქალაქების ისტორიის საკითხებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მას უურადლების გარეთ დარჩა როგორც უახლესი არქეოლოგიური მასალების კონკრეტული მონაცემები, ისე საკითხის შესახებ არსებული სპეციალური გამოკვლევები. როგორც ჩანს, ამის გამო მოხდა, რომ მის 1956 წ. გამოთქმულ მოსაზრებას არსებითი განვითარება და კონკრეტიზაცია აღარ განუცდია მომდევნო წლების ნაშრომებში²².

1957 წ. ქვეყნდება ოთ. ლორთქიფანიძის ნაშრომები, რომლებიც მიძღვნილია I—III საუკუნეების მცხეთის ისტორიის, კერძოდ, ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის შესწავლისადმი. გზადაგზა ავტორი ეხება ქალაქის წარმოქმნას, მეურნეობას, სოციალურ და ეთნიკურ სახეს, სავაჭრო გზებს, ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რაიონს, ქალაქის სტატუსს, იბერიის სოციალური წყობის საკითხებს და ა. შ. მომდევნო წლებში ავტორი აქვეყნებს წერილების სერიას, სადაც, სპეციალურად თუ გაკვრით, იბერიისა და კოლხეთის ანტიკურ ქალაქთა ისტორიის საკითხებსაც სწავლობს²³.

ლი იყო მოხსენებად 1955 წ. დეკემბერს. უნდა შეენიშნოთ, რომ ავტორი ამ დროს ანტიკური ხანის ქართული ქალაქის წარმოქმნის პროცესში გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სავაჭრო გზებს და იმეორებდა ტრადიციულ შეცდომას. იხ. დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, „ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) ქალაქების გეოგრაფიული განლაგების საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. XXII, № 4, 1959, გვ. 499—504.

²¹ А. И. Болтунова, Возникновение классового общества и государства в Иберии, ВДИ, 1956, №2, гв. 34. 42—43.

²² А. И. Болтунова, Античные города Грузии и Армении, „Античный город“, Москва, 1963, гв. 153—169.

²³ О. Д. Лордкипанидзе, Ремесленное производство и торговля в Мцхета в I—III вв. н. э., тсუ „შრომები“, 65, 1957, გვ. 113—159. მ ი ს ი ე ვ ე, სტრატონის ცნობა იბერიის მოსახლეობის პირველი გენოსის შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. XVIII, №3, 1957. შ. А. Месхиа, Н. Ю. Ломоури, О. Д. Лордкипанидзе, К вопросу о происхождении государства и проблема существования рабовладельческой формации в Грузии, „Вопросы истории“, 1957, № 7. ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა

1963 წ. გამოქვეყნდა ა. აფაქიძის შემაჯამებელი მონოგრაფია, რომელიც სპეციალურად ანტიკური ქალაქების შესწავლისადმი მიძღვნილი. მართალია, გამოკვლევა, ძირითადად, მცხეთაში მოპოვებული მასალებისა და წერილობითი წყაროების მონაცემებზეა აგებული, მაგრამ მიღებული დასკვნების შუქზე საქალაქო ცხოვრება უფრო ფართო ფონზეა წარმოდგენილი და ნაცადია მისი შესწავლა საერთო საქვეყნო მასშტაბით. სამწუხაროა, რომ ნაშრომის გამოქვეყნებამ დაწერის დროიდან თითქმის 6 წელი დაიგვიანა და მასში 1958 წლამდე არსებული ვითარება აისახა²⁴.

1964—1965 წლებში ქვეყნდება ნაშრომები, რომლებიც ურბნისისა²⁵ და უფლისციხის²⁶ შესწავლისადმი მიძღვნილი და შეიცავს როგორც არქეოლოგიური მასალის პუბლიკაციას, ისე ქალაქთა ისტორიის საკითხების შესწავლის ცდებს.

ასეთია, ანტიკური ხანის ქართული ქალაქების თაობაზე არსებული ლიტერატურის ძირითადი ნაწილი, რომლის მშრალი გაცნობა, რა თქმა უნდა, მიზნად არ ესახავს მის ამომწურავ შეფასებას. ავტორის მიზანი, მოცემულ შემთხვევაში, სავსებით განსაზღვრული და შეზღუდული იყო: ეჩვენებინა ანტიკური ხანის ქართული ქალაქის შესწავლის პროცესის მსვლელობა და მთავარი მომენტები. არ-

აკადემიის „მოამბე“, ტ. XIX, № 3, 1957. მისივე, სამეფო მიწათმფლობელობის შესახებ ანტიკური ხანის იბერიაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. XXI, №6, 1958. მისივე, მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის (ლეონტი მროველის ცნობები „მცხეთელი მამასახლისის“ შესახებ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. XXIX, №6, 1962. მისივე, კოლხეთის ბერძნული კოლონიზაციის საკითხისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მაცნე“, 1964, №3, გვ. 184—204.

О. Д. Лордкипанидзе, Раннеантичная Колхида и ее взаимоотношения с греческим миром в свете новейших археологических исследований. Материалы сессий, посвященной итогам археологических и этнографических исследований 1964 г. в СССР (Тезисы докладов), Баку, 1965, გვ. 111—113.

²⁴ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბილისი, 1963.

²⁵ ლევან კილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), თბილისი, 1964. პ. ზაქარაია, ნაქალაქარი ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1965.

²⁶ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე. 1957—1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, I, თბილისი, 1964. მისივე, კლდეში ნაკვეთი ქალაქი, თბილისი, 1965.

სებულ შეხედულებათა კრიტიკული შეფასება კი იქ იქნება წარმოდგენილი, სადაც კონკრეტულ საკითხთა შესწავლაა ნაცადი²⁷.

2. წყაროები

ა. წერილობითი წყაროები

იბერიის ქალაქთა ისტორიის შესწავლისათვის არსებული წერილობითი წყაროები შეიძლება მოგვეთავსებინა ორ ჯგუფში, რომელთაგან პირველი, ანტიკურ ავტორებს (სტრაბონი, პლინიუსი, დიონ კასიუსი, „ტაბულა პევეტიგერიანას“ ავტორი და ა. შ.) და ეპიგრაფიკულ ძეგლებს მიითვლიდა (მცხეთის ბერძნული წარწერა, არმაზის ბილინგვა, მცხეთის ებრაული წარწერა, ავრელი აქოლისის ეპიტაფია და ა. შ.), ხოლო მეორე—შუა საუკუნეების ეროვნულ და უცხო ავტორებს, განსაკუთრებით კი სომეხ და ბიზანტიელ მწერლებს²⁸. ანტიკური ავტორების ცნობები მეტად მშრალი, თანაც ცალმხრივია და ბევრს არაფერს იძლევა ქალაქთა ისტორიის ძირითადი საკითხების შესწავლისათვის. იგივე შეიძლება ითქვას ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებაც. რაც შეეხება ეროვნულ წყაროებს, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოები შუა საუკუნეებით განისაზღვრება, იხინი, მართალია, შედარებით უხვ ცნობებს შეიცავენ ანტიკურ ქალაქებზე, მაგრამ შესასწავლად აღებულ პერიოდს რამდენიმე საუკუნით არიან დაცილებული და, როგორც შემოწმებამ ცხადყო, ყოველთვის არ იმსახურებენ ნდობას. ამასთან ეს ცნობები, ისევე როგორც ანტიკური ხანის წერილობითი წყაროების მონაცემები, ძირითადად, ქალაქთა ქრონოლოგიის, ისტორიული ტოპოგრაფიისა და გეოგრაფიის საკითხებს ეხება და ბევრს არას შეიცავენ ქალაქთა სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხების შესწავლისათვის. ისეთი ავტორიტეტული ავტორიც კი, როგორცია სტრაბონი, იცნობს რა იბერიას, როგორც დაწინაურებული საქალაქო ცხოვრების

²⁷ ავტორს, ამასთან, აუცილებლად არ მიაჩნია მიმოიხილოს საერთოდ ქალაქთა შესახებ არსებული ლიტერატურა, რადგან ქართული ქალაქები იქ თითქმის არ არის ასახული. გამოწაკლის წარმოდგენს რამდენიმე ავტორი (ი. მანანდიანი, ს. ერემიანი, ზ. იამპოლსკი და სხვ.), რომლებიც გაკვირვებულნი არიან ქალაქების ისტორიის ცალკეულ მხარეებს. მითითებულ ავტორთა შეხედულებანი, როცა ეს ნაშრომისათვის აუცილებელია, სათანადო აღგილასაა მითითებული.

²⁸ უახლესი ლიტერატურა წერილობითი წყაროების შესახებ: გ. წერეთელი, მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა, თბილისი, 1958. Г. А. Мелликишивили, К истории древней Грузии, გვ. 15—62. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 5—9, 125—158.

შქონე ქვეყანას, ქვეყნის სოციალურ აღწერილობაში არაფერს ამბობს ხელოსანთა და ვაჭართა ფენაზე²⁹.

ანტიკური ხანის იბერიის ქალაქებზე შედარებით უხვი ცნობებია ორ ქართულ ძეგლს შემოუნახავს. ესენია: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“³⁰ და ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“³¹. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებული იყო, რომ როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორს, ისე ლეონტი მროველს სხვადასხვა სახის წყაროებით უსარგებლიათ, მაგრამ ხშირად ეს მონაცემები შუა საუკუნეების ავტორის (საზოგადოების ან მისი ნაწილის) მსოფლმხედველობაზეა მორგებული ან კიდევ, როგორც ეს ლეონტი მროველთანაა დადასტურებული, ხელოვნური, სუბიექტური სქემების მიხედვითაა გადამუშავებული³². როდესაც საქმე მიდგება ანტიკურ ქალაქთა ისტორიის შესწავლისათვის წყაროების ამ ჯგუფის გამოყენებაზე, თავს იჩენს წყაროთმცოდნეობითი ხასიათის დაბრკოლებათა მთელი რიგი, რომელთა გადაწყვეტის გარეშე მათზე დანდობა შეუძლებელი ხდება: ყოველი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ცნობა თხოულობს სპეციალურ ძიებას იმის დასადგენად, თუ რა ხანას მიეკუთვნება იგი, რა ვითარებას შეეხება და შესაძლებელია თუ არა ასეთი ვითარების დაშვება ანტიკური ხანისათვის, როგორია ავტორის მოტივები და რას ესწრაფვის იგი, რა ნიშნის მიხედვით არჩევს ცნობებს და როგორია ცნობის წარმომავლობა, სად და რა ნიშნით უნდა ვეძებოთ საკონტროლო პარალელები და ა. შ.

როგორც ქართლის მოქცევის ავტორს, ისე ლეონტი მროველს აშკარად ემჩნევათ, რომ მოგვიანო ვითარების ამსახველი ცნობები აღრეული ვითარების ასახვისათვის აქვთ გამოყენებული. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ ტერმინზე და-საზოგადოებრივ-მოვლენებზეც კი³³.

²⁹ შ.დ.რ. ი. ჯავახოვ, Государственный строй древней Грузии и древней Армении, გვ. 15—62.

გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, გვ. 161—162.

³⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი, 1964, გვ. 81—163.

³¹ ქართლის ცხოვრება, I, თბილისი, 1965, გვ. 3—138.

³² Г. К. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 23—62.

³³ დ. ხახუტაიშვილი, მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის საკითხისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, 1961, № 2, გვ. 306—324.

ქალაქთა ისტორიის შესწავლისათვის გარკვეულ მონაცემებს იძლევა ქართულ წერილობით წყაროებში წარმოდგენილი ტერმინოლოგია, რომელიც დასახლებათა ტიპებისა და მათი შემადგენელი ნაწილების აღმნიშვნელ ცნებებს მიითვლის. მათ შორის გარკვეული ადგილი უჭირავს თარგმნილ ლიტერატურაში დაცულ ტერმინოლოგიას³⁴. ტერმინთა ცვლილება, როგორც ცნობილია, არა მარტო მეზობლებთან ურთიერთობის, არამედ, ძირითადად, ადგილობრივ მომხდარი ცვლილებების შედეგად ხდება. ისეთი ტერმინები, როგორცაა: დაბა, სოფელი, ქალაქი, დაბა-ქალაქი, ციხე-ქალაქი, დედაქალაქი, ქალაქის ციხე, ციხე, ციხისციხე; დედაციხე, თავადი ციხე, უბანი, გარეუბანი ფოლორცი, შუკა, საფარდული, სავაქრო, საქულბაქე (ქულბაქი), ბაზარი, რაბატი, საკოშრე, მოედანი, ჰანდოქიონი-ფუნდუქი-ქარავანსარაი-ქარვასლა, საზუერე-საბაეო, გალავანი, ზღუდე, კარი, ბქე, სიმაგრე, კოშკი, გოდოლი... ქალაქის მკვიდრი, მოქალაქე, მღაბიორი, მსოფლიონი და მრავალი სხვა თავისი ქრონოლოგიური მონაცვლეობითა თუ თანაარსებობით, გარკვეულ მონაცემებს შეიცავს საქალაქო ცხოვრების შესწავლისა და წერილობითი წყაროების მონაცემთა კრიტიკისათვის³⁵.

მართალია, წერილობითი წყაროების მონაცემთა კრიტიკული დადგენა, ზოგჯერ, თვით ამ წყაროთა მონაცემების ურთიერთშეჯერებითაც ხერხდება, მაგრამ ძირითადი ნაწილის სანდოობის დადგენისათვის საოპერაციო მონაცემებს არქეოლოგიური მასალა იძლევა: მცხეთაში, სარკინეთში, წიწამურზე, ურბნისსა და უფლისციხეში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ სტრაბონს სანდო წყარო ჰქონია იბერიის ეკონომიურ მდგომარეობაზე. კერძოდ, საქალაქო ცხოვრებაზე; სამაგიეროდ, რუბთავის არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა, რომ ლეონტი მროველზე ნდობა ყოველთვის არ შეიძლება, თუმცა მის მიერ მოწოდებული ცნობების მოზრდილი ჯგუფის სანდოობა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა. სათანადო მაგალითების მომრავლება ამა თუ იმ ავტორის სასარგებლოდ თუ უარსაყოფად კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ მოტანილი მაგალითიც საკმარისია იმის საბუთად, რომ წერილობითი წყაროების ყოველი კონკრეტული ცნობა, როგორც წესი, წინასწარ უნდა დადგინდეს.

³⁴ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 47, შენიშვნა 105.

³⁵ შდრ. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, გვ. 32—71. მისივე, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, თბილისი, 1928, გვ. 26 და შმდ.

ბ. ნივთიერი კულტურა

ანტიკური ხანის ქართული ქალაქების ისტორიის წყაროთა ფონდის ძირითად ნაწილს ნივთიერი კულტურის ძეგლები შეადგენს (არქეოლოგიური მასალა, მონუმენტური ძეგლები). წყაროთა ფონდის ამ ნაწილის შექმნას მტკიცე საფუძველი მას შემდეგ შეექმნა, რაც იბერიის დედაქალაქის ფართო არქეოლოგიური გათხრები დაიწყო, რომელიც დიდი სამამულო ომის პირველი წლების შეფერხების შემდეგ, ომის პერიოდშივე განახლდა და შემდეგ კიდევ უფრო გაფართოვდა. დიდი სამამულო ომის შემდეგ ნაქალაქართა არქეოლოგიური შესწავლა უფრო და უფრო ფართოვდებოდა, შესასწავლი ობიექტების რიცხვი იზრდებოდა, ხოლო მუშაობის ხერხები იხვეწებოდა და სრულქმნილი ხდებოდა. მცხეთა და ვანი, რუსთავი და დაბლაგომი, უჯარმა და ვაშნარი, ბიჭვინტა და ურბნისი, დიოსკურია და უფლისციხე, ხოვლე და ქობულეთ-ფიჭვნარი, პეტრა და წოფი, ფასიდი და კასპი, აფსაროსი და ბოლნისი, ურევი და ნაცარგორა, ქობულეთ-ფიჭვნარისა და მცხეთის სარკინე, გვიენოსი და ა. შ. აი, იმ ძეგლების არასრული სია, რომელთა გათხრებისა თუ დაზვერვების პროცესში მოპოვებულმა მასალებმა ანტიკურ და ადრეფეოდალურ ქართულ ქალაქთა ისტორიის წყაროების ძირითადი ფონდი შეადგინა. ქართველოლოგიის თითქმის ყველა დარგის და თაობის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ მასში, ქართული მეცნიერებისა და კულტურის ამ ფასდაუდებელი საგანძურის შექმნაში: ივ. ჭავჭავიძე, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. წერეთელი, გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, აკ. შანიძე, გ. ნიორაძე, ლ. მუსხელიშვილი, ბ. კუფტინი, მ. ივამიძე, ალ. კალანდაძე, ა. აფაქიძე, გ. ლომთათიძე, გ. გობეჯიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ნ. ხოშტარია, დ. კაპანაძე, გ. მელიქიშვილი, ოთ. ჭაფარიძე, ტ. ჩუბინიშვილი, დ. ქორიძე, პ. ზაქარაია, ნ. ლამბაშიძე, ირ. ციციშვილი, ლ. ქილაშვილი, გ. ცქიტიშვილი, დ. მუსხელიშვილი, რ. აბრამიშვილი, მარ. ლორთქიფანიძე, მ. მაქსიმოვა, ოთ. ლორთქიფანიძე მ. ინაძე, ოთ. ლამბაშიძე, რ. რამიშვილი, გ. მიქელაძე, მ. თრაფში, ლ. სოლოვიოვი, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორაძე, ი. კიკვიძე, მ. ბარამიძე, ა. კახიძე, გ. აბრამიშვილი და სხვები. წარმოდგენილი არც თუ სრული სია გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ როგორ იყო დაგეგმილი და რა ფართო ფრონტით ვითარდებოდა ქართული ქალაქების არქეოლოგიური შესწავლა და მოპოვებული მასალების ათვისება.

ანტიკური ხანის ქართული ქალაქების არქეოლოგიურ შესწავლაში არ შეიძლება არ აღინიშნოს ა. აფაქიძის დამსახურებაზე, რომლის საველე-პრაქტიკულმა კვლევა-ძიებამ (ბაგინეთი, სარკინე, სი-

სამორა-ზადენი, ბიჭვინტა, სოხუმი და ა. შ.) და სამეცნიერო მოღვაწეობამ, რომელიც შეხამებული იყო და არის დაძაბულ პედაგოგიურ მუშაობასთან სამეცნიერო კადრების აღზრდის ხაზით, მნიშვნელოვნად წააწია წინ ანტიკური ხანის ქართული ქალაქების შესწავლა და გააპირობა მისი შემდგომი წარმატება.

ქართული ქალაქების არქეოლოგიური შესწავლის სწორი და ვეგმვისა და მის განხორციელებაზე ჩატარებული ინტენსიური მუშაობის შედეგია, რომ დღეისათვის ამიერკავკასიის ანტიკური ქვეყნების (ალბანია, არმენია, იბერია, კოლხიდა) ქალაქთაგან ყველაზე უკეთ შესწავლილად გამოიყურება ქართული ქვეყნების ქალაქები (მცხეთა, ურბნისი, უფლისციხე, ვანი, ბიჭვინტა, ქობულეთ-ფიჭვნარი და ა. შ.).

იბერიის ქალაქთა შესწავლისათვის განსაკუთრებით მდიდარი მასალები მოგვცა მცხეთის კომპლექსის არქეოლოგიურმა გათხრებმა³⁶, აგრეთვე ურბნისმა³⁷ და უფლისციხემ³⁸. მათ საფუძველზე შესაძლებელი ხდება მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლილ იქნეს ქალაქთა ისტორიის ისეთი საკითხები, როგორიცაა: ქალაქთა წარმოქმნა და განვითარება, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია, ხელოსნობის დარგები და ხასიათი, ვაჭრობა და ეკონომიური კავშირები, გზები და მიმოსვლის საშუალებანი, ისტორიული ტოპოგრაფია და გეოგრაფია, ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რაიონი და მისი ადგილი ქალაქის ეკონომიკაში, საქალაქო თემი და სოციალური დიფერენციაციის პროცესი თემის შიგნით, სასოფლო თემი და მისი სოციალური აღნაგობა, მონის შრომის გამოყენების სფეროები ქალაქთა მეურნეობაში, მშენებლობის ხელოვნება და ორგანიზაციის ზოგიერთი მხარე. კულტურა, რელიგია და ა. შ.

ანტიკურ ქალაქთა ისტორიის ისეთი საკითხის გადაწყვეტაში, როგორიც არის, მაგალითად, ქალაქის გენეზისი, გადამწყვეტი როლი შეასრულა წინაანტიკური ხანის სამოსახლოთა არქეოლოგიური გათხრებისა თუ დაზვერვებისას მოპოვებულმა მასალებმა, რომელთაც, ამავე დროს, წერილობითი წყაროების ცნობების (ძველადმოსავლური წარწერები, ქსენოფონტე და ა. შ.) რეალური შინაარსის წარმოდგენის საშუალებაც მოგვცეს. ხოვლესა და ნაცარგორას, ნაოხვამესა და სოხუმის მთის, გუდაბერტყიასა და ქვაცხელების, აპირანის გორასა (ავშანთეფს) და ხიზანანთგორას, ბათუმის ციხისა და ფიჭვნარის „ნამკედურის“, კენჭყარასა და მცხეთის გორას, კო-

³⁶ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, ლიტერატურა იქვე.

³⁷ ლევან კილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი. ლიტერატურა იქვე.

³⁸ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I. ლიტერატურა იქვე.

ხის ნაჯიხურალისა და წოფის, ყათნალიხევისა (ავსარეკლების) და უფლისციხის, ქვემო ბოლნისისა და ბეშთაშენის, თუ არა ერთი სხვა სამოსახლოს გათხრისა და დაზვერვისას მოპოვებული მასალა გარკვეულ წარმოდგენას ქმნის წინაანტიკური ხანის დასახლებათა ტიპების ევოლუციაზე, რომლის ბუნებრივ დაგვირგვინებას, როგორც გამოირკვა, ანტიკური ხანის ქართული ქალაქი წარმოადგენდა. ასეთივე პროცესი, როგორც დასტურდება, ქრონოლოგიურად სხვადასხვა დროს, მაგრამ დაახლოებით ასეთივე სახით ვითარდებოდა მესოპოტამიასა და საერთოდ წინააზიაში (ირანის ზეგანი, შუა აზია, ანატოლია...), ინდოეთსა და ჩინეთში, ბალკანეთსა და ეგეოსის აუზში, აპენინებზე და პირინეიში, საფრანგეთსა და ბრიტანეთში და ა. შ. ეს მრავალრიცხოვანი ტელეები თუ ტერამარები, თაფები თუ თეფები, ბლურები და ა. შ. ქართული „გორების“ ახლო თუ შორეული ორეულები იყო, რომელთა ევოლუციის უკან, ყველგან საზოგადოებრივი განვითარების კონკრეტული ვითარება აისახება³⁰.

ანტიკურ ქალაქთა შეაწავლისათვის საყურადღებო, ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობის მონაცემებს შეიცავს ისტორიულ-გეოგრაფიული მასალები, რომელთა თავმოყრის ინტენსივობა თანდათანობით ძლიერდება. დიდი მნიშვნელობისა ჩანს ქართული ტოპონიმიკა. ისეთი ტოპონიმები, მაგალითად, როგორიცაა: „ზედაზენი“ და

³⁰ Гордон Чайлд, Прогресс и археология, Москва, 1948, გვ. 50—51, 93—105. მისივე, У истоков европейской цивилизации, Москва, 1952, გვ. 39—83, 331. მისივე, Древнейший Восток в свете новых раскопок, Москва, 1956. S ä f l u n d, Le Terremare, Svenska Institut, Rome, 1939. R d' A m b r o s i o, Alle origini della citta, Napoli, 1956. L. M u m f o r d, La cultura della citta. Milano, 1954. A. G e r k a n, Kalabektepe, Athenallempe und Umgebung, Berlin, 1925. C. W e i s k e r t, Neue Ausgrabungen in Milet. Neue Deutsche Ausgrabungen in Mittelmeergrebeit und im vorderen Orient, Berlin, 1959. M. J. M e l l i n k, Archäology in Asia Minor, AJA, 1956, 60, N 4. 1959, 63, N 1. 1960, 64, N 1. 1961, 65, N 1. 1962, 66 N 1, J. M. C o o k, Greek settlment in the Eastern Aegean and Asia Minor, Cembridge, 1961. მისივე, The Greek in Ionia and the East, London, 1962. E. A k u r g a l, Early Period and the golden Age of Ionia, AJA, 1962, 66, N 4. M. E. M a l l ö w a n, Twenty-five yaers of Mesopotamian discovery, London, 1956. S. P i g g o t, Prehistoric India to 1000 b. c., London, 1952.

С. П. Толстов, Древний Хорезм, Москва, 1948. მისივე, По следам древнехорезмийской цивилизации, Москва, 1948. В. М. М а с с о н, Средняя Азия и Древний Восток, М-Л., 1964. მისივე, Древнеземледельческая культура Маргианы. МИА СССР, № 73, 1959.

„არმაზისხევი“, „სარკინე“ და „ციხე ღიღი“, „წიწამური“ და „ნასტაკისი“, „სათ[ი]ხის ქელი“ და „საენეთი“, „საქოთნის ქელი“ და „საწვეპელას ქელი“, „მისაქიელი“ და „საგლახო რუ“, თუ მრავალი სხვა გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ძველი მცხეთის ისტორიის ცალკეულ მხარეზე. ასეთივე მნიშვნელობისანი ჩანან ტოპონიმები: „სალიზვარი“, „კოღის წყარო“, „აუაზნები“, „ახაზნები“, „სათიბის წყარო“, „კლდიორღობე“, „ბამბები“, „ხიდისთავი“, „ქვახერელი“, „კლდიფარეხი“, „უფლისწული“ და სხვა, უფლისციხის ისტორიისათვის.

შესაბამისად დაყენებული ისტორიულ-გეოგრაფიული ძიებანი დიდად შეგვიწყობდა ხელს გაგვერკვია „ქალაქის ქვეყნის“ საზღვრები, მისი მოძრაობა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, დაგვეხმარებოდა თავიდანვე სწორად დაგვეგვემა ქალაქთა არქეოლოგიური გათხრები და ა. შ. ამ მხრივ, სახელდახელოდ, ერთ დამახასიათებელ ცდაზე შეიძლებოდა მიგვეთითებინა: 1953 წ. ა. აფაქიძემ „ღიღი მცხეთის“ რაიონისა და „მცხეთის ქვეყნის“ ერთი ნაწილის ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვები ჩაატარა. ერთ შემთხვევაში, ანტიკური ავტორების „სევსამორას“ (მაშინ ასე იკითხებოდა) ძიებისას, მკვლევარი თანამედროვე ტოპონიმიკურ მონაცემს („წიწამური“) დაეყრდნო და შვეერავი რაზმის მოქმედების რაიონი ამის მიხედვით განსაზღვრა, რაც, როგორც ცნობილია, სისამორ-წიწამურ-ზადენის აღმოჩენით დაგვირგვინდა.

ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიების ბრწყინვალე ნიმუშები დაგვიტოვა აკად. ნ. ბერძენიშვილმა, რომლის სპეციალურმა გამოკვლევებმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს მარქსისტულ ისტორიულ გეოგრაფიას⁴⁰.

⁴⁰ ნ. ბერძენიშვილი, ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია 1932 წელს, შრომები, I, გვ. 1—44. მისივე, ჭავჭავაძის 1932 წლის ექსპედიციის დღიური (საანგარიშო მოხსენება), იქვე, გვ. 45—173. მისივე, ექსპედიცია ივრის ხეობაში: 1935 წელს (საანგარიშო მოხსენება), იქვე, გვ. 174—186. მისივე, ერთი უძველესი საბაქოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში, იქვე, გვ. 187—194. მისივე, წყალტუბოს ისტორიისათვის, იქვე, გვ. 195—207. მისივე, ბორჯომის ხეობა (დღიური, 1947 წ.), იქვე გვ. 207—271. მისივე, აძიკვის წარწერის გამო (1948 წ.), იქვე, გვ. 272—282. მისივე, ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა (შესავალი, 1951 წ.), იქვე, გვ. 283—288. მისივე, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი), იქვე, გვ. 301—331. მისივე, აფხაზეთში (ექსპედიციის ხელმძღვანელის დღიურიდან, 1951 წ.), იქვე, გვ. 289—300. მისივე, ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენის გამო. (1952 წ.), იქვე, გვ. 332—345. მისივე, ისტორიული გეოგრაფიისათვის, იქვე, გვ. 346—366, მისივე, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, იქვე, გვ. 367—426. მისივე, „ქვეყანა“, შრომე-

ისტორიული ქვემო ქართლის, კახეთის, შიდა ქართლის, სამეგრელო-აფხაზეთის, არგვეთისა და სვანეთის, გურია-აჭარის ტერიტორიაზე ჩატარებული ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების პროცესში მოპოვებული იქნა დიდმნიშვნელოვანი მასალები ძველი საქართველოს სამეურნეო, სოციალური ყოფისა თუ პოლიტიკური ისტორიის შესწავლისათვის. რკინის წარმოების უძველესი ცენტრები და ძველი სარწყავი სისტემები, გორასაცხოვრისები და ნაციხარები, სამაროვნები და ნაქალაქარები, ადგილის სახელთა (ტოპონიმების) გაქვევებული ფორმები თუ მათი გვიანდელი ორეულები და შ. გარკვეულ მონაცემებს შეიცავენ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური ისტორიის, მათ შორის ქალაქთა ისტორიის თითქმის ყველა მხარეზე. დღეს ქართველ არქეოლოგს საშუალება აქვს დაეგმოს რა სახის ძეგლის შესწავლასაც მოისურვებს, ძველი საქართველოს რომელიც გნებავთ პროვინციაში.

თავი პირველი

ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების წარმოქმნა იბერიისში

§ 1. ქართულ აღრეალასობრივ ქალაქთა წარმოქმნისა და მათი რაობის თაოზაჟე არსებული ჴოზიერტი. მოსაზრება უახლესი მასალების

სინათლეჟე

სანამ ქალაქთა წარმოქმნის პროცესის გარკვევას შევეუდგებოდეთ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნებოდა ქალაქთა წარმოქმნისა და ქალაქთა ბუნებაზე არსებული ჴოზიერტი მოსაზრების განხილვა-შეფასება.

იბერიის ქალაქთა უძველესი ჳგუფის წარმოქმნა-განვითარების საკითხების ახლებურად დასმა, როგორც ვფიქრობთ, მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც აკად. ნ. ბერძენიშვილმა გორასაცხოვრისების რაობის საკითხი დააყენა და მისი შესწავლის კონკრეტულ გზებზე მიუთითა: 1954 წელს ჴოვლეს ძველი სამოსახლო კომპლექსის არქეოლოგიური გათხრების დაწყება, ამავე დროს, აღნიშნული პრობლემის მეცნიერული შესწავლის დასაწყისიც იყო. ჴოვლეს გორასაცხოვრისისა და მთელი კომპლექსის არქეოლოგიურმა გათხრებმა მოგვცა უძვირფასესი მასალები გვიანბრინჯაოსა და ადრეკინის ხანის სამოსახლოთა განვითარების ხასიათზე, მათ ტოპოგრაფიაზე, სოციალურ სანზეზე, რელიგიაზე, ხელოსნური ნაწარმის საზოგადოებრივ ხასიათზე და ა. შ. მიღებული მონაცემების სინათლეზე ახლებური გააზრება მიიღო საქართველოში მანამდე აღმოჩენილმა არაერთმა საყურადღებო ძეგლმა, რომელთაც, ჴოვლეში მოპოვებულ მასალებთან ერთად, შესაძლებელი გახადეს ქალაქთა წარმოქმნის პროცესისა და მასთან დაკავშირებული საკითხების ერთი რიგი პირველად დაგვევა, ხოლო მეორე—ახლებურად გავვეაზრებინა. აქვე შეიძლებოდა აღნიშნულიყო, რომ ჴოვლეს არქეოლოგიურ მონაცემთა საფუძველზე შემუშავებული მოსაზრებები ბრწყინვალედ დაადასტურა სხვა ძეგლების გათხრებისას მოპოვებულმა მა-

სალებმა (მცხეთა, ურბნისი, გუდაბერტყა, უფლისციხე, ფიჭვნარი, წოფი, ბათუმის ციხე, ციხისძირი, ითხვისი, ქვემო ბოლნისი და ა. შ.). მართალია, ხოვლეს კომპლექსის არქეოლოგიური გათხრებისას (1954—1961 წწ.) მოპოვებული მასალები ჯერაც არ არის გამოქვეყნებული¹, მაგრამ იგი გათხრების პროცესშივე შედიოდა სამეცნიერო მიმოქცევაში და არაერთი საყურადღებო მოსაზრების ამოსავალი გახდა².

* * *

XIX საუკუნის 40-იან წლებში პლ. იოსელიანმა წამოაყენა მოსაზრება, რომ იბერიისა და კოლხეთის უძველესი ქართული ქალაქები სხვა არა იყო რა, თუ არ მთის სიმაგრეები (ციხეები), რომელთა გარშემო თავს იყრიდა მოსახლეობა. მკვლევარი ქართული ქალაქების წარმოშობას სამხედრო საფრთხისაგან თავის დაცვის საკითხს უკავშირებდა და ქალაქებს მდინარეთა ხეობებში არსებულ მთის ციხეებისაგან განვითარებულ უჯრედებად მიიჩნევდა³. ამ დროიდან მოკიდებული, მკვლევართა ერთი ნაწილი, რომელიც ქართული ქალაქების უძველესი ჯგუფის წარმოშობის საკითხს შეხებია სხვადასხვა ფორმაში, მაგრამ დაყენებით იმეორებს და ავითარებს მოსაზრებას ძველი ქართული ქალაქების ციხეებთან გენეტიკურ კავშირზე⁴. საბოლოოდ ამ მოსაზრებამ შემდეგი სახე მიიღო: ანტიკური ხანის ქართული ქალაქები გენეტიკურად, უმთავრესად, ეკონომიურად დაწინაურებული რაიონების სავაჭრო გზებზე მდებარე ციხეებს უკავშირდება, რის გამოც წერილობით წყაროებში მათ „ციხე-ქალაქები“ ეწოდებათ⁵. გარეგნულად ეს მოსაზრება საკმაოდ დასაბუთებულად გამოიყურება: უძველესი ქალაქები ძველქართულ წერილობით წყაროებში ზოგჯერ, მართლაც, იხსენიება „ციხე-ქალაქად“, უძველეს ქართულ ქალაქს, მართლაც, გააჩნდა ციხე

¹ ავტორთა კოლექტივი (დ. მუსხელიშვილი, გ. ციტიშვილი, დ. ხახუტაიშვილი და სხვ.) უკვე ამთავრებს მუშაობას მასალის გამოსაცემად მომზადებაზე.

² დ. ხახუტაიშვილი, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. წ. IV-I სს-ში, შისი ი ვ ე, ანტიკური ხანის უფლისციხე ახალაღმოჩენილი მასალების სინათლეზე, გვ. 269—370.

³ Платон Иоселиани, Города..., გვ. 76-79. შდრ. ა რ ჩ ი ლ ბ ა რამიძე, კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები..., გვ. 103—106.

⁴ დ. ხახუტაიშვილი, მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის საკითხისათვის, გვ. 306—317.

⁵ შ. მესხია, შენიშვნები მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის შესახებ, გვ. 256—269. შდრ. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 160—161.

ან ციხეები და ისინი, მართლაც, მდებარეობდნენ ეკონომიურად ღონიერ რაიონებში. მიუხედავად ამისა, გვეჩვენება, რომ ეს მოსაზრება, რომელიც 1955 წლამდე თითქმის უშენიშვნოდ იყო გაზიარებული, საკმაოდ დასაბუთებული არ არის, რადგან: 1. არ არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ საერთოდ ძველქართულ საისტორიო ლიტერატურაში ანტიკური ხანის ქართული ქალაქები, თითქოს, ციხე-ქალაქებად იხსენიებოდეს. ძველი ქართული ლიტერატურის იმ ძეგლების სია, რომლებიც ქალაქთა შესახებ სათანადო ცნობებს შეიცავენ, ლეონტი მროველისა და ჭანშერის თხზულებებით არ ამოიწურება. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული მოსაზრების ავტორები უყურადღებოდ ტოვებენ ძველი ქართული მწერლობის იმ ძეგლებს, რომლებიც ლეონტი მროველის წინარე ხანას მიეკუთვნებიან და ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მეტად ძვირფას ცნობებს შეიცავენ. ასეთ ვითარებაში მკვლევარს უფლება არა აქვს, თუ მას სურს ობიექტური დარჩეს, გვერდი აუაროს ძეგლთა ამ ჯგუფის ჩვენებას და მხოლოდ მოგვიანო ძეგლების მონაცემებს დაეყრდნოს.

ქართლის მოქცევის ქრონიკისა (VII ს.)⁶ და ნინოს ცხოვრების უძველესი ვარიანტის (IX ს.) ავტორები ანტიკური ხანის ქართლის არცერთ ქალაქურ დასახლებას „ციხე-ქალაქად“ არ იხსენიებენ. ეს კი, ჩვენი აზრით, იმისი მოწმობა მაინცაა, რომ მოსაზრება. თითქოს ანტიკური ხანის ქართული ქალაქი ძველქართულ მწერლობაში ციხე-ქალაქად იხსენიებოდეს, საჭიროებს დაზუსტებას⁷. პირველ რიგში, დგება საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გავიგოთ ლეონტი მროველისა და ჭანშერის თხზულებებში უძველესი ხანის ქალაქების ციხე-ქალაქებად მოხსენიების შემთხვევები და რამდენად სანდოა ეს ცნობები ჩვენთვის საინტერესო სპეციალური სა-

⁶ ქართლის მოქცევის ქრონიკაში შემონახულია ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია: „მოვიდა... სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად, და ციხედ“. ასეა შატბერდულ საკითხავში; კელიშერს ეს ადგილი დამახინჯებული სახით შემოუნახავს, მაგრამ უფრო ძველი ფორმით. „მოვიდა... სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისს და კალად ციხედ“. როგორც აკად. ს. ჭანაშიაძე შენიშნა, შატბერდული საკითხავის „ქალაქად“ მერმინდელი ავტორის განმარტებაა, რადგან ეახტანგ გორგასლის წინარე ხანის თბილისი წყაროებს ქალაქად არ მიაჩნდათ და იქ მხოლოდ ციხე და უზღუდო დასახლება ეგულებათ. არც ამ „მერმინდელი ავტორის“ (გადამწერის) დროს ჩანს შემუშავებული ტერმინი „ციხე-ქალაქი“, რადგან გამოთქმა „ტფილისად ქალაქად, და ციხედ“, სრულებითაც არ არის სავალდებულო „ციხე-ქალაქ ტფილისად“ გაეიგოთ. მაინცდამაინც, ეს ერთადერთი საკმაოდ საეჭვო ადგილი მთელს ადრეფეოდალური ხანის ქართულ ლიტერატურაში არც რისამე დასაბუთების უეჭვო მოწმობად ვამოდგება და არც რისამე უარსაყოფად.

⁷ დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 307.

კითხის შესწავლისათვის. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ტერ-
მინი „ციხე-ქალაქი“ ადრეფეოდალური ხანის მიწურულს, კერძოდ,
IX—X საუკუნეებში შემუშავდა როგორც ქართლში (საქართველო-
ში), ისე მეზობელ სომხეთში. ამასთან, ამ ტერმინს არ იცნობს ან-
ტიკური მწერლობა, აგრეთვე, ადრე შუა საუკუნეების ბიზანტიური
და სომხური ლიტერატურა. ასევე, მას არ იცნობს ადრეფეოდალუ-
რი ხანის ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლებიც („წამებაჲ შუ-
შანაისი დედოფლისაჲ“, „მარტვლობაჲ და მოთმინებაჲ ევსტათი
მცხეთელისაჲ“, „წამებაჲ ჰაბოასი“, „ცხორებაჲ და წამებაჲ კონს-
ტანტისი ქართველისაჲ“, „წამებაჲ გობრონისი“, „წამებაჲ ყრმა-
თაჲ რიცხვთ ცხრათაჲ“, „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ იოვანე ზე-
დაძნელისაჲ“, „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ შიომსი და ევაგრე-
სი“, „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ დავით გარესჯელისაჲ“,
„მოქალაქობაჲ და წამებაჲ აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსი-
საჲ“, „შრომაჲ და მოღუაწებაჲ გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ
ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ“, „ცხორებაჲ და მო-
ქალაქობაჲ სერაპიონისი“, ოთხთავის უძველესი რედაქციები, ბიბ-
ლიის უძველესი თარგმანი და ა. შ.).

ბიზანტიურ მწერლობას, კონსტანტინე პორფიროგენეტის ჩათ-
ვლით, ასევე, ჯერ კიდევ არ ჰქონდა შემუშავებული ტექნიკური ტერ-
მინი ციხე-ქალაქის ტიპის დასახლების აღსანიშნავად. ამის გამო-
ცაა, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტი არტანუჯის აღწერილობი-
სას მიუთითებს: „ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი
რაბატიცა და დაბა-ქალაქიც“⁸. IX—X საუკუნის არტანუჯი კი ტი-
პური ციხე-ქალაქია ქართველი ავტორის სუმბატ დავითის ძის აღ-
წერილობითაც: „ამან აშოტ კურაპალატმან პოვა კლარჯეთის ტყეთა
შინა კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ
აღეშენა, სახელით არტანუჯი... იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგ-
რედვე ციხედ, და წინა-კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი“⁹.

ასევე, არტანუჯის აღწერილობით განსაზღვრას იძლევა გიორგი
მერჩულეც. სამივე ავტორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ეხე-
ბიან ერთსა და იმავე პუნქტს, რომელიც ტიპური ციხე-ქალაქია,
ე. ი. ციხესთან წარმოშობილი ან ციხესთან ერთად ნაგები ქალაქი,
მაგრამ იმის გამო, რომ ბიზანტიურ მწერლობაში შესაბამისი ტერ-
მინი შემუშავებული არ არის, ხოლო ქართულ მწერლობაში მას ჯერ
კიდევ ვერ მოუპოვებია გავრცელება-აღიარება, ავტორები იძლე-
ვიან დასახლებული პუნქტის ხასიათის აღწერილობით განსაზღვრას.

⁸ De administrando imperio, 46, გეორგიკა, IV, 2, თბილისი, 1952, გვ. 278—279.

⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 377.

სომხურ მწერლობაში ტერმინი ციხე-ქალაქი პირველად თომა არწრუნთანაა დადასტურებული X საუკუნეში.

ამგვარად, ქართულ, სომხურ და ბიზანტიურ მწერლობაში ტერმინი „ციხე-ქალაქი“ არა ჩანს ფეხმოკიდებული ადრე შუა საუკუნეების მიწურულსაც კი. ქართულ მწერლობაში მისი ფართოდ ხმარება XI საუკუნეში იწყება და მომდევნო ხანაშიც გრძელდება (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ისტორიანი და აზმანი შარავენდედთან და ა. შ.). ამ საფუძველზე სავსებით ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ლეონტი მროველი ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქებს შუა საუკუნეებში შექმნილი ტერმინით აღნიშნავდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ლეონტის შემდეგ ტერმინ „ციხე-ქალაქის“ ხმარება სწირდება, ხოლო ლეონტის წინ თითქმის არა გვხვდება, ჩვენი დასკვნა უფრო დამაჯერებელი გახდება.

2. წერილობითი წყაროების მონაცემების საფუძველზე გაკეთებული დასკვნა, რომ ტერმინი „ციხე-ქალაქი“ ადრე შუა საუკუნეების მიწურულს შემუშავდა და გავრცელება განვითარებულ შუა საუკუნეების დამდეგს მოიპოვა, მხარდაჭერა-დასაბუთებას ნახულობს ნივთიერი კულტურის ძეგლებშიდაც — სწორედ ადრე შუა საუკუნეებში ჩნდება ისეთი ქალაქური სამოსახლოები, რომელთა ბუნებასაც კარგად ასახავს ტერმინი „ციხე-ქალაქი“. ასეთი ციხე-ქალაქებია: ადრინდელი თბილისი, VI—X სს-ის უფლისციხე, უჯარმა, წოფი, არტანუჯი, პეტრა, არქეოპოლისი, ვაშნარი და მრავალი სხვა, რომლებიც, პირველ რიგში, სიმაგრეებს (ციხეებს) წარმოადგენდნენ, თუმცა ჰქონდათ თავისი „რაბატი და დაბა-ქალაქი“. ესენია ახალი ტიპის ქალაქური დასახლებები, რომლებიც ადრეკლასობრივ ქალაქებს შეენაცვლნენ და ზოგჯერ მათ ნანგრევებზე ან მათ მახლობლად აღმოცენდნენ. როგორც იყო ადრე შუა საუკუნეების ააწარმოო ურთიერთობათა ხასიათი, იმგვარივე იყო ამ ხანის სამოსახლოების ტიპებიც როგორც გარეგნულად, ისე შინაარსითაც. ასე რომ, „ციხე-ქალაქები“ ადრეკლასობრივი ხანის იბერი-აკოლხეთისათვის კი არ არის დამახასიათებელი, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, არამედ ადრეფეოდალური ხანის ქართლისა და ეგრისისათვის.

ეს პროცესი ამგვარად მიმდინარეობდა არა მარტო ქართლსა და ეგრისში, არამედ წინა აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში (სომხეთი, ბიზანტია, ირანი, შუა აზია და ა. შ.). შუა აზიის დაწინაურებულ რაიონებში, მაგალითად, „საზოგადოების ეკონომიკასა და სოციალურ წყობაში მომხდარ გარდაქმნებთან დაკავშირებით ამ

პერიოდში (V—VI სს.-დ. ხ.) შეინიშნება ძველი ქალაქების დაცემა და მათ ხარჯზე ციტადელისა და სასახლის მქონე გამაგრებული ციხე-მამულების რიცხვის ზრდა (ხორეზმის გათხრები). გარდა ამისა, გაფორმებას იწყებს ქალაქების ახალი ტიპი, რომლებიც ციხე-მამულებთან არსებული დაბებისაგან განვითარდნენ (ბერკუტ-ყალა ხორეზმში). ჩაჩის ტერიტორიაზე V საუკუნის ციხე-ქალაქების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს აქ-თეფეს ნანგრევები ტაშკენტთან¹⁰.

ლეონტი მროველის კრიტიკისათვის ჩვენ მიერ მოტანილი მონაცემები, რომლებიც ადგილის სიმცირის გამო შეკვეცილ-შემცირებულადაა წარმოდგენილი, გვარწმუნებს, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს ტერმინი „ციხე-ქალაქი“ ადრე შუა საუკუნეების მიწურულის მწერლობიდან აუღია. იმ საკითხის გასარკვევად, თუ რამდენად სანდოა ლეონტის მიერ ტერმინ „ციხე-ქალაქის“ ანტიკური ხანის ქალაქებზე მიყენება, საჭიროა გაირკვეს ცოდნის ის მარაგი, რომელიც მას ანტიკური ქალაქების ტოპოგრაფიაზე შეიძლებოდა ჰქონოდა. გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ლეონტის ძირითადად წყაროს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ კრებულში დაცული ძეგლები შეადგენდა, რომელთა მონაცემები მან ლიტერატურულად გადაამუშავა და, აქა-იქ, ქრონოლოგიურად უკან დასწია. მისი ცნობა, რომ მეფობის წარმოქმნის ხანის ქართლში სხვა ენების გვერდით ხაზარული ენაც „იზრახებოდაო“ (ქ. ც-ბა, I, 16), აშკარად მიგვიტოთებს, რომ მან ადრე შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მოვლენები ანტიკურ ხანაში გადაიტანა. ასევე მან ხაზართა ერთ-ერთი ლაშქრობა ამიერკავკასიაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა VII საუკუნის ბოლოსა თუ VIII საუკუნეში, „უმეფობის ხანას“ მიაწერა (ქ. ც-ბა, I, 12). ლეონტი მროველის კრიტიკა ამ მიმართულებით კიდევ მრავალი მაგალითით შეიძლებოდა შევსებულიყო, მაგრამ მოტანილი ცნობები, ვფიქრობთ, სავსებით საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს ანტიკური ქალაქის ტოპოგრაფიაზე და ქალაქთა ცალკეული ნაწილების მშენებლობის რიგზე იმაზე მეტი არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რაც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორს აქვს მოცემული. უკანასკნელს ძველი ქალაქების მშენებლობა ისე აქვს წარმოდგენილი, როგორც ადრეფეოდალური ქალაქი შენდებოდა, ე. ი. ჰერ აგებდნენ ციხეს, ხოლო შემდეგ—ქალაქს. ამასვე იმეორებს ლეონტი მროველიც. მაგრამ მან, მის მიერ შემუშავებული ყალბი გენეალოგიური სქემის¹¹

¹⁰ К. В. Тревер, А. Ю. Якубовский, М. Э. Воронец, История народов Узбекистана, Ташкент, 1950, გვ. 131.

¹¹ კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ახალ ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1954, გვ. 6.

შესაბამისად დაამახინჯა (გადაამუშავა) „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობები ქალაქთა მშენებლობის დროსა და მაშენებლებზე, მაგრამ ძირითადად უცვლელად დატოვა ცნობა უძველესი ქალაქების ცალკეული შემადგენელი ნაწილების (ციხე, ქალაქი, ზღუდე) მშენებლობის რიგის შესახებ, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორს ადრე შუა საუკუნეების რეალური ვითარებიდან ჰქონდა აღებული.

ამგვარად, ლეონტი მროველს აუღია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქარგა, ლიტერატურულად გადაუმუშავებია იგი და ქრონოლოგიურად უკან დაუწევია. სამაგიეროდ, თავის ნაშრომში აღარ შეუტანია ის ცნობები, სადაც ქართლის (იბერიის) პირველი მეფეების სააღმშენებლო მოღვაწეობაზე იყო საუბარი, რადგან ეს ქალაქები მან წინარე ხანის მოღვაწეებს (ქართლოსს, მცხეთოსს, უფლოსს, კახოსს, კუხოსს და ა. შ.) „ააგებინა“.

აქედან გამომდინარე შეიძლებოდა აღვენიშნა: 1. ლეონტი მროველის მიერ ტერმინ „ციხე-ქალაქის“ ანტიკურ ქალაქებზე მიყენება ხელოვნურია და არ გამოდგება ადრეკლასობრივი ხანის ქართული ქალაქის ციხისაგან წარმომავლობის საკითხის დასაბუთებისათვის. 2. ქართული წერილობითი წყაროები არ შეიცავენ ცნობებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ადრეკლასობრივი ხანის ქართული ქალაქის გენეტიკურად ციხესთან დაკავშირება. 3. წერილობითი წყაროებისა და ნივთიერი კულტურის ძეგლების მონაცემები ერთხმად მიუთითებენ, რომ ციხე-ქალაქი, როგორც ქალაქური სამოსახლოს ტიპი, დამახასიათებელია ადრე შუა საუკუნეებისათვის და არა ანტიკური ხანისათვის¹².

მოსაზრება ადრეკლასობრივი ხანის უძველესი ქართული ქალაქების ციხეებიდან წარმომავლობის შესახებ არ მარტო დაუსაბუთებელია, არამედ, როგორც ვფიქრობთ, საკითხი არასწორადაცაა დასმული.

ციხე, როგორც ასეთი, ისტორიული კატეგორიაა და, მაშასადამე, გარკვეული სოციალურ-ეკონომიური ეპოქის მახასიათებელი. ანტიკური ხანის ქართული ქალაქების გენეტიკურად ციხესთან დაკავშირება პირდაპირ გულისხმობს, რომ ციხეები არსებობდნენ ქალაქთა წარმოქმნის წინარე ხანაშიც. ამავე დროს, „ციხე... პოლიტიკური (და სოციალური) ბატონობის საშუალება (და ნიშანი)“ არის¹³.

¹² შტრ. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 15, 160—161.

¹³ ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი), შრომები, I, გვ. 318.

ეს გარემოება საკმაოდ რელიეფურად არის ასახული როგორც წერილობით წყაროებში, ისე ნივთიერი კულტურის ძეგლებში. რომ ციხე პოლიტიკური და სოციალური ბატონობის იარაღს, ე. ი. კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ კატეგორიას წარმოადგენდა, კარგადა ჩანს იმ საყოველთაოდ დამახასიათებელ ფაქტშიც, რომ არც ძველ საქართველოში (იბერია, კოლხეთი) და არც სხვა რომელიმე ქვეყანაში აღმოჩენილი არ არის ციხე, რომელიც წინაკლასობრივ ხანაში იქნებოდა აშენებული. ძველ აღმოსავლეთში, კლასობრივი საზოგადოების მქონე ქვეყნის (სახელმწიფოს) მიერ ამა თუ იმ ტერიტორიაზე ციხის აგება განიხილებოდა, როგორც ამ ქვეყნის ადმინისტრაციულ ერთეულად (наместничество) ქცევა¹⁴, ე. ი. მასზე პოლიტიკური და სოციალური ბატონობის დამყარება.

რამდენადაც ციხე წარმოუდგენელია წინაკლასობრივ საზოგადოებაში, ხოლო ქალაქთა ჩასახვა რამდენადმე წინ უსწრებს კლასობრივი საზოგადოების ორგანიზაციულად (სახელმწიფოებრივად) გაფორმებას, ბუნებრივია, ძნელია ადრეკლასობრივი ხანის ქალაქები გენეტიკურად ციხეებს დავუკავშიროთ და ციხეებისგან თუ ციხეებთან განვითარებულად ვიგულისხმოთ. ამიტომაც, რომ უკლასოდან კლასობრივ ცხოვრებაზე გარდამავალი ხანის იბერიასა და კოლხეთში ჩვენ ვადასტურებთ ქალაქური ტიპის სამოსახლოებს (მცხეთა, უფლისციხე, ფიჭვნარი ქობულეთთან, დიოქურია და, ალბათ, მრავალი სხვაც) და ვერ ვხედებით ციხეებს. მხოლოდ სახელმწიფოებრიობის ხანაში უჩნდებათ ნამდვილი ციხეები როგორც მცხეთას (არმაზციხე I, სევსამორა I და ა. შ.), ისე უფლისციხეს, დიოქურიას და ქალაქური ტიპის სამოსახლოების იმ ჯგუფს, რომელიც ტიპიურ ადრეკლასობრივ ქალაქებად განვითარდა.

უკლასოდან კლასობრივ საზოგადოებაზე გარდამავალი ხანისათვის დამახასიათებელია არა ციხეები, არამედ გამაგრებული სამოსახლოები. „პომეროსის პოემებში, — აღნიშნავდა ფრ. ენგელსი, — ჩვენ ვხედავთ, რომ ბერძნული ტომები, უმეტეს ნაწილად, უკვე გაერთიანებული არიან პატარა ხალხებად, რომელთა ფარგლებში გვარები, ფრატრიები და ტომები მაინც ჯერ კიდევ მთლიანად ინარჩუნებენ თავიანთ დამოუკიდებლობას. ისინი უკვე გალაგნივთ გამა-

¹⁴ И. М. Дьяконов, История Мидии, М.-Л., 1956, гл. 170, „Постройка крепости в древневосточных условиях обыкновенно свидетельствовала о превращении данной территории в наместничество“. ცხადია, ციხესთან არაფერი აქვს საერთო ე. წ. „თავმჯდარ-სიმაგრეებს“ (გაიხსენეთ ქსენოფონტის ტაოხები).

გრებულ ქალაქებში ცხოვრობენ“¹⁵. ენგელსი კიდევ არა ერთხელ ეხება წინაკლასობრივი ხანის გამაგრებულ „ქალაქებს“¹⁶. კონტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ეს „გამაგრებული ქალაქები“ სხვა არაფერია, თუ არა მსხვილი სამოსახლოები, ისეთები, მაგალითად, როგორცაა მცხეთის, ხოვლეს, უფლისციხის, ფიქენარის, დიოსკურიის და სხვა პუნქტების ძველი დასახლებები.

ტრადიციის გავლენით თანამედროვე მკვლევართა ერთი ჯგუფი გარდამავალი ხანის რიგ აღმოსავლეთ ქვეყნებში უთითებებს „ციხეების“ არსებობაზე, მაგრამ ფაქტიურად მათში სწორედ გამაგრებულ სამოსახლოებს ხედავენ. მართალია, შუა აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის რიგი ხალხების ტერიტორიაზე ელინისტური თუ წინარე ხანის წყაროებში მოხსენებულ „ციხეებს“ და „კლდეებს“ ვ. ვ. ტარნი და ზოგიერთი სხვა მკვლევარი ციხეებად მიიჩნევდა, მაგრამ, როგორც საბჭოთა არქეოლოგებმა ცხადყვეს, ისინი ციხეებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ ისეთივე ტიპის გამაგრებულ თემურ სამოსახლოებს, როგორც იყო ძვ. წ. IX—VII სს-ის მიდიური „ციხეები“¹⁷. ასეთი სამოსახლო „პოლიტიკური და სოციალური ბატონობის საშუალება და ნიშანი“ კი არ არის, არამედ გაზრდილი საშინოებისა და დაცვის საჭიროების ნიშანი. გ. მელიქიშვილმა მიუთითა, რომ პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევის (ე. წ. სამხედრო დემოკრატიის) პერიოდში მეზობლებთან ძარცვა და მათი ქონების (პირუტყვი, საძოვრები და ა. შ.) მიტაცება სამეურნეო საქმიანობის სახედ იქცევა. ამის მოწმობად მკვლევარს მიაჩნია ამ პერიოდში დადასტურებული გამაგრებული სამოსახლოები, რომელთაც ამიერკავკასიის ზოგიერთ რაიონში ე. წ. ციკლოპური ციხეების სახე აქვთ¹⁸. ამ პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს

¹⁵ ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 306.

¹⁶ იქვე, გვ. 375, 376 და სხვ.

¹⁷ М. М. Дьяконов, Очерки истории древнего Ирана, Москва, 1961, გვ. 148, ლიტ-რა იქვე.

¹⁸ გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, გვ. 77.

Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 196. მართალია, ავტორი შემდეგში ასეთ სამოსახლოებს უბრალოდ „ციხეებს“ უწოდებს, მაგრამ აშკარაა, რომ მას აქ მხედველობაში აქვს გამაგრებული სამოსახლოები, რომელთა გარშემო დაჯგუფებულია გაუმაგრებელი დასახლებანი (გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 77).

3. დ. ხახუტაიშვილი

ბარის რაიონების მსხვილი გამაგრებული სამოსახლოების ბუნება რამდენადმე განსხვავებული ჩანს, მაგრამ ასეა თუ ისე, რჩება ფაქტად, რომ ამ პერიოდში ჩვენ ვერ ვადასტურებთ ციხეების არსებობას, რომელთაგან, თითქოს, ადრეკლასობრივი ხანის ქართული ქალაქები უნდა განვითარებულიყვნენ. საწინააღმდეგო მოსაზრება, რომელიც ადრინდელი ქალაქის ციხისაგან განვითარების მოწმობად გვათავაზობს იმ ფაქტს, რომ ადრეკლასობრივი ხანის ქართული ქალაქის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს ციხე წარმოადგენდა, ვერ უძლებს კრიტიკას, რადგან ეს მოვლენა უფრო იმის მოწმობად გამოდგება, რომ ადრეკლასობრივი ქართული ქალაქი გენეტიკურად ციხეს კი არ უკავშირდებოდა, არამედ გამაგრებულ სამოსახლოებს (იხ. ქვემოთ).

ცხადია, ავტორი არ ფიქრობს, რომ ადრეკლასობრივ ხანაში წარმოუდგენელია ციხისაგან ქალაქის განვითარება. რა თქმა უნდა, ასეთი რამ თეორიულად შესაძლებელია და მომავალში, ალბათ, საამისო საილუსტრაციო მასალაც გამოაჩნდება ქართულ არქეოლოგიას, ე. ი. მიაგნებს და შეისწავლის ნამდვილი ციხეებისაგან წარმოქმნილ ქალაქებს. მაგრამ ციხისაგან ქალაქის განვითარება შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ იმ საზოგადოებაში, რომელსაც ქალაქური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარკვეული ტრადიცია გააჩნდა. მას შემდეგ, რაც პოლიტიკური ხელისუფლება (სახელმწიფო) გაფორმდება და გაჩნდება ციხე—„პოლიტიკური და სოციალური ბატონობის საშუალება და ნიშანი“, ძლიერ ეკონომიურ რაიონში, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სტრადეგიულად მარჯვე ადგილას აშენებული ციხე შეიძლებოდა ქალაქად განვითარებულიყო. თუმცა არა ყოველთვის. ამის ილუსტრაციად იბერიის სამეფოს სინამდვილიდან შეგვეძლო მიგვეთითებინა ფარნავაზის მიერ აშენებული შორაპნისა და დიშნას ციხეები (ლეონტი მროველი). ორივე, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვითაც, ელინისტურ ხანაშია აგებული, მაგრამ ერთი მათგანი რჩება რიგით ციხედ და ლოკალური რაიონის (ხანის წყლის ვაკობი და ხეობა) ადმინისტრაციულ ცენტრად, ხოლო მეორე გვიანანტიკური ხანის სანაპირო საერისთავოს ადმინისტრაციულ და საკმაოდ დაწინაურებულ სავაჭრო სახელოსნო ცენტრად გამოიყურება¹⁹.

მოქნის საკითხისათვის, გვ. 88—89. Г. А. Мелникишвили, Некоторые вопросы истории Манейского царства, გვ. 60—70 და შმდ).

¹⁹ გ. ცქიტიშვილი, ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბილისი, 1964, გვ. 71—106.

მაგრამ მსვავს ფაქტებსა და მოვლენებს იმ პერიოდის შესწავლისათვის აქვთ მნიშვნელობა, რომელიც ქალაქთმშენებლობის ხანად არის ცნობილი და ბევრი არაფერი აქვთ საერთო ქალაქწარმოქმნასთან, ე. ი. ადრეკლასობრივი ქალაქების უძველესი ჯგუფის გენეზისთან²⁰.

საკმაოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ ადრეკლასობრივი ქართული ქალაქი გენეტიკურად დაწინაურებული რაიონების ადმინისტრაციულ ცენტრებსაც უკავშირდებოდა. სამწუხაროდ, ამ შესე-
დულების მიმდევრებს აქამდე არ მიუთითებიათ არცერთი კონკრეტული მაგალითი, რომელიც მათ მოსაზრებას დამაჯერებელს გახდი-
და²¹. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი მაგალითი წერილობით წყაროებსა და ქართულ არქეოლოგიას არც დღეს მოეპოვებათ და არც მომავალში ექნებათ. არ შეგვიძლია მივუთითოთ რომელიმე ქალაქი, რომელიც ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში გაფორმდა, მაგრამ ადმინისტრაციული ცენტრისაგან ან მის მახლობლად იყოს განვითარებული. აბერიისა და კოლხეთის ჩვენთვის ცნობილი ყველა უძველესი ქალაქი (მცხეთა, უფლისციხე, დიოსკურია, გვენოპი, ფიჭვნარ-ქობულეთი, ფაზისი და ა. შ.) წინაკლასობრივი ხანის მსხვილი სამოსახლოებისაგანაა განვითარებული და არა ციხეებისაგან. ეს ასეა ფაქტიური მონაცემების მიხედვითაც და ზხვაგვარი სურათი არც თეორიულადაა წარმოსადგენი.

ადმინისტრაციული ცენტრი, როგორც ასეთი, ისევე როგორც ციხე, ისტორიული კატეგორიაა, რომელიც ადრეკლასობრივი საზოგადოების განვითარების იმ საფეხურზე ჩნდება, როდესაც მოცემული საზოგადოება თავის პოლიტიკურ (სახელმწიფოებრივ) ორგანიზაციას ქმნის²². წინაკლასობრივი საზოგადოება არ იცნობს „ადმინისტრაციულ ცენტრს“, ისევე როგორც ადმინისტრაციულ დაყოფას და, ამდენად, მის წიაღში ასეთი კატეგორია გაუგებარი და წარმოუდგენელია.

²⁰ ზოგიერთი მკვლევარი ქალაქთწარმოქმნის პროცესს „სტიქიურ“ პროცესად ნათლავს. ასეთი განსაზღვრა, თუნდაც პირობითი, ამ პროცესის უაღრესად კანონზომიერი ბუნების უგულვებელყოფის გარკვეულ მარცვალს შეიცავს.

²¹ დ. ხახუტაიშვილი, მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისა და რაობის საკითხისათვის, გვ. 317 და შმდ.

²² ფრ. ენგელსი, ოქახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 322, 384.

იბერიის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია დედაქალაქით მცხეთაში, როგორც საყოველთაოდ აღიარებულია დღეისათვის, ძვ. წ. III საუკუნის დამდეგს გაფორმდა²³, ხოლო იბერიისა და კოლხეთის ქალაქები, როგორც ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრები, ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში წარმოიქმნება²⁴.

ცხადია, ამდენად, ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში წარმოქმნილი ქართული ქალაქები გენეტიკურად ვერ დაუკავშირდებიან ძვ. წ. III საუკუნის დამდეგს გაჩენილ (შერჩეულ) ადმინისტრაციულ ცენტრებს. და, მართლაც, ასეთი კავშირის სასარგებლოდ არც წერილობითი წყაროები მიუთითებენ და არც არქეოლოგიური მონაცემები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მცხეთის სამეფოს წარმოქმნის თარიღი უკან იქნება დაწეული, რაც, ჩვენი აზრით, მეტად ძნელად დასაბუთდებოდა, ადრეკლასობრივი ქალაქების უძველესი ჯგუფის გენეტიკურად ადმინისტრაციულ ცენტრებთან დაკავშირება ისტორიული პერსპექტივის დარღვევას გამოიწვევდა, რადგან კლასობრივი საზოგადოებისა და ქალაქების ჩასახვა-წარმოქმნა სინქრონული, პარალელური პროცესია, ხოლო ადმინისტრაციული დაყოფა და ადმინისტრაციული ცენტრები კლასობრივად მომწიფებული საზოგადოების პოლიტიკურად (სახელმწიფოებრივად) გაფორმების ნიშანია.

მცხეთა უკვე არსებობდა როგორც მსხვილი, ქალაქური ტიპის სამოსახლო, როცა იგი მსხვილი პოლიტიკური წარმონაქმნის ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა²⁵. იგივე შეიძლებოდა თქმულიყო კასპი-უფლისციხის, დიოსკურიის, ფაზისის, ფიჭვნარ-ჩოლოქის და სხვათა შესახებ. ესა თუ ის პუნქტი იმიტომ კი არ იქცეოდა ქალაქად, რომ იგი ამა თუ იმ ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი იყო, არამედ პირიქით. ეხებოდა რა რუსთავ ქალაქის წარმოქმნის ვითარებას, აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „მართალია, რუსთავი კუხეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი იყო, მაგრამ ქალაქი წარმოშვა არა ამ მომენტმა, არამედ პირუკუ. ხოლო რუსთავ ქალაქის უპირატესობა, უპირველეს ყოვლისა, მის გარშემო მდებარე რაიონის სამეურნეო განვითარებულობას ჰგულისხმობდა...“²⁶.

²³ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, гл. 266—283.

²⁴ Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, гл. 10, 23.

²⁵ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი, 1963, გვ. 8, 244.

²⁶ ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, შრომები, 1, გვ. 373.

ყოველი ადმინისტრაციული ცენტრი, ბუნებრივია, გარკვეული სახის (ტიპის) დასახლებას წარმოადგენდა და, როგორც არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებენ (საძეგურის, წინწყაროს, ყანჩაეთის, კლდეეთის, ახალდაბისა, ზღუდერის, ურეკის, თაგელონის, სარგვეშის მასალები), უმრავლესობა მათგანი ქალაქური ტიპისა სრულებითაც არ იყო. თუმცა ამგვარი ადმინისტრაციული ცენტრი შესაფერისი ეკონომიური გარემოცვის პირობებში შეიძლებოდა ქალაქად ან ქალაქური ტიპის დასახლებად გაფორმებულიყო, მაგრამ ადრეკლასობრივ ქალაქთა ადრეული ჯგუფის გენეზისის პროცესში ასეთი მოვლენები მეორადია. ამგვარად, ანტიკური ხანის იბერიისა და კოლხეთის ქალაქთა უძველესი ჯგუფი თავისი წარმოშობით არც ციხეებს უკავშირდება და არც ადმინისტრაციულ ცენტრებს. პირიქით. ციხეებისა და ადმინისტრაციული ცენტრების წარმოქმნა კლასობრივი საზოგადოებისა და ქალაქების ჩასახვა-წარმოქმნის პროცესში მეორადი მოვლენებია. კერძოდ, ციხე და ადმინისტრაციული ცენტრი კლასობრივად უკვე მომწიფებული საზოგადოების პოლიტიკურად (სახელმწიფოებრივად) გაფორმების შემდეგ ჩნდება, ხოლო ქალაქების ჩასახვა-წარმოქმნა, ისევე როგორც კლასობრივი საზოგადოების ჩასახვა-წარმოქმნა, რამდენადმე წინ უსწრებს მას.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკანასკნელ დრომდე საკმაოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომლის მიხედვით ამიერკავკასიის ქვეყნების ადრეკლასობრივი ქალაქების აღმოცენება-განვითარების ძირითადი ანერტი პირობა ამ ქვეყნების ტერიტორიაზე გამავალი საერთაშორისო სატრანზიტო-სავაჭრო გზები იყო (ამ მოსაზრებას, როგორც ჩანს, ტრადიციის გავლენით, ემხრობიან ის მკვლევარებიც, რომლებიც ადრეკლასობრივი ქალაქების მეურნეობაში ვაჭრობ-ხელოსნობას ცენტრალურ როლს არ მიაკუთვნებენ)²⁷. უფრო მეტიც, აკად. ი. მანანდიანი ფიქრობდა, რომ ამიერკავკასიაზე გამავალი ჩრდილოეთის საქარავნო

²⁷ დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) ქალაქების გეოგრაფიული განლაგების საკითხისათვის, გვ. 499 და შშდ. მისივე მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის საკითხისათვის, გვ. 318—319, ლევან ქილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 144.

გზა „წარმოადგენდა იმ მთავარ მაგისტრალს, რომელსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარებისათვის, ისე არმენიის სავაჭრო და სატრანზიტო როლისათვის“²⁶. არცერთ სავაჭრო გზას, რა დიდი ეკონომიური მნიშვნელობისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, არ შეიძლებოდა არათუ გადამწყვეტი, არამედ რამდენადმე დიდმნიშვნელოვანი როლი ეთამაშნა ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიურ განვითარებაში. მით უფრო, სატრანზიტო სავაჭრო გზებს არაფერი აქვთ საერთო იბერიისა და კოლხეთის ადრეკლასობრივი ქალაქების ჩასახვა-წარმოქმნის პროცესთან. სავაჭრო გზები არაფერს განსაზღვრავდნენ; ისინი ემსახურებოდნენ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას და სამეურნეო ცხოვრებას, იმის მიხედვით, თუ რამდენად მზად იყო მოცემული ქვეყანა ასეთი რამ გამოეყენებინა (იხ. ქვევით).

რაც შეეხება სავაჭრო გზების მნიშვნელობის საკითხს ქალაქთა წარმოქმნა-განვითარების საქმეში, აქ, ვფიქრობთ, საკითხს დიფერენცირებულად უნდა მივეუდგეთ. იბერიისა (და კოლხეთის) ანტიკური ხანის ქალაქები, წარმოშობის მიხედვით, ორ ჯგუფად შეიძლება გავაერთიანოთ: 1. ქალაქები, რომლებიც თავის სათავეებს წინაკლასობრივი ხანის მსხვილ სამოსახლოებში იღებენ (და რომელთა პარალელურად ფორმდებიან იბერია-კოლხეთის სავაჭრო გზები). მათ რიცხვში შეიძლებოდა მიგვეთითებინა მცხეთა (მუხრანის კერძო ქალაქი), უფლისციხე, კასპი, დიოსკურია, ფიჰენარი და ა. შ. (ქართული ქალაქების შემდგომი არქეოლოგიური შესწავლა, ბუნებრივია, დააზუსტებს და შეავსებს ქალაქთა ამ ჯგუფის სიას). 2. ქალაქები, რომლებიც სახელმწიფო და საქალაქო ცხოვრების წარმოქმნის შემდეგ გაფორმდნენ და ძირითადად, როგორც ჩანს, ქალაქმშენებლობის შედეგად წარმოიქმნენ. ისინი, ბუნებრივია, უკვე მოქმედ სავაჭრო გზებზე დაარსდნენ, რაც სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო.

ადრეკლასობრივი ხანის ქართული ქალაქი, პირველ ყოვლისა, გარკვეული ეკონომიური რაიონის ცენტრს წარმოადგენდა და მისი წარმოქმნა მოცემული რაიონის სოციალურ-ეკონომიური განვითარებით იყო საფუძველდებული. ქალაქთა უძველესი ჯგუფის წარმოქმნის პროცესი, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, თანდათანობითი და ხანგრძლივია. მის პარალელურად მიმდინარეობს სავაჭრო გზების გაფორმების პროცესიც.

²⁶ Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван, 1954, გვ. 26.

იბერიის ცალკეულ რაიონებს შორის ურთიერთობა. მათ შორის გაცვლა-გამოცვლითი, დასტურდება წინაკლასობრივ ხანაშიდაც, მაგრამ ხელოსნობისა და სასაქონლო მეურნეობის სისუსტე, ცალკეულ რაიონებს შორის შრომის დანაწილების ოდნავ გამოხატული ჩანასახები, რაც, უპირატესად, მხოლოდ ბუნებრივი პირობების სხვადასხვაობით იყო განსაზღვრული, ცხადია, არ ქმნიდა პირობებს რეგულარული გაცვლა-გამოცვლის, ე. ი. ვაჭრობის წარმოქმნისათვის. მართალია, სავაჭრო გზების მიდევნებით არსებულ წინაკლასობრივ მოსახლობათა მასალებში ჩვენ ვადასტურებთ ახლო თუ შორეული რაიონების ნაწარმსაც, მაგრამ მათი სიმცირე, ამ ნაწარმის ხასიათი გამორიცხავს რეგულარული სავაჭრო ურთიერთობის არსებობას.

კლასობრივი საზოგადოების ჩასახვისას, სამეურნეო განვითარებაში შეინიშნება გარკვეული ძვრები, ძლიერდება ხელოსნურ-სასაქონლო წარმოება, ისახება შრომის დანაწილება ცალკეულ რაიონებს შორის, დაწინაურებას იწყებს ხელოსნური წარმოების ცენტრები, რომლებიც ტონს აძლევენ გარკვეული რაიონის (ზოგჯერ ქვეყნის) ხელოსნური წარმოების ამა თუ იმ დარგს და ა. შ. ამის შედეგად ცალკეულ რაიონებს შორის გაცვლა-გამოცვლა სულ უფრო და უფრო რეგულარულ, ე. ი. ვაჭრობის ხასიათს იღებს. ძვ. წ. VI საუკუნისათვის მონეტის გამოჩენა (რომლის იბერულ შემცველზე, სამწუხაროდ, ცოტა რამ ვიცით) და ბრუნვაში შემოსვლა, სხვა მონაცემების გვერდით, ამისი უდავო მოწმობაა. სახელმწიფო ორგანიზმად შეკავშირებამ, რაც იბერიაში საკმაოდ ორგანული ჩანს, ხელი შეუწყო სატომო საზღვრებისა და ბარიერების მოშლას, უსაფრთხო გახადა მიმოსვლა, გააძლიერა იაფი მუშახელის მოზღვაება სამხედრო ტყვეებისა და ნატყვევი სამოქალაქო მოსახლეობის სახით, შესაძლებელი გახდა ემიგრაცია არაქართული ქვეყნებიდან და ა. შ. ყველაფერი ეს, ხელოსნურ-სასაქონლო ნაწარმზე მოთხოვნილების ზრდასთან ერთად, აძლიერებდა და მანამდე არნახული მასშტაბით აფართოებდა ცალკეულ რაიონებსა და ქვეყნებს შორის გაცვლა-გამოცვლით ურთიერთობას და ვაჭრობის სახეს აძლედა მას. ამავე დროს, ამ პროცესების პარალელურად ძველი დამაკავშირებელი გზები, თანდათანობით, სავაჭრო გზებად ფორმდებიან, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებდა ეკონომიურად დაწინაურებულ რაიონებსა და ქვეყნებს. მართალია, ეს ურთიერთობა ახლა გარეგნულად

ქალაქთა ურთიერთობადაა, ძირითადად, წარმოდგენილი, მაგრამ მის უკან იმალება იმ რაიონთა ურთიერთობა, რომელთა სამეურნეო და სოციალური განვითარების საჭიროებამ თვით ამ ქალაქთა და მათ დამაკავშირებელ გზათა გაფორმება-წარმოქმნა გამოიწვია. იმის მიხედვით, თუ რამდენად ინტენსიურია ამა თუ იმ რაიონის ურთიერთობა მეზობელ რაიონებთან, სხვადასხვაა სავაჭრო გზების მნიშვნელობა და ექსპლუატაციის ხარისხი. თუ მოცემული რაიონის მეურნეობა იმდენად ძლიერია, რომ სტიმულს აძლევს ქალაქების ხელოსნურ-სასაქონლო წარმოების გაძლიერებას, მაშინ ამ ქალაქთა ხელოსნური ნაწარმი რეგულარულად გადის მეზობელი რაიონებისა და ქვეყნების ქალაქებში. ამავე დროს, ვაჭრობა ცალმხრივ ხასიათს კი არ ატარებს, არამედ მაქოსებურს.

ფორმლებიან რა ადრეკლასობრივი ქალაქების უძველესი ჩგუფის წარმოქმნის პარალელურად, შემდეგში, უკვე სახელმწიფოებრივი ცხოვრების წარმოქმნის ხანაში, სავაჭრო გზები, თავის მხრივ, ხელს უწყობენ ქვეყნის შემდგომ ეკონომიურ აღმავლობას. ამ ხანისათვის დამახასიათებელი ქალაქთმშენებლობის პროცესიც, ძირითადად, სავაჭრო გზების მიდევნებით ვითარდება, რადგან, მართალია, ქალაქთმშენებლობა გარეგნულად სამეფო ხელისუფლების (მეფეების) სუბიექტური მოღვაწეობის ხასიათს ატარებს, მაგრამ, სინამდვილეში, ასეთი მოღვაწეობის ამოსავალ მონაცემებს ქვეყნის ეკონომიური განვითარების საჭიროება შეადგენს, ხოლო მიზანს ქვეყნის ეკონომიური აღმავლობის, სამეფო ხელისუფლების დასაყრდენის (იხ. ქვემოთ) შემდგომი გაძლიერება. სამეფო ხელისუფლება ქალაქებს იქ კი არ აშენებს, სადაც ეს მას მოესურვება, არამედ იქ, სადაც ამას ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება მოითხოვს. რამდენადაც ქალაქი ხელოსნურ-სასაქონლო, ე. ი. სავაჭრო პროდუქციის ძირითადი მწარმოებელი იყო, ხოლო სავაჭრო გზები ქალაქების (ეკონომიური რაიონების) დამაკავშირებელ არხებს წარმოადგენდნენ, ადრეკლასობრივი ქალაქების ახალი ჩგუფი ძირითადი სავაჭრო გზების ხაზზე უნდა წარმოქმნილიყვნენ და ისინი, მართლაც, ასეა განლაგებული. ამისი უდავო ილუსტრაცია, სამწუხაროდ, ანტიკური ხანის იბერიის ტერიტორიაზე ჯერჯერობით ძნელი მისათითებელია, რადგან იბერიის ადრეკლასობრივ ქალაქთა არქეოლოგიურ შესწავლას არც ჰორიზონტალურ და არც ვერტიკალურ კრილში ამ დონემდე ჯერ არ მიუღწევია. სამაგიეროდ, შედარებით უეჭვოდ შეიძლება მიფუთითოთ ადრე შუა საუკუნეების ციხე-ქალაქები, რომლებიც მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების ხაზზე განვითარდნენ (თბილისი, რუსთავი, უჯარმა, წოფი, პეტრა, ვაშნარი, არტანუჯი, ტელეფისი (ტოლები), ნიკოფსია და ა. შ.).

თუ დავაკვირდებით ისტორიული შიდა ქართლისა და კუხეთ-პერეთის ანტიკური ქალაქების გეოგრაფიას, ვნახავთ, რომ ეს ქალაქები განლაგებულია მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ე. ი. იმ რაიონებში, სადაც გაივლიდა ელინისტური მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ე. წ. სატრანზიტო-სავაჭრო გზა²⁹. როგორც ჩანს, ამ გარემოებამაც შექმნა საცოთური მკვლევართა შორის, რომ ქართული ქალაქები გენეტიკურად სავაჭრო გზებთან დაეკავშირებინათ. ამასთან, იშვიათად თუ ვინმე სვამდა საკითხს იმის თაობაზე, რომ დეტალურად, კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით, შეესწავლა ამ გზის მნიშვნელობა ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის და დასკვნები ამის მიხედვით გაეკეთებინა. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ თითქოსდა, ელინისტური დასავლეთის ინტერესებისათვის მოქმედი სავაჭრო გზა, ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიური აღმავლობის განმსაზღვრელის როლშიც გამოდიოდა და ქართული ადრეკლასობრივი ქალაქების წარმოქმნასაც განსაზღვრავდა.

ამ მცდარი შეხედულების კრიტიკის პირველ მორიდებულ ცდას³⁰, სამწუხაროდ, განვითარება არ მიუღია და საკითხის შემდგომი დეტალური შესწავლის აუცილებლობა დღის წესრიგიდან არ ქოუზნება.

როგორც ფაქტობრივი მასალის შესწავლა ცხადყოფს, იბერიის ადრეკლასობრივი ქალაქების ერთი ჯგუფი იმიტომ კი არ აღმოცენდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და იმიტომ კი არ იყო განლაგებული საერთაშორისო მნიშვნელობის ე. წ. სატრანზიტო-სავაჭრო გზის ტრასაზე, რომ უკანასკნელი მტკვრის მარცხენა სანაპიროს მიუყვებოდა, არამედ, პირიქით, აღნიშნული გზის ტრასა მტკვრის მარცხენა სანაპიროს იმიტომ შეუყვია, რომ მის გაფორმებამდე აქ უკვე არსებობდა ქალაქები თუ ქალაქური ტიპის სამოსახ-

²⁹ ს. ჯანაშია, გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში, შრომები, II, გვ. 127—128, მისივე, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე, შრომები, II, 416. Г. К. Гозалишвили, О древнем торговом пути в Закавказье, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, ტ. II, 1956, გვ. 153—160. З. И. Ямпольский, К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию к Черному морю, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, ტ. II, 1956, გვ. 161—180. ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ, გვ. 377—384.

³⁰ ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 382—383.

ლოები, რომელთაც ადგილობრივი მნიშვნელობის ჰაეაქრო გზები აკავშირებდა. მტკვრის მარცხენა სანაპიროს ეკონომიურად ღონიერ რაიონებში მოქმედმა, უკვე არსებულმა სავაჭრო გზებმა ბუნებრივად იცისრა გაფორმების პროცესში მყოფი საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობის არხის როლი და ადგილობრივი სავაჭრო გზები მის შემადგენელ ნაწილებად იქცა³¹. ასე გაფორმდა ამ გზის ფასიდ-პირკანის მონაკვეთი.

შიდა ქართლის ადრეკლასობრივი ქალაქების მტკვრის მარცხენა სანაპიროზე განლაგება იმითი კი არ იყო გაპირობებული, რომ აქ დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო გზა გაივლიდა, არამედ იმით, რომ მტკვრის მარცხენა სანაპიროს რაიონები ეკონომიურად გაცილებით უფრო ღონიერი იყო (და არის ახლაც), ვიდრე მარჯვენა სანაპიროს რაიონები.

ადრერკინის ხანის იბერია დაწინაურებული სოფლის მეურნეობითა და ხელოსნობით ხასიათდებოდა. დღეისათვის შედარებით უკეთ ვიცნობთ „ზენა სოფლის“ (ელინისტური და მომდევნო პერიოდების „შიდა ქართლი“) ვითარებას, „როდესაც ყალიბდება ამ ხალხისათვის დამახასიათებელი კულტურის თავისებურებანი; ეს არის ამჟამად ჩვენთვის გარკვეული შემდეგი მონაცემები: მიწათმოქმედებაში რკინის სახნისი და ვარაუდით რკინის საკვეთელიც, სახვნელი იარაღი სათესი აპარატით, შერეული თესლის გამოყენება მოსავლის გადიდების მიზნით, კვერი, წყლის წისქვილი, ღვინის დაყენებისა და შენახვის წესები (დიდი ქვევრები), კარაქის დამზადება; ლითონის დამუშავებაში—ჩამოსხმა, გრავირება, ფილიგრანი, მოოქვა, კვერვა, სევადა; გამოქვაბული ქალაქები, კვადრატული სახლი შუაეცხლით, მატრიარქატის გადმონაშთები, ხარის კულტი, ამირანის ლეგენდის ახალი ფენა, ჭაპანთან და რკინასთან დაკავშირებული“³². სწორედ ამ ხანაში (ძვ. წ. X—VII სს.) „ზენა სოფლის“ ბარის რაიონებში, მტკვრის ორივე სანაპიროზე, ფორმდება დაბური ტიპის, მსხვილი სამოსახლოები სახელოსნო უბნებით (მსგავსივე სურათი დადასტურებულია კოლხეთის ბარის რაიონებშიც)³³. ძვ. წ. VI—V საუკუნეებში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე განლაგებულ

³¹ შტრ. ლეეან კილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 142—145.

³² გ. ჩიტაია, აკად. ს. ჭანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა, ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „მიმოხილველი“, I, თბილისი, 1949, გვ. 12—13.

³³ დ. ხახუტაიშვილი, კოლხური რკინის მეტალურგიის სათავეებთან, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“, I, თბილისი, 1964, გვ. 55. მისივე, ქართული მონათმფლობელური ქალაქის წარმოქმნა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შექმნა, ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, V, 1, 1960, გვ. 187 და შტდ.

სამოსახლოთა ერთმა ჯგუფმა ქალაქური ტიპის სამოსახლოების სახე მიიღო (მცხეთა, უფლისციხე, კასპი? და ა. შ.), ხოლო მარჯვენა სანაპიროს სამოსახლოები დაკნინდნენ და შემდგომი განვითარება შეაჩერეს (ხოვლე, კენჭყარა, მეტეხი, ნიჩბისი...).

მართლაც, მტკვრის მარცხენა სანაპირო წარმოდგენილია ფართო ველითა და მთისწინა ზოლით, რომლის სასარგებლო ფართობი ასობით ათას ჰექტარს შეადგენს. მას სერავს რამდენიმე მოზრდილი და მცირე მდინარე (არაგვი, ნარეკვაი, ქსანი, ლეხურა, მეჯუდა. ლიანხვი. ფრონე და ა. შ.), თუ წყალუხვი ნაკადული. ამ რაიონებს დიდი სამეურნეო ტრადიცია და მორწყვითი მიწათმოქმედების განვითარების ფართო შესაძლებლობანი გააჩნდა³⁴. შემთხვევით არ არის, რომ უძველესი ეროვნული ცნობა პირველი სარწყავი არხის გაყვანას მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მიუთითებს. ამ მხარეში. რკინის უპართო სამეურნეო ათვისების ხანის პირველ საფეხურზევე რამდენიმე ძლიერი ეკონომიური რაიონი გამოიყოფა, რომელთაგან თვითუფელში დაწინაურებას იწყებს ერთი ან რამდენიმე მსხვილი სამოსახლო. ისინი, კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნისას. ქალაქებად ფორმდებიან და ერთმანეთთან ადგილობრივი მნიშვნელობის სავაჭრო გზებით არიან დაკავშირებული.

ელისისტური ხანის დამდეგს ამიერკავკასიაში არსებული ადგილობრივი სავაჭრო გზების ერთი ყველაზე ძლიერი არტერია საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზის შემადგენელ ნაწილად იქცა. ცხადია, საერთაშორისო ვაჭრობის ამ გზით წარმართვა გაპირობებული იყო ამიერკავკასიის ქვეყნების სამეურნეო სიძლიერით და პოლიტიკური ცხოვრების მოწესრიგებულობით (იბერიის სამეფოს სიძლიერე და მისი გავლენის განვრცობა. საქალაქო ცხოვრებისა და ხელოსნურ-სასაქონლო წარმოების დაწინაურება, გზების კეთილმოწყობა, ქარავნების უსაფრთხოობა, თავისი დროიანთვის მაღალგანვითარებული სატრანსპორტო საშუალებანი, მგზავრობისათვის იოლასატანი ჰავა და ა. შ.), ხოლო ცალკეული ქვეყნების შიგნით სავაჭრო გზების მიმართულეებები შეირჩეოდა ეკონომიური რაიონების დაწინაურებულობის, მათში საქალაქო ცხოვრების სიძლიერის მიხედვით.

მკვლევართა ერთი ჯგუფი, როცა საერთაშორისო სატრანზიტო-

³⁴ ს. ქანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. გვ. 263—265. ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, შრომები, I, გვ. 411 და შმდ.

ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში. თბილისი, 1963, გვ. 11 და შმდ.

მ. ბეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის ცდა), თბილისი, 1961, გვ. 48 და შმდ.

საეპრო გზებს ეხება, ჩვეულებრივ, ყურადღებას აქცევს მოცემული გზების კიდურებში მდებარე ქვეყნებს და ფიქრობს, რომ აღნიშნული საეპრო გზების არსებობა მხოლოდ ამ ქვეყნების ინტერესებით არის გაპირობებული. საკითხის ამგვარი დასმაც, ვფიქრობთ, მეორე უკიდურესობაა. ის გარემოება, რომ ბერძენი და ლათინი ავტორები მიუთითებენ რომისათვის აღმოსავლეთთან ვაჭრობის დიდ მნიშვნელობაზე, სრულებითაც არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, თითქოს, აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი გზები მხოლოდ რომაული არისტოკრატის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურებოდა და ამ საფუძველზე იყო წარმოქმნილი. მართალია, რომი დაინტერესებული იყო აღმოსავლეთთან ვაჭრობით, მაგრამ არანაქლებ დაინტერესებული იყვნენ ასეთი ურთიერთობით სხვა ქვეყნებიც (პონტის სამეფო, იბერია, კოლხეთი, არმენია, ალბანეთი). ამისი მოწმობაა ის ფაქტი, რომ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებულ მასალებში ადგილობრივი ნაწარმის გვერდით ხშირად გვხვდება როგორც „აღმოსავლური“, ისე „დასავლური“ ნაკეთობანი. ერთი ქვეყნიდან მიმავალი ხელოსნური ნაწარმი თანდათანობით იღვქებოდა საეპრო გზებზე მდებარე ქალაქებში და კიდურ ქვეყანას მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი აღწევდა. ბუნებრივია, ვაჭარს იქ გაეყიდა თავისი საქონელი, სადაც შესაფერის, გადახდისუნარიან მომხმარებელს შეხვდებოდა. ანტიკური ხანის იბერიაში კი, როგორც არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებენ, საკმაოდ გემოვნებაგანვითარებული საზოგადოებრივი ფენები არსებულან (ყაზბეგის, საბეგურის, ყანჩაეთის, წინწყაროს, ბაგინეთის, არმაზისხევის, სამთავროს, ბორის, სარგვეშის, კლდეეთის, ახალდაბის, უფლისციხის, გორის, ნიჩბისის... მასალები, ანტიკური ავტორის ცნობები). ამიერკავკასიის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონე დაბალი რომ ყოფილიყო, ცხადია, აქ არსებული გზები ვერ იქცეოდნენ საერთაშორისო საეპრო არტერიის შემადგენელ ნაწილებად. რადგან ასეთი არტერიების ცალკეულ მონაკვეთთა მოქმედება დიდად იყო დამოკიდებული იმ ქვეყნების „მხარდაჭერაზე“, რომელთა ტერიტორიასაც ისინი სერავდნენ.

ცხადია, ამასთან, არავინ აპირებს იმის მტკიცებას, რომ საეპრო გზებს ქალაქებისა და წელღონიერი ეკონომიური რაიონების შემდგომი განვითარებისათვის არ ჰქონოდა მნიშვნელობა — ისინი ხომ ქალაქების, როგორც ხელოსნობა-ვაჭრობის, ხელოსნურ-სა-საქონლო წარმოების ცენტრების სამეურნეო ცხოვრების საჭიროებათა საფუძველზე გაფორმდნენ და მათი შემდგომი აყვავება-განვი-

თარგების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდნენ. მაგრამ ანტიკური ხანის იბერიის, კოლხეთის, არმენიისა და ალბანეთის ეკონომიური დაწინაურებულობა რომელიმე სავაჭრო გზის, თუნდაც საერთაშორისო მნიშვნელობისა კოფილიყო იგი, არსებობამ ყი არ განსაზღვრა, არამედ იმ ძირძველმა სამეურნეო კულტურამ, რომელიც ამ ხალხებს მოსდგამდა. ამისი ილუსტრაციაა სავაჭრო გზები, რომლებიც სოციალურ-ეკონომიური განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფი ტომების ტერიტორიებს სერავდნენ. მეოტიდა-კოლხეთის სავაჭრო არტერიის³⁵ იმ მონაკვეთზე, რომელიც აქეების, კერკეტებისა და ჰენიოხების ქვეყანაზე გადიოდა, არ დასტურდება არც ერთი საქალაქო ცენტრი. უფრო მეტიც, ამ გზის არსებობას აღნიშნულ ტომთა ცხოვრებაზე რაიმე შესამჩნევი კვალი არ დაუჩნევია. პირიქით, თუ კარგად ჩაუუკვირდებით ანტიკური ავტორების ცნობებს ამ ტომთა ყოფაზე, შეიძლება დაუშვათ საკმაოდ საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ისინი აფერხებდნენ ამ საერთაშორისო მნიშვნელობის გზის ექსპლუატაციას. ამავე დროს, ამ გზის კოლხურ მონაკვეთზე რამდენიმე ქალაქი და მსხვილი დასახლება არსებობდა (პიტიუნტი, დიოსკურია, გვენოსი, ფასილა, ურეკი, ფიჭენარი, ანტიკური ციხისძირი, ანტიკური ბათუმი, ანტიკური აფსაროსი). საილუსტრაციო მასალის გამრავლება კიდევ შეაძლებოდა (დარიალის გზა მცხეთასა და ყუბანის ველებს შორის, გოდერძის გზა აფსაროსიდან სამცხემდე, ქსენოფონტის მიერ აღწერილი გზა ტრაპეზუნტიდან შკვითინების გვმნიადამდე (კოროხის ხეობა), ე. წ. დარინის გზა სვანეთზე გადავლით, რომელიც ანტიკურ ხანაშიც მოქმედებდა და ა. შ.), მაგრამ მოტანილი მაგალითიც ნათლად გვიჩვენებს, რომ თუ ქვეყნის საშინაო სოციალურ-ეკონომიური განვითარება არ აპირობებდა მოცემულ ქვეყანაში საქალაქო ცხოვრებისა და სავაჭრო გზების წარმოქმნას, სხვა ქვეყნების ინტერესებისათვის მოქმედ სავაჭრო გზას, რა დიდი მნიშვნელობისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, არა თუ შეეძლო განესაზღვრა ამ ქვეყნის სამეურნეო და სოციალური განვითარება, არამედ ვერც რაიმე კვალს დააჩნევდა მას³⁶.

ამგვარად: ა. სავაჭრო გზები არ აპირობებდნენ ადრეკლასობრივი ქალაქების უძველესი ჯგუფის წარმოქმნას და გენეტიკურად

³⁵ Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, გვ. 59.

³⁶ დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) ქალაქების გეოგრაფიული განლაგების საკითხისათვის, გვ. 503—504.

მათ არ უკავშირდებოდნენ: ბ. სავაქრო გზები არ განსაზღვრავდნენ ამა თუ იმ ქვეყნის სამეურნეო და სოციალურ განვითარებას; გ. მეურნეობრივად ისე მაღალგანვითარებული ქვეყნის ტერიტორიაზე, როგორცაა ანტიკური ხანის იბერია, სავაქრო გზა არ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სატრანზიტო ხასიათისა (გზა სატრანზიტო მხოლოდ მაშინაა, თუ იგი კიდურა ქვეყნების პუნქტებს ემსახურება და გაივლის ისეთი ხალხების (ტომების) ტერიტორიაზე, რომლებიც თავიანთი სამეურნეო ჩამორჩენილობის გამო არ მონაწილეობენ ვაჭრობაში; მაგ. აქელები, ჰენიოხები, კერკეტები—მეოტიდა-კოლხეთის სავაქრო გზაზე); დ. სავაქრო გზები კი არ განსაზღვრავდნენ ქალაქების გეოგრაფიულ განლაგებას, არამედ, პირიქით, წელლონიერი რაიონებისა და მათი ქალაქების გეოგრაფიული განლაგებით იყო განსაზღვრული სავაქრო გზების გეოგრაფია.

* * *

უკანასკნელ დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ ქართული ადრეკლასობრივი ქალაქების ჩასახვა-განვითარება მთისწინა ზოლს უკავშირდებოდა, სადაც ადრიდანვე მორწყვითი ინტენსიური მეურნეობის განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი პირობები არსებობდა. ამ მოსაზრების საფუძვლად აღებულია არც თუ მთლად მარჯვე წინამძღვრები, რომ: ა. სათანადო „დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალა ცოტა მოგვეპოვება, მაგრამ ეს უფრო ამ ზოლის და საერთოდ საქართველოს ხეობების ნაკლები არქეოლოგიური შესწავლილობით უნდა აიხსნას, ვიდრე სათანადო მასალების არარსებობით“; ბ. მთისწინა ზოლი, ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, დაწინაურებულია და, ე. წ. მცირე ქალაქების დიდი უმრავლესობაც, რომლებსაც ვახუშტი ასახელებს და ზოგჯერ აგვიწერს კიდევ, სწორედ აღნიშნულ ზოლზე მოდის“³⁷.

დღეისათვის ჩვენ ხელთ არსებული მასალები საშუალებას არ გვაძლევს გავიზიაროთ აღნიშნული მოსაზრება, ადრეკლასობრივი ქალაქების წარმოქმნასა და მათ გეოგრაფიულ განლაგებაზე.

იბერიის ანტიკური ქალაქების კულტურა ბარის კულტურაა, ხოლო მთისწინა ზოლისა—ხევების კულტურა, რომელიც ქალაქთა კულტურის წარმოქმნის მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენდა როგორც მეურნეობრივად,

³⁷ მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, გვ. 211—217.

ოსე სოციალურად (დაწვრილებით ქვემოთ)³⁸; ამასთან, თუ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სამეურნეო ყოფის ერთ დამახასიათებელ მომენტს, ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან მაინც, მორწყვაზე დამყარებული ინტენსიური მეურნეობა წარმოადგენდა, კოლხეთისათვის ეს მომენტი არც ძირითადი იყო და არც დამახასიათებელი. ამდენად იბერიისა და კოლხეთის ქალაქთა წარმოქმნის სამეურნეო პირობები ერთმანეთს არ ემთხვეოდა და ქალაქთა წარმოქმნის ერთიან სამეურნეო პირობებზე საუბარი მთლად მარჯვედ არ გამოიყურება. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, „მიწა კერძო საკუთრების ობიექტად იქცა და პირველყოფილი თემური წყობილება კლასობრივმა ურთიერთობამ შესცვალა ისეთ ქვეყნებშიაც, სადაც მორწყვას დიდი სამეურნეო მნიშვნელობა არ ჰქონდა ... აღმოსავლეთ საქართველოში მიწის მორწყვა იყო ის უმთავრესი მნიშვნელობის მომენტი, რასაც ქართლის ინტენსიური მეურნეობის განვითარება ძირითადად ემყარებოდა და რაც, თავის მხრივ, იყო მთავარი საფუძველი, როგორც მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენისა და კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნისა, ისე, განვითარების შემდგომ საფეხურზე, ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებისა...“³⁹.

მკვლევარი, რომელიც იბერიის ადრეკლასობრივი ქალაქების ჩაახვება-განვითარების პროცესს მთისწინა ზოლს უკავშირებს, ვალდებულია ანგარიში გაუწიოს შემდეგ უდავო მონაცემებს: 1. ადრეკლასობრივი ხანის ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში (ასევე კოლხეთში, არმენიაში, ალბანეთში) განლაგებულია ბარის რაიონებში, მდინარეთა მიდევნებით (ხუნანი, დიდი მცხეთა, კასპი, უფლისციხე, გორი, ურბნისი, წუნდა და ა. შ.). 2. მთისწინა ზოლში ადრეკლასობრივი ქალაქების არსებობის ნიშნები დადასტურებული არ არის და, როგორც ჩანს, არც არის მოსალოდნელი, რადგან, როგორც ირკვევა, მთისწინა ზოლის სამეურნეო პირობები სავსებით საკმარი ხევეების კულტურის აყვავებისათვის (რომელიც სამეურნეო და, საერთოდ, სოციალურ-ეკონომიური განვითარების ერთ საფეხურთაგანს წარმოადგენდა), უკმარი იყო ქალაქური კულტურისა და კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნისათვის⁴⁰. მითითება მთისწინა ზოლის არქეოლოგიური შესწავლობის სისუსტეზე აღნიშნულ მოსაზრებას დამაჯერებელს ვერ

³⁸ შტრ. ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, გვ. 423—424.

³⁹ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 425—426.

⁴⁰ შტრ. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 423.

ხდის, რადგან არ შეესაბამება ფაქტიურ ვითარებას. საკმაოდ დეტალური ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების პროცესში, რომელიც უკვე ათ წელზე მეტია გრძელდება. შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და კახეთის მთისწინა ზოლში არ დადასტურებულა ადრეკლასობრივი ხანის არც ერთი ნაქალაქარი¹. 3. მთისწინა ზოლის სამეურნეო დაწინაურების სურათი, რომელიც ეთნოგრაფიული მასალების შუქზე ჩანს, სწორედ იმისი მოწმობაა, რომ მთისწინა ზოლის ხეობების სამეურნეო განვითარების შესაძლებლობანი შეზღუდული იყო და მან ბევრი რამ შეინარჩუნა იმისაგან, რაც უძველეს მორწყვით მიწათმოქმედებას და მეურნეობას ახასიათებდა. ბარში კი ეს ნიშნები თითქმის წაიშალა განვითარების სხვა, უფრო ფართო შესაძლებლობის მქონე პირობების გამო. კლასობრივი ხანის ბარის დაწინაურებული რაიონები უპირატესად მსხვილ სარწყავ სისტემებზე დამყარებულ ინტენსიურ სოფლის მეურნეობას ეზიარა², ხოლო მთისწინა ზოლი და მთა ისევ და ასევე წყარო-ნაკადულებრივი მორწყვითი მიწათმოქმედების საფეხურზე დარჩა. 4. ე. წ. მცირე ქალაქები, რაზედაც ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს, გვიანი შუა საუკუნეებისათვის ჩანს დამახასიათებელი და ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის პირობებში არიან წარმოქმნილი. როგორც წერილობითი წყაროების, ისე არქეოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიების მონაცემები, ჭერჭერობით, მხოლოდ ამგვარი დასკვნის საშუალებას იძლევა. 5. ის გარემოება, რომ უძველესი ქალაქების ჩაახვება-განვითარების პროცესი მიმდინარეობდა ისეთ რაიონებშიც, სადაც მორწყვითი მიწათმოქმედება არ წარმოადგენდა სამეურნეო განვითარების ძირითად მომენტს, საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ქალაქების წარმოქმნაში სამეურნეო და სოციალური ცხოვრების რომელიმე ერთი დარგი ან მხარე კი არ იყო გადამწყვეტი, არამედ სოციალურ-ეკონომიური განვითარების საერთო ვითარება, მისი მაღალგანვითარებულობა, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი იყო მისი ამოსავალი ვითარება. როდესაც მწიფდება სოციალურ-ეკონომიური პირობები, ქალაქები ისევე წარმატებით წარმოიქმნებიან კოლხეთის წყალმოჭარბებულ დაბლობში, როგორც იბერიისა და სომხეთის წყალნაკლებ ბარში.

ისტორიული გეოგრაფიის კრებული", I, თბილისი, 1960 წ., II, თბილისი, 1964, III, თბილისი, 1966.

² ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 159—161, 176 და შმდ.

³ სათანადო მონაცემების ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია: „საქართველოს.

ცხადია; საირიგაციო სისტემის ქონების აუცილებლობა აჩქარებდა სამეურნეო და სოციალური განვითარების ტემპებს, ხელს უწყობდა შედარებით მტკიცე პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას და ძირს უთხრიდა თემს, თემური საკუთრების ფორმებს და, როგორც ჩანს, აჩქარებდა ტომთა კონსოლიდაციის პროცესს. ის გარემოება, რომ იბერიამ შედარებით სწრაფად, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაშივე დაამთავრა ქართის ტომების კონსოლიდაციისა და სამეფოს შემადგენლობაში შემაგალი ზანური თუ ჰერულ-ალბანური მოდგმის ტომთა ქართიზაციის პროცესი, ხოლო კოლხეთი დიდად ჩამორჩა მას, იმისი საბუთი უნდა იყოს, რომ იბერული სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია ანტიკურ ხანაში გაცილებით მძლავრი, სიცოცხლისუნარიანი და ქმედითი იყო, ვიდრე კოლხური. როგორც ჩანს, სწორედ ანტიკურ ხანაში შეიქმნა საფუძველი იმისა, რომ შუა საუკუნეების ქართული კულტურა იბერების (ქართვების) კულტურის ნოყიერ ნიადაგზე განვითარებულყო⁴³.

1955 წელს ხოვლეს, ფიჭვნარის, სოხუმისა და მცხეთის მასალების საფუძველზე მივუთითეთ, რომ აღრეკლასობრივი ქართული ქალაქები თავისი წარმოშობით უკავშირდებიან იბერიისა და კოლხეთის შარის რაიონების იმ მსხვილ დაბურ სამოსახლოებს, რომელთა ტოპოგრაფიული სახეა: გამაგრებული ცენტრალური ნაწილი, მის გარშემო განლაგებული გაუმაგრებელი დასახლებანი და ცალკე გამოყოფილი სახელოსნო უბნები⁴⁴.

1956 წ. ა. ბოლტუნოვამ მიუთითა, რომ იბერიის ქალაქები, როგორც ხელოსნობა-ვაჭრობის ცენტრები, განვითარდნენ ნაყოფიერ ადგილებში, სავაჭრო გზებზე მდებარე მსხვილი სამოსახლოებისაგან. მაგალითად მცხეთა, მისი აზრით, თავდაპირველად თემურ, გაუმაგრებელ სამოსახლოს წარმოადგენდა, რომელსაც მამასახლისი მეთაურობდა. სამოსახლოების შემდგომი განვითარების სურათი, წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით, მკვლევარს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: გამსხვილებული სამიწათმოქმედო სამოსახლოებისაგან სახელოსნო-სავაჭრო (ტომთა შორის

⁴³ ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვას წიგნის „გიორგი მერჩულეს“, გამო, ურნ. „მნათობი“, 1956, № 12, გვ. 129. მისივე, წერილი რედაქციას, „ლიტერატურული გაზეთი“, 1957, 8. 11, № 6, გვ. 3.

⁴⁴ დ. ხახუტაიშვილი, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. წ. IV—I სს-ში, გვ. 55-56.

გაცვლა-გამოცვლის) ცენტრების (ქალაქების) წარმოქმნასთან ერთად იქვე ჩნდებოდნენ სამხედრო წინამძღოლების მიერ აგებული ციხეები, რომლებიც სამხედრო წინამძღოლთა ძალაუფლების დასაყრდენს და ომებში ნაძარცვი, თუ სხვა გზით დაგროვებული სიმდიდრის საცავს წარმოადგენდნენ⁴⁵. წარმოდგენილ მოსაზრებას, არქეოლოგიური მასალის სიმცირისა და კრიტიკულად დადგენილი წერილობითი წყაროების უქონლობის გამო, აკლია კონკრეტულობა და სიცხადე, არ ახლავს სათანადო არგუმენტაცია. ამასთან, ზოგიერთი მომენტის რეალობა იწვევს გარკვეულ ეჭვს. მათ შორის შეგვეძლო მიგვეთითებინა: საკითხი სავაჭრო გზების როლსა და ადგილზე ქალაქთა წარმოქმნის პროცესში, საკითხი გაუმავრებელი სამოსახლოებისა და ციხეების წარმოქმნის დროსა და ვითარებაზე, საკითხი სამხედრო წინამძღოლთა შესახებ და ა. შ.

1963 წ. გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში ა. ბოლტუნოვა კვლავ დაუბრუნდა იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხებს და შეეცადა უახლესი მასალების შუქზე მოეცა ქალაქთა წარმოქმნის პროცესის უფრო კონკრეტული სურათი⁴⁶. მითითებულ წერილში მკვლევარი შემდეგ ვითარებას ადასტურებს: 1. პირველი ქალაქები საქართველოსა და სომხეთში არსებობდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ადგილობრივ ეთნიკურ ნიადაგზე ჯერაც არ იყო წარმოქმნილი კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო. ასეთები იყო ურარტული ქალაქები სომხეთში და ბერძნული ახალშენები კოლხეთში⁴⁷. 2. იბერიის ქალაქები განვითარდნენ იმ მსხვილ სამიწათმოქმედო სამოსახლოებისაგან, რომლებიც ნაყოფიერ ადგილებში, სავაჭრო გზებზე იყვნენ განლაგებულნი. მსხვილი სამოსახლოები, თავის მხრივ, „სიმაგრე-თავშესაფრების“ („укрепления-убежища“) გარშემო მოსახლეობის კონცენტრაციის გზით არიან წარმოქმნილი. მკვლევარის აზრით, საამისო საილუსტრაციო მასალა; შესაძლებელია, ხოვლევა და ბოლნისის ნამოსახლარების აღრეულ ფენებში დავინახოთ⁴⁸.

⁴⁵ А. И. Болтунова, Возникновение классового общества и государственной власти в Иберии, გვ. 34, 42—43.

⁴⁶ А. И. Болтунова, Античные города Грузии и Армении, გვ. 153—168.

⁴⁷ А. И. Болтунова, დასახ. ნაშრ., გვ. 153, 155—157.

⁴⁸ იქვე, გვ. 163. აქ, ა. ბოლტუნოვა, როგორც იგი მიუთითებს, ეყრდნობა აფაქიძის მიერ 1960 წ. 9/XII მოსკოვში წაითხული იმ მოხსენების მონაცემს. რომლის სტენოგრაფიაც 1963 წ. დაიბეჭდა (კრებულში: „Античный город“, М., 1963, გვ. 146—151) სათანადო აპარატის გარეშე.

3. მცხეთის სამეფოს წარმოქმნისა და არმაზის ციხის აშენების შემდეგ, მომდევნო ზანაში, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება-განვითარებამ, იბერიის ეკონომიურმა აღმავლობამ, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებამ, განსაკუთრებით კი მცხეთის სავაჭრო როლის ზრდამ შექმნა უველა პირობა იმისათვის, რომ მცხეთის მსხვილი სამიწათმოქმედო სამოსახლო, რომელიც არმაზციხის ძირას იყო გაშლილი, ნამდვილ დიდ ქალაქად გადაქცეულიყო⁴⁹. 4. სევს-მორა და სარკინე დიდი მცხეთის უბნები კი არ იყო, არამედ დამოუკიდებელი ქალაქები⁵⁰. ა. ბოლტუნოვს მიერ 1963 წ. გამოქვეყნებული გამოკვლევის იმ ნაწილში, რომელიც იბერიის ქალაქებს ეხება, ყურადღებას იქცევს საკითხის დასმა, რომელიც, სამწუხაროდ, მთლად სწორ გადაწყვეტას ვერ პოულობს იმის გამო, რომ მკვლევარი შესაბამის ინტერპრეტაციას ვერ აძლევს პირველწყაროების, განსაკუთრებით კი, არქეოლოგიური მასალების მონაცემებს. საქართველოში უკანასკნელ წლებში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებზე იგი, როგორც ნაშრომიდან ჩანს, ა. აფაქიძის მოკლე შემაჯამებელი მოხსენებიდან იცნობს, რომელშიც, ბუნებრივია, მაჰალის კონკრეტულ ჯგუფთა ინტერპრეტაცია მოცემული ვერ იქნებოდა, ხოლო ა. ბოლტუნოვს ნაშრომში დასმული საკითხების შესწავლისას სწორედ კონკრეტული დეტალების გათვალისწინება იძლევა საკითხის კონკრეტული მხარის გასუქების გასაღებს. ამის გამოა, რომ საკმაოდ საფუძვლიან შენიშვნებს იწვევს მკვლევარის მიერ წერილში წარმოდგენილი მოაზრებები მსხვილ სამოსახლოთა წარმოქმნა-განვითარებისა თუ დაქვეითება-დაცემის პროცესზე, მსხვილ სამოსახლოთა ტოპოგრაფიასა და ბუნებაზე, ქალაქთა წარმოქმნის პროცესზე, ე. წ. სიმაგრე-თავშესაფრებზე და მათ როლზე, ქალაქებისა და ციხეების წარმოქმნის ქრონოლოგიაზე, კოლხეთის უძველეს ქალაქებზე, სავაჭრო გზების როლზე ქალაქთა წარმოქმნის პროცესში და ა. შ.

ამ საკითხთა ერთ ჯგუფზე კონკრეტული მსჯელობა ქვემოთ გვექნება წარმოდგენილი, მეორე ჯგუფზე უკვე გამოითქვა სათანადო დასაბუთებული შენიშვნები და აქ მათზე მსჯელობა უადგილო იქნებოდა⁵¹, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ სანამ ა. ბოლტუნოვა თავის გამოკვლევას გამოაქვეყნებდა, კერძოდ 1963 წლამდე, დასმულ საკითხთა დიდ ნაწილს მიეძღვნა რამდენიმე გამოკვლევა, რო-

⁴⁹ ი ქ ე ე, გვ. 165.

⁵⁰ ი ქ ე ე, გვ. 165—166.

⁵¹ ოთ. ლ ო რ თ ქ ი თ ა ნ ი ძ ე, კოლხეთის ბერძნული „კოლონიზაციის“ საკითხისათვის, გვ. 198, შენიშვნა.

მელთა გაცნობა მკვლევარს საშუალებას მისცემდა თავიდან აეცილებინა ჩვენ მიერ მითითებული ზოგიერთი უზუსტობანი⁵².

ამგვარად, იბერიისა და კოლხეთში, როგორც მასალების მთელი კომპლექსი მიუთითებს, საქალაქო ცხოვრების აკვანი მთისწინა ზოლში კი არ დაირწა, არამედ ბარის ეკონომიურად დაწინაურებულ რაიონებში, სადაც, ამავე დროს, სავაჭრო გზების აქტიური მონაკვეთებიც ისახებოდა.



სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანტიკური ხანის ქართული ქალაქები, ფეოდალური ქალაქებისაგან განსხვავებით, ციხე-ქალაქებს წარმოადგენდნენ, რომ ამ ტიპის ქალაქური დასახლება იყო დამახასიათებელი ადრეკლასობრივი ხანის იბერიისა და კოლხეთისათვის.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ციხე-ქალაქის შინაარსი ნათლად გარკვეული არ არის და ხშირად ურთიერთგამომრიცხველი განსაზღვრებებიც გვხვდება.

აკად. ს. ჭანაშიას მიხედვით, „ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქები უბრალო გამაგრებული პუნქტები კი არ იყო, არამედ გამაგრებული სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები“⁵³. ამავე აზრისაა გ. მელიქიშვილი⁵⁴ და მკვლევართა დიდი ნაწილი. შ. მესხია ფიქრობს, რომ ადრეკლასობრივი ხანის იბერიის ქალაქები, გარდა მცხეთისა, ციხე-ქალაქები იყო. ციხე-ქალაქი კი, მისი აზრით, ისეთი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრია, რომელიც გენეტიკურად ციხეს უკავშირდე-

⁵² ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, შრომები, I, გვ. 367—426, მისივე, ისტორიული გეოგრაფიისათვის, შრომები, I, გვ. 346-366. დ. ხახუტაშვილი, ანტიკური ხანის უფლისციხე ახალმოპოვებული მასალების სინათლეზე, გვ. 369—375.

მისივე, ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) ქალაქების გეოგრაფიული განლაგების საკითხისათვის, გვ. 499—504. მისივე, ქართული მონათმფლობელური ქალაქის წარმოქმნა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების სინათლეზე, გვ. 183—196. შ. მესხია, შენიშვნები მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის შესახებ, გვ. 255—276. დ. ხახუტაშვილი, მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის საკითხისათვის, გვ. 306—333.

⁵³ ს. ჭანაშია, საქართველოს ძველი დედაქალაქი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1945 წ. № 19. მისივე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოში, გაზ. „კომუნისტი“, 1945 წ. 18 იანვარი.

⁵⁴ Г. А. Мелкишвили, К истории древней Грузии. გვ. 446.

ბა⁵⁶. ამაზე უწინარეს მკვლევარს მითითებული ჰქონდა, რომ „IX—XIII სს. საქართველოს ქალაქები თავისი გარეგნული სახითა და მნიშვნელობითაც განსხვავდებოდნენ მონათმფლობელური ხანის ქალაქებისაგან, რომლებიც ციხეების დამატებას წარმოადგენდნენ და ქართულ წყაროებში VI საუკუნემდე უბრალოდ ქალაქებად კი არ იწოდებოდნენ, არამედ „ციხე-ქალაქებად“. ასეთი ციხე-ქალაქები იყვნენ: არმაზი, კასპი, სარკინე, ხუნანი, უფლისციხე, სამშვილდე, რუხთავი, უჯარმა და სხვ.“⁵⁶. „V—VI საუკუნიდან საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის დამყარებამ, დიდი ცვლილება გამოიწვია საქალაქო ცხოვრებაში. ამ ცვლილებების წყალობით ბევრმა, ძველი მონათმფლობელობის დროინდელმა ციხე-ქალაქმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა (კასპი, ურბნისი, სარკინე, მცხეთაც კი)... ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების შემდეგ, განვითარებული საქალაქო ცხოვრება ძველი ციხე-ქალაქის ფარგლებში ვეღარ ეტევა და ქალაქის მოსახლეობაც საქმიანობას ციხის კედლებს გარეთ იწყებს. ამიერიდან ციხე გადაიქცევა ქალაქის დამატებად, მას უკვე ქალაქის მოსახლეობისა და აქ გამავალი გზის დაცვა ევალება“⁵⁷.

ანტიკური ხანის ქართულ ქალაქს ციხე-ქალაქად მიიჩნევს ა. აფაქიძეც, მაგრამ მისი საბუთიანობა სულ სხვა მონაცემებს ემყარება. მკვლევარი ფიქრობს, რომ „ციხე-ქალაქი“ ადგილობრივ შექმნილი ტერმინია, როგორც ჩანს, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში. ციხე-ქალაქი, მისი აზრით, მონათმფლობელური ხანის ქართლის ქალაქების თავისებურების დამახასიათებელი ნიშანი ჩანს. ასეთივე ვითარება მკვლევარს ნაგულისხმევი აქვს მეზობელ სომხეთშიც, სადაც, მისი სიტყვით, თავდაპირველი ქალაქი წარმოადგენდა „ბერდს“, ე. ი. გალავნით შემოზღუდულ ციტადელს, რომელიც თავისი დანიშნულებით და წარმოშობითაც შეესაბამება ქართულ „ციხეს“⁵⁸.

⁵⁶ შ. მესხია. შენიშვნები მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის შესახებ, გვ. 269.

⁵⁷ Ш. А. Месхиа, Из истории грузинского феодального города IX—XIII вв., ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, II, 1956, გვ. 136.

⁵⁸ შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, სურბულაძე, თბილისის ისტორია, თბილისი, 1958, გვ. 28.

⁵⁹ უნდა შევნიშნოთ, რომ სომხური ქალაქი არქეოლოგიურად ძლიერ სუსტად არის შესწავლილი. კერძოდ, არაფერია ცნობილი წინაეღონისტური ხანის

„ასეთ ვითარებაში, ტერმინ „ქალაქის“ უცხოურ წარმომავლობას თუ ვივარაუდებთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ის შედარებით გვიანდელია. ქალაქზე უწინარესი ადგილობრივი ტერმინი გალავნით შემოზღუდული უძველესი დასახლების აღსანიშნავად ქართული „ციხე“, „ქართი“—„ქართლი“ უნდა ყოფილიყო. „ციხე“, „ქართი“—„ქართლი“ ადრევე უნდა ქცეულიყო მის გარშემო თავმოყრილი მოსახლეობის ციტადელად—შიდა ციხედ, დედაციხედ. ტერმინი დედა-ციხე გვიჩვენებს, რომ ის განსაზღვრული ტიპის დასახლების საფუძველია, დედაა. მოსახლეობის შემდგომი ზრდა დედაციხის გარშემო ამ უკანასკნელს აქცევს შიდაციხედ. ხოლო როდესაც დედაციხის (შემდეგ საფენურზე შიდაციხის) გარშემო წარმოქმნილი ქალაქის შემოზღუდვაც საჭირო ხდება და უკვე დიდ მოსახლობას გალავანს შემოავლებენ, ამ ახალი ციხისაგან განსასხვავებლად შიდაციხეს ციხისციხესაც უწოდებენ. ციხე-ქალაქს ციხეცა (მთელი ქალაქის სიმაგრე) აქვს და შიდაციხეც (ციხისციხე). ამ გზით იქმნებოდა უძველესი ქალაქური ტიპის დასახლებანი საქართველოში. ძვ. წ. I ათასწლეულს შუა ხანებისათვის კი, ქართლის სამეფოს ახლო ურთიერთობას მახლობელი აღმოსავლეთისა და მცირე აზიის ქვეყნებთან, შესაძლოა უკავშირდებოდეს ქალაქური ტიპის მოსახლეობის აღმნიშვნელი ტერმინის — „ქალაქი“—შემოსვლა. ტერმინ „ქალაქის“ შემოსვლამ, როგორც ჩანს, ვერ განდევნა ადგილობრივი ტერმინი „ციხე“. ალბათ იმიტომაც, რომ „ციხე“ და „ქალაქი“ არსებითად ერთგვარი დასახლების აღმნიშვნელი ტერმინები იყო იმ ხანებში. შესაძლოა სწორედ აქემენიდურ. ან ადრეელისიტურ ხანაში ხდება ამ ტერმინების ერთგვარი შერწყმა და ვრცელდება ჩვენში ტერმინი „ციხე-ქალაქი“, რომელიც მონათმფლობელური ხანის შემდეგშიაც, ფართოდ გავრცელებული ჩანს. რა თქმა უნდა, იმ ხანშია როდესაც ტერმინი „ციხე-ქალაქი“ იქმნებოდა, ძველი ქართული „ციხის“ შინაარსიცა და გარეგნული სახე უკვე ძლიერ

სომხური ქალაქის შესახებ, ხოლო ელინისტური ხანის ქალაქთა ისტორიის შესწავლაც, უპირატესად, წერილობითი წყაროების ცნობების საფუძველზე სწარმოებდა. უკანასკნელ წლებში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები თითქოსდა იძლევა საფუძველს გადასიჭულ იქნას სომხური ქალაქების შესახებ არსებული მოსაზრებები, რომლის მიხედვით აქემენიდური ხანა სომხეთის ისტორიაში საქალაქო ცხოვრების დაქვეითება-დაცემის პერიოდი იყო, რის შემდეგ დგება ე. წ. ქალაქმშენებლობის ხანა, რომელიც ძვ. წ. III-II სს-დან იწყება (დაწერ. იხ. Г. Х. Саркисян, Тигранокерт, Москва, 1960. გვ. 17, 25, 128 და შმდ. გ. სარკისიანი, ძველი სომხეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარების თავისებურებათა შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, XXIII, №2, 1963, გვ. 498—499).

შეცვლილ-გაფართოებული უნდა ყოფილიყო. სხვაგვარად მისი ასე შეთვისება სავსებით განსაზღვრული ტიპის მოსახლობის აღმნიშვნელ ტერმინთან—„ქალაქთან“ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო. ასევე უნდა აიხსნას სომხური ტერმინის „ბერდა-ქალაქის“ წარმოშობაც⁵⁹.

ჩვენ იმიტომ მოვიტანეთ ეს ვრცელი ამონაწერი მკვლევარის მონოგრაფიიდან, რომ მასში შეჯამებულია ავტორის ხანგრძლივი მუშაობის შედეგი ანტიკური ქალაქების ისტორიული ტოპოგრაფიის შესწავლაზე. თუ გვერდს ავუვლით ზოგიერთ დეტალს [წერილობითი წყაროების დამოწმება, რომ ქართლის ქალაქები ადრე-ელისისტური ხანიდან „ციხე-ქალაქებად“ იხსენიებოდეს, აგრეთვე, მითითებას თითქოს სომხური „ბერი“ იგივე იყოს, რაც ქართული „ციხე“ (წინასახელმწიფოებრიობის ხანის გალავნით შემოვლებული დასახლება, მათ შორის ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების ქალაქური ტიპის დასახლება), ტერმინ „ციხისა“ და „ქართ“-„ქართლის“ იგივეობის საკითხი, სომხური „ბერდა-ქალაქის“ სიძველის საკითხი], ა. აფაქიძემ, ჩვენი აზრით, მარჯვედ და საკმაოდ დასაბუთებულად მიუთითა, რომ ქართული ტერმინი „ციხე“ გალავნით გამაგრებული უძველესი დასახლებების ზოგადი სახელი შეიძლებოდა ყოფილიყო. მის მიერ საილუსტრაციოდ მოტანილი ტოპონიმიკური რიგის მასალა (უფლისციხე, ქუჩის ციხე) და, აგრეთვე, ტერმინი „ციხისციხე“, მართლაც, ამისი მოწმობა ჩანს⁶⁰. „ციხისციხე“ იმის მოწმობაა, რომ ის, რასაც იგი ეკუთვნოდა, „ციხედ“ იყო წარმოდგენილი. თუ კი „ციხისციხეს“ ასეთი შინაარსი ჰქონდა, მაშინ იგი იმ დროს უნდა იყოს შემუშავებული, როცა ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი ქალაქური ტიპის დასახლებების აღმნიშვნელი ასურული სახელი — „ქალაქი“. ა. აფაქიძე ფიქრობს, რომ აქემენიდურ თუ ადრეელისისტურ ხანაში ხდება ადგილობრივი „ციხისა“ და შემოხიზნული „ქალაქის“ შერწყმა. ამასთან, ამ დროისათვის ციხის გარეგნული სახეცა და შინაარსიც შეცვლილ-გაფართოებული უნდა ყოფილიყო⁶¹. უნდა აღინიშნოს, რომ თუ ადრეულ ხანაში ქართული „ციხე“ ზღუდით გამაგრებულ დასახლებას აღნიშნავდა, ხოლო ანტიკურ ხანაში

⁵⁹ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 160—161. შტრ. ნ. ბერძენიშვილი, ბორჯომის ხეობა (დღიური, 1947 წ.) შრომები, I, გვ. 251—258.

⁶⁰ თუ, რა თქმა უნდა, აქ ისეთივე შინაარსის გამოთქმასთან არა გვაქვს საქმე, როგორც შუა საუკუნეების „ახნაურის ახნაური“, „გლეხის გლეხი“ ან „ყმის ყმა“.

⁶¹ ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 160.

ამ სამოსახლოსგან განვითარებული „ქალაქის“ ერთ შემადგენელ ნაწილს, მაშინ საკმაოდ ძნელად ხდება მისი შინაარსის გაფართოებაზე საუბარი. პირიქით, უფრო ისე ჩანს, რომ „ციხის“ შინაარსს გამოუჩენია შევიწროების ტენდენცია „ქალაქის“ სასარგებლოდ, რომელიც კი არ შერწყმია მას, არამედ შენაცვლებია. „უფლისციხე“ ნამდვილად, ხოლო „ციხისციხე“ სავარაუდოდ იმისი მოწმობაა, რომ ქართლის უძველესი დასახლების აღმნიშვნელი სახელი წინასახელმწიფოებრიობის ხანაში „ციხე“ იყო. ამავე დროს ტერმინის „ქალაქი“ შინაარსი იმაზე მიგვითითებს, რომ კლასობრივ ხანაში „ციხის“ შინაარსი შემცირებულა და ტერმინ „ქალაქით“ გამოხატული დასახლების ერთი ნაწილის აღმნიშვნელი გამხდარა.

სწორი ჩანს ა. აფაქიძე, როცა უშვებს, რომ ასურული „ქალაქი“ და ადგილობრივი „ციხე“ თავდაპირველად ერთნაირი ტიპის დასახლების აღმნიშვნელი ტერმინები იყო, მაგრამ არააიდან ჩანს, რომ ისინი აქემენიდურ, ელინისტურ თუ საერთოდ ანტიკურ ხანაში შერწყმოდნენ ერთმანეთს და მოეცათ ტერმინი „ციხე-ქალაქი“. ამ მოსაზრების ამოსავალ არგუმენტს წარმოადგენს ლეონტი შროველთან მოხსენებული ტერმინი „ციხე-ქალაქი“. როგორც აღვნიშნეთ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, თუ წმ. ნინოს ცხოვრების უძველესი ვარიანტი, რომელიც იმავე კრებულშია წარმოდგენილი, ჯერ კიდევ არ იცნობს ტერმინ „ციხე-ქალაქს“. დღემდე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში დაცული მითითება „ტფილისად ქალაქად, ციხედ“ გაგებულ იყო, მათ შორის ჩვენ მიერაც, თითქოს, ეს არის პირველი მოხსენება „ციხე-ქალაქისა“, მაგრამ აქ, ვფიქრობთ, საჭიროა დაზუსტება: მემატიაანემ იცის, რომ თბილისს აქვს თავისებურება. მაგრამ ტერმინი, რომელიც ასეთი თავისებურების მქონე დასახლებას აღნიშნავდა, ჯერ კიდევ არ ჩანს შემუშავებული. გამოთქმა „ქალაქად, ციხედ“ იმის მოწმობად კი გამოდგება, რომ ლაპარაკია ციხე-ქალაქის ტიპის დასახლებაზე, მაგრამ იმის მოწმობად არა, რომ ტერმინი შემუშავებულია. დასმული საკითხის გადაწყვეტად ქართული წყაროები, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მტკიცესა და საიმედო დასაყრდენს არ იძლევა. პირიქით, მათი ჩვენების ანალიზს იმ აზრისაკენ მივყავართ, რომ ტერმინი „ციხე-ქალაქი“ ადრეფეოდალური ხანის მიწურულში უნდა იყოს შემუშავებული.

ანტიკურსა თუ შუა საუკუნეების ქალაქებს გააჩნდათ წარმოქმნა-განვითარების საკუთარი სოციალური გარემო და ეკონომიური პირობები. ამ პროცესებზე უნდა ვიმსჯელოთ იმ კონკრეტული სოციალურ-ეკონომიური გარემოს მიხედვით, რომელშიც ამა თუ იმ ტიპის ქალაქები წამოიქმნებოდნენ და რომელსაც ისინი ემსახურე-

ბოდნენ. მართალია, ძვ. წ. VI—V საუკუნეების ქალაქური ტიპის იბერული სამოსახლოები, ძვ. წ. IV—ახ. წ. III საუკუნეების იბერული ქალაქი და იგივე ქალაქები ახ. წ. IV—V საუკუნეებში ერთ საზოგადოებრივ გარემოში თავსდებიან, მაგრამ ასახავენ მოცემული საზოგადოების განვითარების სამ ძირითად საფეხურს: ჩასახვა-წარმოქმნას, მომწიფება-გაძლიერებას და დაქვეითება-დაცემას. ეს გარემოება ასახული ჩანს მოცემული უჩრდების როგორც გარეგნულ სახესა და მასშტაბებში, ისე სოციალურ აღნაგობასა და ეკონომიურ ცხოვრებაში: ძვ. წ. VI—V საუკუნეების მცხეთა და უფლისციხე ქალაქური ტიპის სამოსახლოებია, ძვ. წ. IV—ახ. წ. III საუკუნეების მცხეთა და უფლისციხე უკვე გაფორმებული, ჩამოყალიბებული ადრეკლასობრივი ქალაქებია თავისი გარეგნული სახით, მეურნეობით, სოციალური აღნაგობითა და კულტურული სახით; ახ. წ. IV საუკუნის მცხეთა და უფლისციხე დაქვეითება-დაცემის გზაზე მდგარი საქალაქო ცენტრებია.

იგივე შეიძლება ითქვას შუა საუკუნეების ქალაქზე. მარქსსა და ენგელსს „გერმანულ იდეოლოგიაში“ მითითებული აქვთ, რომ ქალაქები მზა სახით კი არ გადმოვიდნენ ანტიკურობიდან, არამედ ისინი ახლად წარმოიქმნენ შუა საუკუნეებში⁶².

მაშასადამე, როგორც ადრეკლასობრივ, ისე ფეოდალური ხანის ქალაქებს წარმოქმნა-განვითარების საკუთარი გზები გააჩნიათ და ფეოდალური ქალაქი არ წარმოადგენს ანტიკური ქალაქის პირდაპირ გაგრძელებას.

მაშინ, როცა ადრეკლასობრივი მცხეთა და უფლისციხე, როგორც ქალაქური ცხოვრების ცენტრები, დაქვეითება-დაცემის გზას დაადგნენ. მათი შემცველები (თბილისი, უჯარმა, რუსთავი და ა. შ.) უკვე წარმოქმნილი იყვნენ, თუმცა განვითარების პროცესი ჯერაც არ დაემთავრებინათ. „მაშინ მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდებოდა“, მოგვითხრობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ამ პროცესზე⁶³.

ძველი ქართლისა და ეგრისის ტერიტორიზე ვიცობთ რამდენიმე ქალაქურ დასახლებას, რომლებიც უდავოდ შეიძლება ციხე-ქალაქის კატეგორიას მიეკუთვნოთ არა მარტო წერილობითი წყაროების, არამედ, უპირატესად, ნივთიერი კულტურის მონაცემების მიხედვით. მათ რიცხვში შეიძლება მიგვეთითებინა: ადრეული თბილისი, უჯარმა, წოფი, არტანუჯი, არქიოპოლისი, პეტრა (ციხისძირში), ვაშნარი და ზოგიერთი სხვა.

⁶² К. Маркс и Фр. Энгельс, Немецкая идеология, М., 1934, гл. 41.

⁶³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 95.

ციხე-ქალაქის ტიპიურ წარმომადგენლად აღმოსავლეთ საქართველოში შეიძლება ითვალოს უჭარბა მიგვეთითებინა, ხოლო დასავლეთ საქართველოში—პეტრა ან ვაშნარი. ამ ძეგლებმა უკეთ შემოინახეს ადრინდელი სახე და მათი აღნაგობაც, შედარებით, უკეთ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ვიდრე ამავე ტიპის სხვა ძეგლებისა. როგორც უჭარბა, ისე პეტრა და ვაშნარი ერთიანი გეგმითაა ნაგები — ციხესთან ერთად შენდება ქალაქის ზღუდეც. ციხე-ქალაქების ტოპოგრაფიაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აქ ძირითადია ციხეობის, ხოლო დაქვემდებარებულია ქალაქობის მომენტი. ამაზევე მიუთითებს წერილობითი წყაროების ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობა. ანტიკური ხანისაგან განსხვავებით, ახლა ქალაქისათვის კი არ შენდება ციხე (შიდა ციხე), არამედ ციხესთან შენდება ქალაქური ტიპის, შედარებით მცირე მასშტაბის სამოსახლო. ამ მხრივ. მეტად დამახასიათებელი ცნობა შემოუნახავს კონსტანტინე პორფიროგენეტსა და სუმბატ დავითის ძეს. სუმბატ დავითისძის ცნობით, „ამან აშოტ კურაპალატმან პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ ეღეშენა, სახელით არტანუჯი... იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა-კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი“⁶⁴. გიორგი მერჩულეს ცნობით „ქელ მწიფემან აშოტ კურაპალატმან დაიპყრნა მრავალნი ქუეყანანი და აღაშენა ციხე არტანუჯისა“⁶⁵. როგორც გიორგი მერჩულე, ისე „მატიანე ქართლისაჲ“⁶⁶ და ქართული წყაროების უმრავლესობა ხაზს უსვამს არტანუჯის სამხედრო-სტრატეგიულ და ადმინისტრაციულ მნიშვნელობას (ძლიერი ციხე). მათგან ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს სუმბატ დავითის ძე, რომელიც არტანუჯის ქალაქობაზეც მიუთითებს. კონსტანტინე პორფიროგენეტთან დაცული ცნობა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, თუ რა სახის ქალაქი იყო აშოტ დიდის მიერ აღდგენილ-აშენებული არტანუჯი. როგორც იგი გადმოგვცემს, „ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი რაბატიცა და დაბა-ქალაქიცა“⁶⁷. ამ ცნობაში საყურადღებოა არა იმდენად ის, რომ ხაზგასმულია ამ პუნქტის სამხედრო-სტრატეგიული როლის წამყვანობა, არამედ განსაკუთრებით ის მომენტი, რომ ამ პუნქტის ქალაქური ნაწილის აღსანიშნავად ნახმარია გამოთქმა „დაბა-ქალაქი“ (χαραπιλις) და არა „ქალაქი“ (πιλις). რითაც

⁶⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 377.

⁶⁵ გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბილისი, 1949, გვ. 103—104.

⁶⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 293, 305.

⁶⁷ De administrando imperio, 46, გეორგიკა, IV, 2, თბილისი, 1952, გვ. 278—279.

ხაზი აქვს გასმული დასახლების ამ ნაწილის დაქვემდებარებულ ხასიალს. ამ მონაცემების საფუძველზე, ვფიქრობთ, უფლება გვაქვს აღვნიშნოთ, რომ ადრეფეოდალური ხანის ტაო-კლარჯეთის საკურა-პალატოს დედაქალაქი ტიპიური ციხე-ქალაქი იყო, რომლის ყოფაში ძირითადი როლი ციხეს (სამხედრო-სტრატეგიულ და აღმინისტრაციულ პუნქტს) მიეკუთვნებოდა, ხოლო ქალაქურ უბანს (ხელოსნობა, ვაჭრობა) დაქვემდებარებული ადგილი ეკავა.

როგორც უჩარმის მასალების საფუძველზე შეიძლება მსჯელობა⁶⁸, ამა თუ იმ ხელისუფლის მიერ აშენებული ციხე-ქალაქის კედლებთან თანდათანობით ჯდებოდა ციხე-ქალაქის ცხოვრებასთან დაკავშირებული მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც, როგორც ჩანს, ზღუდის შიგნით დასახლების უფლება არა ჰქონდა. ესენი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ყმა-გლეხები ან წვრილი ხელოსნები და ვაჭრები. ასეთივე სურათი შეინიშნებოდა ლაზიკა-გვრისის ყოფაშიც. საილუსტრაციოდ პეტრა-ციხისძირზე შეიძლება მითითება, რომელიც, ასევე, ტიპურ ციხე-ქალაქს წარმოადგენდა. აქაც პეტრას ზღუდის გარეთ, ისევე როგორც უჩარმაში. საზოგადოების დაბალი ფენების ნასახლარებია დადასტურებული.

შუა საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების საში ძირითადი საფეხური (ადრე, განვითარებული და გვიანი ფეოდალური საზოგადოება) კარგად ჩანს ასახული ქართული ფეოდალური ქალაქის განვითარების სურათში.

ციხე-ქალაქი, როგორც ქალაქური ტიპის სამოსახლო, დამახასიათებელი ჩანს სწორედ ადრეული შუა საუკუნეებისათვის; თუ მივიღებთ განსაზღვრას, რომ ციხე-ქალაქი, როგორც ასეთი, ციხესთან წარმოქმნილი ან ციხესთან ერთად, ერთიანი გეგმით აშენებული, შედარებით მცირე მასშტაბის ქალაქური დასახლებაა, მაშინ ზემოთ მითითებული მოსაზრების დასაბუთება გადაუღახავი სიძნელე აღარ იქნება. წერილობითი წყაროების ურთიერთშეჭერება („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ადრე შუა საუკუნეების ქართული, სომხური და ბიზანტიური ლიტერატურა, ლეონტი მროველი, ჟღანშერი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ისტორიანი და აზმანი შარავანდეთთან, სუნბატ დავითის ძე, „მატიანე ქართლისაჲ“ და აქ ში) და ნივთიერი კულტურის ძეგლების მონაცემები (ადრეული თბილისი, უჩარმა, წოფი, ვაშნარი, პეტრა-ციხისძირი და ა. შ.) საშუალებას გვაძლევენ წარმოვიდგინოთ, თუ რა ხანაში წარმოიქმნა ციხე-ქალაქის ტიპის

⁶⁸ ზოგიერთი შეკვლევარის ნაშრომში ხშირად ანტიკური ხანის იბერიის ქალაქების რიცხვში ჩათვლილია ისეთი პუნქტები, როგორც იყო უჩარმა, სამშვილდე, რუსთავი და ზოგიერთი სხვა, თუმცა არაფრით მტკიცდება, რომ ისინი ანტიკური ხანის ძეგლები იყოს.

ქალაქური სამოსახლოები და როდის შემუშავდა მათი აღმნიშვნელი ტერმინი (იხ. ზემოთ). მართლაც, ჯერ კიდევ ახალ, მზარდ, მომწიფე-ბის პროცესში მყოფ ფეოდალურ საზოგადოებას ძველი საზოგადო-ების ნანგრევებზე მისთვის შესაფერი ქალაქებიც უნდა შეექმნა. მართლაც, ადრე შუა საუკუნეების ქართლსა და ეგრისში ადრეკლასობრივი ქალაქების დაცემა-დაქვეითების პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა ახალი, ფეოდალური ქალაქების წარმოქმნის პროცესი. ეს ქალაქები თავისი აღნაგობით ციხე-ქალაქები იყო, მაგრამ მათ გვერდით განაგრძობდა არსებობას ციხე-ქალაქის მდგომარეობამდე ჩამოქვეითებული ძველი საქალაქო ცენტრებიც (მცხეთა, უფლისციხე, ურბნისი, ფასიდი, სებასტოპოლისი და ა. შ.), რომლებიც მეტ-ნაკლები სიჩქარით თმობდნენ თავიანთ პოზიციებს.

მოსაზრება იმაზე, თითქოს ანტიკური ხანის ქართული ქალაქი ციხე-ქალაქის ტიპის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი ყოფილიყო, როგორც აღვნიშნეთ, არც წერილობით წყაროებში პოულობს მხარდაჭერას და არც ნივთიერი კულტურის ძეგლების მონაცემებით საბუთდება. პირიქით, წყაროების ორივე ჯგუფი ერთხმად მიუთითებს, რომ ციხე-ქალაქის ტიპის ქალაქი ადრე შუა საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი და შესაბამისი ტერმინიც ამ ხანის მიწურულს არის შემუშავებული⁶⁹.

უნდა ვიფიქროთ, რომ V—IX სს-ში, როცა ციხე-ქალაქების გვერდით ჯერ კიდევ არ იყო გაფორმებული ნამდვილი, მსხვილი ფეოდალური ქალაქი და ქალაქურ დასახლებათა ერთი ტიპი (ციხე-ქალაქი) იყო გავრცელებული, მათ აღსანიშნავად იხმარებოდა ტრადიციული, როგორც ჩანს ანტიკური ხანიდანვე ნამემკვიდრევი ტერმინი „ქალაქი“. IX—X საუკუნეებში ციხე-ქალაქების გვერდით, უორმდება ქალაქური დასახლების ტიპი, რომლის ტოპოგრაფიასა და ხასიათში ძირითადია არა სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური მხარე (ციხე), არამედ მეურნეობა, უმთავრესად კი ვაჭრობა და ხელოსნობა. განსხვავებული ტიპისა და ხასიათის დასახლებათა წარმოქმნა ყოველთვის გამოიწვევდა შესაბამისი ტერმინების შემუშავებლს აუცილებლობას. იმ ქალაქურ დასახლებათა აღმნიშვნელ ტერმინად, რომელთა ბუნება სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური ჰომენტით იყო განსაზღვრული, X საუკუნის შემდეგ „ციხე-ქალაქი“ დამკვიდრდა, თუმცა სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ისინი წყაროში ხან „ციხედ“ იქნებიან ნახსენები, ხან კი „ქალაქად“.

⁶⁹ დ. ხახუტაიშვილი, მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის საკითხისათვის, გვ. 307 და შშდ.

ადრეფეოდალური ხანის შემდეგ, როგორც ირკვევა, გრძელდებოდა როგორც ციხე-ქალაქების მშენებლობა, ისე ქალაქების აღმოცენება-მშენებლობა. ამისი მოწმობა უნდა იყოს შუაფეოდალური ხანისა და მომდევნო პერიოდში დადასტურებული ეს „ახალქალაქები“ და „ახალციხეები“. უჩარმის მიხედვით კარგად ვიცით, თუ რას წარმოადგენდა ადრეფეოდალური ხანის ციხე-ქალაქი, ხოლო ატენის (ნაწილობრივ ახალქალაქის) მიხედვით იმისი მიახლოებითი სურათი მაინც მოიხაზება, თუ როგორი გამიზნულობა ჰქონდა „ქალაქის“ მშენებლობას და რა მომენტს ეძლეოდა უპირატესობა.

რაც შეეხება ანტიკურ ხანას, ბუნებრივია, იგი იცნობს როგორც დიდ, ისე მცირე ქალაქებს, მაგრამ ესაა მონებისა და ნახევრად თავისუფალი თემების შრომის ექსპლუატაციაზე დაყრდნობილი უჯრედები, სადაც მოცემული საზოგადოების ძირითად სოციალურ წინააღმდეგობათა კვანძია წარმოდგენილი. ანტიკური ქალაქი ექსპლუატაციას უწევს სოფელს, ზემოქმედებს მასზე, არღვევს თემს, აჩქარებს მის დიფერენციაციას... შუა საუკუნეებში ვითარება იცვლება. ახლა უკვე სოფელი უწევს ექსპლუატაციას ქალაქს, ბორკავს ხელოსნობის განვითარებას და კარჩაკეტილ-ნატურალური მეურნეობით, იდეოლოგიით, შრომის ხასიათით გარკვეულ ჩარჩოებში ზღუდავს მას. თუ გადავხედავთ ადრე შუა საუკუნეების ხელოსნურ ნაწარმს, აშკარად დავინახავთ დაქვეითების ნიშნებს. იგივე შეიძლება მივუთითოთ საერო მშენებლობის ხელოვნებაზე და ხელოსნობის მთელ რიგ დარგებზე. მაგრამ ეს არ არის დეგრადაციასთან და, საერთოდ, სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა კრიზისთან დაკავშირებული მოვლენა. პირიქით, იგი ახლის ძიების, ახალი, მზარდი, პროგრესული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის მისაღები ფორმებისა და სახეების, ახალ იდეოლოგიასა და ყოფასთან შეგუების, ახალი მიმართულებების ძიების პროცესია.

VIII—X სს-ში ქართული ფეოდალური საზოგადოება უკვე ასრულებს განვითარების ადრეულ ეტაპს — ფეოდალური წარმოების წესი ყოვლის მომცველი ხდება. წვრილი თავისუფალი ერის შემემა პატრონყმობის უღელში მთავრდება, რასაც თანაემთხვევა ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნა — მრავალი ქართლი საქართველოდ ერთიანდება. როგორც ჩანს, ამ პერიოდში მიმდინარეობდა ციხე-ქალაქის ტიპის ქალაქურ დასახლებათა ერთი ჯგუფის ნამდვილ ფეოდალურ ქალაქებად გაფორმებისა და ახალი ტიპის „ახალქალაქების“ წარმოქმნა-მშენებლობის პროცესიც. მართალია, ციხე-ქალაქი, როგორც ქალაქური დასახლების ტიპი, ამის შემდეგაც განაგრძობს არსებობას, მაგრამ იგი აღარ წარმოადგენს ქალაქური ტი-

პის დასახლების ერთადერთ სახეობას. სწორედ ამ ცვლილებებს, საზოგადოებრივი განვითარების ამ მომენტებს უკავშირდება, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ტერმინ „ციხე-ქალაქის“ გაჩენა.

§ 2. იბერიისა და კოლხეთის წინანათიარ სამოსახლოთა განვითარების ზოგიერთი საკითხი უახლესი არქეოლოგიური მასალების შუამჯ

წინაკლასობრივი ხანის იბერია-კოლხეთის დასახლებათა შესწავლისათვის, უკანასკნელ წლებში ჩატარებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა შედეგად, საყურადღებო მასალები დაგროვდა. ურბნისის ქეაცხელების, გუდაბერტიყას (ციხის გორას), ცხინვალის ნაცარგორას, ყათნალიხევის, ქვემო ბოლნისის, მცხეთის და რიგ სხვა გორასაცხოვრისთა მონაცემების მიხედვით გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურისა თუ წინარე ხანის დასახლებები თხრილითა და ქვის ან ხის მესერით (ზღუდით) უნდა ყოფილიყო გამაგრებული⁷⁰. როგორც ჩანს, ამავე ჯგუფში გაერთიანდება ციკლოპურ დასახლებათა ერთი ნაწილი.

ხოვლეგორას, უფლისციხის, კენჭყარას, მცხეთის, ნაცარგორას, ქვემო ბოლნისის, ყათნალიხევის და რიგ სხვა გორასაცხოვრისთა ტოპოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულს ჯერ კიდევ იშვიათია თემები, რომელთაც გამაგრებული სამოსახლოების გვერდით გაუმაგრებელი დასახლებები ექნებოდათ. კოლხეთისათვის მსგავსივე ვითარების არსებობაზე მიუთითებს დინხა-გუძუბას, ნაოხვამუს, ოჩამჩირის⁷¹, ბათუმის ციხე, ოჩხამურ-ჩოლოქის წყალსაყარის რაიონის, მახვილაურის, ჯოჭოს, კოხის „ნაჩინურალის“ დასახლებათა ტოპოგრაფია და მასალები.

ქსენოფონტეს „ანაბაზისის“ სათანადო აღგილების გაცნობა ცხადყოფს, რომ ასეოივე ვითარება, განვითარების შედარებით და-

⁷⁰ ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ლ. ლ. ო. ტ. ო, ურბნისი I, ქეაცხელების (ტელეპია-ქოხის) ნამოსახლარზე 1954—1961 წწ. ჩატარებული გათხრები, თბილისი, 1962, გვ. 44. ს. ნ ა დ ი მ ა შ ვ ი ლ ი, გუდაბერტიყა—ციხის გორა, ეურნ. „ლიახვი“, 1963, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, გვ. 384—385. ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში. „საქართველოს არქეოლოგია“, თბილისი, 1959, გვ. 157—159. დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, უფლისციხე, I, გვ. 49—50.

⁷¹ А. А. Иессен, Сухумская экспедиция ГАИМК, СА, 1937, № 3, გვ. 252. გ. ნ ი ო რ ა ძ ე, არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, ენიშკის „მოამბე“, X, 1941, გვ. 334, ? აწეწა I. Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии, II, МЛСИ, 1950, გვ. 167.

ბალ საფეხურზე მყოფ რაიონებში, ანტიკურ ხანაშიც, კერძოდ, ძვ. წ. V საუკუნის მიწურულამდე შემოინახა (ტაოხები, მოსინიკები, ხალიბები — „ანაბაზისი“, V, 5, 30—31 და ა. შ.).

ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგამდე ქართველ ტომთა განვითარებაში. როგორც ჩანს, ის პერიოდი გრძელდება, როცა მეზობელი თემები, თუნდაც თავისივე მოდგმისა, განიხილებოდა როგორც პოტენციური მტერი, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა რაიმე საზოგადოებრივი ძალა ან ინსტიტუტი, რომელიც თემთა უშიშროებას უზრუნველყოფდა და სუსტ, მაგრამ თემისათვის საკმაოდ ძვირადღირებულ გამაგრების სისტემას უსაგნოს გახდიდა, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა სოციალური უთანასწორობის რამდენადმე მნიშვნელოვანი ჩანასახი, ხოლო მეზობელთა კოლექტიური ძარცვა „კანონიერ“ საქმიანობად იყო მიჩნეული.

ხოვლეს გორასაცხოვრისის უძველეს ფენებში, რომელიც ქრონოლოგიურად ძვ. წ. XV—X სს-ში თავსდება (დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი), ნათლად ჩანს, რომ თემი დასახლებულია ხელოვნური თხრილით გამაგრებულ ბორცვზე, ხოლო მიმდებარე რაიონი აუთვისებელია (დაუსახლებელია). მეზობლად, მეტეხსა. აკეთსა და კენჭყარაში, თხრილებით გამაგრებულ ბორცვებზევე, სხვა, ასეთივე თემები სხედან. იგივე სურათი ჩანს ყათნალიხევი I-ისა და უფლისციხის კლდეში ნაკვეთი სამოსახლოს სინამდვილეში⁷². მცხეთაში შუა ბრინჯაოს ხანის სამაროვანს ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ნამოსახლარი გააჩნია, რომლის კვალი 1961 წ. დადგინდა⁷³.

შესაძლებელია ჩვენი ქრონოლოგიური ჩარჩოები და ზოგიერთი დეტალი მომავალში დაზუსტდეს, მაგრამ როგორც არქეოლოგიური მასალები, ისე წერილობითი წყაროების ცნობები, რომლებიც რეტროსპექტიული გზით არქეოლოგიური მონაცემებით მონაზულ ვითარებამდე შეიძლება დავიყვანოთ, მიუთითებს, რომ უძველესი სამოსახლოები, როგორც წესი, გამაგრებული საცხოვრისები იყო და ახასიათებდა როგორც მთის, ისე მთისწინა და ბარის რაიონებს⁷⁴.

რკინის სამეურნეო ათვისების I საფეხურის მიწურულს იბერიისა და კოლხეთის ბარის რაიონებში ჩნდება დასახლებები, რომელ-

⁷² დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 52—55.

⁷³ ალ. ბოხოჩაძე, ალ. კალანდაძე, კ. ფიცხელაური. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1961 წლის მუშაობის შედეგებისათვის. 1961 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბილისი, 1962, გვ. 28—31.

⁷⁴ შდრ. ტ. ჩუბინიშვილი, მტკერისა და არაქსის ორმდინარეთის...

თა გარეგნული სახე პრინციპულად განსხვავდება წინარე ხანის დასახლებათა აღნაგობისაგან. კერძოდ, გამაგრებული დასახლების გარშემო თავს იყრის გაუმაგრებელ უბნებზე მჭდარი თემები, რომლებიც დასახლების გამაგრებულ ნაწილს მხოლოდ საფრთხის შემთხვევაში აფარებდნენ თავს. ამიერკავკასიის სამხრეთ რაიონებში ამ ტიპის სამოსახლოების არსებობა ადრევე შეინიშნა⁷⁵, ხოლო იბერიის ტერიტორიაზე ისინი მრავლად გამოვლინდა ისტორიულ-გეოგრაფიულ კვლევა-ძიებათა პროცესში⁷⁶. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში ასეთ სახეს იღებს ხოვლეს, ყათნალიხევის, უფლისციხის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის, ნაყარგორას, ფიჭვნარას დასახლებები.

რკინის სამეურნეო ათვისების II ეტაპზე (ძვ. წ. IX—VII სს.) იბერია-კოლხეთის ბარსა და მთისწინა ზოლში, სამოსახლოების ამ ტიპის შემდგომი განვითარების შედეგად, თავს იჩენს დასახლებათა კიდევ უფრო რთული სახე, რომელიც, როგორც ჩანს, სოციალურ-ეკონომიური განვითარების ახალი, შედარებით მაღალგანვითარებული საფეხურის მანიშნებელი და მოწმობაა. ახალი ტიპის სამოსახლოები გამოირჩევა მოსახლეობის რიცხვის შემდგომი ზრდით, შესაბამისად დასახლების ტერიტორიის გაფართოებით და ნაგებობათა სიმრავლე-სირთულით. ამავე დროს, ძირეულად იცვლის შინაარსს სამოსახლოს გამაგრებული ნაწილი, რომელიც ახლა მთავარ სათემო ღვთაებათა სადგომად და გაბატონებული თემის დაწინაურებული ნაწილის საცხოვრისად იქცევა. თემის (თუ თემების) დანარჩენი ნაწილი დასახლებული იყო იმ თხრილის გარეთ, რომელიც სასიმაგრო კედელთან ერთად დასახლების ცენტრალურ ნაწილს იცავდა. სამოსახლოს გამაგრებულ უბანს საფრთხის დროს ახლაც თუმცა მთელი თემი აფარებდა თავს, მაგრამ მეთემეთა თხრილს გარეთ მჭდომი ნაწილის ქონება და კარმიდამო, სამხედრო თავდასხმისა და მარცხის შემთხვევაში, დარბევა-განადგურებისაგან დაზღვეული აღარ იყო, რაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სოციალურ სფეროში

⁷⁵ Г. А. Меликшвили, Некоторые вопросы истории Манейского царства, ВДИ, 1949, № 1, გვ. 69—70. მისივე, უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ივ. ჭავჭავაძის შვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „მომომხილველი“, II, 1951, გვ. 227—228, მისივე, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 88—89.

⁷⁶ იხ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბილისი, 1960, II, თბილისი 1964, III, თბილისი, 1966.

მიმდინარე ძვრების მანიშნებელია და არ აიხსნება ცხოვრების მოწესრიგებულობითა და საფრთხის შემცირებით⁷⁷.

ძვ. წ. VIII—VI სს-ში ხოვლეს გორასაცხოვრისი იღებს მსხვილი, დაბური დასახლების სახეს და რამდენიმე საუკუნის მანძილზე განავრდობს არსებობას. სამოსახლოს ცენტრალური, გამაგრებული ნაწილი, რომელიც ბორცვზე მდებარეობდა, გაფართოების ტენდენციებს ამჟღავნებდა და ძველი თხრილით შემოზღუდულ ფართობზე ველარ თავსდებოდა. ამის გამო, ძველ თხრილს სამხრეთის მხრიდან ახალი დაუმატეს, რომელმაც საკმაოდ მოზრდილი ფართობი მოიცვა, სადაც რამდენიმე საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობა, ხატის ბოსელი და სხვა სათავსოები განლაგდა. აქვე ინახებოდა, როგორც ჩანს, ზოგიერთი მნიშვნელოვანი სამეურნეო იარაღი (მაგ., ბოსელში აღმოჩნდა ვ. წ. „ქართული კევრები“). ბორცვის თხემზე გამოვლენილია საკულტო ნაგებობანი და სათემო კულტების ხასიათზე მიმთითებელი ნივთიერი მოწმობანი (საკურთხეველები, სარიტუალო თუ სადღესასწაულო პურის გამოსაცხობი ღუმელები, რომლებიც იმ დროს გავრცელებული ტიპისაა, საბეჭდავები, პურის ხაროები, ცხოველებისა და ადამიანთა მინიატურული ფიგურები, შენაწირავი კევრის კოხები და ნამგლის პირის კაეის ჩასართავეები, ხელსაფქვავეები, სანაყები, სარიტუალო ჭურჭლები და ა. შ.). სამოსახლოს ნაწილს, როგორც აღვნიშნეთ, საფრთხის დროს თემის ის ნაწილიც აფარებდა თავს, რომელიც თხრილს გარეთ, გაუმაგრებელ უბანში ცხოვრობდა. ამისი მოწმობაა შემდეგი ფაქტი, რომელიც არქეოლოგიური გათხრების პროცესში დადგინდა (გ. ცქიტიშვილი, დ. მუსხელიშვილი): სამოსახლო რამდენჯერმე გამხდარა მტრის თავდასხმის მსხვერპლი; აუოხრებიან როგორც გამაგრებული, ისე გაუმაგრებელი უბნები, მაგრამ ბრძოლები მხოლოდ გამაგრებული უბნისათვის უწარმოებიათ. ამისი დასტურია საბრძოლო იარაღის ნაშთების (ისრის წვერები, ლოდსატყორცნთა „ჭურვები“ და ა. შ.) სიმრავლე ნამოსახლარის გამაგრებული ნაწილის ფენებში და მისი უქონლობა ნამოსახლარის გაუმაგრებელ ნაწილზე⁷⁸.

ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან მიწათმოქმედი თემების ძირითად კულტთა სადგომია ყათნალიხევის გორასამოსახლო („ყათ-

⁷⁷ უდრ. დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, შიდა ქართლის დაზვერვითი ექსპედიციის ანგარიში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, 1, გვ. 154.

⁷⁸ დ. ხახუტაიშვილი, ქართული მონათმფლობელური ქალაქის წარმოქმნა..., გვ. 194.

ნალიხევი II“), რომელიც წინარე ხანაში ჩვეულებრივ გამაგრებულ საცხოვრისს წარმოადგენდა („ყათნალიხევი I“). მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მდინარის პირას გაუმაგრებელ სამოსახლოებს ქმნიდა, ხოლო ბორცვზე კულტის მსახურებასა და მსახურებთან დაკავშირებული ნაგებობანი რჩება (ნაყოფიერების ღვთაება დიდი ღედა ნანას დარბაზი, „ხარი-მხენელი“ კულტისა და მევენახეობის ღვთაების (აგუნას) დარბაზი, მეცხოველეობის ღვთაების (ბოსელას) დარბაზი, ხატის ბელელი, ხატის ბოსელი და ა. შ.), თანმხლები, საკმაოდ მდიდრული საკულტო-სარიტუალო ინვენტარით (ხატის ჭურჭელი, თიხის ჰორელიფური გამოსახულება, რომელიც დიდი ღედა ნანას კერპი უნდა იყოს, ხარისა და ბუღას თავის თიხის მოდელებით შემკული საკურთხეველები, თიხის მინიატურული, შავპირილა ჭურჭლები ხორბლით, ვაზის წიპწებითა და ფშატის კურკებით, დისკოს ფორმის თიხის ნივთები, კევრის კონები, ნამგლის პირის კაჟის ჩასართავეები, ქვასანაყები, ხელაფქვავეები, სასრესი ქვები, ფალის მოდელები, ობსიდიანის გროვები, საბეჭდავები, ურმის თვლის თიხის მოდელები, კვირისტავეები, ძვლის მარტივი სალამური და ა. შ.)⁷⁹. ასეთივე ვითარება დასტურდება ცხინვალის ნაცარგორაზე III პერიოდისათვის. კერძოდ, რიგითი გამაგრებული გორასაცხოვრისისა („ნაცარგორა II“) ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგს წარმართულ სამლოცველოდ იქცა („ნაცარგორა III“), რომელიც გაუმაგრებელი დასახლებით იყო გარშემორტყმული⁸⁰.

ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, „ზენა სოფლის“ დაწინაურებულ რაიონებში, ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულისა და I ათასწლეულის დამდეგის მსხვილ დასახლებათა ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ გორასაცხოვრისის გამაგრებული (ცენტრალური) ნაწილი თემის სალოცავად (გორასამლოცველოდ), სათემო კულტების სადგომად ფორმდებოდა, სადაც ამავე დროს, როგორც ჩანს, კულტის მსახურნი (ჭურჭემები) და სათემო არისტოკრატიის რჩეული ნაწილი ცხოვრობდა.

ამ ხანის სამოსახლოთა მითითებული ჯგუფის მეორე ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ უჩნდებათ სრულებიც ახალი ელემენტი — სახელოსნო უბანი ან უბნები, რომ-

⁷⁹ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 14—50, ტაბ. II—XXVII. მისივე, კლდეში ნაკვეთი ქალაქი, გვ. 47—65.

⁸⁰ შდრ. გ. გობეჯიშვილი, ტალინის ნაცარგორა, გვ. 253—270. ა. კალანდაძე, გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 49—50.

ლებიც სამოსახლოების გამაგრებულ ნაწილს, ზოგჯერ კიდევ, თვით სამოსახლოსაც მეტ-ნაკლები მანძილით იყო დაშორებული⁸¹.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად გამოსადეგი საილუსტრაციო მასალების ჩგუფიდან იბერიის ტერიტორიაზე ხოვლეს ძველი სამოსახლო გამოირჩევა, კოლხეთიდან — ჩოლოქ-ოჩხამურის ბასეინის წინაანტიკურ დასახლებათა კომპლექსი.

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ხოვლეს გორასაცხოვრობი ჩვეულებრივი. ბორცვზე განლაგებული გამაგრებული დასახლება იყო, რომლის მეურნეობა თავისი დროისათვის დაწინაურებული მიწათმოქმედებითა და მესაქონლეობით ხასიათდებოდა. შესაძლებელია, მას ამ დროსაც გააჩნდა საკუთარი კერამიკული წარმოება, მაგრამ ხელოსნობის ეს დარგი ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობასთან იყო შერწყმული. ხოლო ხელოსანი არც თემს იყო მოწყვეტილი და არც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ჩამოშორებული.

⁸¹ დ. ხახუთაიშვილი, ქართული მონათმფლობელური ქალაქის წარმოქმნა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების სინათლეზე, გვ. 186—187. მ. ინაძე შენიშნავს: „დ. ხახუთაიშვილი ხოვლესა და ფიქვენარ-ჩოლოქის სამოსახლოთა მიხედვით ასეთი სახელოსნოების წარმოქმნის ძირითად პირობად თვლის მათ ტერიტორიალურ გამოყოფას სამოსახლოსაგან და ცალკე, მისგან მოშორებით არსებობას, მაგრამ როგორც საფიქრებელია, აქ მთავარია არა ტერიტორიალურად გამოყოფა სახელოსნო წარმოებისა სამოსახლოსაგან, არამედ თვით ფაქტი ასეთი სახელოსნოების გაჩენისა. დაშორებული იქნება ეს სახელოსნოები სამოსახლოსაგან, თუ არა, ეს, ჩვენი აზრით, თვით ხელოსნობის დარგსა და ამ სამოსახლოსთან არსებულ პირობებზეა დამოკიდებული“ (მ. ინაძე, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები (დიოსკურია), ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 2, 1962, გვ. 192, შენიშვნა 28).

პატ. მკვლევარი რომ უფრო გულისყურით გაეცნობოდა ჩემს მოსაზრებას. მაშინ იგი, როგორც გვერძია, ამ უცნაურ შეხედულებას, რომლის აზრი (თუ რა თქმა უნდა, იქ რაიმე კორექტურული შეცდომა არ არის) მთლად ნათელი არ არის, მე არ მომაწერდა. მე ვამტკიცებდი და ვამტკიცებ, რომ: 1. მსხვილ სამოსახლოებთან სახელოსნო უბნების გაჩენა შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების განვითარების შედეგია. 2. სახელოსნო უბნები, როგორც წესი, დაშორებული არიან ძირითად სამოსახლოს მეტ-ნაკლები მანძილით. ასეთია ფაქტიური მონაცემები (ხოვლე, ფიქვენარი, ქვემო ბოლნისი), რომელიც დღეისათვის გვაქვს. 3. სახელოსნო უბნის გაჩენა წარმოადგენს ახალ ეტაპს სამოსახლოთა განვითარებაში, რომლის უკან იბერიისა და კოლხეთის ბარის რაიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური განვითარებას ის საფეხური შეინიშნება, რომელიც ჩქარა საქალაქო ცხოვრებისა და კლასობრივი საზოგადოების ადრეული ფორმების წარმოქმნით გვირგვინდება.

გარდა ამისა, მე არ შეიძლება მეთქვა, რომ „სახელოსნოების წარმოქმნის ძირითადი პირობა მათი ტერიტორიალური გამოყოფა იყო სამოსახლოებისაგან“. რადგან იგი ამ მოვლენის განვითარების მხოლოდ შედეგი შეიძლება იყოს და არა ამოსავალი.

რივი მონაცემები, ვფიქრობთ, იმაზე მიუთითებს, რომ პროფესიონალ მეთემე-ხელოსანთა ჯგუფები უკვე ჩამოყალიბების პროცესშია.

ძვ. წ. IX—VIII სს-ში ხოვლეს დასახლებას საკუთარი სახელოსნო უბანი უჩნდება, რომელიც დასახლების მახლობლად 500 მეტრამდე იყო განლაგებული (ადგ. „ღუბე“).

ისევე როგორც ახალი ტიპის გამსხვილებული სამოსახლო გარკვეული ლოკალური რაიონის (ხევი, ხევთა გაერთიანება და ა. შ.) „პოლიტიკური“ ცენტრის როლს იჩემებდა, ამ სამოსახლოს სახელოსნო უბანი (უბნები), ამავე რაიონის სახელოსნო ცენტრად გამოიყურებოდა და ტონის მიმცემად გვევლინებოდა. ანუ, მაგალითად; ტანხევხმელა-თეძმის ხეობათა შორის, ამ პერიოდში, კერამიკული წარმოების ერთი ცენტრი ჩანს წამყვანი, რომლის ადგილსამყოფელად ხოვლე არის საგულეველი. მახლობლად კი, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე რაიონს აშკარად სხვა საწარმოო ცენტრი ემსახურებოდა, რომლის ნაწარმი მეზობელ რაიონებში უმნიშვნელო ოდენობით ხვდებოდა. სამწუხაროდ, ძველი ქართული კერამიკა ამ კუთხით მთლად კარგად ვერ არის შესწავლილი. ამისი მიზეზი, როგორც ჩანს, ისიც უნდა იყოს, რომ ჩვენ, სხვადასხვა ძეგლებზე მოპოვებული კერამიკული ნაწარმის შესწავლისას უფრო იმას ვაქცევდით ყურადღებას, თუ რითი გავდნენ ძეგლები ერთმანეთს და შედარებით უყურადღებოდ ვეკიდებოდით იმ განსხვავებებს, რომელიც მათ ახასიათებდათ.

მსხვილ სამოსახლოებთან დადასტურებულ სახელოსნო უბნების გათხრებისას მოპოვებული მასალები ცხადყოფს, რომ ამ დროის ხელოსანი პროფესიული მწარმოებელია, რომელიც მოწყვეტილია ძირითად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. ხოვლეს სამოსახლოს კერამიკოსთა უბნის არქეოლოგიური შესწავლისას დადასტურდა, რომ მეთუნის სახლს არ ახლავს ამ ხანის მეთემე-მიწათმოქმედის საცხოვრებელი სახლისათვის დამახასიათებელი ისეთი ელემენტი, როგორიც იყო ზღვე (საქონლის სადგომი) და მარცვლის შესანახი ხაროები, აგრეთვე, ხელსაფქვავეები. ეს ფაქტი, როგორც ჩვენ ვგონია, იმისი მოწმობა ჩანს, რომ უკვე გაფორმებული იყო ხელოსნის სამუშაო სახლი, ხოლო მისი ნაწარმის ძირითად ნაწილს მეტ-ნაკლებად სააქონლო ხასიათი ჰქონდა.

ამავე ხანის შიდა ქართლის მსხვილ სამოსახლოებთან სახელოსნო უბნის არსებობის მოწმობავე უნდა იყოს „ნაცარგორა III-ის“ ე. წ. სამლოცველო სენაკებთან აღმოჩენილი ყალიბები და ლითო-

ნის ჩამოსხმასთან დაკავშირებული სხვა საგნები⁸². „ნაცარგორა III“, როგორც აღინიშნა, გორასამოსახლოდან განვითარებული გორასამლოცველოა, როგორც ეს ხოვლეგორაზე და ყათნალიხევის (უფლისციხის) ბინამდვილეშიც გვექონდა დადასტურებული. ნაცარგორაზე დადასტურებული ყალიბები რომ შენაწირავი საგნებია, ვფიქრობთ, ექვს არ უნდა იწვევდეს. თუ ეს ასეა, ყალიბებისა და სხვა ნივთების შემწირავად, ბუნებრივია, იმ თემის წარმომადგენლები ვერგულისხმობთ, რომლის სალოცავსაც „ნაცარგორა III“ წარმოადგენდა. ეს თემი კი, იქვე, გორასამლოცველოს დამცველი თხრილის გარშემო ყოფილა დასახლებული (შეუღარეთ ხოვლე, ყათნალიხევი). ამგვარად, ჩვენ გარკვეული საფუძველი გავაჩინა, რომ ნაცარგორას გორასამლოცველოს გარშემო, გაუმაგრებელი დასახლების გვექრით (ან მახლობლად) ლითონჩამოსხმასთან (და არა მეტალურგიასთან!) დაკავშირებული სახელოსნოების არსებობა დაუშვავთ. ამ მხრივ, როგორც ჩანს, საყურადღებო მასალების მოცემა შეეძლებოდა ნაცარგორა III-ის ბინქრონული ნამოსახლარის გათხრას. რომელსაც თავის დროზე სათანადო ყურადღება ვერ მიექცა.

ქვემო ქართლის ტერიტორიიდან სათანადო საილუსტრაციო მასალას იძლევა ქვემო ბოლნისის ნამოსახლარი, რომლის მახლობლად 1958—1959 წლებში რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოს საყურადღებო ნაშთებია შესწავლილი⁸³.

ბრწყინვალე მასალები მოგვცა ჩოლოქ-ოჩხამურის ბაჟინის არქეოლოგიურ ძეგლთა კომპლექსმა. ბოლო წლებში ამ რაიონში წარმოებულმა კვლევა-ძიებამ (ნ. ხოშტარია, ი. გძელიშვილი, ა. რამიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, ა. კახაძე და სხვ.) გვიჩვენა, რომ ჩოლოქ-ოჩხამურის წყალსაყარის მიდამოების სამოსახლოთა ჯგუფის „გავლენა“ საკმაოდ შორს ვრცელდებოდა მდ. ოჩხამურია და ჩოლოქის დინებათა შუა წელისაკენ, სადაც ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან კოლხური რკინის მეტალურგიის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი მოქმედებდა⁸⁴. რკინის წარმოების ცენტრი ეკონომიურად მკი-

⁸² მდრ. გ. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა, გვ. 255, 269—270, ტაბ. VI, 2, XVI, 2, XVII, 3, 5. მისივე, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის საწყისი საფეხური, „საქართველოს არქეოლოგია“, გვ. 218, ტაბ. XI ა. 2, 5, 8.

⁸³ И. А. Гзелишвили, Железоплавильное дело в древней Грузии, გვ. 31—38, 95—98, სურ. 5, 6, 7, 8, ტაბ. I, 1, 2, V, VI, VII, VIII.

⁸⁴ ი. გძელიშვილი, აპარაში 1960-1961 წწ. აღმოჩენილი რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოების გათხრების ძირითადი შედეგები. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“, I, თბილისი, 1964, გვ. 29-44. დ. ხახუტაიშვილი, კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან, იქვე, გვ. 45—58.

დროდ ყოფილა დაკავშირებული ჩოლოქ-ოჩხამურის წყალსაყარის რაიონში, ზღვისპირას განლაგებულ დასახლებათა ჯგუფთან და ფაქტიურად ამ სამოსახლოთა საწარმოო ცენტრი უნდა ყოფილიყო⁸⁵. ამავე დროს, სამოსახლოთა ჯგუფის ერთ-ერთი გორასაცხოვრისი სახელოსნო უზნად გაფორმებულა, რომელიც, როგორც ირკვევა, კერამიკულ წარმოებაში და ლითონდამუშავებაში ყოფილა დასაქმებული. ამისი მოწმობა ჩანს გორანამოსახლარ „ნამკედურის“ ვაზბრების დროს აღრევე აღმოჩენილი მასალები, რომლებიც კერამიკული წარმოების არსებობაზე მიუთითებს (ნ. ხოშტარია) და 1965 წელს აღმოჩენილი ყალიბი და ბრინჯაოს ზოდები, რომლებიც ლითონჩამოსხმასთან დაკავშირებული სახელოსნოს არსებობის მანიშნებელია⁸⁶.

ჩოლოქ-ოჩხამურის წყალსაყარის რაიონის სამოსახლოთა კომპლექსის („ნამკედური“, „ნაპურვალი“, დიუნური დასახლებები და არაერთი უსახელო გორასამოსახლო) შესწავლა გვიჩვენებს, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში ხდება ამ სამოსახლოთა „გაერთიანება“ ერთ-ერთი დაწინაურებული თემის (საცხოვრისის) გარშემო. კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი პირობების თავისებურებათა გამო, ამ თავმოყრა-„გაერთიანებას“ გარეგნულად არ მიუღია ე. წ. ხოვლური სახე, რადგან გაძლიერებული (ჰეგემონი) თემის საცხოვრისის გარშემო მოსახლეობის კომპაქტურად დასხმა აქ შეუძლებელი იყო (დაჭაობების პროცესის ინტენსიურობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი ნამოსახლარი ადგილ „ისპანში“, როგორც 1963 წ. შეინიშნა, ტორფის ორმეტრიანი ფენის ქვეშ მდებარეობდა. დაახლოებით ასეთივე ვითარება დადასტურდა 1964 წ. ფიჭვნარის ნაქალაქარის ერთ-ერთ უბანზე).

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში გაფორმებული მსხვილი დაბური ტიპის სამოსახლოები სახელოსნო უბნებით, როგორც მიეუთითეთ, გარკვეული ლოკალური რაიონების ცენტრებს წარმოადგენდნენ, სადაც გაბატონებული, ჰეგემონი თემები იჯდა. მოცემული რაიონის სხვა დასახლებები არ იჩენდნენ ზრდის ტენდენციას და რიგით სამოსახლოთა დონეზე რჩებოდნენ. საამისო საოლუსტრაციო მასალა მოგვეპოვება როგორც იბერიის, ისე კოლხეთის

⁸⁵ დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 50—58.

⁸⁶ ავტორი მონაწილეობდა აღნიშნული ძეგლების არქეოლოგიურ გათხრებში (1956, 1960—1965 წწ.) და სარგებლობს მასალებით, რომლის დიდი ნაწილიც სამწუხაროდ, გამოუქვეყნებელია (მასალის ერთი ნაწილი დაცულია ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ხოლო მეორე — ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და ბაჰუმის სახელმწიფო პეზუეში).

სინამდვილიდან: მაშინ, როცა ხოვლეს გორასაცხოვრისი დაბურთი ტიპის მსხვილ სამოსახლოდ გაფორმდა, მეზობლად მდებარე სინქრონულ გორასაცხოვრისებს (მეტეხი, კენჭყარა, ავეეთი) ზრდა-გაფართოების რაიმე არსებითი ნიშნები არ შეემაჩნევათ. ჭერჭერობით ეს უდავოდ შეიძლება ითქვას ავეეთისა და კენჭყარას გორასაცხოვრისებზე. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ხოვლეს ტიპის მსხვილი სამოსახლო თითქოსდა არ ჩანს ტანა-თექმის ორმდინარეთში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ რაიონის ცენტრს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ხოვლეს სამოსახლო წარმოადგენდა. ასეთივე ვითარება შეინიშნებოდა მცხეთის რაიონშიც: მსხვილი დასახლება, რომელიც მცხეთის გორასაცხოვრისის გარშემოა კონცენტრირებული, ერთადერთი ჩანს ქსან-არაგვის ორმდინარეთის ქვემო დინებაში. ამ რაიონის სინქრონულ გორასაცხოვრისებს (მუხრანი, ციხისძირი, ნარეკვაი, ჭადიჭვარი და ა. შ.) არ ემაჩნევათ გაძლიერება-გაფართოების ტენდენციები და ჩვენთვის საინტერესო ხანაში ისინი მცხეთის გავლენის სფეროში არიან საგულევებელი.

ასეთივე ვითარება დასტურდება კოლხეთის დაბლობზედაც. საამისო საილუსტრაციო ძეგლებად შეიძლებოდა მიგვეთითებინა: დაბლაგომის, ოჩამჩირის⁸⁷, სოხუმის⁸⁸, ფოთის⁸⁹, ჩოლოქ-ოჩხამურის რაიონის, ბათუმ-მახვილაურ-ჯოჯოს საცხოვრისები და მათი კომპლექსები.

ყოროლისწყალ-ჯოჯოსწყლის ორმდინარეთში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს მახვილაურის გორასაცხოვრისს, რომელიც კახაბრის ველსა და ჭოროხის დელტას დასცქერის. ნატანებ-კინტრის ორმდინარეთში ახეთი მდგომარეობა ოჩხამურ-ჩოლოქის წყალსაყარის რაიონის გორასაცხოვრისთა ჯგუფს უკავია, რომელთა შემდგომ დაწინაურებაში გარკვეულ ფაქტორებს უნდა ეთამაშნათ როლი (სანაოსნოდ გამოსადეგი მდინარეები, ზღვის სიახლოვე, მაგნეტური ბილების დიდი მარაგი, სამიწათმოქმედო სავარგულების სიდიდე, ტყეების მასივის სიახლოვე, მესაქონლეობისათვის ხელსაყრელი პირობები და ა. შ.). ცხადია, კოხის გორასაცხოვრისი „ნაჭი-

⁸⁷ Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, II, გვ. 1—147, 259—279.

⁸⁸ ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, სოხუმის შთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1951.

⁸⁹ გ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1964 წელს ჩატარებულ სამუშაოთა შესახებ. XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი, 1965, გვ. 48—51 (იხ. აგრეთვე, 1961, 1962, 1963 წწ. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი მოხსენებების მოკლე შინაარსი).

ხურალი⁹⁰ ან ლელვას „კოკოტიე-“ (ჯიხანჯურ-ლელვას წყალგამყოფი ქედის ფერდობზე) მეტოქეობას ვერ გაუწევდა ქობულეთ-ფიქვენარის მიდამოების დასახლებებს. კოხის „ნაჯიხურალი“ და ლელვას „კოკოტიე“, როგორც გორასაცხოვრისები, მართალია, მას შემდეგაც განაგრძობენ არსებობას, რაც ქობულეთ-ფიქვენარის მსხვილი სამოსახლო ადრეკლასობრივ ქალაქად გაფორმდა, მაგრამ რჩებიან რიგით სამოსახლოებად და მათ განვითარებაში რაიმე ტეხილი არ შეინიშნება.

ამგვარად, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში იბერიისა და კოლხეთის ბარის რაიონებში ფორმდება თვისობრივად ახალი ტიპის დასახლებანი, რომელთა აღნაგობაში ასახულია საზოგადოების სოციალურსა და ეკონომიურ ყოფაში მომხდარი გარდაქმნები. შესაძლებელი ხდება აღინიშნოს ამ სამოსახლოთა ზოგიერთი დამახასიათებელი თავისებურება: 1. გამაგრებული უბნის გარშემო გაუმაგრებელთა გაჩენა და ძირეული გორასაცხოვრისის გორასამლოცველოდ გარდაქმნა. 2. სამოსახლოსთან სახელოსნო უბნების წარმოქმნა (კერამიკული წარმოება, ლითონმოპოვება, ლითონდამუშავება) და მეთემეთა მასისაგან პროფესიულ ხელოსანთა ჯგუფების გამოყოფა. 3. დასახლების მასშტაბების სიდიდე და მოსახლეობის რიცხვის ზრდა. 4. თემის შიგნით ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის პროცესის გაღრმავება.

§ 8. იბერიის ძალაქთა უძველესი ჯგუფის წარმოქმნა

მსხვილი, დაბური დასახლებები სახელოსნო უბნებით, რომელთა არსებობა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეების იბერიისა და კოლხეთის ბარის რაიონებში გვაქვს დადასტურებული, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული ლოკალური რაიონების (ხევი, ხევთა გაერთიანება, ტომი) ცენტრებს წარმოადგენდნენ. საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების, ხელოსნობის დაწინაურების, სოფლის მეურნეობიდან ხელოსნობის გამოყოფის პროცესის გაძლიერების, სოციალურ სფეროში მომხდარი ძვრების, ახალი სამეურნეო სავარგულების ინტენსიური ათვისების პირობებში და მის შედეგად მსხვილ სამოსახლოთა ცხოვრებაში შეინიშნება განვითარების ერთგვარი არათანაბრობა, რომლის მიღმა, როგორც ჩვენ გვგონია, ცალკეულ რაიონთა ეკონომიური განვითარებისა და ეკონომიური პოტენციალის არათანაბრობა შეიძლება შეინიშნოს.

⁹⁰ ა. ქათამაძე, კოხის „ნაჯიხურალი“, — ძველი კოლხური სამოსახლარი, აქარის სახელმწიფო მუზეუმის „შრომები“, VI, 1963, გვ. 28-38.

აღებულ პერიოდში გვაქვს ხევთა და ტომთა მეტ-ნაკლებად შსხვილი, შედარებით სტაბილური გაერთიანებანი, რაც, ბუნებრივია, გულისხმობს ჰეგემონი და დაქვემდებარებული თემების არსებობას. ბუნებრივია, თემთა და ტომთა თავმოყრა-გაერთიანება უძლიერესის გარშემო მომხდარიყო, ხოლო ამ როლში ის კოლექტივი გამოსულიყო, რომელიც ეკონომიურად წელღონიერ რაიონში მოსახლეობდა. ეკონომიური შესაძლებლობანი და მოსახლეობის მრავალრიცხოვნება, რაც საჭირო შემთხვევაში, შესაბამისად, შეიარაღებული რაზმების სიძლიერეში ნახულობდა ასახვას, განსაზღვრავდა მოცემული კოლექტივის წარმატებას გაერთიანება-კონსოლიდაციისათვის ბრძოლაში. ეს სურათი სათანადო დასაბუთებას ნახულობს ისტორიული „ზენა სოფლის“ მაგალითზე, რომელიც ისტორიულ-არქეოლოგიურად უკეთაა შესწავლილი და საილუსტრაციოდაც ამიტომაცაა შერჩეული.

„ზენა სოფელი“, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ იბერია-ქართლის ცალკეულ პროვინციათა გვიანდელ მიჯნებს, მდ. მტკვრის ორივე სანაპიროს მოიცავდა, შუა საუკუნეების შიდა ქართლის ფარგლებში. სამხრეთით იგი თრიალეთის ქედს ებჯინებოდა, ხოლო ჩრდილოეთით დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთებამდე აღწევდა და მდ. მტკვრით ორ, არათანაბარ ნაწილად იყო გაყოფილი. ეს ტერიტორია ძვ. წ. III საუკუნის დამდეგს ახალწარმოქმნილი იბერიის სამეფოს ცენტრალური პროვინცია გახდა, სადაც სამეფოს დედაქალაქიც მდებარეობდა⁹¹.

⁹¹ ზოგერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი ხევებში დაიბრწა (ი. ვ ა გ ო შ ი ძ ე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბილისი, 1964, გვ. 81. უადგილოდაა დამოწმებული: ნ. ბ ე რ ძ ე ნ - შ ე ი ლ ი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, შრომები, 1, 360—362). ამ მოსაზრების ძირითადი ფაქტიური საყრდენია საქვეურისა და ყანჩაეთის სამარხთა ინვენტარის მონაცემები. დღეისათვის დასაბუთებულად უნდა მივიჩნიოთ, რომ კლასობრივი საზოგადოების აკვანი ყველა ქვეყანაში, მათ შორის იბერიაში, ბარში დაიბრწა, რომ ქალაქთა კულტურა ყველა ქვეყანაში, ბარის კულტურა და სახელმწიფოებრიობის აკვანიც ყველა ქვეყანაში, მათ შორის იბერიასა და კოლხეთში, ბარში დაიბრწა. საქვეურსა და ყანჩაეთში შემთხვევით აღმოჩენილი ორიოდ სამარხის ინვენტარი, რამდენად მდიდრულიც არ უნდა იყოს იგი, ვერ შეცვლის მცხეთისა და უფლისციხის, ურბნისისა და ხოვლეს, ვანისა და ფიჭვნარის, დაბლაგომისა და დიოსკურიის არქეოლოგიური მასალებით მოხაზულ სურათს. ი. ვ ა გ ო შ ი ძ ე ფიქრობს, რომ პირველი სახელმწიფო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ აქემენიდურ ხანაში არსებობდა (უადგილოდაა მიითვებული: ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, 1, ტფილისი, 1928, გვ. 143), რომლის ცენტრები ხეობათა ზემო წელში უნდა ყოფილიყო განლაგებული (დასახ. ნაშრ., გვ. 86). დიდი სარწყავი სისტემების აგების შემდეგ, როცა „შიდა ქართლის სარწყავი ეელები საქართველოს ბელად

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე რაიონებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ გეოგრაფიული პირობების თავისებურებათა გამო, მათი შესაძლებლობანი მეტად განსაზღვრული იყო. სოფ. ხოვლე, მაგალითად, ითვლება ვაზის გავრცელების უკიდურეს პუნქტად, ხოლო ხოვლედან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ხორბლეულის მხოლოდ მთის ჩიშები ითვისება და ჩქარა საძოვრების ზოლიც იწყება. იგივე შეიძლება ითქვას დიღმის, ხეკორძლას, ნიჩბურას, კავთურას, თეძმის, ტანას, ძამას ხევთა შესახებაც. ასე რომ, ამ რაიონს ინტენსიური სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის მეტად განსაზღვრული შესაძლებლობები გააჩნდა, თუმცა ტექნიკური აღჭურვილობითა და სამეურნეო კულტურით იგი არაფრით განსხვავდებოდა „ზენა სოფლის“ ბარის სხვა რაიონებისაგან: მორწყვითი მეურნეობა, კვერი და შერეული თესლი, მევენახეობა და მელვინეობა აქ დიდი ტრადიციის მქონე სამეურნეო საქმიანობაზე მიგვიითობენ.

თუ ავიღებთ მტკვრის მარცხენა სანაპიროს, ვნახავთ, რომ ამ რაიონის სამეურნეო კულტურა და ტრადიციები ისეთივეა, როგორც მარჯვენა სანაპიროს რაიონებშია: მორწყვითი მიწათმოქმედება, კვერი და შერეული თესლი, მევენახეობა და მელვინეობა მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ტრადიციული სახეებია. სახელდახელოდ იმ ფაქტის აღნიშვნაც საინტერესო იქნებოდა, რომ ძვ. წ. II და I ათას-

იქცა“, სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრები შიდა ქართლის ბარში ინაცვლებს. მაგრამ საიდან? მკვლევარი აქ აკეთებს საესებით მოულოდნელ დასკვნას. აქემენიდურ ხანაში, კერძოდ, ძვ. წ. V საუკუნეში, კოლხეთი სარგებლობს შექმნილი ვითარებით და თავის ჰეგემონიას აფრცველებს აღმოსავლეთ საქართველოზე, სადაც ამ დროს „არსებობდა საწარმოო ძალთა განვითარების სათანადო დონე“. ამავე პერიოდში ხდება ქართლის სარწყავი ელემების ათვისება და ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრების შიდა ქართლში გადმონაცვლება. ამ პირველ სახელმწიფოებრიობას ბოლო მოღებია დიადოხების პერიოდის ომებში, ხოლო მის ნანგრევებზე ძვ. წ. III საუკუნის დამდეგს აღმოცენდა ახალი სამეფო, იბერია, ცენტრით მცხეთაში (იქვე, გვ. 87). ამ თეორიის მიზანია გაამართლოს მკვლევარის მიერ დადასტურებული სურათი, რომ ყანჩაეთისა და საქეგრის სამარხების მასალები კლასობრივი საზოგადოების არსებობაზე მიუთითებს. კლასობრივი საზოგადოებები კი, მისი აზრით, წარმოუდგენელია სახელმწიფოებრიობის გარეშე. ამ დროს იბერიაში სახელმწიფო არ არსებობდა რაც აიძულებს მას ეძებოს სათანადო ახსნა. იგი, მოიძებნა, მაგრამ ფაქტებზე ძალმომრეობის გზით: აქემენიდური ხანის იბერია კოლხეთის სამეფოში „გაერთიანდა“.

ჩვენი აზრით, ძვ. წ. VI—IV სს-ის იბერიაში კლასობრივი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესის მიმდინარეობამ III საუკუნის დამდეგს სახელმწიფოს გაფორმება გააპირობა. სახელმწიფო კლასთა პოლიტიკური ორგანიზაციაა (ზედნაშენი). ჭერ უნდა გაფორმდნენ კლასები, რომ დღის წესრიგში დადგეს მათი ურთიერთობის პოლიტიკური გაფორმების საკითხი.

წლეულთა მიჯნაზე „ზენა სოფლის“ ამ რაიონში ვაზი საკულტო მცენარეთა სათავეში იდგა, ხოლო „ხარი-მხენელის“ კულტა საპატიო ადგილი ეკავა⁹². მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ინტენსიური მეურნეობის წარმოებისათვის სავარგულებს დიდი ფართობი ექირა: მისი სიღრმე აქ ათეულობით კილომეტრს შეადგენდა და დასერილი იყო მორწყვისათვის მოხერხებული მდინარეების ქსელით. ეს მდინარეები, უპირატესად შენაკადები, ალებულ პერიოდში წყარო-ნაკადულებრივ მორწყვით მიწათმოქმედებას აპირობებდნენ, მაგრამ პერსპექტივაში მსხვილი საირიგაციო სისტემების წარმოქმნასაც გულისხმობდნენ. მარცხენა სანაპიროს ვრცელ რაიონს გააჩნდა მკვეთრად გამოსახული ბარი, მთისწინა ზოლი და მთა, მეურნეობის დამახასიათებელი დარგებითა და ტრადიციებით. გარდა ამისა, „ზენა სოფლის“ ჩრდილო ზოლის მთიანეთი წარმოადგენდა ბუნებრივ რეზერვუარს, რომელიც ბარის მოსახლეობის რიცხვობრივი ზრდის მნიშვნელოვანი წყარო იყო. ამგვარად, „ზენა სოფლის“ იმ რაიონებს, რომლებიც, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე იყვნენ გაშლილი, თავისი დროისათვის განვითარების გაცილებით უკეთესი შესაძლებლობანი გააჩნდათ, ვიდრე მარჯვენა სანაპიროს რაიონებს⁹³.

„ზენა სოფლის“ ცალკეულ რაიონთა ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების განსხვავებულობამ გააპირობა ამ რაიონთა ეკონომიური სილონივრისა და შემდგომი განვითარების არათანაბრობა, რამაც დიდი გავლენა იქონია მსხვილ სამოსახლოთა შემდგომი განვითარების ხასიათსა და მიმართულებაზე.

ძვ. წ. VI—V საუკუნეებში მტკვრის მარცხენა სანაპიროზე უკვე გამოსახულია რამდენიმე ეკონომიური რაიონი. იგი შედეგი იყო როგორც შემდგომი ეკონომიური განვითარების აუცილებლობის, ისე სოციალურ სფეროში მომხდარი ძვრების (იხ. ქვემოთ). უკანასკნელი გამოხატული იყო კერძო საკუთრებისა და სოციალური უთანასწორობის ჩასახვაში. აღნიშნული მოვლენები, ამავე დროს განსაზღვრავდნენ ტომთა (თემთა) შორის ბრძოლის ხასიათს, რომელშიც ჰეგემონობისათვის ბრძოლის ტენდენცია, აღრიდანვე თანდათანობით წამყვან ადგილს იჭერდა.

ტომთა (თემთა) შორის ბრძოლის პროცესში, როგორც აღვნიშნეთ, იმარჯვებს და ჰეგემონი ხდება ეკონომიურად და რიცხვობრივად ძლიერი კოლექტივი, რომლის საცხოვრისი ახლა გაცილებით უფრო დიდი რაიონის ცენტრი ხდება და შეაბამის გარეგნობასაც

⁹² დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 33—37.

⁹³ დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) ქალაქების გეოგრაფიული განლაგების საკითხისათვის, გვ. 502 და შემდ.

იღებს. ძველი მცხეთა, უფლისციხე, ურბნისი, კასპი და ა. შ. „ზე-
ნა სოფლის“ სწორედ ამ ტიპის ცენტრებია.

ძვ. წ. VI—V სს-ში „ზენა სოფლის“ მსხვილ სამოსახლოთა ერთ
ჯგუფს. რომელიც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არის განლაგებუ-
ლი, უკვე ქალაქური ტიპის დასახლებათა სახე აქვთ.

ამგვარად, ძვ. წ.-ის I ათასწლეულის პირველი ნახევრის დასას-
რულს „ზენა სოფლის“ მსხვილი, დაბური ტიპის სამოსახლოების ის
ჯგუფი. რომელიც ეკონომიურად წელლონიერ რაიონებში მდებარე-
ობდნენ, ქალაქური სამოსახლოების სახეს იღებენ. ცხადია, ახა-
ლი, უკვე „გამსხვილებული“ ეკონომიური რაიონის ტერიტორიაზე
რამდენიმე მსხვილი სამოსახლოს დადასტურება შეიძლებოდა (მცხე-
თის მიდამოებში ასეთ სამოსახლოებად შეიძლებოდა მიგვეთითები-
ნა მუსრანის გორა-საცხოვრისთა და ჭადიჯვრის გორა-საცხოვრისთა
კომპლექსები), მაგრამ მათ შორის ხდება ერთგვარი შერჩევა. გაქა-
ლაქების ტენდენციები მკვეთრად მქდავენდება კონკრეტული რაიონის
იმ მსხვილი სამოსახლოების სინამდვილეში, რომელთაც უკე-
თესი პირობები გააჩნდათ. მათ შორის შეიძლებოდა მიგვეთითებინა:
გეოგრაფიული მდებარეობის მოხერხებულობა, მიმდებარე რაიონის
პირობების ხელსაყრელობა ინტენსიური მეურნეობის წარმოები-
სათვის, ძირითად საწყლოსნო არტერიასთან სიახლოვე, იმ ტერიტო-
რიული თემის სტატუსი, რომელსაც მოცემული სამოსახლო ეკუთვ-
ნოდა. გამაგრებისათვის ხელსაყრელი პირობები თუ არსებული სა-
ფორტიფიკაციო სისტემის საიმედოობა-პერსპექტიულობა და ა. შ.
რა თქმა უნდა, ამ პირობათა ერთი რიგი იმთავითვეა მიცემული, მეორე
საზოგადოებრივი განვითარების წინარე ხანასაც ახასიათებდა,
მესამე კი — მხოლოდ მოცემული დროის წარმონაქმნია. შეიძლე-
ბა მტკიცება, რომ აქ გადამწყვეტია არა ერთი რომელიმე პირობა.
არამედ პირობათა მთელი კომპლექსი.

იბერულ ადრეკლასობრივ ქალაქთა უძველესი ჯგუფის წარ-
მოქმნის პროცესზე თვალის მიდევნება, დღეისათვის ჩვენს ხელთ
არსებული მასალების მიხედვით, ყველაზე უკეთ მცხეთისა და უფ-
ლისციხის მაგალითზე შეიძლება. ანტიკური ხანის მცხეთაზე უკვე
საკმაო ლიტერატურა შეიქმნა და საკითხის შესწავლაც საკმაოდ და-
წინაურდა, თუმცა ქალაქის წარმოქმნის პროცესზე და ქალაქის ის-
ტორიული ტოპოგრაფიის საკითხებზე მკვლევართა შორის გარკვე-
ული უთანხმოება დღესაც შეინიშნება. ანტიკურ მცხეთაზე არსებუ-
ლი ძირითადი ლიტერატურის ის ნაწილი, რომელიც 1958 წლამდე

იყო გამოქვეყნებული, უკვე სათანადოდაა განხილულ-შეფასებული⁹⁴.

1963 წ. გამოქვეყნებულ ერთ-ერთ გამოკვლევაში ა. ბოლტუნოვა უბრუნდება ადრეკლასობრივი ხანის ქართული ქალაქების, კერძოდ მცხეთის, ისტორიის საკვანძო საკითხებს. მათ შორის ქალაქის წარმოქმნისა და ქალაქის ისტორიული ტოპოგრაფიის ზოგიერთ მხარეს. „ფარნავაზის მიერ აქ დაარსებული არმაზისციხის ციტადელმა, აღნიშნავს მკვლევარი, რომელიც „ძველი მცხეთის“ აკროპოლი გახდა. მისცა სამეფოს სახელი რამდენიმე საუკუნით. მომდევნო საუკუნეების განმავლობაში, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებამ და განვითარებამ, იბერიის ეკონომიურმა განვითარებამ, ხელოსნობისა და ვაჭრობის ზრდამ, განსაკუთრებით კი, მცხეთის სავაჭრო მნიშვნელობის ზრდამ შექმნეს ყველა პირობა, რომ აკროპოლის — არმაზისციხის—ძირას მდებარე მცხეთის დიდი სამიწათმოქმედო დასახლება ნამდვილ დიდ ქალაქად გადაქცეულიყო“⁹⁵. მაშასადამე, ავტორი ფიქრობს, რომ მცხეთა, როგორც ქალაქი, წარმოიქმნა გაცილებით გვიან, მცხეთის სამეფოს გაფორმებისა და არმაზისციხის აშენების შემდეგ და მასთან კავშირში. აღნიშნული მოსაზრება ახალი არ არის⁹⁶, თუმცა ანე დეტალურად და კატეგორიულად პირველად ჩანს გადმოცემული. ამ მოსაზრების ძირითადი საბუთიანობა წერილობითი წყაროების მონაცემებითაა წარმოდგენილი, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან არქეოლოგიურ მასალებში საამისოდ, ჭრჭერობით მაინც, არაფერი ვაგვაჩნია. სამწუხაროდ, წყაროები, რომელთა მონაცემებზედაც აღნიშნული მოსაზრებაა დაფუძნებული, გაცილებით გვიანდელია მათში აღწერილ ამბებზე და, ბუნებრივია, განსაკუთრებული სიფრთხილით შემოწმებას მოითხოვენ არა მარტო საერთოდ, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მათგან უძველესი ახ. წ. VII საუკუნეს მიეკუთვნება, ხოლო უახლესი—XI საუკუნეს. აღწერილი ამბები კი, რომელიც ჩვენ გვიანტერესებს, ძვ. წ. IV—III საუკუნეებს და უწინარეს პერიოდს მოიცავს. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (VII ს.) მიუთითებს, რომ ქართლის პირველი მეფე აზო „ძველ მცხეთას“ დაჯდა. ხოლო მეფემ „ფარნავაზ... მოქმნა ზღუდე წყლით კერძო და ჰრქვან არმაზ... საურმაგ იწყო არმაზს

⁹⁴ ა. აფაქიძე, ანტიკური წყაროების *Συνομορφα*—წინამური. მისივე, არმაზისციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის. მისივე, მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. მისივე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I.

⁹⁵ А. И. Болтунова, Античные города Грузии и Армении, გვ. 165.

⁹⁶ Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, გვ. 18—19.

შენებად... მირვან... აღაშენა არმაზი... არსოკ... ქალაქსა ზღუდენი მოაქმნნა, ... და არიკ შიდა ციხე აღაშენა არმაზსა“. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება, მემატიანის აზრით, მცხეთა-ქალაქის შენება: „მეფობდა ბრატმან, რომელსა ზე მცხეთას ქალაქი დაეწყო და მეფობდა მირვან და მან აღაშენა მცხეთაჲ ქალაქი“⁹⁷. მაგრამ ეს არ არის, მემატიანის აზრით, მცხეთის რაიონის უძველესი ქალაქური დასახლება. ასეთი რამ მას უფრო ადრე ეგულება. ამისი მოწმობაა მემატიანის ცნობა, რომ „არსოკ... ქალაქსა ზღუდენი მოაქმნნა“. სამწუხაროდ, იგი არ იძლევა რაიმე მითითებას, თუ სად უნდა ყოფილიყო ეს „ქალაქი“, მაგრამ საერთო სურათის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი მას არმაზის მხარეს აქვს ნაგულისხმევი. თუ წმ. ნინოს ცხოვრების უძველესი ვარიანტის ავტორი (IX ს.) მართლაც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მონაცემებიდან ამოდის, მაშინ ამ საკითხის გასაშუქებლად გარკვეულ მნიშვნელობას იძენს წმ. ნინოს ცხოვრების ავტორის ცნობა. რომელიც ახ. წ. IV საუკუნის არმაზის ციხის დაბლა ნაქალაქარსა და ნაციხარს მიუთითებს („სადა ძუელ ქალაქი ყოფილ იყო და მას ადგილსა ყოფილ არს ციხე“) ⁹⁸. მაშასადამე, მოქცევაჲ ქართლისაჲს მიხედვით, ჯერ შენდება მეფის რეზიდენცია და მის მახლობლად მდებარე ქალაქური ნაწილი, ხოლო ამის შემდეგ იწყება „მცხეთა-ქალაქის“ შენება. „დიდი მცხეთის“ ცალკეულ ნაწილთა მშენებლობის რიგზე ასეთივე წარმოდგენისაა ლეონტი მროველიც, რომელმაც არმაზციხე (ქართლის ციხე) ქართლოსს, ხოლო „მცხეთა-ქალაქი“ მცხეთოსს ააგებინა⁹⁹.

ჩვენ ზემოთ მივუთითებდით, რომ ანტიკური ხანის ქართული ქალაქების ცალკეულ ნაწილთა (ციხე, ქალაქი) მშენებლობის რიგი შუა საუკუნეების ქართველ მემატიანეებს ისე აქვთ წარმოდგენილი. როგორც ფეოდალური ქალაქისა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ახ. წ. IV საუკუნისათვის არმაზის მხარეს არც ქალაქსა გულისხმობს და არც ციხეს — ორივე ნანგრევებადაა წარმოდგენილი. ამავე დროს, VI საუკუნის ავტორისათვის „ძველი“ შეიძლებაოდა ყოფილიყო როგორც ძვ. წ. IV—III საუკუნეში, ასევე ძვ. წ. II—I თუ ახ. წ. I—II საუკუნეებში აშენებული ქალაქის ნაშთები. გარდა იმისა, რომ არმაზი ქართლის მეფეების უძველესი რეზიდენცია იყო, იგი ახლა (წმ. ნინოს ცხოვრების შედგენის დროს მაინც) ნანგრევებს წარმო-

⁹⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 82.

⁹⁸ იქვე, გვ. 122.

⁹⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 9.

ადგენდა, ხოლო მის საპირისპირო მხარეს მდებარე მცხეთა ისევ „ცოცხლობდა“ და, როგორც უკანასკნელი წლების (1953, 1957, 1958, 1965 წწ.) კვლევა-ძიებამ ცხადჰყო, საკმაოდ გვიანდელი ზღუდით იყო დაცული. ასეთი ვითარებაში ბუნებრივი იყო, რომ „დიდი მცხეთის“ უძველეს ნაწილად მემატიანეს არმაზის მხარის ქალაქური ნაწილი მიეჩნია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულ წერილობით წყაროში მოხსენებული „ძუელი ქალაქი“, რომელიც მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არის მითითებული, არ გამოდგება იმის საბუთად, რომ „არმაზით კერძი ქალაქი“ დიდი მცხეთის იმ უძველეს უბნად მივიჩნიოთ, რომლისგანაც ქალაქი მცხეთა განვითარდა. ქართულ წერილობით წყაროებს, რომლებიც აღწერილ ამბებს 1000-1500 წლით არიან დაშორებული, ანტიკური ხანის ქართულ ქალაქთა ცალკეული ნაწილების მშენებლობის რიგი (ქრონოლოგიური თანმიმდევრობა) ასე ჰქონდათ წარმოდგენილი, როგორც ფეოდალური ქალაქისა.

რამდენად მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ქართული თუ ანტიკური წერილობითი წყაროების ცნობები მცხეთის ცალკეულ უბანთა მშენებლობის რიგზე, ჩვენ იძულებული ვართ მხოლოდ იმ ცნობებს გაუფიქროთ ანგარიში, რომელიც არქეოლოგიურ მონაცემებში ნახულობს დადასტურებას. შუა საუკუნეების ქართული წყაროები, როცა მცხეთის ცალკეულ უბნებზე მოგვითხრობენ, ერთხმად მიუთითებენ, რომ სახელით „მცხეთა“ აღინიშნებოდა ქალაქის ის რაიონი, რომელიც მტკვარ-არაგვის წყალსაყართან იყო განლაგებული, მტკვრის მარცხენა და არაგვის მარჯვენა მხარეზე. ასეთ დასკვნას, ერთი შეხედვით ეწინააღმდეგება „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ და წმ. ნინოს ცხოვრებაში დაცული ორიოდე ცნობა. კერძოდ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი მოგვითხრობს, რომ „აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თჳსისა, და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძღუდთან, და დაჰდა ძუელ მცხეთას“¹⁰⁰. მემატიანეს არ მოეპოვება სხვა რამ ცნობა იმის განსაზღვრისათვის, თუ კონკრეტულად სად მდებარეობდა „ძუელი მცხეთა“. კონტექსტიდან მხოლოდ ისა ჩანს, თითქოს, რომ „ძუელი მცხეთა“ ქალაქური დასახლება არ იყო. მიუხედავად ამისა, ქართლის პირველი სამეფო რეზიდენცია, უძველესი მატიანის ცნობით, ეს „ძუელი მცხეთა“ იყო. აკად. ივ. ჯავახიშვილი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „ძუელი მცხეთის“ ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევდა წმ. ნინოს ცხოვრების ცნობას: კერძების მსხვრევის შემდეგ „ვითარცა დასცხრა რისხვაჲ იგი, გამოვედ კლდისა მისგან ნაპ-

¹⁰⁰ ძუელი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, გვ. 81—82.

რალისა და ეპოვე თვალი იგი ბივრიტი, აღვიღე და წარმოვედ წინა კერძო დასასრულსა მის კლდისასა, სადა ძუელ ქალაქი ყოფილიყო, და მას ადგილსა ყოფილ არს ციხე¹⁰¹. მოტანილ ფრაგმენტში მოხსენებული „ძუელი ქალაქი“ უდავოდ მტკვრის მარჯვენა მხარესაა, ე. წ. „არმაზით კერძი ქალაქის“ ტერიტორიაზე¹⁰², მაგრამ, როგორც ჩვენ გვგონია, სავალდებულო არ არის წმ. ნინოს ცხოვრებაში მოხსენიებული „ძუელი ქალაქი“ გავუიგივებოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „ძუელ მცხეთას“. აქ, როგორც ჩანს, ანგარიში უნდა გავწიოს რიგ მონაცემებს: 1. არმაზის ქედისა და „არმაზით კერძი ქალაქის“ უძველესი სახელია „ქართლი“, რომელსაც შემდეგში „არმაზი“ ენაცვლება¹⁰³, ხოლო თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ „ძუელი მცხეთა“ არმაზის მიდამოებში იყო, მაშინ ქალაქის უძველეს სახელად „მცხეთა“ უნდა მივიღოთ და არა „ქართლი“. ამდენად, „ძუელი მცხეთა“ და, მაშასადამე, ქართლის პირველი მეფის აზოს სამეფო რეზიდენცია არმაზის მიდამოების ფარგლებს გარეთ უნდა ვეძებოთ. ასეთ რაიონად, არმაზის გამორიცხვის შემთხვევაში, მცხეთა წარმოგვიდგება. 2. მართალია, წმ. ნინოს ცხოვრების მიხედვით, აზოს მიერ არიან ქართლიდან მოტანილი კერპები გაცი და გა არმაზის კერპის გვერდითაა მითითებული, მაგრამ თუ ამ ცნობაში ისტორიული სინამდვილის ასახვას დავინახავთ, კერპების „გადასახლება“ შეიძლებოდა მომხდარიყო სამეფო რეზიდენციის არმაზისციხეში გადატანისას. ამდენად: გაცისა და გას გამოსახულებათა ადგილსაჲყოფელი არაფერს იძლევა „ძუელი მცხეთის“ არმაზისციხის მხარეზე ლოკალიზაციისათვის. 3. არც ერთი ძველი ქართველი მემკვიდრე, როდესაც კი „დიდი მცხეთის“ ცალკეულ უბნებზე საუბრობს, „მცხეთა“ სახელს მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს არ უთითებს.

აქედან გამომდინარე, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „ძუელი მცხეთა“, რომელიც ქართლის მეფის პირველი რეზიდენცია იყო, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, „მუხნარით კერძი ქალაქის“, ანუ საკუთრივ მცხეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. თუ ეს ასეა, მაშინ „ძუელი მცხეთა“, ბუნებრივი იქნებოდა, მცხეთის გორაზე მიგვემარებინა. წერილობითი წყაროების ცნობების ამგვარი ინტერპრეტაცია ლოგიკურად გამოიყურება და დასტურდება არქეოლოგიური მონაცემების შუქზე.

¹⁰¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 132.

¹⁰² შტრ. ივ. ჯაეახიშვილი, ქალაქ მცხეთის ისტორიისათვის. ნაშრომში: ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 447—450. ა. აფაქიძე, მცხეთა, ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, გვ. 51.

¹⁰³ კონსტანტინე გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 69—76.

დიდი მცხეთის რაიონის წინაკლასობრივი ხანის დასახლებათა შორის წამყვანი ადგილი იმ სამოსახლოს უნდა ჰქეროდა, რომლის სამაროვანი სამთავროს ველზე არის წარმოდგენილი. სამთავროს სამაროვანზე 1938-1939 წელს მოპოვებული მასალების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა შესაძლებლად დაინახა აღენიშნა, რომ „მცხეთა ბრინჯაო-რკინის ხანაშიც ქალაქი უნდა ყოფილიყო, ამასთანავე საკმაოდ დიდი და მჭიდროდ დასახლებული. სოფელში ასეთი მრავალრიცხოვანი და მჭიდროდ განლაგებული ნამარხების შემცველი მკვდრეთი შეუძლებელია“¹⁰⁴. მართალია, მოტანილ მოსაზრებაში, როგორც ჩვენ გვგონია, ქალაქობის ქრონოლოგიური ჩარჩოები გადაჭარბებითაა გაფართოებული, მაგრამ დასახლების არსი სწორადაა მიგნებული. კერძოდ, ხაზგასმულია, რომ აღნიშნული ძეგლი ვერ ეტევა ჩვეულებრივი სამოსახლოს ჩარჩოებში და წარმოადგენს დასახლების რაღაც ახალს, იმ დროისათვის თითქოს მოულოდნელ ტიპს.

იმავე მასალების საფუძველზე 1941 წელს ს. ჯანაშიამ მიუთითა, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში მცხეთის რაიონის მოსახლეობის განვითარების წინასაფეხური იმითი გვირგვინდება, რომ „ეს სამიწათმოქმედო ტიპის დასახლებული ადგილი თანდათანობით იქცევა ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილად; მეომარი მოსახლეობა თანდათან იქცევა მშვიდობიან მოქალაქეებად“¹⁰⁵. ამგვარად, აკად. ს. ჯანაშიამ ამ 25 წლის წინათ გარკვევით მიუთითა, რომ ანტიკური ქალაქი მცხეთა წარმოადგენდა სამიწათმოქმედო ტიპის სამოსახლოს განვითარების შედეგს.

ახალი კონკრეტული მასალების საფუძველზე მცხეთაში საქალაქო ცხოვრების წარმოქმნის საკითხი ფართოდაა დასმული ა. აფაქიძის ნაშრომებში. ამასთან, მკვლევართა ერთი ჯგუფისაგან განსხვავებით, იგი ერთმანეთში არ ურევს ქალაქის წარმოშობისა და დედაქალაქის წარმოშობის საკითხს. 1956 წ. ა. აფაქიძემ აღნიშნა, რომ „საქალაქო ცხოვრება მცხეთაში დედაქალაქობის ხანაზე ბევრად უფრო ადრე დაწყებულა“. დედაქალაქობის ხანის მცხეთა კი „დიდი მცხეთაა“, რომელიც მოიცავს საკუთრივ მცხეთისა და კოდმანის, წიწამურისა და ზემოავჭალის, მუხათგვერდისა და კარანისხევის, არმაზისხევისა და ნავთსადენ-მარტაზისხევის, სარკინეთ-გრძელი მინდვრისა და ბაგინეთ-კარანის დასახლე-

¹⁰⁴ ივ. ჯავახიშვილი, გათხრები მცხეთა-სამთავროში, ნაშრომები: ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 455—456.

¹⁰⁵ С. Н. Джанашиа, Мухета—Древняя столица Грузии.

ა. აფაქიძე, საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე, გვ. 32.

ბებს. ამასთან, როგორც მკვლევარი მიუთითებს, ბაგინეთისა და კარსნის დაახლებებს „განსაკუთრებული როლის შესრულება მოუხდათ, როგორც ჩანს, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში, როდესაც აქ წარმოქმნილი ქალაქი და მისი ციხე ჯერ კიდევ ქართლის სახელს ატარებდა. „დიდი მცხეთის“ დედაქალაქად შექვეყნის მოთავეც და სამეფოსათვის სახელის მიმცემიც ამ ეპოქაში ქართლი ჩანს“¹⁰⁶.

„დიდი მცხეთა“ ა. აფაქიძეს სინოიციზმის გზით წარმოქმნილ ქალაქად მიაჩნია. ამასთან, დედაქალაქად გაფორმება ქართლარმაზის გარშემო და მისი მეთაურობით მომხდარა¹⁰⁷. მკვლევარის ეს მოსაზრება ზოგჯერ ისე არის გაგებული, თითქოს მცხეთაში საქალაქო ცხოვრება „ქართლ-არმაზის“ აშენების შემდეგ წარმოიქმნა და მის გარშემო განვითარდა¹⁰⁸. მაგრამ, როგორც ვნახეთ, არც ა. აფაქიძე ფიქრობს ასე და ასეთი ვითარება ვერც წყაროებში პოულობს დასაბუთებას, თუ, რა თქმა უნდა, არქეოლოგიურ მასალებს ყურადღების სფეროდან გავუშვებთ, ხოლო წერილობითი წყაროების ცნობებს უშენიშვნოდ მივიღებთ.

მცხეთაში საქალაქო ცხოვრების წარმოშობის საკითხის შესწავლაში, ძიების სწორი გზის მითითებითა და რიგი კონკრეტული საკითხების გადაწყვეტით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აკად. ნ. ბერძენიშვილმა; ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიების სა-

¹⁰⁶ ა. აფაქიძე, საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე გვ. 31—32. აქ არქეოლოგიურ მასალაში ერთგვარი ხარვეზი შეინიშნება, რაც ვფიქრობთ, გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს. ერთი მხრით, მკვლევართა დიდი ნაწილი აღიარებს, რომ საქალაქო ცხოვრება მცხეთაში სამეფოს წარმოქმნამდე არსებობდა, ხოლო პირველი დედაქალაქი ქართლ-არმაზი იყო. მეორე მხრით, არქეოლოგიური მასალები, რომელიც ქართლის ქედზე და მის მიდამოებში ძვ. წ. IV—III საუკუნეებზე აღრინდელი ნამოსახლარის არსებობაზე მიუთითებდა, სრულებით არ გავაჩნია (ა. აფაქიძე, მცხეთა-ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, გვ. 65).

¹⁰⁷ ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32. მისივე, არმაზციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის, გვ. 73, 90, 93. მისივე. Об итогах новых археологических раскопок в Грузии, М., 1960, გვ. 4. მისივე, მცხეთა—ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, გვ. 52—53. მისივე, Результаты археологического изучения античных городов Грузии (1960), გვ. 148, 151. მისივე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 215—220.

¹⁰⁸ О. Д. Лордкипанидзе, Ремесленное производство и торговля в Мухета в I—III вв. н. э., თსუ „შრომები“, 65, 1957, გვ. 154, შდრ. თ. ლორთქიფანიძე, მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის, გვ. 805—806. А. И. Болтунова, Античные города Грузии и Армении, გვ. 165. შდრ. დ. ხახუტაიშვილი, ქართული მონათმფლობელური ქალაქის წარმოქმნა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების სინათლეზე, გვ. 190—191.

ფუძველზე აკად. ნ. ბერძენიშვილმა აღნიშნა: „მცხეთა ქალაქი ჩვენ მცხეთა გორას განვითარებად წარმოგვიდგენია“. საკუთრივ ქალაქი მცხეთა. თავისი ჰირვანდელი სახით, მკვლევარს შემდეგ საზღვრებში ჰქონდა წარმოდგენილი: ჩრდილოეთით — ბაიათხევი, დასავლეთით — ხელოვნური თხრილი, რომელიც უსახელო ღრმა ხევის ებჭინება, აღმოსავლეთით — მდ. არაგვი, ხოლო სამხრეთით — მდ. მტკვარი. „აი ამ საზღვრებს შორის მოქცეულ ფართო ტერიტორიას ეწოდებოდა მცხეთა. მცხეთა გორა, როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ მოზრდილ ფართობს წარმოადგენდა, რომელსაც, საფიქრებელია, კედელიც ჰქონდა შემოვლებული. გათხრები დაადგენს, ჰქონდა თუ არა მცხეთას დედაციხე“¹⁰⁹. ასეთივე გზით წარმოშობილად მიიჩნევა და მკვლევარი იბერიის ქალაქთა უძველეს ჯგუფს: „გორების არქეოლოგიური შესწავლა, გვეგონია, დაგვიმოწმებენ, თუ როდის და როგორ წარმოიშვა ეს საზოგადოებრივი ემბრიონი — გორა, როგორ განვითარდა ის და დასაბამი მისა დაბის, ციხის თუ ქალაქის განვითარებას“¹¹⁰. ამასთან აკად. ნ. ბერძენიშვილს მითითებული აქვს ის ეკონომიური წინამძღვრები, რომელთაც მცხეთის გაქალაქება და დედაქალაქად ქცევა გააპირობეს¹¹¹.

აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება მცხეთაში ანტიკური ქალაქის წარმოშობაზე, ჩვენ, არსებულ შეხედულებათა შორის, ყველაზე უფრო დასაბუთებულად და მისაღებად გვეჩვენება¹¹². მცხეთის რაიონში მოპოვებული არქეოლოგიური მასალებისა და ტოპონიმიკური ფაქტების ერთი რიგი საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ საქალაქო ცხოვრების ჩასახვა-განვითარების პროცესის ძირითად მომენტებს და განვსაზღვროთ „დიდი მცხეთის“ (დედაქალაქის) ძირითად უბანთა წარმოქმნის დრო და დედაქალაქის შემადგენლობაში გაერთიანების ხასიათი. გზადაგზა საშუალება გვეძლევა ქართული წერილობითი წყაროების ზოგიერთი ცნობის ღირსებად შევაფასოთ და ამ ცნობათა გაჩენის მოტივებზეც მივუთითოთ¹¹³.

ტერიტორია, რომელზედაც ანტიკური ხანის „ქალაქი დიდი

¹⁰⁹ ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, გვ. 403.

¹¹⁰ იქვე, გვ. 171, შენიშვნა 8.

¹¹¹ იქვე, გვ. 173—178. შტრ. ს. ჟანაშია, შრომები, I, გვ. 263—265.

¹¹² შტრ. დ. ხახუტაიშვილი, ქართული მონათმფლობელური ქალაქის წარმოქმნა... გვ. 190—191.

¹¹³ უახლეს ისტორიოგრაფიაში, როგორც ჩვენ გვეჩვენება, შეინიშნება ერთგვარი გადაქარბებული ნდობა შუა საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროებისადმი ისეთი კონკრეტული საკითხის შესწავლისასაც კი, როგორცაა უძველესი ქალაქების წარმოქმნის დრო და ვითარება.

მცხეთა და უბანნი მისნი“ არის გაშლილი, ადრე ბრინჯაოს ხანიდან ჩანს ათვისებული. მასალები შედარებით მრავლდება შუა ბრინჯაოს ხანისათვის (სამთავრო-მცხეთა, ნარეკვაი, მუხრან-ციხისძირის გორასაცხოვრისები?). გვიან ბრინჯაოს ხანასა და, განსაკუთრებით, ადრერკინის ხანაში საცხოვრისთა რიცხვი მრავლდება. ადრერკინის ხანაში შეინიშნება დიდი მცხეთის ტერიტორიის დასახლებათა განვითარების არათანაბრობა. ზოგიერთი სამოსახლო იჩენს გაძლიერება-გამსხვილების ძლიერ ტენდენციას (მცხეთის გორა-საცხოვრისი ნეკროპოლით სამთავროში, ზემო-ავექალა და ა. შ.), ზოგიერთი კი იყინება და კნინდება (გორასაცხოვრისები მუხრან-ციხისძირთან, ნარეკვაის საცხოვრისები, დიღმის გორასაცხოვრისები, ჭადიჯვრის გორასაცხოვრისები და ა. შ.) (როგორც ჩანს, რკინის სამეურნეო ათვისების ადრეულ ეტაპზე იწყება სამოსახლოთა ერთი ჯგუფის გაძლიერება, უპირატესად, სამოსახლოთა მეორე ჯგუფის ხარჯზე. ალბათ, ასე უნდა აიხსნას სამოსახლოთა ერთი ჯგუფის გაძლიერებისა და მეორე ჯგუფის დაქვეითების არქეოლოგიურად დადასტურებული სურათი. გაძლიერება-გაფართოების ტენდენციების მქონე სამოსახლოთა თემების ჯგუფში, ადრერკინის ხანაში, უფრო და უფრო წინაურდებოდა და გამორჩეულ ადგილს იკავდა ის თემი, რომელიც მცხეთის გორასაცხოვრისზე სახლობდა და სამაროვანი სამთავროს ველზე ჰქონდა. ეს ის სამოსახლოა, რომლის შემდგომი განვითარება, ძვ. წ. VI-V სს-ში ქალაქური ტიპის სამოსახლოს წარმოქმნაში პოულობს გამოხატულებას. ამ სამოსახლოს სამაროვანზე 1938—1939 წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მან, როგორც აღვნიშნეთ, აკად. ივ. ჯავახიშვილს საფუძველი მისცა განეცხადებინა: „მცხეთა ბრინჯაორკინის ხანაშიც ქალაქი უნდა ყოფილიყო, ამასთან საკმაოდ დიდი და მჭიდროდ დასახლებული“. აქვე მოპოვებული მასალების საფუძველზე იყო, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილმა დაბეჯითებით მიუთითა მცხეთა გორიდან მცხეთა ქალაქის წარმომავლობის შესახებ. დაბოლოს, ამავე მასალებს ეყრდნობა მკვლევართა ის ჯგუფი, რომელიც მცხეთაში საქალაქო ცხოვრების წარმოქმნას უფრო ადრეულ ხანაში გულისხმობს, ვიდრე მცხეთა დედაქალაქი გახდებოდა. როგორც ჩანს, ადრერკინის ხანაში მცხეთის გორაზე მოსახლე თემი ხდება მომავალი „დიდი მცხეთის“ რაიონის თემთა, მათ შორის სარკინეთის (ნასტაგისის გორა-საცხოვრისი) და სისამორ-წიწამურის თემების ჰეგემონი¹¹⁴.

¹¹⁴ შტრ. О. Д. Лордкипанидзе, Ремесленное производство и торговля в Мцхета в I—III вв. н. э., გვ. 154. მისივე, მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის, გვ. 805—806.

„დიდი მცხეთის“ რაიონის თემთა შორის მცხეთის გორასაცხოვრისზე მოსაძლე თემის უპირატესი მდგომარეობის ანარეკლად შეიძლება და მიგვეჩინა ლეონტი მროველთან დატული ცნობა, რომ მეფობამდელი ხანის ქართლოსიანთა შორის „არავინ იყო უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილითი-ადგილად თავადნი იჩინიან, ხოლო ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვის ყოველთა მათ სხუათა ზედა. და არცა სახელ-ედებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ, და იგი იყვის მახვებელ და ბჳე სხუათა ქართლოსიანთა. არამეთ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთაჲ, და უწოდდეს დედაქალაქად“¹¹⁵.

ძვ. წ. VI—V საუკუნეში მცხეთა, როგორც ჩანს, იბერული ქალაქური ტიპის დასახლებაა, რომელსაც მცხეთის რაიონის სხვა დასახლებათა შორის განვითარების უკეთესი პირობები გააჩნდა. სწორედ მცხეთა და არა არმაზი-ქართლი უნდა ყოფილიყო იბერიის სამეფოს პირველი დედაქალაქი და სამეფო რეზიდენცია, რადგან, ჯერ ერთი, როდესაც მცხეთის სამეფო წარმოიქმნა, ქართლ-არმაზში არათუ ციხე, არამედ არც რაიმე მნიშვნელოვანი დასახლება არსებობდა¹¹⁶. სამაგიეროდ, მართალია, ამ ხანის მცხეთის გორასაცხოვრისი, როგორც ჩანს, „ზენა სოფლის“ უპირველესი სამოსახლო არ ყოფილა, მაგრამ მცხეთის რაიონის დასახლებათა შორის მას აშკარად წამყვანი ადგილი ჰქონებია. ვერავინ დაამტკიცებს, თითქოს ჯერ იბერიის სამეფო რეზიდენცია აეშენებინათ, ხოლო შემდეგ სამეფოს შექმნისათვის ბრძოლები დაეწყოთ. უფრო ბუნებრივი იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ როცა ქართლის სამეფოს შექმნისათვის ხანგრძლივი ბრძოლა ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულსა და III საუკუნის დამდეგს წარმატებით დამთავრდა, ახალშექმნილი სამეფოს დედაქალაქად შეირჩა მცხეთა („ძუელი მცხეთა“), რომელმაც, ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, იბერიის პირველი სამეფო დინასტია მისცა. არქეოლოგიური მონაცემები ნათლად მიუთითებენ, რომ ახალწარმოქმნილ იბერთა სამეფოს დედაქალაქად „უდაბნონი“ კი არ შეურჩევიათ, არამედ მსხვილი, ქალაქური ტიპის დასახლება, რომლის გამაგრებული ნაწილი მცხეთის გორაზე (ბარბალეს სახ. ეკლესიის მიდამოები) ყოფილა გაშლილი. სწორედ ეს დასახლება, როგორც აღვნიშნეთ, უნდა იყოს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „ძუელი მცხეთა“ და ქართლის მეფის უძველესი რეზიდენცია. სწორედ აქ უნდა მჯდარიყო იბერიის მეფე, როცა ახალ სამეფო

¹¹⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 11.

¹¹⁶ ა. აფაქიძე, მცხეთა, ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, გვ. 65—66.

რეზიდენციას აწენებდა ქართლის ქედზე. მეფის რეზიდენცია მცხეთის გორაზე მართლაც არ შეიძლებოდა დარჩენილიყო, რადგან მეფე ახლა ტერიტორიულადაც უნდა გამიჯნოდა იმ კოლექტივს, რომლის წიალიდანაც იგი გამოვიდა: გარდა იმისა, რომ იგი უფლებრივად გაემიჯნა ამ კოლექტივს, უკანასკნელი, კერძოდ, თემური არისტოკრატის გაძლიერებული ნაწილი, მეფის ხელისუფლებაში თემური თავისუფლების საშიშ მტერსაც ხედავდა. ცხადია, ასეთ ვითარებაში გამორიცხული არ იყო ძველი მდგომარეობის აღდგენის ცდები, რაც, ბუნებრივია, ბრძოლის სხვა ხერხებს შორის სამეფო ოჯახის ფიზიკურ მოსპობასაც გულისხმობდა. ამ მხრივ შექანიშნავი ცნობა შემოუნახავს ძველ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციას, რომლის მიხედვით, როგორც კი იბერიის პირველი მეფე ფარნავაზი გარდაიცვალა და მისი ძე საურმაგი გამეფდა, „ზრახვა ყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქუეს: „არა კეთილ არს ჩუენდა. რათამცა ემსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოეკლათ ჩვენ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩვენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ...“¹¹⁷ ახალი პოლიტიკური ინსტიტუტი ანეთ ვითარებაში, პირველ რიგში, ბუნებრივია, სამეფო რეზიდენციის მოწყობაზე იზრუნებდა. მას ახალი, საერთო საქვეყნო კულტიც შეეფერებოდა და ფარნავაზი ქმნის კიდევ მას. იგი ახლა მეფეა და არა „ხუცი დაბისა“. სამეფო რეზიდენციის მცხეთის გორიდან არმაზის ქედზე გადატანაში გარკვეული როლი უნდა ეთამაშნა არმაზის ქედის „უღაბურობასა“ და მისი რელიეფის დიდ მოხერხებულობას თავისი დროისათვის უძლიერესი საფორტიფიკაციო სისტემის შესაქმნელად, აგრეთვე, მარჯვე სტრატეგიულ მდებარეობას. ამ მხრივ მას მეტოქეობას ვერ გაუწევდა წიწამურის (ზადენის) მხარე, რომელიც დასახლებული და მამასადამე, ახალმშენებლობისათვის შეუფერებელი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მცხეთის არქეოლოგიური შესწავლილობა დიდად დაწინაურდა, მაინც იგრძნობა მასალების მწვავე ნაკლებობა როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული საკითხების შესწავლისათვის. ეს განსაკუთრებით შეეხება პერიოდს, რომელიც ძვ. წ. VI—IV საუკუნეებს მოიცავს¹¹⁸. ვიცით, რომ ამ დროის მცხეთა დაწინაურებული, ძლიერი დასახლება იყო, მაგრამ გვაკლია მასალები სწორედ იმ უბნიდან, რომელიც საქალაქო ცხოვრების წარმოქმნასთან ყველაზე უფრო ჩანს დაკავშირებული. გვაკლია მასალები სწო-

¹¹⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 36.

¹¹⁸ რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, II, 1959, გვ. 8—9.

რედ მცხეთის გორიდან, რომელიც სამთავროს სამაროვნის მასალე-
ბისა და გორანამოსახლარის დამცველი, ხელოვნური თხრილის მი-
ხედვით ამ რაიონის ყველაზე ძლიერი და ძველი დასახლება ჩანს.

გორასამოსახლოს გამაგრებული ნაწილიდან სამეფო რეზიდენ-
ციის არმაზისციხეში გადატანის შემდეგ, მცხეთის მნიშვნელობა არ
დაცემულა. იგი, როგორც ჩანს, ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში
ერთ-ერთ წამყვან უბანს წარმოადგენდა, ხოლო გვიანანტიკურ ხა-
ნაში ისევ სამეფო რეზიდენციად იქცა („მოქცევაჲ ქართლისაჲ“,
წმ. ნინოს ცხოვრება, ლეონტი მროველი, მოსე ხორენელი?)

ამგვარად, ქალაქი მცხეთა მცხეთის გორასაცხოვრისის გაძლიერ-
ებისა და მის გარშემო მცხეთის მიდამოების სხვა თემების ტერი-
ტორიული თუ უფლებრივი გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა.
ძვ. წ. VI-V საუკუნეებში იგი ქალაქური ტიპის დასახლებაა, რომე-
ლიც ამ დროს ქსან-არაგვის ორმდინარეთის ყველაზე ძლიერ და
განვითარებად დასახლებას წარმოადგენდა. ძვ. წ. III საუკუნის
დამდეგს მცხეთა ახალგაფორმებულ იბერთა სამეფოს დედაქალაქი
ხდება, სამეფო რეზიდენციით მცხეთის¹¹⁹ გორაზე. როგორც ჩანს, მა-
შინვე იწყება და მთავრდება სამეფოს ახალი რეზიდენციის მშენებ-
ლობა ქართლის ქედზე.

„დიდი მცხეთის“ ისტორიული ტოპოგრაფიის შესწავლისას
მკვლევართა ყურადღება მიქცეული ჰქონდა მცხეთისა და სისამო-
რა-წიწამურის ურთიერთობის საკითხს. ეს ინტერესი განსაკუთრე-
ბით იმით იყო გამოწვეული, რომ სტრაბონი ანტიკური „დიდი
მცხეთის“ ტერიტორიაზე ორ გამაგრებულ ქალაქს უთითებდა: ჰარ-
მოზიკესა და სისამორას¹¹⁹. როგორც აკად. ს. ჯანაშია ფიქრობდა,
სტრაბონთან ერთი ქალაქის ორი ნაწილი უნდა იყოს აღწერილი¹²⁰,
ხოლო ა. აფაქიძემ უახლესი არქეოლოგიური მასალებისა და წე-
რილობითი წყაროების მონაცემთა მიხედვით დეტალურად და და-
მაჯერებლად უჩვენა, რომ სისამორა-წიწამური „დიდი მცხეთის“
ერთ-ერთი ძირითადი უბანი იყო¹²¹. 1963 წ. გამოქვეყნებულ წერილ-

¹¹⁹ სტრაბონი, XI, 3, 5.

¹²⁰ ს. ჯანაშია, საქართველოს ძველი დედაქალაქი, ვახ. „კომუნისტი“,
1945, № 19.

¹²¹ ა. აფაქიძე, ანტიკური წყაროების *Σεσάμορα* — წიწამური,
გვ. 119—140.

ში ა. ბოლტუნოვა ისევ დაუბრუნდა ამ საკითხს და შეეცადა ეჩვენებინა, რომ სისამორა-წიწამური დამოუკიდებელ ქალაქს წარმოადგენდა და არა „დიდი მცხეთის“ უბანს. ამასთან მან მიუთითა, რომ მისი დასკვნის საწინააღმდეგო ცნობა, თითქოს, არც ანტიკურ და არც შუა საუკუნეების წყაროებში ყოფილიყოს დაცული¹²². სამწუხაროდ, მკვლევარს უყურადღებოდ დარჩა ქართული წერილობითი წყაროების მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც კრიტიკულად დადგინდა უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების დროს (ა. აფაქიძე). კერძოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოგვითხრობს, რომ „მეფობდა ფარნაჯობ და აღმართა კერპი ზადენ მთასა ზედა და აღაშენა ციხე“¹²³. წმინდა ნინოს ცხოვრების უძველეს ვარიანტში დაცულია კონკრეტული ცნობა ზადენის ადგილმდებარეობის შესახებ: „...წარმოიქცეოდეს ორნი ესე მთანი, არმაზ და ზადენ... და დააყენნეს ორთავე წყალნი იგი. და მტკუარმან გარდამოხეთქა და წარმოჰქონდა საშინელად ქალაქი... ეგრევე არაგვი გარდამოქდა ციხესა ზემოთ და იქმნებოდეს საშინელნი გრგვინანი“¹²⁴. იოანე ზედაზნელის (-ზედაზადენელის) ცხოვრება მნიშვნელოვნად ავსებს იმ ცნობებს, რომელთა საფუძველზე საშუალება გვაძლევს განვსაზღვროთ, თუ სად უნდა ვეძებოთ ზადენის ციხე და ზადენის ტაძარი. დღეისათვის ასეთი ძიებაც ჩატარებულია და სისამორ-წიწამურ-ზადენის იგივეობაც საკმაოდ უდავოდ არის დამტკიცებული¹²⁵. აქ მხოლოდ იმისი განმეორება გვინდოდა, რომ შუა საუკუნეების ქართული წყაროები იხსენიებენ სისამორა-წიწამურს, მაგრამ მას ზადენის სახელით იცნობენ და მცხეთის ერთ-ერთ ციხედ მიიჩნევენ (სტრაბონის ცნობის ღირსება, ჩვენი აზრით, უფრო იმაშია, რომ მას ამ 2000 წლის წინ ფიქსირებული აქვს ტოპონიმი „წიწამური“ („სისამორა“), რაც საშუალებას გვაძლევს მივუთითოთ, რომ „დიდი მცხეთის“ ამ უბნის უძველესი სახელი „წიწამური“ (თუ „წიწამორი“) ყოფილა. ეს სახელი მას იმ დროსაც უტარებია, როცა აქ ცენტრალურ ხელისუფლებას ციხე აუშენებია, წარმართული კერპი აღუმართავს და სახელად „ზადენი“ დაურქმევია. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სტრაბონის ხანაზე გაცილებით ადრე, ამ უბანს ადგილობრივ მოსახლეობაში „ზადენის“ პარალელურად ძველი სახელითაც („წიწამორი“) იხსენიებდნენ და უპირატესობაააც უკანასკნელს აძლევ-

¹²² А. И. Болтунова, Античные города Грузии и Армении, გვ. 166.

¹²³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 82.

¹²⁴ იქვე, გვ. 139.

¹²⁵ ა. აფაქიძე, ანტიკური ავტორების..., გვ. 119—140. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 285—288.

დნენ. როგორც ჩანს, სტრაბონის ცნობის წყარო სწორედ ადგილობრივი, იბერული წრიდანაა გამოსული. ზადენის არსებობის დოკუმენტური მოწმობაა ადრე შუა საუკუნეებიდან მომდინარე, ლიტერატურულად დამოწმებული და დღემდე თავშემონახული ტოპონიმი „ზედაზადენი“—„ზედაზენი“, მაგრამ ასევე ბრწყინვალე დოკუმენტური მოწმობა აქვს „წიწამორა“—„წიწამურსაც“ (სტრაბონის „სისამორა“ და თანამედროვე ტოპონიმი „წიწამური“).

სისამორა-წიწამურ-ზადენის „დიდი მცხეთის“ უბნად მიჩნევის სასარგებლოდ ის ფაქტიც უნდა მიუთითებდეს, რომ მცხეთისა და ზადენის ზღუდეები, ბებრის ციხესთან მხოლოდ არაგვით იყო გაყოფილი და ფაქტიურად ერთიანი სასიმაგრო სისტემის ნაწილებს შეადგენდნენ (ა. აფაქიძე). ერთი ზღუდის შიგნით კი ორი დამოუკიდებელი ქალაქის არსებობაზე ლაპარაკი მთლად მოხერხებული არ იქნებოდა. ამიტომ, მიუხედავად ბერძენი გეოგრაფის დიდი ავტორიტეტისა, მკვლევართა უმრავლესობას (აკად. ს. ჭანაშია, ა. აფაქიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი და სხვ.) მიაჩნია, რომ პარმონიკე და სისამორა-ზადენი „დიდი მცხეთის“ უბნები იყო და არა დამოუკიდებელი ქალაქები თუ ციხე-ქალაქები.

უფლისციხის შესწავლის ახალი, მესამე პერიოდი, როგორც აღვნიშნეთ 1957 წლის შემდეგ დგება¹²⁶, როცა წყაროების ფონდში, თანდათანობით წამყვან ადგილს იკავებს არქეოლოგიური კვლევები შედეგად მოპოვებული მასალა. მოთხოვნილება კი ამგვარ მასალაზე იმდენად დიდი იყო, რომ იგი აღმოჩენისთანავე შედიოდა მიმოქცევაში და არაერთი საყურადღებო მოსაზრების წამოყენებისა თუ დასაბუთების ამოსავალი ხდებოდა¹²⁷.

¹²⁶ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 5—15.

¹²⁷ დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის უფლისციხე ახალმოპოვებული მასალების სინათლეზე. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии. გვ. 16, 271, 313, 428—429, 439—440. ა. აფაქიძე, მცხეთა—ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, გვ. 77—79. А. М. Апакидзе, Об итогах новых археологических раскопок в Грузии, გვ. 4. დ. ხახუტაიშვილი, მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის საკითხისათვის, გვ. 332—333. Никто Чубинашвили, Уплис-цихе, Тбилиси, 1961. დ. ხახუტაიშვილი, ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის. პისივე, უფლისციხე, I. პისივე, კლდეში ნაკვეთი ქალაქი.

გ. მელიქიშვილმა ჯერ კიდევ 1954 წელს მიუთითა, რომ შიდა ქართლის („ზენა სოფლის“) უძველესი ცენტრი მცხეთა კი არ უნდა ყოფილიყო, როგორც ეს ლეონტი მროველს ჰქონდა წარმოდგენილი, არამედ უფლისციხე¹²⁸. 1959 წ., უკვე ახალი არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით, მკვლევარი კვლავ უბრუნდება უფლისციხის უძველესი ისტორიის საკითხებს და გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებებს, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ უფლისციხის რაიონის ძეგლების (გორისციხე, უფლისციხე, კასპი და მიმდებარე უბნები) არქეოლოგიური შესწავლის დაგეგმვისათვისაც. ეხება რა კასპის უძველეს ისტორიას, გ. მელიქიშვილი ყურადღებას აქცევს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობას, რომელშიაც უფლისციხე კასპი ქალაქის ციხედაა მითითებული, აგრეთვე, იმავე ძეგლის ჩვენებას, რომ „მეფობდა არსუკ, რომელმან კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო“¹²⁹. ამ და რიგ სხვა მონაცემთა ურთიერთმეჭვრების საფუძველზე მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნია დაუშვას, რომ: 1. „დიდი მცხეთის“ მსგავსად, შესაძლებელია არსებულებულიყო „დიდი კასპი“—დასახლებათა კომპლექსი, რომელიც ითვლიდა გორისციხეს. უფლისციხეს, კასპსა და მიმდებარე რაიონებს. 2. აღრეფეოდანურ ხანაში, როცა კასპი, როგორც ქალაქი, წყვეტს არსებობას და წვრილ სასოფლო დასახლებებად ნაწევრდება, უფლისციხის რაიონიდან სახელ „უფლისციხის“ მიერ გამოდევნილი სახელი „კასპი“, ე. წ. „დიდი კასპის“ ერთ-ერთ დასახლებას ან ციხეს მიემავრა, რომელიც იმ დროსაც თანამედროვე კასპის ადგილას უნდა არსებულებულიყო. ამასთან დაკავშირებით მკვლევარი ყურადღებას აქცევს წმ. ნინოს ცხოვრებაში დაცულ ცნობას, სადაც მირიან მეფის დროისათ-

128 გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 128—129. 1954 წელს დ. გვრიტიშვილმა მიუთითა, რომ უფლისციხის ის ნაწილები, რომლებიც შედარებით უყურადღებოდ არის ნაგები და პერიფერიაზეა განლაგებული, უძველესი უნდა იყოსო. ამასთან, მკვლევარი უფლისციხეში სამ სამშენებლო პერიოდს გამოყოფს: უძველესი, ახ. წ. პირველი საუკუნეების და X—XIII საუკუნეებისა. ამთგან, როგორც იგი ფიქრობს, ყველაზე ძლიერია ახ. წ. პირველი საუკუნეების სამშენებლო ფენა. დ. გვრიტიშვილი უფლისციხის წარმოშობის საკითხსაც შეეხო და მიუთითა, რომ იგი, პირველ ყოვლისა, „ქვეყნის თავდაცვის საჭიროებამ წარმოშვა, ხოლო გვიან, მას შემდეგ, რაც საქართველოს გაერთიანება დამთავრდა, უფლისციხემ რამდენადაც იგი სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი იყო, დაკარგა მნიშვნელობა და პირველობა გორს დაუთმო (დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორია, თბილისი, 1954, გვ. 12—14).

129 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 61—82.

ვის მოხსენიებულია საში დიდი ციხე: ასპი, კასპი, უფლისციხე¹³⁰ და ფიქრობს, რომ „ასპში“ და „კასპში“ შეიძლება ის ციხეები ჩაგვეთვალა, რომლებიც თანამედროვე კასპსა და გორში მდებარეობდნენ. ამგვარ დაშვებას, როგორც იგი ფიქრობს, მხარს უჭერს ნივთიერი კულტურის ძეგლები როგორც გორიდან, ისე კასპიდან, ვ. „უფლისციხე“=მეფის ციხეს¹³¹.

1961 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ნ. ჩუბინაშვილი სპეციალურად შეჩერდა უფლისციხის ისტორიის რიგ საკითხებზე და 1957—1959 წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების, წერილობითი წყაროებისა და მიწისზედა ნივთიერი ძეგლების საფუძველზე გამოთქვა საყურადღებო მოსაზრებები¹³².

უფლისციხეს მკვლევარი აღრემონათმფლობელური ხანის ციხე-ქალაქად მიიჩნევს¹³³, რომელიც უმნიშვნელოვანესი გზების შესაყარზე იდგა. იგი მოკლედ ეხება ქალაქის მეურნეობას, გზებისა და ტრანსპორტის, ისტორიული ტოპოგრაფიისა და ქრონოლოგიის, გეგმარების, არქიტექტურისა და მშენებლობის ხელოვნების საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ წიგნში არაერთი სადავო და დასაზუსტებელი დებულება თუ ნაჩქარევი დასკვნაა წარმოდგენილი. იგი, თავისი დროისათვის, უფლისციხეზე არსებული ღარიბი ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენი იყო და დიდად განსხვავდებოდა წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებისაგან.

1958 წელს მიუთითეთ, რომ უფლისციხე, როგორც ქალაქური ცხოვრების ცენტრი, ამ რაიონის მსხვილ სამოსახლოთა შერჩევანევიტარების შედეგია. იქვე მითითებული გვექონდა, რომ უკვე ძვ. წ. VI-V სს-ში უფლისციხე ქალაქური ტიპის სამოსახლო იყო¹³⁴. განვილილ პერიოდში უფლისციხის უძველესი ისტორიის წყაროების ფონდი, იქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად. მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც შესაძლებელი გახადა უფრო ფართოდ დაგვესვა და შედარებით დეტალურად შეგვესწავლა არა მარტო ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების წარმოქმნის, არამედ ქალაქის ისტორიის რიგი საყურადღებო საკითხები.

¹³⁰ იქვე, გვ. 135.

¹³¹ Г. А. Мелликушвили, К истории древней Грузии, გვ. 439—440.

¹³² Нико Чубинашвили, Уплис-цихе, გვ. 3—19.

¹³³ აქ იგი, როგორც ჩანს, იშვარებს 1958 წელს ჩემს მიერ უფლისციხის რაობის განსაზღვრაში დაშვებულ შეცდომას (იხ. დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის უფლისციხე... გვ. 369), როცა ქართულ წერილობით წყაროებს, სათანადო საფუძვლის უქონლად, მივაწერე ისეთი რამ, რაზედაც იქ არ იყო საუბარი.

¹³⁴ დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის უფლისციხე..., გვ. 370.

1957—1965 წლებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა კვლევადებამ გვიჩვენა, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულამდე, უფლისციხის რაიონში, ჯერ კიდევ არ იყო ათვისებული ის ტერიტორია, სადაც შემდეგში ადრეკლასობრივი ხანის უფლისციხის ცენტრალური ნაწილი გაფორმდა. ამ დროს (გვიანი ბრინჯაოს ადრეული საფეხური) უფლისციხის მიდამოებში მოსახლეობდა თემი, რომელიც ყათნალიხევის გორასაცხოვრისზე იჯდა. ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს მას გამოეყოფა თემის დიდი ნაწილი, რომელიც ტოვებს გორასაცხოვრისს, მდინარის მარცხენა სანაპიროზე სახლდება და ქმნის ცალკე საცხოვრისებს. ძველი გორასაცხოვრისი გორასამლოცველოდ გადაიქცა, სადაც, შესაძლებელია, საცხოვრებლად დარჩა დედა-თემის ის ნაწილი, რომელიც ხატის მსახურებას ეწეოდა და, მაშასადამე, გორასამლოცველოსთან პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდა¹³⁵. ეს მოვლენა, როგორც ჩანს, უკავშირდება დედა-თემის მოსახლეობის რიცხვობრივ ზრდას, რომელიც ფიზიკურადაც ვეღარ თავსდება თავდაპირველი საცხოვრისის ტერიტორიაზე. მაგრამ ამ ფაქტს ზედ ემატება თემური არისტოკრატის გაფორმების პროცესი, რომელშიც ეკონომიური აღმავლობა და სიმდიდრის დაგროვება, დაფუძნებული რიგითი თანამეთემეების თუ დაქვემდებარებული თემების აშკარა თუ შენიღბულ ექსპლოატაციასზე, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა.

ყათნალიხევის გორასაცხოვრისის თანადროულად ნადარბაზევის ტბის მიდამოებში და ტირიფონის ველზე ცხოვრობდა სხვა თემები, რომლებიც, ასევე, გორასაცხოვრისებზე იხსდნენ. მათ შორის ერთი, საკმაოდ მსხვილი დასახლება გუდაბერტყიაზე („ციხისგორაზე“) იყო განლაგებული და, როგორც ჩანს, ტირიფონის ველისა და მტკვრის სანაპიროს შესაბამისი მონაკვეთის თემთა შორის დედა-თემის მდგომარეობით სარგებლობდა. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ უფლისციხე-ყათნალიხევის გორასაცხოვრისზე მჭდომი თემი გუდაბერტყიას თემის გამონაყოფიც იყოს. ამისი მოწმობაა, ერთი მხრივ. ის ფაქტი, რომ გუდაბერტყიას გორანამოსახლარი შეიცავდა უფრო ადრეულ ფენებს¹³⁶, ვიდრე ყათნალიხევი და, მეორე მხრივ, ის, რომ გეოგრაფიულადაც ერთმანეთის მახლობლად მდებარეობდნენ. ცხადია. კვერნაქის ქედის ჩრდილო და სამხრეთი ფერდობები მეჭუღა-რეხულას ორმდინარეთში გუდაბერტყიასა და

¹³⁵ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I. გვ. 49—50. მისივე კლდეში ნაკვეთი ქალაქი, გვ. 65—66.

¹³⁶ ს. ნადიშაშვილი, გუდაბერტყა-ციხისგორა, ეურნ. „ლიახვი“, 1963 წ.

ყათნალიხევის გორასაცხოვრისებით არ იფარგლებოდა. ასეთები იყო, მაგალითად, კასპის გორასაცხოვრისები¹³⁷, აშურიანის გორასაცხოვრისი და ა. შ.

ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულსავე იწყება უფლისციხის კლდეში ნაკვეთი გორასაცხოვრისის გაფორმება. ამისი მოწმობაა კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარის გათხრების დროს მოპოვებული მასალები, კერძოდ კერამიკა, რომელიც ზუსტად იმეორებს ყათნალიხევის გორასამლოცველოს მასალებს¹³⁸. კლდეში ნაკვეთი სამოსახლოს თემი ყათნალიხევის გორასაცხოვრისიდან გამონაყოფი ჩანს, რომელიც, როგორც გეგონია, სხვა გამონაყოფთა შორის ეკონომიურადაც უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო და შემადგენლობითაც უფრო მრავალრიცხოვანი. ამისი მოწმობა უნდა იყოს კლდეების ათვისებთან სიძნელე და შრომატევადობა. ასეთი ამოცანის შესრულება, რკინის სამეურნეო ათვისების საწყის სტადიაზე, ეკონომიურადაც წელღონიერ და რიცხობრივადაც ძლიერ კოლექტივს თუ მოუხერხდებოდა. იმის გამო, რომ კლდეში ნაკვეთი სამოსახლოს გარეგნული სახე და ნაწილობრივ გეგმარებაც ადრეანტიკურსა და ელინისტურ ხანაში ძლიერ ცვლილებას განიცდის, წინაანტიკური ხანის კლდის დარბაზების გამოყოფა ძნელდება, რასაც ემატება სინქრონული მასალების ფრაგმენტულობა. ეს გარემოება, ჯერჯერობით, საშუალებას არ იძლევა წარმოვიდგინოთ კლდის სამოსახლოზე მჭდარი თემის განვითარების კონკრეტული მხარეები, მაგრამ განვითარების საერთო სურათის წარმოდგენა, ზოგჯერ დეტალებშიც კი, შესაძლებელი ხდება უფლისციხის რაიონში მოპოვებული სხვა მასალებისა და მათ საფუძველზე აღდგენილი სურათის მიხედვით. კერძოდ, დადგინდა, რომ ძვ. წ. X-VI საუკუნეებში (და მომდევნო ხანაშიაც) მტკვრის ნაპირას განლაგებული საცხოვრისები (დაბები) განაგრძობდნენ არ-

¹³⁷ მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, IV, 1965, გვ. 59.

¹³⁸ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 52—54. 1964 წ. ერთ-ერთი სამეურნეო კომპლექსის გათხრის დროს გამოვლენილი იქნა ე. წ. სოლები: შემკული კერამიკა, რომელიც ასე დამახასიათებელია ყათნალიხევის II ფენისათვის და ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულით თარიღდება. აღნიშნული თარიღის სისწორე დადასტურა რადიო-ნახშირბადის მეთოდით შემოწმებამაც, რაც ჩატარებული იქნა თსუ ლაბორატორიაში. იხ. А. А. Бурчуладзе, Р. З. Джиджян, Г. И. Тогоидзе, Определение активности радиоуглерода пропорциональным счетчиком и его применение для датирования некоторых археологических образцов, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მზამბე“, ტ. XLI, 1, 1966, გვ. 58—59.

სებობას (ბამბები, ყათნალიხევი, ლალანთხევი და ა. შ.) და აღმავლობის გზით მილიან, მაგრამ ამ პერიოდის ადრეულ მონაკვეთზე, კერძოდ ძვ. წ. IX-VIII სს-ში, ხდება ერთი შეხედვით გაუგებარი მოვლენა: ყათნალიხევის გორასამლოცველო (წარმართული ტაძარი) დაუნდობელი სისასტიკით განადგურდა და მის შემდეგ ფერფლიდან აღარც აღმდგარა, მიუხედავად იმისა, რომ ის თემები, რომელთა სამლოცველოსაც იგი წარმოადგენდა, განაგრძობდნენ არსებობას და შემდგომ განვითარებას¹³⁹. ამისი მიზეზი, როგორც სხვაგან აღვნიშნეთ, არც მტრის უეცარ თარეშს უკავშირდება, არც რელიგიურ სფეროში მომხდარ ცვლილებებს, არც რაიმე ეპიდემიას ან სტიქიურ უბედურებას თუ მოსახლეობის ამოწყვეტას¹⁴⁰. ყველა მონაცემი იმის სასარგებლოდ მიუთითებს, რომ ყათნალიხევის გორასამლოცველო (წარმართული ტაძარი) გაანადგურა უფლისციხის რაიონის ერთ-ერთმა თემმა, რომელსაც თავისი სამლოცველო ჰქონდა და ყათნალიხევის გორასამლოცველოს განადგურების შემდეგ იმაზედაც ზრუნავდა, რომ განადგურებული ხატის აღდგენა არ დაეშვა. ამასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ უფლისციხე წარმართული იბერიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რელიგიური ცენტრი ჩანს და მისი ხსოვნა ქრისტიანობის ხანაშიც საკმაოდ კარგად ყოფილა დაცული¹⁴¹. ვითვალისწინებთ რა განვითარების შემდგომ სურათს, ვფიქრობთ, რომ ყათნალიხევის გორასამლოცველი გაანადგურა იმ თემმა, რომელიც კლდე სამოსახლოში იჯდა. ამ აქტის უკან, ვფიქრობთ, უნდა ჩანდეს ჰეგემონობისათვის ბრძოლის ხანგრძლივი პროცესის ფინალი, რომელიც კლდე სამოსახლოს თემსა და უფლისციხის მიდამოების სხვა თემებს შორის ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში გაშლილა. როგორც სხვა ადგილას მიუთითეთ, წარმართულ სალოცავში წარმოდგენილი ღვთაებანი და კულტები განსასახიერებდნენ იმ თემების წარმატება-გამრავლება-კეთილდღეობის სხვადასხვა მხარეებს, რომელთაც მოცემული სალოცავი ეკუთვნოდა¹⁴². ამდენად, სალოცავის მოშლა მოწინააღმდეგეზე მორალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების უძლიერესი აქტი უნდა ყოფილიყო, რომელიც, მეორე მხრივ, ცხადყოფდა გამარჯვებული თემის სალოცავის (ღვთაებათა და კულტთა) სიძლიერესა და საიმედობას. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ყათნალიხევის გორასამლოცველო, თავდაპირველად, დედა-თემიდან გამონაყოფ თემთა, მათ შორის კლდეში ნაკვეთ გორასაცხოვრების თე-

¹³⁹ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 49—50.

¹⁴⁰ დ. ხახუტაიშვილი, კლდეში ნაკვეთი ქალაქი, გვ. 65—67.

¹⁴¹ იქვე, გვ. 66—67.

¹⁴² დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 16—44.

მის, საერთო სალოცავი იყო. შემდგომში, როცა ურთიერთობა გა-
წვავდა, კლდეში ნაკვეთი სამოსახლოს თემს უნდა შეექმნა საკუთა-
რი სალოცავი, რომელიც მისთვის ჰეგემონობისათვის ბრძოლის იდე-
ოლოგიური იარაღიც იქნებოდა. ბრძოლა, როგორც აღვნიშნეთ,
მტკვრის პირას მოსახლე თემების დამარცხებითა და ყათნალიხევის
გორასამლოცველს განადგურებით დამთავრებულა. მორალური
დაცვის ზღუდეები დაცემულა. კლდეში ნაკვეთი თემი უფლისცი-
ხის რაიონის ერთადერთი ჰეგემონი გახდა, ხოლო მისი სალოცავი—
ერთადერთი რელიგიური ცენტრი.

როგორც აღვნიშნეთ, მასალების სიმცირის გამო ძნელდება თვა-
ლი მივაღვენოთ კლდეში მოსახლე თემის განვითარების დეტალსა,
მაგრამ დადგინდა, რომ ძვ. წ. VI—V საუკუნისათვის უფლისციხის
გორასამოსახლო მსხვილ, ქალაქური ტიპის დასახლებას წარმოადგენ-
და, რომლის გავლენა საკმაოდ შორს ვრცელდებოდა. კერძოდ,
კლდეში ნაკვეთი დასახლება ამ დროისათვის ითვლის რამდენიმე
გრანდიოზულ კომპლექსს, რომელიც შემდგომში შიდა ქალაქის ცენ-
ტრალურ უბნად არის წარმოდგენილი. მათ მიეთვლება ყველა კომ-
პლექსი, რომელთა ჰერი ხის კონსტრუქციის მიბაძვითაა გაფორმე-
ბული და აღნაგობით მეტ-ნაკლებად წააგავს ე. წ. „თამარის დარ-
ბაზა“ (ორსვეტიანი კომპლექსი)¹⁴³. დღეისათვის ვიცით, რომ ეს კომ-
პლექსები ძვ. წ. VI—V სს. არსებობდა და ზოგიერთი მათგან-
ი ძვ. წ. V—IV სს-ში, რომელიდაც კატასტროფის შედეგად.
მიუვალიც კი გახდა. სამწუხაროდ, არ ხერხდება მათი გაფორმების
(ამოკვეთის) თარიღის მითითება. იგივე შეიძლებოდა გვეთქვა
კლდესამოსახლოს თხრილის მიმართაც. ამდენად, ძვ. წ. VI—V საუ-
კუნეებში მაინც, უფლისციხის კლდეში ნაკვეთ გორასაცხოვრისს,
რომელიც ძვ. წ. VIII საუკუნიდან მაინც უფლისციხის რაიონის თემ-
თა ჰეგემონად გვევლინება, ქალაქური ტიპის, მსხვილი დასახლების
სახე მიუღია, რომელსაც მტკვრის მიდევნებით განლაგებული არა-
ერთი გაუმაგრებელი დასახლება ექვემდებარება. სწორედ ამ დროს,
ე. ი. ძვ. წ. VI—V სს-ში, როგორც ჩანს, იგი იქცევა „ზენა სოფლის“
(შიდა ქართლის) „პოლიტიკურ (და რელიგიურ?) ცენტრად“, რო-
მელიც თავის გავლენას შორს ავრცელებს, როგორც მტკვრის მარ-
ცხენა, ისე მარჯვენა სანაპიროზე. ყოველ შემთხვევაში, თითქოს ისე
ჩანს, რომ ამ დროის გორისა და კასპის რაიონები იქ მოსახლე თე-
მებით უფლისციხის გავლენის სფეროში შედიან.

ზემომოყვანილი მოსაზრების მოწმობავე უნდა იყოს სახელი
„უფლისციხე“, რომელიც, როგორც ვფიქრობთ, სწორედ ამ ხანის

¹⁴³ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 60—62.

შენაძენია. ქართულ ტოპონიმეკას, როგორც ცნობილია, შემოუნახავს ადგილთა არაერთი სახელი, რომელთა სიძველე დოკუმენტურად შეიძლება დადასტურდეს (წიწამური, ზადენი, არმაზი, მცხეთა, ძალისი, ჰარაპაძონი, ბიჭვინთა, ციხე-დიდი, ნასტაკისი და ა. შ.) მათ შორას ერთ-ერთ, ყველაზე ძველ ტოპონიმად გამოიყურება „უფლისციხე“.

ა. აფაქიძემ გამოთქვა მეტად საყურადღებო და, ჩვენი აზრით, საკმაოდ დასაბუთებული მოსაზრება, რომ ტერმინი „ციხე“ უძველეს ზოგად სახელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა არა ციხე-სიმაგრეს, არამედ გამაგრებულ დასახლებას. დასაბუთებისათვის მის მიერ მოტანილ ტერმინთაგან, კონკრეტულ შემთხვევაში, ყურადღებას იქცევს გვიანობამდე შემორჩენილი ტერმინი—„ციხისციხე“¹⁴⁴, რომელიც, ასევე, უძველესი ზოგადი სახელი ჩანს და აღნიშნავს ძველი დასახლების („ციხის“) გამაგრებულ ნაწილს („ციხეს“). ეს ტერმინი, მართლაც, იმ ხანაში ჩანს შემუშავებული, როდესაც ქალაქური დასახლების აღმნიშვნელი გვიანი სახელი—„ქალაქი“—ჯერ კიდევ არ არის გავრცელებული, ე. ი. სათანადო ტერმინი („ქალაქის ციხე“), ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული. ა. აფაქიძე ფიქრობს და, ჩვენი აზრით, საკმაო საფუძვლიანადაც, რომ „ტერმინ „ქალაქის“ შემოსვლამ, როგორც ჩანს, ვერ განდევნა ადგილობრივი ტერმინი „ციხე“, ალბათ, იმიტომაც, რომ „ციხე“ და „ქალაქი“ არსებითად ერთგვარი დასახლების აღმნიშვნელი ტერმინები იყო იმ ხანებში“. ეს პერიოდი კი, მკვლევარის აზრით, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანაა, როდესაც ფორმდება პირველი ქალაქური ტიპის სამოსახლოები და მათი შიდა ციხეები (დედა ციხეები)¹⁴⁵.

გარკვეული დასახლებისადმი სახელ „უფლისციხის“ მიცემა (მიკუთვნება) იმისი მოწმობა ჩანს, რომ იქ უფალი, უზენაესი გამგებელი, თუ მეფე იჯდა. იბერიის სამეფოს გაფორმებისა და დედაქალაქის მცხეთაში დაწესების შემდეგ, რაც, როგორც ფიქრობენ, ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულსა და III საუკუნის დამდეგს მოხდა,

¹⁴⁴ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 160—161. შტრ. III. А. М е с х и а. Города и городский строй феодальной Грузии, გვ. 24.

¹⁴⁵ ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 160—161. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ე ი ლ ი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, გვ. 387, 408—410. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ რ, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, გვ. 237, 238. „შოვიდა დავით და დაიპყრა ციხის ციხე იგი სიონისა. ესე არს ქალაქი დავითისი“ (II შეფეთა, 5, 7. ოშკის სახარება, საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი, № 51).

მეფისა თუ უფლის ციხეს (და ქალაქს) მცხეთა წარმოადგენდა. ამის შემდეგ, იბერიის ისტორიაში არ გვევლება პერიოდი, როცა შესაძლებელი იქნებოდა დაგვეშვა, რომ სხვა პუნქტს, გარდა მცხეთა-არმაზისა, მიეცემოდა სახელი „უფლისციხე“. ამასთან, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, რასაც მხარს უჭერს წერილობითი ტრადიციაც, იბერიის სახელმწიფოს გაფორმების მომენტისათვის უფლისციხე „ზენა სოფლის“ ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი ქალაქი იყო, რომელსაც არ შეეფერებოდა სახელი ციხე. უფლისციხე ამ პუნქტს არ შეიძლებოდა დარქმეოდა შუა საუკუნეებშიც. ყოველ შემთხვევაში. ახ. წ. VI საუკუნისათვის უფლისციხე დოკუმენტურად არის დადასტურებული („მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა). ამ დროს კი, იბერთა დედაქალაქი უკვე თბილისია. მართალია, VIII-XI საუკუნეებში უფლისციხე შიდა ქართლის ფაქტიურ პოლიტიკურ ცენტრად და მეფეთა რეზიდენციად გვევლინება, მაგრამ იგი ამ დროს უკვე ატარებს მითითებულ სახელს. რამდენადაც უფლისციხე ამ პუნქტს შეიძლებოდა შერქმეოდა მხოლოდ მცხეთის გადღედაქალაქებამდე, ე. ი. ადრეელისისტურ ხანამდე, როცა ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა არსებულებით გვიანდელი შინაარსის ციხე, ბუნებრივია ვიფიქროთ და მივიღოთ ა. აფაქიძის შეხედულება, რომ ქალაქური ტიპის დასახლებების უძველესი ქართული ზოგადი სახელია „ციხე“, რისი მოწმობაც ჩანს „უფლისციხე“. აკად. ნ. ბერძენიშვილი, გორანამოსახლარების შესწავლასთან დაკავშირებით მიუთითებდა: „ეს გორაები, რა თქმა უნდა, შემდეგ ყველა არ ქცეულა საკულტო ადგილად. ზოგი მათგანი დედაციხედ იქცა, ზოგს გვარის მეთაური, შემდეგ, „უფალი“ დაეპატრონა („უფლისციხე“). ზოგი ფეოდალის ადგილსამყოფელი გახდა და ზედ ციხე წამოიქიმა, ზოგი დიდი ხნით მიტოვებული დღემდე ვერანად რჩება“¹⁴⁶. უფლისციხე, როგორც აღნიშნული იყო, ყველა მონაცემის მიხედვით, „ზენა სოფლის“ უძველესი ცენტრი იყო (გ. მელიქიშვილი), სადაც, როგორც ჩანს, „ზენა სოფლის“ „მეუფის“ საჯდომიც იგულისხმება. მართლაც, ძვ. წ. VI-V საუკუნეებისათვის, როგორც არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებს, შიდა ქართლის ტერიტორიაზე არ ჩანს ძეგლი, რომელიც უფლისციხეს შეედრებოდა; თუ ერთმანეთს შევუდარებთ უფლისციხის შიდა ქალაქის ცენტრალურ უბანში განლაგებულ გრანდიოზულ, მდიდრულად გამართულ დარბაზებს, რომლებიც ძვ. წ. VI-V საუკუნისათვის უკვე გაფორმებული არიან, ამავე პერიოდის სადა, მარტივ, დაბალქერიან, კლდეში ნაქ-

¹⁴⁶ ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, გვ. 387—388.

ვეთ სათავსოებს, რომლებიც უფლისციხის შიდა ქალაქის განაპირა უბნებზე მდებარეობენ და ხოვლეს ნამოსახლარის სინქრონულ საცხოვრებელ ნაგებობებს, საფუძველი მოგვეცემა ვიფიქროთ, რომ ამ ხანის უფლისციხეში მკდომ ხელისუფალს ბევრი არაფერი უნდა ჰქონოდა საერთო „დაბის ხუცთანა“ თუ თემის მამასახლისთან. ძვ. წ. VI—V საუკუნეების უფლისციხის კლდეში ნაკვეთი დარბაზების შედარება თუნდაც ადრეელინისტური ხანის მცხეთისა თუ სხვა ძეგლების საერო თუ სარიტუალო ნაგებობებთან ბევრს არაფერს ამბობს უკანასკნელთა სასარგებლოდ. უფლისციხის კლდეში ნაკვეთ დარბაზებს რომ ესწავლობთ, სამუალება გვეძლევა რეალურად წარმოვიდგინოთ ის საზოგადოება, რომელსაც საქეგურის, ყანჩაეთის, წინწყაროს, ვანის სამარხები ეკუთვნოდა. ყანჩაეთი და საქეგური „ზენა სოფლის“ განაპირა რაიონია, მაგრამ იქაც კი, სოციალური დიფერენციაციის პროცესი საკმაოდ შორს არის წასული. ამისი მოწმობაა საქეგურის ღარიბული სამარხები და წინწყაროს მიდამოების აქემენიდური ხანის რიგითი სამარხები. ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „ზენა სოფლის“ (და საერთოდ იბერიის) ცენტრალურ რაიონებში სოციალური განფენების პროცესი უფრო შორს უნდა ყოფილიყო წასული. ამ ტერიტორიის ერთ ყველაზე დაწინაურებულ რაიონს კი უფლისციხე მითვლიდა.

რალაც ცნობა თუ გადმოცემა უფლისციხის სიძველეზე, მის უხუცესობაზე, მცხეთასთან შედარებით, ადრე შუა საუკუნეების ქართლში ჭერ კიდევ ყოფილა შემონახული. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულს ქართლში არსებულა ოთხი ქალაქი და მათი ციხეები. უფლისციხე იქ კასპი ქალაქის ციხედაა მოხსენებული. VII საუკუნეზე გაცილებით ადრე, ტერმინ „ციხეს“ უკვე მიღებული აქვს თავისი გვიანდელი მნიშვნელობა (ციხე-სიმაგრე) და, ბუნებრივია, ამ ხანის ავტორი უფლისციხეს ქალაქთა რიცხვში ვერ შეიტანდა. საამისოდ მას მეორე მიზეზიც ჰქონდა: VII საუკუნის უფლისციხე უკვე, მართლაც, ციხის მდგომარეობამდე იყო ჩამოქვეითებული და ამ დროისათვის როგორც სახელი (უფლისციხე), ისე რეალური ვითარება სრულ თანხმობაში ჩანდა.

ძვ. წ. IV საუკუნეში უფლისციხე სავსებით ჩამოყალიბებული, მეურნეობრივად აყვავებულ ქალაქად გვევლინება. გრანდიოზული შიდა ქალაქი და ფართო გარე ქალაქი, მდიდარი და ვრცელი სასოფლო-სამეურნეო რაიონი, დასახლებული ხალხმრავალი დაბებითა და აგარაკებით, შესანიშნავად გამართული სამიმოსვლო გზები, გრანდიოზული, თავისი დროისათვის მიუვალი გამაგრების სისტემა, დაწინაურებული ხელოსნობა და საერთოდ სასაქონლო წარ-

მოება, მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია საქალაქო თემის შიგნით. ერთი მხრივ, და საქალაქო თემსა და დაბათა თემებს შორის, მეორე მხრივ, და ა. შ. ქმნიან გარკვეულ სურათს, რომელიც ადრეელინისტური ხანის (ძვ. წ. IV—III სს.) უფლისციხეს გვიჩვენებდა.

ამგვარად, ძვ. წ. VI—V საუკუნეები იბერიის, კერძოდ „ზენა სოფლის“, სიანმდელიეში ქალაქური ტიპის დასახლებათა პერიოდია. თუმცა მათ ჯერ კიდევ არ მიუღიათ ელინისტური ხანის ქალაქების სახე, მაგრამ თავის განვითარებაში შორს გასცილდნენ წინარე ხანის მსხვილ, დაბურ დასახლებებს. „ზენა სოფლის“ ამ პერიოდის ქალაქურ დასახლებათა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა უფლისციხე, რომელიც წინასახელმწიფოებრიობის ხანის მსხვილი გაერთიანების ცენტრი უნდა ყოფილიყო და ყველაზე ადრე უნდა შეეძინა ქალაქის ნიშნები.

ჩვენი აზრით. ამ პერიოდის უფლისციხე და „ზენა სოფელი“ თამამად შეიძლება შევუდაროთ კოროხის ბასილიკაში არსებულ, ქსენოფონტეს მიერ აღწერილ, შკვითინების დიდ გაერთიანებასა და მის დედაქალაქს (ანაბაზისი, IV, 7, 18—27). დასავლურ-ქართულ ამ გაერთიანებას ჰყავდა თავისი მმართველი და ჰქონდა დედაქალაქი, რომელიც ქსენოფონტესთან „დიდ, მდიდარ და ხალხმრავალ ქალაქად“ არის მოხსენიებული. როგორც ქსენოფონტეს ცნობებიდან ჩანს, გაერთიანება-ჰეგემონობისათვის ბრძოლა შკვითინებში ჯერ კიდევ არ იყო მომთავრებული (ანაბაზისი, IV, 7, 27), მაგრამ პირველყოფილი თემური წყობა იქ აშკარად დარღვეულია. კოროხის ბასილიკა დაწინაურებული რაიონების გაერთიანებათა მმართველები, როგორც ფიქრობენ, ამ დროისათვის თემურ-ვეაროვნული ბელადები კი არ იყვნენ, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ხასიათს ატარებდნენ¹⁴⁷. იბერიის მოსახლეობაში, ამ დროს, შეინიშნება საზოგადოების მკვეთრი ქონებრივი უთანასწორობა და სიმდიდრის კონცენტრაცია არისტოკრატიული ზედაფენის ხელში, რისი დასტურიცაა, ერთი მხრივ, საძეგურის, ყანჩაეთის, წინწყაროს (კოლხეთიდან: ვანის) მდიდრული სამარხები¹⁴⁸, ხოლო, მეორე მხრივ, უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ქალაქური ტიპის დასახლება, აგრეთვე, ხოვლეს მრავალფეროვანი მასალა.

¹⁴⁷ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 81, 258—265. ლიტერატურა იქვე. შდრ. М. И. Максимова, Античные города Юго-восточного Причерноморья, М.-Л, 1956, გვ. 129.

¹⁴⁸ Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 270. შდრ., ი. გაგოშვიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, გვ. 81—82.

იბერიის ქალაქური ტიპის დასახლებანი, ძვ. წ. IV—III საუკუნეებში იღებენ ელინისტური ხანის ქალაქის სახეს და ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკური ცენტრები ხდებიან. ელინისტური ხანისა და მომდევნო პერიოდის იბერული ქალაქი ფაქტიურად განააზღვრავდა სოციალურად მრავალწყობიანი ქვეყნის სახეს, სადაც ყველაზე უკეთ და სრულად ჩანს ადრეკლასობრივი საზოგადოების ბუნება და აღნაგობა¹⁴⁹.

ანტიკური ხანის ქართული ქალაქი, როგორც აღნიშნული გვექონდა, პირველ ყოვლისა, გარკვეული რაიონის ეკონომიური ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. ქალაქს ჰქონდა დაბეზითა და აგარაკებით დასახლებული სასოფლო-სამეურნეო ოლქი. მაგრამ, ამავე დროს, იგი უფრო ვრცელი რაიონის — „ქვეყნის“ — საეპქრო სახელოსნო და საერთოდ სამეურნეო ცხოვრების მარეგულირებელი ცენტრა იყო.

საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი განვითარების შედეგად, ახალი ქალაქებისა თუ ქალაქური ტიპის დასახლებათა წარმოქმნის კვალდაკვალ „ქალაქის ქვეყანა“ იკვეცებოდა და მას „ახალ-ქალაქთა ქვეყნები“ გამოეყოფოდა, თუმცა, ზოგჯერ, განვითარების ადრეულ საფეხურზე, ოდინდელი ცენტრი, ტრადიციისა თუ თანადროული მოვლენების ზეგავლენით, კვლავ ინარჩუნებდა წამყვან როლს: ჯავახეთიდან მომავალი ნინო ურბნისს გაჩერდა და აი, „დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმრავლითა მით ქალაქით წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რომელი იყო საჯდომელი დიდთა მეფეთა...“, ვაჭრობად და ლოცვად არმაზ ღმრთისა მათისა, ხოლო მე წარვჰყევ მათ თანა და მივიწიენით ქალაქად მცხეთად“¹⁵⁰.

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ანტიკური ხანის „უფლისციხის ქვეყანა“ მოიცავდა საკმაოდ ვრცელ რაიონს მდ. მტკვრის ორივე მხარეზე, ლიახვ-ტანასა და ლეხურა-თეძმის ორმდინარეთთა შორის. სამხრეთით იგი თრიალეთის ქედს ებჯინებოდა, ხოლო ჩრდილოეთით — კავკასიონის ქედის სამხრეთით კალთების შესაბამისი მონაკვეთის მთისა და მთიწინა ზოლს. ალბათ არ

¹⁴⁹ გ. მელქიშვილი, ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობის საკითხი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების „მაცნე“, 1966 წ., № 1, გვ. 85-90.

¹⁵⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 118.

შევცდებით, თუ აღენიშნავთ, რომ ძვ. წ. VI—IV სს-ის იმპორტული შავლაკიანი ქურკლები, რომელთა ფრაგმენტები ხოვლეს, ავლევისა და რუსთავის (დმანის წყლის ხეობა) ნამოსახლარებზე იყო მოპოვებული, შიდა ქართლის მითითებულ გორასაცხოვრისთა და დასახლებათა ტერიტორიაზე მტკვრისპირა ქალაქების, უფრო კი, უფლისციხის ბაზრის მეშვეობით მოხვდა. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ იმპორტულ ნაწარმზე, რომელიც შიდა ქართლის არაქალაქურ სამოსახლოთა ნეკროპოლებში თუ ნასახლარებზე არის მოპოვებული¹⁵¹.

ადრეელისტიურ ხანაში უფლისციხის მახლობლად კიდევ ორი მნიშვნელოვანი პუნქტი ჩანს — გორისციხე და კასპი. სამწუხაროდ, როგორც გორი, ისე კასპი არქეოლოგიურად სუსტადაა შესწავლილი, რაც, უმრავლეს შემთხვევაში, იძულებულს გვხდის მათზე მხოლოდ მიხვედრებითა და ვარაუდებით ვისაუბროთ. რაც შეეხება შუა საუკუნეების წერილობითი წყაროების ცნობებს კასპი ქალაქის სიძველეზე, ჩვენი აზრით, სანამ მათი სანდოობა არქეოლოგიურად არ შემოწმებულა, თავი უნდა შევიკავოთ გამოყენებისაგან¹⁵². ასეთ სიტუზიზლეს გვიყარნახებს რუსთავის მაგალითი, რომელიც წერილობითი წყაროების მიხედვით, იბერიის უძველეს ქალაქად იყო მიჩნეული¹⁵³, ხოლო არქეოლოგიური კვლევა-ძიების მონაცემებით მისი გაქალაქება ახ. წ. IV—VI საუკუნეებს დაუკავშირდა (გ. ლომთათიძე, 1964—1965 წწ. გათხრები). მაშასადამე, ქალაქი რუსთავი მას შემდეგ წარმოქმნილა, რაც „თრდატ მეფემან რუხსთავისა რუჲ გამოიღო და ეკლესიისა საფუძველი დადვა, ... და ნეკრესს კახეთისასა ეკლესია აღაშენა განსრულებით“¹⁵⁴. აკად. ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ რუსთავი ქალაქი იმდენადვე

¹⁵¹ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 71.

¹⁵² როგორც ჩანს, „მოკტევაჲ ქართლისას“ ავტორს ჰქონდა რალაჲ მონაცემი უფლისციხე-კასპის ურთიერთობის შესახებ. იქნებ ეს ცნობა შეიცავდა მინიშნებას უფლისციხე-კასპის ერთიანობაზე, მაგრამ არაფერს ამბობდა ურთიერთ დაქვემდებარების თაობაზე. ჩვენ ვიცით მემატიაინის შეხედულება, რომ ძველ ქალაქს ჰქონდა ციხე; მასვე გააჩნია მონაცემი, რომ შიდა ქართლის გარკვეულ რაიონში, ლიახესა და ლეხურას შორის არსებობდა ორი პუნქტი, რომლებიც ერთიან ქალაქს ქმნიდნენ. მემატიაინის წინაშე დამდგარ ლოგიკურ კითხვაზე, თუ რომელი პუნქტი იყო ციხე და რომელი იყო ქალაქი, მას ასევე, საესებით ბუნებრივად უნდა ეპასუხნა: „ქალაქი იყო კასპი, რადგან მეორე პუნქტი ციხეს წარმოადგენდა“ (უფლისციხე).

¹⁵³ Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, გვ. 16, 19—20. ლევან კილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბილისი, 1958, გვ. 43, 52.

¹⁵⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 91.

ქველია, რამდენადაც რუსთავის არხი¹⁵⁵, ხოლო რამდენადაც რუსთავი IV—V სს-ში ჩანს გაქალაქებული, ჩვენ საფუძველი არა გვაქვს უარყოთ წერილობითი წყაროს ცნობა რუსთავის. არხის თრიალტ მეფის დროს (IV საუკუნე) გატანის თაობაზე და ვენდოთ ლეონტი მროველის ცნობას რუსთავ ქალაქის უძველესობაზე¹⁵⁶.

წერილობითი წყაროები არაფერს ამბობენ ანტიკური ხანის გორის შესახებ, მაგრამ, როგორც შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით შეიძლება მსჯელობა, ადრეელინისტური ხანიდან გორი ქალაქური ტიპის დასახლება უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ჩანს გ. მელიქიშვილის ვარაუდი, რომ ანტიკური ხანის გორი, უფლისციხე და კასპი ქმნიდნენ ქალაქური დასახლების ერთიან კომპლექსს. მსგავსად „დიდი მცხეთისა“¹⁵⁷. უკანასკნელი კი, როგორც ეს ა. აფაქიძემ მოუთითა, „ერთი, მტკიცედ შეკრული ქალაქი არ იყო განვითარება იმ საფეხურზედაც კი, როდესაც ის ქართლის სამეფოს სატახტო ქალაქად იქცა. „დიდი მცხეთა“ წარმოადგენდა კომპლექსს, რომელიც ცალკეული დასახლებებისაგან, მათი გაერთიანების შედეგად შეიქმნა“¹⁵⁸.

„უფლისციხის ქვეყნის“ მიმოხილვასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ადრეელინისტურ ხანაში, როცა უფლისციხის ეკონომიური როლი და გავლენა იზრდება. საბოლოოდ წყვეტს არსებობას ხოვლეს სამოსახლო და მისი სახელოსნო უბანი. ბუნებრივია, დაქვეითების გზაზე მდგარი სამოსახლოს სუსტ ხელოსნურ წარმოებას კონკურენცია ვერ უნდა გაეწია ქალაქურ ხელოსნურ-სასაქონლო წარმოებისთვის. ხოვლელი ხელოსნები, უნდა ვიფიქროთ, ქალაქების სახელოსნო უბნებს შეეხიზნენ. ხოლო მიწათმოქმედმა მოსახლეობამ ახალი დასახლება შექმნა ხევხმელას შეყოლებაზე, რომელიც ელინისტურსა და გვიანანტიკურ ხანაშიც განაგრძობდა არსებობას, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვეულებრივი, რიგითი დაბის სახით, რომელსაც არც გამაგრება ჰქონდა და არც სახელოსნო უბანი. დაბის მცხოვრებთა დაცვის ფუნქციას ახლა სახელმწიფო კისრულობდა, ხოლო ხელოსნური ნაწარმი შე-

¹⁵⁵ ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, გვ. 144 და შმდ.

¹⁵⁶ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 439, 452—454.

¹⁵⁷ იქვე, გვ. 439—440, შენიშვნა 201.

¹⁵⁸ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 182, 220.

ძენა და ქარბი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის გასაღება მათ უფლისციხის, გორის, კასპისა თუ მცხეთის ბაზრებზე შეეძლოთ. როგორც არქეოლოგიური მასალები გვიჩვენებს, ელინისტურ ხანაში მტკიცდება და რეგულარული ხდება იბერიის სასოფლო რაიონების ტრადიციული ეკონომიური კავშირები მტკვრისპირა ზოლის საქალაქო ცენტრებთან.

გორისციხისა და კასპის წარმოქმნის შემდეგ, „უფლისციხის ქვეყანა“ ე. ი. ის რაიონი, რომლის მოსახლეობასაც უფლისციხე ემსახურებოდა და ექსპლუატაციას უწევდა, უნდა შემცირებულიყო. ლახვის ხეობა, როგორც ჩანს, თანდათანობით გორს უნდა დაკავშირებოდა, ხოლო ლეხურას ხეობა -- კასპს. უკანასკნელის გავლენის სფეროში უნდა ვაგულისხმოთ თემისა და ნაწილობრივ, კავთურას ხეობებიც. „უფლისციხის ქვეყანა“ ამას შემდეგ მეჭუდა-ლეხურას ხეობებს შორის მდებარე ზოლით (ტერიფონის ველი) და ხევზმელა-ტანას დინებით (ხოვლე-ყარაღაჩისა და დოეს-ქვახერელის ველი) უნდა შემოფარგულებულიყო. მიუხედავად ამისა, უფლისციხე წამყვან როლს ინარჩუნებდა ანტიკურობის მთელ სიგრძეზე, ხოლო გვიან, XII საუკუნემდე მაინც, იგი დღემდე მწვენილოვან სტრატეგიულ პუნქტად ითვლებოდა, თუმცა ოდინდელი ეკონომიური სიძლიერე და გავლენა აღარ შეენიშნებოდა¹⁵⁹.

უფლისციხე-კასპი-გორის „ქვეყანა“ აღმოსავლეთით „დიდი მცხეთის“ „ქვეყანას“ ემიჯნებოდა, ხოლო დასავლეთით — „ურბნისის ქვეყანას“. ცხადია, სავსებით ბუნებრივია ერთი „ქვეყნის“ მოსახლეობის მიერ მეორე „ქვეყნის“ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრის მონახულება, რაც წერილობით წყაროებშიც ჩანს არეკლილი¹⁶⁰.

ცხადია, თავისი „ქვეყანა“ გააჩნდა იბერია-კოლხეთის ყველა ქალაქს, მაგრამ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე „ქვეყნის“ მოცულობა და შინაარსი იცვლებოდა — ფართოვდებოდა ან მცირდებოდა. „მცხეთის ქვეყანა“. მაგალითად, ადრეელინისტურსა და გვიანანტიკურ ხანაში, როცა მცხეთა დიდი ქალაქი („დიდი მცხეთა“) იყო, ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა და მიითვლიდა: ქსან-ნარეკვავ-არაგვის დინებას, ივრის ხეობის ზემო წელს (კუხეთისა და კახეთის ჩრდილოეთი და ცენტრალური რაიონები), კავთურადიღმის ორმდინარეთსა და მიმდებარე რაიონს. ეს ის ტერიტორიაა, რომლის მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტისა და საოჯახო ხელოსნური ნაწარმის ნამატს, ძირითადად მცხეთის

¹⁵⁹ დ. ხახუტაიშვილი, კლდეში ნაკვეთი ქალაქი, გვ. 103 და შმდ.

¹⁶⁰ ლევან ქილაშვილი, საქალაქარი ურბნისი, გვ. 147.

ბაზარზე ეზიდებოდა და ქალაქურ ხელოსნურ ნაწარმზე გადაცვლიდა. მაგრამ მცხეთა, როგორც წერილობითი წყაროების, ისე არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, არა მარტო დედაქალაქი იყო, არამედ იბერიის წამყვანი საბაზრო ადგილი და ხელოსნურ-სასაქონლო წარმოების ცენტრი. თავისი უძლიერესი სახელოსნო ბაზით მცხეთა შორს ავრცელებდა თავის გავლენას და ახალ-ახალ რაიონებს ითრევედა სასაქონლო ურთიერთობისა და სამეურნეო საქმიანობის ორომტრიალში.

გვიანანტიკური ხანის მიწურულს, როცა დაიწყო თბილისის, რუსთავის, უჯარმისა და ქალეთის დაწინაურება, მცხეთის ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა კლებულობს და შესაბამისად მცხეთის ქვეყნის ფარგლებიც მცირდება¹⁶¹.

ქალაქის ქვეყნის განვითარების მსგავსავე სურათი დასტურდება კოლხიდა-ლაზიკის სინამდვილეშიც. საილუსტრაციოდ გამოდგებოდა, მაგალითად, როგორც „ვანის ქვეყანა“, ისე ქობულეთ-ფიჭვნარის, ბიჭვინტის, დიოსკურიის, გვიენოსის, ფაზისის, დაბლაგომის თუ სხვათა „ქვეყნები“. სამწუხაროდ, კოლხეთის ქალაქების ისტორიული გეოგრაფია, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, სუსტად არის შესწავლილი, რაც ბუნებრივია, საშუალებას არ იძლევა დაწვრილებით განვსაზღვროთ ცალკეულ ქალაქთა „ქვეყნები“ და მათი მეურნეობრივი სახე წარმოვიდგინოთ. ისტორიულ-გეოგრაფიულად უკეთ შესწავლილ კოლხურ ქალაქთა რიცხვში შეიძლება მიგვეთითებინა ქობულეთ-ფიჭვნარის კომპლექსი, რომლის ისტორიულ-გეოგრაფიულმა დაზვერვებმა და არქეოლოგიურმა კვლევამ-ძიებამ კოლხური საზოგადოების უძველესი ისტორიის არაერთი საყურადღებო საკითხის დასმამდე მიგვოყვანა.

ძვ. წ. VI—II სს-ში „ქობულეთის ქვეყანა“ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, რომელიც ჩრდილოეთით სუფსა-გუბაზოულს ებჯინებოდა, სამხრეთით — მდ. ჭოროხს, აღმოსავლეთით — გურია-აქარის ქედს, ხოლო დასავლეთით — შავ ზღვას. მოცემულ ტერიტორიაზე, გარდა ქობულეთის ქალაქისა, წარმოდგენილი იყო რამდენიმე მსხვილი, ზღვისპირა დასახლება, რომელთაც, როგორც ჩანს, ემპორიების ხასიათიც ჰქონდათ. ასეთები უნდა ყოფილიყო

¹⁶¹ შეხედულება, რომ ანტიკური მცხეთის როლი შუა საუკუნეების ქართლში თბილისმა იკისრა, მისაღებია, მხოლოდ იმ შენიშვნით, რომ თბილისმა მიიღო მცხეთის მხოლოდ პოლიტიკური ფუნქციები, ხოლო ეკონომიურად ანტიკური „მცხეთის ქვეყანა“ გაინაწილეს აღრეფეოდალური ხანის სხვა ქალაქებმაც (უჯარმა, ქალეთი და ა. შ.)

„ბათუმის ციხე“ სამხრეთში¹⁶² და ურეკის დასახლება ჩრდილოეთში¹⁶³. „ქობულეთის ქვეყნის“ თვითეულ ამ დასახლებას ჰქონდა თავისი „ქვეყანა“, რომელსაც იგი ემსახურებოდა, მაგრამ ძირითად სავაჭრო-სახელოსნო ცენტრად და სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ძირითად მომხმარებლად ისევ ქობულეთ-ფიჭვნარი და მისი სახელოსნო უბნები რჩებოდა¹⁶⁴.

გვიანელინისტურ ხანაში (ძვ. წ. II საუკუნის მიწურული?), „ქობულეთის ქვეყანაში“, კერძოდ მის სამხრეთ რაიონში, მდინარე ჭოროხის შესართავთან, წარმოიქმნება ქალაქური ტიპის დასახლება აფსაროსი¹⁶⁵, რომელიც ბათუმის ემპორიასთან ერთად თავის სფეროში მიითვლის ქვეყანას ჩაქვისწყალსა და მაკრიალს შორის, აგრეთვე, აჭარისწყლისა და მკეხლის (მიჭინიანის) ხევეზის ქვემო რაიონებს. ამავე დროს, როგორც არქეოლოგიური მასალის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, ძვ. წ. II საუკუნიდან იწყება ქობულეთ-ფიჭვნარის დაქვეითება, რაც, როგორც ფიქრობენ, რიკ საგარეო და საშინაო ფაქტორებს უკავშირდება¹⁶⁶. ახ. წ. პირველ საუკუნეებში დაწინაურებას იწყებს ციხისძირი, ძლიერდება აფსაროსი, განაგრძობს არსებობას „ბათუმის ციხე“ და ურეკი, უფრო სუსტდება, თითქმის ქრება ქობულეთ-ფიჭვნარი¹⁶⁷.

ახ. წ. IV—VI სს-ში, ადრეანტიკური და ადრეელინისტური ხანის „ქობულეთის ქვეყნის“ ტერიტორიაზე დასტურდება სამი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი: ვაშნარი, პეტრა (იუსტინიანეპოლისი) და აფსაროსი, მაგრამ, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილმა მიუ-

¹⁶² როგორც არქეოლოგიურმა გათხრებმა (1962—1963 წწ.) გვიჩვენა, ბათუმის ციხის (გორანასახლარის) მოსახლეობა ძვ. წ. VII საუკუნის მიწურულიდან ეცნობა ბერძნულ იმპორტს, VI საუკუნის მეორე ნახევრიდან კი მას რეგულარული ხასიათი მიუღია. იხ. *А. Ю. Кахидзе, К истории городов Восточного Причерноморья в античную эпоху (Кобулетн-Фичвнари), автореферат диссертации, Тбилиси, 1965, გვ. 5—6.*

¹⁶³ *Н. В. Хоштария, Археологическое исследование Уреки, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I, თბ., 1955, გვ. 25—75.*

¹⁶⁴ *დ. ხახუტაიშვილი, კოლხური რკინის მეტალურგიის სათავეებთან, გვ. 55—58.*

¹⁶⁵ *ი. გძელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზეერებები გონიო-აფსაროსში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“, I, გვ. 59—94.*

¹⁶⁶ *А. Ю. Кахидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 28.*

¹⁶⁷ აფსაროსის, „ბათუმის ციხის“, ციხისძირის და ქობულეთ-ფიჭვნარის შესახებ თხრობისას ავტორი, გამოქვეყნებული მასალების გვერდით, იყენებს უახლეს, ჭერ კიდევ გამოუქვეყნებელ მასალებს, რომელთა მოპოვებაში თვითონაც მონაწილეობდა (1960—1965 წლები).

თათა, „ყოველ საზოგადოებას ყოველ დროში თავისი ისტორიული გეოგრაფია ახასიათებს... ყოველ ხანას თავისი ისტორიული გეოგრაფია შეეფერება“¹⁶⁸. ამდენად, ადრეფეოდალური ხანის აფსაროსის, პეტრას, ვაშნარისა თუ სხვა მსგავსი ციხე-ქალაქების „ქვეყანათა“ ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, მოცემულ მოქმედებაში, ჩვენი თხრობის საგანს სცილდება.

საილუსტრაციო მასალის გამრავლება კიდევ შეიძლებოდა როგორც კოლხეთის (დიოსკურია, ბიჭვინტა, ანაკოფია და ა. შ.), ისე იბერიის სინამდვილიდან (შორაპანი, ურბნისი და ა. შ.), მაგრამ აღწერალი ძეგლები, როგორც გვეგონია, უფლებას უნდა გვაძლევდეს ანტიკური ხანის „ქალაქის ქვეყნის“ ზოგადი სახე ამგვარად წარმოვიდგინოთ.

§ 4. იბერიული ქალაქის გარემოწარმოვანი სახე უფლისციხის მაგალითზე და ზოგიერთი სავაჭრო პარალელი

იბერიული ქალაქის გარემოწარმოვანი სახე, როგორც ირკვევა. წინა-კლასობრივი ხანის დასახლებათა განვითარების შედეგადაა ჩამოყალიბებული. ქალაქის გარემოწარმოვანი სახის გაფორმების პროცესი გარკვეულ წარმოდგენას იძლევა თვით იმ საზოგადოების განვითარების ცალკეულ მხარეებზე, რომელსაც მოცემული ქალაქი ეკუთვნოდა. ეს, პირველ ყოვლისა, შეეხება იმ ქალაქებს, რომლებიც ქალაქთწარმოქმნის პროცესში გაფორმდნენ, თუმცა, უკვე არსებული ტრადიციისა და სოციალ-ეკონომიური გარემოს გავლენით, ძირითადად, იგივე კანონზომიერება მოქმედებს ქალაქთშენებლობის პერიოდშიც.

ანტიკური ხანის ქართული ქალაქი თავისი სასოფლო-სამეურნეო ოლქით წარმოდგენდა ანტიკური ხანის ქართული საზოგადოების მიკრომოდელს, მაგრამ უფრო კონცენტრირებულს, უფრო რელიეფურსა და უფრო გაშიშვლებულს. ამ ვითარებაში. ვადა-ქარბებად არ უნდა მოგვეჩვენოს ა. აფაქიძის მითითება, რომ „დიდი მცხეთის ისტორია არსებითად ქართლის სამეფოს ისტორია“¹⁶⁹.

ანტიკური ხანის იბერიული ქალაქი გარემოწარმოვანი სახით შესამჩნევ მსგავსებას იჩენდა სინქრონული ხანის წინა აღმოსავლეთის, განსაკუთრებით კი, ელინისტური ხანის აღმოსავლეთის რიგი რა-

168 ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 348.

169 ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 244.

იონების ქალაქებთან. ამ მსგავსებაში არაფერი ჩანს მოულოდნელ და გაუგებარა: ქალაქის, როგორც დასახლების ტიპის. მორფოლოგია შეიცავს რიგ ნიშნებს, რომლებიც, ეპოქების მიხედვით. ერთი ცივილიზაციის ფარგლებში და უფრო ფართოდაც, საერთო ჩანს.

ანტიკური ხანის ტაბიური აღმოსავლურ-ქართული ქალაქის გარეგნული სახე, დღეისათვის, ყველაზე უკეთ უფლისციხის მაგალითზე შეიძლება შევისწავლოთ. იბერიის იმ ქალაქთაგან. რომლებიც არქეოლოგიურად შედარებით უკეთ არის შესწავლილი. ურბანის ადარ შემოუნახავს მასალები, რომლებიც ამ ქალაქის ადრეული გარეგნული სახის შესწავლის შესაძლებლობას მოგვცემდა¹⁷⁰, ხოლო რაც შეეხება მცხეთას, იგი იბერიის ქალაქთა შორის თავისებურ გამონაკლისს წარმოადგენდა. ჯერ ერთი, „ქართლას (იბერიის) სამეფოს ძველი დედაქალაქი ერთიანად შეკრული, მხოლოდ ერთი მოსახლეობის გაზრდის გზით შექმნილი, ქალაქი არ იყო. ის ცალკეული დასახლებების გაერთიანების გზით ჩამოყალიბებული ქალაქია. ამიტომ ეს დასახლებანი ინარჩუნებენ დიდ ქალაქში თავისებურ მკვეთრად ჩამოყალიბებულ სახეს და ახალ ვითარებაში ყალიბდება დიდი მცხეთის ყოველთვის მნიშვნელოვან უბნებად. უბანი თავისებურ „პატარა ქალაქს“ წარმოადგენდა და გვაგონებდა მის ოდინდელ დამოუკიდებლობას“¹⁷¹. მეორე, მცხეთის „ყოველ უბანს დამახასიათებელი „ხუროთმოძღვრული“ სახე აქვს და შესაფერისი ნაგებობანიც“¹⁷². დაბოლოს, „მცხეთის ცხოვრებაში შემჩნევა რიგი ნიშნები, რომლითაც ის ქართლის სამეფოს სხვა ქალაქებისაგან გამოირჩევა. ასეთ გარეგნულ ნიშნებს შეიძლება მივაკუთვნოთ: ქალაქის სიდიდე, მოსახლეობის მრავალრიცხოვნება და განსაკუთრებული ეთნიკური სიჭრელე; ხელოსნური წარმოების, ვაჭრობა-გაცვლა-გამოცვლის და მეურნეობის შედარებით დიდი (სამეფოს მასშტაბის) თავმოყრა, რასაც სავაჭრო მაგისტრალთა დიდი გზაჯვარედინიც აპრობებდა; ციხე-სიმაგრეთა რთული და ძლიერი სისტემა; სავანეებოდ აშენებული და გამაგრებული შიდა-ციხე; სამეფოს უზენაესი საკულტო ადგილები და თვით სამეფო რეზიდენცია“¹⁷³. ასე რომ, ანტიკური ხანის ტაბიური ქართული ქალაქის გარეგნული სახე „დიდი მცხეთის“ მიხედვით კი

170 ლევან ქილაშვილი, ნაქალაქარი ურბანისი, გვ. 34, 54, 3. ზაქარია, ნაქალაქარი ურბანისი ხუროთმოძღვრება, გვ. 56—57.

171 ა. ა. ჯ. ა. ქ. ი. მ. ქ. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, 1, გვ. 220, 245.

172 ი. ქ. ე. გვ. 245.

173 ი. ქ. ე. გვ. 246.

არ შეისწავლება, არამედ მისი რომელიმე ძირითადი უბნის მიხედვით (წინამურცი, სარკინეთი, მცხეთა-არმაზი). როცა საკითხი ამ კუთხით იქნება დასმული, გამოჩნდება, რომ მცხეთის არქეოლოგიურ შესწავლას, ამ მხრივ, ძალიან ბევრი აკლია. დღეისათვის, მცხეთის ცალკეულ უბანთა გარეგნული სახის შესახებ მხოლოდ ზოგადი სურათი თუ შეიძლება წარმოვადგინოთ: არაფერი ვიცით უბნის ცენტრალური ნაწილის გეგმარებაზე, იქ მოსახლეობის სოციალური ტოპოგრაფიის ცალკეულ მხარეებზე, სასოფლო-სამეურნეო რაიონის დაბათა ტოპოგრაფიაზე, გარეგნულ სახეზე და ა. შ.

აკად. ი. ჯავახიშვილი სინანულით აღნიშნავდა: „საქართველოში არც ერთი ქალაქი არ არის შერჩენილი ნანგრევების სახითაც კი, რომ ქალაქის გეგმისა და მთავარ ნაგებობათა აღდგენა იყოს შესაძლებელი... ერთად-ერთი იმედი ჩვენ გვქონდა დმანისისა, მაგრამ მისმა გათხრამ ვერ გაამართლა იმედი, რამდენადაც ის განადგურებული აღმოჩნდა...“¹⁷⁴.

იმის გამო, რომ ანტიკური ხანის უფლისციხის ცენტრალური ნაწილის თითქმის ყველა ძირითადი ნაგებობა კლდეში იყო ამოკვეთილი (დარბაზები მოედნები, ქუჩები, გზები, კარები, წყალსაწრეტი არხები, გვირაბი, დამცველი თხრილი, საფორტიფიკაციო კედლების საძირკველთა მოედნები, სამეურნეო ნაგებობანი, საწინახლები, მარცვლის შესანახი ხარობები და ა. შ.), თითქმის უცვლელად შემოინახა ქალაქის ამ ნაწილის ტოპოგრაფიული სახე, რაც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ არა მარტო ქალაქის გარეგნულ სახეზე, არამედ ქალაქის ამ ნაწილის სოციალური ტოპოგრაფიის ზოგიერთ მხარეზეც. გარდა ამისა, ქალაქის გარეუბანსა და ერთ-ერთ სასოფლო-სამეურნეო რაიონში (გორსა და უფლისციხეს შორის) გამოვლენილია და არქეოლოგიურად ისწავლება სასოფლო დასახლებები — „დაბები“, რომლებიც, როგორც ჩანს, უფლისციხეს ექვემდებარებოდნენ¹⁷⁵. ასე რომ, ანტიკური ხანის იბერული ქალაქის გარეგნულ სახეზე, ქალაქის ტოპოგრაფიაზე, ჯერჯერობით, ყველაზე სრული და სანდო მასალა უფლისციხეს შემოუნახავს. ამ მხრივ, იბერიისა და კოლხეთის ქალაქებს შორის უფლისციხესთან ბიჰვინტის ნაქალაქარის შედარება თუ შეიძლება, რომელიც, ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით, უკვე 15 წელია, რაც არქეოლოგიურად ისწავლება.

¹⁷⁴ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, გვ. 51.

¹⁷⁵ დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის უფლისციხე... გვ. 371.

ანტიკური ხანის ქართული ქალაქების შესწავლაზე მუშაობის შედეგად უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავდა დასაბუთებული მოსაზრება, რომ ძველქალაქი მიითვლიდა: ციხეს, ქალაქს და გარეუბანს (სასოფლო რაიონს) 176.

ირაკვევა, რომ ქართული ქალაქის მითითებული ელემენტები ერთდროულად და პარალელურად ყალიბდებოდა საუკუნეების სიგრძეზე. ეს პროცესი, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა, ძირითადად ძვ. წ. I ათასწლეულის შუაში მთავრდება, ხოლო აღრეელინისტურ ხანაში (ძვ. წ. IV—III სს.) დასრულებულ სახეს იღებს. ანტიკური ხანის ქალაქის ციხის პროტოტიპს წარმოადგენდა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ამიერკავკასიასა და სამხრეთ ზოლის ბარის დაწინაურებულ რაიონებში დადასტურებული მსხვილ, დაბურ დასახლებათა გამაგრებული ნაწილი, ქალაქისა—დაბური დასახლების ის უბნები, რომელიც გამაგრებული ნაწილის გარშემო გაუმაგრებელ დასახლებებად იყო განლაგებული, აგრეთვე, ხელოსნობის გარკვეულ დარგთან დაკავშირებული უბნები (მეთუნეობა, ლითონის დამუშავება, ოქრომკვდლობა და ა. შ.), ხოლო გარეუბნის პროტოტიპია მსხვილი დაბური დასახლების თემისადმი (უფრო ამ თემის დაწინაურებული ნაწილისადმი) დაქვემდებარებული თემებით („დაბებით“) დასახლებული მიმდებარე რაიონი, აგრეთვე, ხელოსნობის გარკვეულ დარგებში დასაქმებული თემები (მადნის მოპოვება, ლითონის მოპოვება და ა. შ.). ამასთან, ქალაქი, ციხე და გარეუბანი, გეოგრაფიულადაც, ძირითადად, კარგად შეკრული უჯრედიანია. მართალია, შეინიშნება ერთგვარი გადახვევები (სარკინეთი მცხეთისათვის, მეტალურგთა უბანი ჩოლოქის შუა დინებაში, ქობულეთ-ფიქვენარისათვის და ა. შ.), მაგრამ იგი ან წარმოების თავისებურებით აიხსნება, ან ქალაქობამდელი ხანის ვითარებით. ეს უფრო მეტად შეეხება იმ ქალაქებს, რომლებიც ქალაქთწარმოქმნის პროცესში გაფორმდნენ, ხოლო ნაკლებად იმ ქალაქებს, რომლებიც ქალაქთმშენებლობის პერიოდში დაარსდნენ.

უფლისციხის შიდა ქალაქი ანუ ციხე წარმოადგენდა დაქანებული რელიეფის მქონე ქვიშაქვის მასივში ამოკაფულ-გაშენებულ გრანდიოზულ კომპლექსს, რომელიც აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან კლდეში ნაკვეთი თხრილითა და თხრილის მიდევნებით აგებული სასიმაგრო კედლითაა გამაგრებული¹⁷⁷. ციხის დასავლე-

176 ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 245.

177 დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 56—60. ტაბ. XXXVI, XXXVII, 3.

თი და სამხრეთი მხარე ბუნებრივადა დაცული მტკვრის დინების მიერ შექმნილი შვეული კლდოვანი კედლით, რომელიც ადგილადგილ, შედარებით იოლმისადგომ მონაკვეთებზე, ღარებში ჩაშენებული ნაგებობებით ყოფილა გამაგრებული.

შიდა ქალაქს ჰქონია ორი კარი, რომელიც სამხრეთ ნაწილშია დაცული. ერთი წარმოდგენილი ყოფილა, ე. წ. „მწირე კლდეკარით“, ხოლო მეორე, სპეციალური დანიშნულების — კლდეში ნაკვეთი გვირაბით, რომელიც მცირე კლდეკარის ქვეშ გაივლიდა და მტკვარზე ეშვებოდა¹⁷⁸. ერთი შესასვლელი, როგორც ჩანს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გააჩნდა შიდა ქალაქს, რომელიც მას ქალაქს (გარექალაქის) აღმოსავლეთ უბანთან აკავშირებდა. სამწუხაროდ, ამ უბნის გათხრა ჯერჯერობით არ დამთავრებულა და საკითხიც ღიად რჩება. ნ. ჩუბინაშვილი ამ ადგილას თხრილზე გადასასვლელი ხიდის არსებობასაც ვარაუდობს, რომლითაც შიდა ქალაქი ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილს, უფრო კი, აქ არსებულ კლდეში ნაკვეთ სატრანსპორტო გზას უკავშირდებოდა¹⁷⁹.

ყურადღებას იქცევს უფლისციხის შიდა ქალაქის გეგმარება¹⁸⁰. შიდა ქალაქი, მიუხედავად რელიეფის სირთულისა, მაგისტრალური ქუჩით ყოფილა გაყოფილი. მაგისტრალური ქუჩა შიდა ქალაქის ძირითად კართან იწყებოდა და თითქოს, ე. წ. მცირე კლდეკარის გაგრძელებას წარმოადგენდა. იგი ბორბლიანი თუ საქაპანო ტრანსპორტისათვის არ ყოფილა გათვალისწინებული. რაზედაც მიუთითებს როგორც ქუჩის კონფიგურაცია, ისე ზომები. მაგისტრალურ ქუჩას მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა წყალსაწრეტო არხი, რომელიც ქვის ფილებით ყოფილა გადახურული. ჩრდილოეთით, მაგისტრალური ქუჩა მიაღებოდა სამხრეთისაკენ პირმაქცეულ კლდეში ნაკვეთ გრანდიოზულ კომპლექსს, რომელიც ხელის გამოსახულებიან დარბაზსაც მიითვლიდა. აქ, რელიეფის მიხედვით, ერთი გვერდით ქუჩა აღმოსავლეთისაკენ დაბლა ეშვებოდა, ხოლო მეორე, დასავლეთისაკენ მაღლა მიემართებოდა. ეს ორი ქუჩა თითქოსდა ცალკე გამოყოფდა შიდაქალაქის ჩრდილო უბანს, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ აღმავალი ქუჩებით (3 ქუჩა) იყო დასერალი.

¹⁷⁸ დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის უფლისციხე..., გვ. 372—373, მისივე, უფლისციხე, I, გვ. 66—68. ტაბ. XXXIX, 2.

¹⁷⁹ Нико Чубинашвили, Уплис цихе, გვ. 6.

¹⁸⁰ დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის უფლისციხე..., გვ. 371—372, Нико Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 5 და შმდ. დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 66—67.

მაგისტრალურ ქუჩას აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან უერთდებოდა გვერდითი ქუჩები, რომელთა ორივე მხარეს კლდეში ნაკვეთი სათავსოები ან დარბაზები იყო განლაგებული. გვერდითი ქუჩების უმრავლესობა იმდენად ვიწროა, რომ ქვეითად მოსიარულენიც კი თავისუფლად ვერ აუქცევდნენ გვერდს ერთმანეთს. ქუჩების ასეთი აღნაგობა, როგორც ჩანს, იმ მასივის თავისებურებით იყო გაპირობებული, რომელზედაც შიდა ქალაქი იყო განლაგებული. ამასთან, გარკვეული როლი უნდა ეთამაშნა იმ გარემოებას, რომ შიდა ქალაქის ძირითადი გეგმარება წინაელებისტურ ხანაში იყო გაფორმებული, რის გამოც ელინისტური ხანის მშენებლები ძლიერ შეზღუდული ყოფილან. ისინი ცდილან შიდა ქალაქის რეკონსტრუქცია მოეხდინათ და ნაწილობრივ მოუხერხებიათ კიდევ, მაგრამ დაგეგმარების თავისუფლება, ბუნებრივია, მათ აღარა ჰქონდათ. ასე რომ, ელინისტური ხანის უფლისციხის შიდა ქალაქია ძლიერ ვიწრო გვერდითი ქუჩები უფრო წარსულის მემკვიდრეობა იყო (როგორც ეს არაერთ, დიდი წარსულის მქონე თანამედროვე ქალაქსაც შეემჩნევა), ვიდრე ელინისტური ხანის ქართული ქალაქის გეგმარებისათვის დამახასიათებელი მომენტი.

შიდა ქალაქის ცენტრალურ უბანში, მაგისტრალური ქუჩის დასავლეთ მხარეს, განლაგებული იყო გრანდიოზული, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი, რომლის დარბაზთა, სათავსოთა და ეზო-მოედანთა საერთო ფართობი 2000 კვ. მეტრს აღემატებოდა. ამ კომპლექსის ცენტრალურ დარბაზს წარმოადგენდა ორსვეტიანი ნაგებობა, რომელიც ადრე „თამარის დარბაზის“ სახელით იყო ცნობილი. დარბაზი და, უნდა ვიფიქროთ, მთელი კომპლექსიც, როგორც ეს არქეოლოგიური გათხრების პროცესში გარკვეა, ძვ. წ. VI—V სს-ში უკვე არსებულა¹⁸¹. ე. წ. თამარის დარბაზი, არქიტექტურული გაფორმების მხრივაც, უფლისციხის ყველაზე ბრწყინვალე ნაგებობა ჩანს.

სასახლეს ჩრდილოეთიდან, კლდეში ნაკვეთი საერთო ეზოს მეშვეობით, უკავშირდებოდა კლდეში ნაკვეთი სამნავიანი ბაზილიკა, რომლის ფართობი 400 მ² შეადგენდა. ბაზილიკა, როგორც ეს ნ. ჩუბინაშვილმა განსაზღვრა, VI საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ბაზილიკათა ჯგუფში (რკონი, ვერე, ახშანის გორისჯვარი, ბაიხო) შედის¹⁸². მკვლევარი ფიქრობს, რომ სამნავიანი ბაზილიკის

¹⁸¹ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 60—62.

¹⁸² ნიკო ჩუბინაშვილი, სამნავიანი გამოქვაბული ბაზილიკა ძველ ქალაქ უფლისციხეში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. XXIV, № 4, გვ. 507—512. მისივე, Уплисцихе, გვ. 13.

ადგილას VI საუკუნის მეორე ნახევრამდე, შესაძლებელია არსებულიყო უფრო ძველი კლდეში ნაკვეთი კომპლექსი¹⁸³. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სამნავიანი ბაზილიკის გაფორმებამდე აქ არსებულა უფლისციხის წარმართული ტაძარი, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგს ჩანს წარმოქმნილი კლდეში ნაკვეთ გორასაცხოვრისთან ერთად. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონმა მიუთითა, რომ ქრისტიანული ეკლესიები ძველი „ჯვარობის“ („ხატობის“) ადგილებში ბორცვებზეა აგებულიო. მისი აზრით, ეს იყო სავსებით ნიზანსწრაფული პროგრამა, განხორციელებული ქრისტიანული ეკლესიის მესვეურების მიერ წარმართობის ამოსაკვეთად და მისი საყრდენების მოსაშლელად¹⁸⁴. მეორე მხრივ, ჩვენთვის ცნობილია, რომ უფლისციხე წარმართული ქართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რელიგიური ცენტრი იყო, რისი გამოძახილიც გვიანობამდე შემოინახა¹⁸⁵. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ადრექრისტიანული ხანის ბაზილიკა წარმართული ტაძრის ადგილას იქნა გამართული. ბაზილიკის ადგილას უფრო ადრეული კომპლექსის არსებობის მოწმობაა ბაზილიკის გეგმაში დადასტურებული გადახრები, ასიმეტრია და ძველი კომპლექსის აშკარა კვალი სამხრეთ კედელში და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში.

სასახლის კომპლექსივე მიითვლის რამდენიმე სამეურნეო სათავსოს შესაბამისი გამართულობით (კლდეში ნაკვეთი საწნახლები, შარანი, ხორბლის შესანახი ორმოები და ა. შ.). კომპლექსის დასავლეთ ნაწილი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძვ. წ. V—IV საუკუნეებში დაზიანებულა რაღაც კატასტროფის შედეგად (მიწისძვრა?). სასახლე და მისგან დასავლეთით მდებარე კომპლექსი, სადაც კლდეში ნაკვეთი ორი საწნახლის ნაშთებია დადასტურებული, ერთმანეთისაგან გამოყოფილი იყო ვიწრო და ღრმა კლდეში ნაკვეთი ქუჩით, რომელიც აღმოსავლეთისაკენ სამნავიანი ბაზილიკის (წარმართული ტაძრის) ეზოში გამოდის, ხოლო სამხრეთისაკენ სასახლის კომპლექსისაგან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მოედანზე გადის. სასახლის დასავლეთით მდებარე საწნახლებიანი დარბაზი, როგორც ჩანს, წარმართულ ტაძარს უნდა კუთვნიებოდა და არა სასახლეში მჯდომ ხელისუფალს; უკანასკნელს ჰქონდა ცალკე სათავსო, რომელშიც ორი, კლდეში ნაკვეთი საწნახელი იყო განლაგებული.

¹⁸³ Нико Чубинашвили, Уплис цихе, გვ. 13.

¹⁸⁴ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 17.
6. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი... გვ. 387.

¹⁸⁵ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 53—54.

საპახლის კომპლექსის ჩრდილოეთითა და სამხრეთით განლაგებული იყო ცენტრალური უბნის სხვა კომპლექსები, რომლებიც ზომების სიდიდით, მოხერხებული განლაგებით, აგებულებითი სირთულითა და მაღალმშატერული არქიტექტურული გაფორმებით გამოირჩეოდნენ. ასეთივე კომპლექსები ცენტრალურ უბანში განლაგებული იყო მაგისტრალური ქუჩის აღმოსავლეთ მხარესაც. ერთერთ მათგანზე, როგორც ჩანს, დააშენეს IX—X სს-ის სამეკლესიანი ბაზილიკა¹⁸⁶.

უფლისციხის შიდა ქალაქში ნ. ჩუბინაშვილი სამ ძირითად უბანს ხედავს: სამხრეთი უბანი — სავაქრო-სახელოსნო ზონა, ცენტრალური, ყველაზე დიდი უბანი, რომელიც საზოგადოებრივ და საცხოვრებელ კომპლექსებს უჭირავს და ჩრდილოეთის უბანი, რომელიც სამხედრო-სამეურნეო დანიშნულებისა იყო¹⁸⁷. ამთვან, მკვლევარმა სწორად განსაზღვრა ცენტრალური უბნის ხასიათი. იქ განლაგებული კომპლექსები, მართლაც, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულებისაა, მაგრამ იმ შენიშვნით, რომ იგი იყო არა საერთოდ საცხოვრებელი, არამედ ქალაქის არისტოკრატიული ნაწილის ზედა ფენის წარმომადგენელთა საცხოვრებელი კომპლექსები. რაც შეეხება მითითებას შიდა ქალაქის ჩრდილო უბნის სამხედრო-სამეურნეო დანიშნულებაზე, იგი არ გამოიყურება მთლად დამაჯერებლად. ჯერ ერთი, არ არსებობს რაიმე მონაცემი, რომ აქ სამხედრო-სამეურნეო დანიშნულების უბანი ვიგულისხმოთ. პირიქით, იგი ყველაზე საიმედოდ დაცული და მყუდრო ნაწილი ჩანს. მეორე, შიდა ქალაქის კარები წარმოდგენილია სამხრეთ უბანში, ამის გამო შიდა ქალაქის სწორედ ეს ნაწილი მოითხოვდა ყველაზე მეტად სამხედრო ყურადღებასა და სიფხიზლეს, იქ მუდმივი რაზმის ყოლასა და დაბინავებას. მიუხედავად ამისა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სამხრეთ უბანიც მხოლოდ ნაწილობრივ თუ იყო დაკავებული სამხედრო-სამეურნეო დანიშნულების კომპლექსებით. ქალაქის დამცველი გარნიზონი ერთ რომელიმე უბანში კი არ იყო კონცენტრირებული, არამედ, როგორც წესი, განაწილებული იყო კონკრეტული ობიექტების მიხედვით (კარები, ზღუდეში დატანებული კოშკები, ზღუდის კედლები, სათვალთვალო კოშკურები, გვირაბი, კლდეკარი-საბაჟო?, ხიდები და ა. შ.).

შიდა ქალაქის სამხრეთ უბანი ცენტრალური უბნისაგან გამოყოფილი იყო გვერდითი ქუჩით, რომელსაც ახლა მცირე, დაქანე-

¹⁸⁶ Нико Чубинашвили, Уплис цихе, გვ. 14.

¹⁸⁷ იქვე, გვ. 7.

ბული სევრს ფორმა აქვს. ამ უბანში, როგორც არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, საქალაქო თემის უღარიბესი ნაწილი და გარნიზონის ყველაზე დაბალი ჩინები ესახლა¹⁸⁸. აქვე იყო ქალაქის ძირითადი კარი (ე. წ. მცირე კლდეკარი) და გვირაბი.

ერთ-ერთი უძველესთაგანია შიდა ქალაქის ჩრდილო უბანიც, მაგრამ სათანადო მასალების სიმცირის გამო, ჯერჯერობით ძნელია მისი ხასიათის გარკვევა. უბნის არქეოლოგიური გათხრები ჯერ არ დაწყებულა, ხოლო მიწის ზემოთ მდებარე კომპლექსები რაიმე განსაკუთრებული ნიშნებით არ გამოირჩევა. ისინი ვერ შეედრებიან ცენტრალური უბნის დარბაზებს, მაგრამ აქარბებენ სამხრეთი უბნის ნაგებობებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩრდილო უბანზე მიწისქვეშ მდებარე კომპლექსების არქეოლოგიური გათხრები მოგვეცემს დამატებით მასალას ამ უბნის ხასიათის გასარკვევად.

ამგვარად, ანტიკური ხანის იბერული ქალაქის ცენტრალური ნაწილი („ციხე“, „შიდა ქალაქი“) დაყოფილი იყო უბნებად და დასერილი იყო ქუჩებით. შიდა ქალაქის ყოველ უბანს თავისი დამახასიათებელი გარეგნული სახე ჰქონდა, რომელშიც ამახული იყო მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის თავისებურებანი. თუ არ ჩავთვლით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, განსაკუთრებით კი ვაზის ნაყოფის გადამუშავებას, შიდა ქალაქის ტერიტორიაზე მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის კვალი არ დასტურდება. კარები და კეთილმოწყობილი მისასვლელები (გზები), წყლით მომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები ქალაქის ამ ნაწილის აუცილებელი ატრიბუტები ჩანს. ამ მხრივ, უფლისციხის მონაცემებს აკონტროლებს, ამოწმებს და ავსებს ბაგინეთის უძველესი ძეგლები, სადაც გამოვლენილი იქნა „გალაფანი და გალაენის შიგნითა ნაგებობები, სამარხები, აბანო, მარანი და წყალსადენი“¹⁸⁹. დასავლეთ საქართველოდან, მოგვიანო ხანისათვის, დაახლოებით ასეთავე სურათს იძლევა ბიჭვინტის შიდაქალაქი (ა. აფაქიძის მიერ 1952—1965 წწ. წარმოებულ გათხრებში).

უფლისციხის ისტორიული ტოპოგრაფიის შესწავლისას ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ადრეელინისტურ ხანაში, ქალაქის შემდგომი ზრდისა და გაფართოების შედეგად, წინარე ხანის ქალაქური ტიპის დასახლების ცენტრალური (ქალაქური) ნაწილი, რომელიც უფრო ადრე კლდეში ნაკვეთ გამაგრებულ გორასაცხოვრისს წარმოადგენდა, გადაიქცა ელინისტური ხანის ქალაქის ციხედ

188 დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 65.

189 ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 181.

(ამ თავისებურების გამო, უფლისციხის ციხეს ჩვენ „შიდა ქალაქს“ ვუწოდებთ. ასე მოხსენიება. რა თქმა უნდა, პირობითია და მხოლოდ ამ თავისებურების ხაზგასმას ისახავს მიზნად).

უფლისციხის ქალაქის ციხის („შიდა ქალაქის“) გარშენო გარეულია დაუცველი ან ზღუდით დაცული ქალაქი. უფლისციხეში ქალაქი კომპაქტურადაა განლაგებული შიდა ქალაქის გარშემო. დამკველ თხარას როგორც ჩრდილოეთიდან, ისე აღმოსავლეთიდან ებჯინება ქალაქის ის ნაწილი, რომელიც კლდეში ნაკვეთი კომპლექსებითაა წარმოდგენილი. ამ კომპლექსთა და მოედანთა ერთი ნაწილი, შეიძლება ვიფიქროთ, საბაზრო ადგილებს წარმოადგენდა. აეთივე კომპლექსები დასტურდება შიდა ქალაქის დასავლეთ ფლატის მიდევნებითაც. ნაგებობები მოცულობითი სიდიდითა და აღნაგობა-გაფორმების სიმარტივით გამოირჩევა. აქ არ იგრძნობა ის გულსაყური, რომელიც შიდა ქალაქის ცენტრალურა უბნის კომპლექსების გაფორმებაზე იყო გამოჩენილი.

მდ. მტკვარზე ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ უბანში უნდა არსებებულიყო უფლისციხის სამდინარო ნავსადგური; შესაბამისი აღრეული მასალები არ შემონახულა, მაგრამ ახ. წ. X საუკუნეში მისი არსებობა დოკუმენტურადაა დამოწმებული¹⁹⁰. იგი, ამ დროს. შიდა ქალაქის გვირაბის შესასვლელს ქვემოთ უნდა არსებებულიყო, ე. წ. სალიზვარის ხევის მიდამოებში. მდ. მტკვარი, იმ დროს, როგორც ჩანს, სალიზვარისა და ახლანდელი „ხატის ხეების“ მიდამოებში იკეთებდა უბეს, სადაც სატივე, თუ სამდინარო ნავსადგური იყო გამართული. მტკვრისპირა ქალაქების მეურნეობაში მდ. მტკვრის სატრანსპორტო გამოყენებაზე მიუთითებს როგორც ქართული, ისე აღმოსავლური წყაროები. არაბი გეოგრაფი ისთახრი, აღწერს რა X საუკუნის პირველი ნახევრის თბილისს, მიუთითებს, რომ დიდძალი საქონელი და თავლი გამოაქვთ იქედან მდ. მტკვრით¹⁹¹. ასევე, X საუკუნის პირველი ნახევრის ვითარებაზე მოგვიცხრობს ცნობა უფლისციხის ნავსადგურის შესახებ.

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ წყლის ტრანსპორტი მტკვრისპირა ქალაქების მეურნეობაში აღრიდანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, იბერიის ქალაქების გეოგრაფიულ განლაგებაში მდინარე მტკვრის მიდევნებით. სხვა ფაქტორების გვერდით (წყლით მოპარაგება, მეთევზეობა და

¹⁹⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 267.

¹⁹¹ ისთახრი, კოდუდ ალაღემი, ჰამდალახ ყაზენი, სპარსული ტექსტი და ქართული თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებით ვ. ფუთუარიძისა, თბ., 1937, გვ. 4.

ა. შ.) ძირითადი იყო წყლის ტრანსპორტის სამეურნეო როლიც. სტრაპონის (პატროკლეს) და პლინიუსის (ვარონის) ცნობები მდ. მტკვრის გზის გამოყენებაზე¹⁹², ზოგჯერ ისე არის გაგებულო, თითქოს მდ. მტკვარი დინების შეყოლებითაც გამოიყენებოდა სანაოსნოდ¹⁹³. მართალია, ასეთი ცნობა, კონკრეტულად მოეპოვება პლინიუსს (ვარონს), მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს მის სიზუსტეში ეჭვი შევიტანოთ. რელიეფისა და დინების თავისებურების გამო, ყოვლად წარმოუდგენელია მტკვარზე ნაოსნობას მაქოსებრი ხასიათი ჰქონოდა. დღესაც კი, მტკვრის იმ მონაკვეთზე, რომელიც ანტიკური ხანის შიდა ქართლისა და კახეთის ტერიტორიას მოიცავს, შიდაწვის ძრავიანი სანაოსნო ტრანსპორტითაც კი შეუძლებელია მდინარის აღმა მგზავრობა. მტკვრის ქვემო დინებაში, სადაც მდინარეა შედარებით მდორეა, ხოლო კალაპოტს წესიერი ფორმა აქვს, ასეთი რამ შესაძლებელიცაა და დადასტურებულიც. ამიტომაცაა, რომ მდ. მტკვარზე შიდა და ზემო ქართლის ზონაში დღემდე შემონახა სამდინარო ტრანსპორტის ის უძველესი სახეობანი, რომელიც დინების მიყოლებით ნაოსნობას გულისხმობს (ნავტიკა; ტივი). ამიტომაცაა, რომ ამიერკავკასიაზე გამავალი სავაჭრო გზა, რომელიც შიდა ქართლის ტერიტორიაზე მტკვრის მარცხენა სანაპიროს მიუყვებოდა, გაივლიდა იქეთ გრანდიოზულ საგზაო ნაგებობებს, როგორც იყო უფლისციხის დიდი კლდეკარი¹⁹⁴. ცხადია, წყლის ტრანსპორტს რომ მაქოსებრად ემოდრავნა, რომ მას წამყვანი მნიშვნელობა ჰქონოდა, საქარავნო გზებზე მსგავსი ნაგებობების გამართვა გაუმართლებელი ფუფუნება იქნებოდა.

ამგვარად, ნაოსნობა მტკვარზე, კერძოდ, შიდა ქართლისა და კახეთის მონაკვეთზე, ყველა ეპოქაში მხოლოდ ცალმხრივი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, მტკვრისპირა ქალაქებს საკუთარი ნავსაყუდლები უნდა ჰქონოდათ.

უფლისციხის ქალაქური ნაწილი, დასავლეთით, როგორც ჩანს, თანამედროვე სოფლის ტერიტორიით განისაზღვრებოდა და ადრე-ანთ ხევამდე აღწევდა, რომლის იქით დაბებით დასახლებული ერთ-ერთი გარეუბანი (სასოფლო-სამეურნეო რაიონი) იწყებოდა.

¹⁹² ოთ. ლორთქიფანიძე, ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალ სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ, გვ. 378.

¹⁹³ ს. ჭანაშია, საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის ვახე, გვ. 136, 156.

¹⁹⁴ დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის უფლისციხე..., გვ. 372. მისივე, უფლისციხე, I, გვ. 67—69, ტაბ. XXXIX, 1.

უფლისციხის ქალაქური ნაწილის („გარე ქალაქის“) გეგმარე-
ბაზე შედარებით მცირე მასალა გაგვაჩნია. სამწუხროდ, ბევრი
არაფერია ცნობილი იბერიის სხვა ქალაქების ქალაქურ ნაწილთა
გეგმარებაზედაც. ამ მხრავ, შედარებით უკეთაა დაცული უფლის-
ციხის „გარე ქალაქის“ ის უბნები, რომლებმაც კლდეში ნაკვეთი
კომპლექსებითაა წარმოდგენილი. მათი უმრავლესობა, არქიტექ-
ტურული აღნაგობის მიხედვით თუ ვიმაჯელებთ, საზოგადოებრი-
ვი დანიშნულებაა უფრო იყო, ვიდრე საცხოვრებელი. იქმნება
შთაბეჭდილება, რომ შიდა ქალაქის თსრილს გარეთ, აღმოსავლე-
თითა და ჩრდილოეთით წარმოდგენილი კომპლექსები „ქულბაქე-
ბი“ (საეაჭრო სახლები) და ქარაეანთა სადგომები იყო. სწორედ ამ
უბანში შეპოდის გზა აღმოსავლეთიდან (როგორც ჩანს, მტკვრის
მარჯვენა სანაპიროდან) და დასავლეთიდან. დასავლეთიდან მომა-
ვალ გზას ქალაქის ტერიტორიაზე (თანამედროვე სოფლის ერთ-
ერთ უბანში) უერთდებოდა დიდი კლდეკარით ჩრდილო-აღმოსავ-
ლეთიდან მომავალი ტრასა, ხოლო შიდა ქალაქის კარებთან გზა
ასევე იყოფოდა: ერთი შტო მცირე კლდეკარით შიდა ქალაქში აღიო-
და, ხოლო მეორე, ბორბლიანი და საჰაპანო ტრანსპორტისათვის
განკუთვნილი, გარექალაქის ტერიტორიაზე შედიოდა და გაღმა
მხარის გზას უერთდებოდა.

ანტიკური ხანის ქართული ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რაიონის შესახებ საკმაო ლიტერატურა შეიქმ-
ნა (ნ. ბერძენიშვილი, ა. აფაქიძე, გ. მელიქიშვილი, ოთ. ლორთქი-
ფანიძე, მ. ინაძე და სხვ.) ეს განსაკუთრებით შეეხება მცხეთას.
აკად. ნ. ბერძენიშვილმა ჯერ კიდევ 1951 წელს მიუთითა, რომ
როგორც ფეოდალური. ისე ანტიკური ხანის მეტ-ნაკლებად მნიშვე-
ნელოვან პუნქტს ჰქონდა თავისი სასოფლო-სამეურნეო რაიონი
(„აგარაები“) და კონკრეტული მასალის საფუძველზე განსაზღვრა
ქალაქისა და მისი სასოფლო-სამეურნეო რაიონის ეკონომიური
ერთიანობის ხასიათი. ანტიკური მცხეთის სასოფლო-სამეურნეო
რაიონში მან მიუთითა: ნაქულბაქები, მუხათგვერდი, კარსანი.
ქართლი, ციხედიდი, კოღმანი, წიწამური, ჯაქვი, ჰაევალა, მუხრანის
სა და დიღმის დაბები¹⁹⁵. ასე. რომ 50-იანი წლების დამდეგს უკვე

¹⁹⁵ ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აკა. 1950),
გვ. 318. შენიშვნა 37. უფრო დაწერილებით ეს აზრი განვითარებული იყო მისი-

დასმული იყო ანტიკური ხანის ქართული ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რაიონის შესწავლის საკითხი და მითითებული იყო ქალაქისა და მიმდებარე სამიწათმოქმედო რაიონის ეკონომიურ ერთიანობაზე.

1957 წ. ოთ. ლორთქიფანიძემ მიუთითა, რომ „იბერიის ქალაქები ფლობდნენ მიწას, რომელიც მათ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიას შეადგენდა. მაშასადამე, იბერიის ქალაქები წარმოგვიდგებოან არა მარტო ხელოსნობისა და ვაჭრობის, არამედ მიწათმოქმედებისა და მიწათმფლობელობის ცენტრებადაც“. ქალაქის მიწები. როგორც იგი ფიქრობს, ელენისტური ხანის საქალაქო ცენტრების მსგავსად, დასახლებული უნდა ყოფილიყო დამოკიდებული მოსახლეობით, რომელიც გადასახადით იბეგრებოდა. საქალაქო მიწების ერთი ნაწილი მოქალაქეთა კერძო მფლობელობაში უნდა ყოფილიყო და მათივე ძალით მუშავდებოდა. ამის საბუთად ვას სამარხი ქვევრები და სამარხებში აღმოჩენილი ვაზის სასსლავი დაწები მიაჩნია. მცხეთის საქალაქო მიწების გამგებლად მას ლონტა მროველთან მოხსენიებული მცხეთის მამასახლისი მიაჩნია, რომელიც ამავე დროს, მცხეთის საქალაქო თემის („ქალაქის სრულფლებიან მოქალაქეთა საერთო კრების“) მეთაური იყო¹⁹⁶. ანტიკურ ხანაში ქართული ქალაქის კუთვნილი დაბების არსებობის ერთ-ერთ მოწმობად ოთ. ლორთქიფანიძეს და მკვლევართა უმრავლესობას (ე. თაყაიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ა. აფაქიძე, დ. ხახუტაიშვილი და სხვ.) მიაჩნდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის ცნობა, რომ „აღექსანდრე მეფემან... იხილნა ნათესავნი სასტიკნი ზუნ-თურქნი, — მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრჯე, და ციხენი მათნი: ციხმ დიდი სარკინისაჲ, უფლესციხმ კასპისა, ურბნისისა და ოძრჯისაჲ“¹⁹⁷. 1959 წ. გ. მელიქიშვილმა შესაძლებლად არ მიიჩნია ამ ცნობის ამგვარი გაგება და მიუთითა, რომ მემპტიანის გამოთქმაში „დაბნები მათი“, ნაცვალ-

ვე ნაშრომში „ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან“ (შრომები, I, გვ. 391—426).

¹⁹⁶ О. Д. Лордкипанидзе, Ремесленное производство и торговля в Мухета в I—III вв. II. з. გვ. 152—58. მოსაზრება, რომ ანტიკური ხანის ქართული ქალაქი წარმოადგენდა მიწათმფლობელობისა და მიწათმოქმედების ცენტრს, არ გაიზიარა შ. მესხიამ. ი. ხ. შ. მესხია, შენიშვნები მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისასა და რაობის შესახებ, გვ. 276. შდრ. დ. ხახუტაიშვილი, მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის საკითხისათვის, გვ. 330—332.

¹⁹⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 81.

სახელი „მათი“ ეკუთვნის არა „ქალაქებს“ (რადგან იგი სხვა ბრუნვაში დგას — „ქალაქად“ — და გრამატიკულად არ უკავშირდება მას), არამედ „ბუნ-თურქებს“¹⁹⁸. როგორც „მოქცევა ქართლისაჲს“ ტექსტის 1964 წლის გამოცემის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, მითითებული ადგილი ამგვარადვე ესმის ი. აბულაძეს¹⁹⁹. 1962 წ. ოთ. ლორთქიფანიძე კვლავ უბრუნდება ამ საკითხს, იცავს მის მიერ აღრე გამოთქმულ მოსაზრებას და იძლევა დამატებითი დასაბუთების ცდას. კერძოდ, მისი აზრით, „თუ გავიზიარებთ გ. მელიქიშვილის ამ კორექტივს, მაშინ გამოვა, რომ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა ხანს ქართლის მთელი მოსახლეობა. „ქართლის მოქცევა“ თანახმად, მთლიანად ბუნ-თურქთაგან შედგებოდა“²⁰⁰. თუ აქ კალმის რაიმე შეცდომა არ არის, მოტანილი საბუთი უადგილო ჩანს: მემატინანე ხომ პირდაპირ მიუთითებს. რომ ქართველი მტკვრისპირა ქვეყანაში არიან ქართველი დან მოვიდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ალექსანდრემ ამ რაიონიდან ბუნთურქები და ჰონები განდევნა²⁰¹. განა ამ ცნობას არ ემყარებოდა თეორია ქართველების სამხრეთიდან გადმოსახლების შესახებ? ასე, რომ ამგვარი აზრის მემატინანეზე მიწერა გამართლებული არ უნდა იყოს. პირიქით, ძეგლის მოტანილი ადგილი და მთელი კონტექსტი თითქოს დასაყრდენს იძლევა იმისათვის, რომ გამოთქმა „დაბნები მათი“ სწორედ ბუნ-თურქებს მივაკუთვნოთ და არა ქალაქებს: მემატინანემ იცის, რომ ქალაქებს ჰქონდათ თავიანთი ციხეები და ჩამოთვლის კიდევც მათ, ხოლო ქალაქის დაბა არც მანამდე აქვს მითითებული და არც შემდეგ. ჩვენის აზრით, მემატინანეს სურდა ეთქვა, რომ „მტკვრისპირა ქვეყანა — სარკინე-კასპი-ურბნისი-ოდრახეს რაიონში — დასახლებული იყო ბუნ-თურქთა დაბებით და ციხეების მქონე ოთხი ქალაქით“. თუ კ „დაბნებს“ ქალაქებს მივაკუთვნებდით, მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებოდით გვეღიარებინა, რომ მემატინანეს ქართლის მტკვრისპირა ბარის უძველესი მოსახლეობა ციხეების მქონე ოთხი ქალაქისა და ამ ქალაქების კუთვნილი დაბების სახით ჰყავდა წარმოდგენილი, რომ მას, მაგალითად, ურბნისიდან ოძრხემდე გაშლილი რაიონი ოძრხესა და ურბნისის ქალაქებისა და მათი დაბების სახით ესახებოდა. ძნელი დასაჯერებელია.

¹⁹⁸ Г. А. Меликшивили, К истории древней Грузии, гв. 451 — 452, შენიშვნა 245.

¹⁹⁹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, -I, გვ. 81.

²⁰⁰ ოთ. ლორთქიფანიძე, მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის, გვ. 801, შენიშვნა 2.

²⁰¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 81—82.

დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორ გაიგება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის ზემოაღნიშნული ცნობა, ჩვენ, 1959 წლის შემდეგ მოპოვებული არქეოლოგიური მასალების საფუძველზე, საშუალება გვაქვს საკმაო საბუთიანობით ვამტკიცოთ, რომ ანტიკური ხანის ქართულ ქალაქსა და მოქალაქეებს ხელი მიუწვდებოდათ ქალაქის გარშემო მდებარე სასოფლო-სამეურნეო რაიონის როგორც მიწებზე, ისე დაბებზე და ეს ურთიერთობა, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, თავის საწყისებს იღებდა გაცილებით აღრეულ ვითარებაში, როცა ჭერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში ისახებოდა გარკვეული ეკონომიური რაიონები და იწყებოდა ცალკეულ დაწინაურებულ, მსხვილ სამოსახლოთა გაძლიერებული თემების მიერ შედარებით სუსტი მეზობლების დამორჩილება და აშკარა თუ შენიღბული ექსპლუატაცია. 1959 წ. და მოჰდევნო პერიოდში მოპოვებული არქეოლოგიური მასალები მიუთითებს, რომ აღრეელინისტური ხანიდანვე, ქალაქები და მოქალაქეები ფლობდნენ ქალაქების გარშემო მდებარე მიწებს და დიდი ოდენობის პროდუქტებს იღებდნენ (კლდეში ნაკვეთი საწინახლები, მარანი და მარცვლეულის ხარობები უფლისციხის შიდა ქალაქიდან, ქვევრსამარხები და სხვადასხვა პერიოდის მარხები მცხეთიდან, ბაგინეთიდან და არმაზისხევიდან, აგრეთვე, ურბნისიდან და ა. შ.). ერთ შემთხვევაში მოქალაქეები, როგორც ჩანს, თავისი შრომით ამუშავებდნენ მიწებს (უფლისციხის V საწინახელი კლდეკარის უბანზე), ხოლო, მეორე შემთხვევაში, როგორც ჩანს, მიწაზე დასხმული მონებისა და დაბის მოსახლეობის შრომა იყო გამოყენებული (უფლისციხის I, II, III და IV კლდეში ნაკვეთი საწინახლები)²⁰². მსხვილ მიწათმფლობელებად, უფლისციხის მასალების მიხედვით, წარმართული ტაძარი და ქალაქის უმაღლესი ხელისუფლები ჩანან. ამ საკითხებზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ, როცა ანტიკური ხანის ქართული ქალაქის მეურნეობასა და სოციალურ სახეს შევხებით.

ა. აფაქიძეს მითითებული აქვს, რომ „დედაქალაქში, მის ცალკეულ უბნებში, გარკვეული სასოფლო რაიონები შედიოდა. აქ იყო მოწყობილი მსხვილი ზვრები და სხვადასხვა მეურნეობანი, რომლებიც ინახავდნენ დედაქალაქის მრავალრიცხოვან მოსახლეო-

²⁰² დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 63—66. მისივე, ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის, ვგ. 113—127.

ბას²⁰³. მას სასოფლო-სამეურნეო რაიონი ანტიკური ხანის ქართული ქალაქის ერთ-ერთ ძირითად ნაწილად მიიჩნია²⁰⁴.

ეგებოდა რა ანტიკური მცხეთის სასოფლო რაიონებსა და მის ადგილს ქალაქის მეურნეობაში, აკად. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა: „ნასტიკისას გვერდით მუხრანი უნდა ყოფილიყო მცხეთის სასოფლო-სამეურნეო უბანი, მცხეთის სამფლობელო. ლეონტიასა და ჭუანჭერთან დაცული ცნობები თითქო საამისო პირდაპირ ჩვენებებსაც კი შეიცავენ (ქ—უა, 43, 45, 202). მაკრამ ამ ჩვენებებს მხარს უჭერს სხვა მოსაზრებაც. მართლაც და იმისათვის, რომ მცხეთას სხვა თავისი უპირატესობანი გაენაღდებინა და იბერიის სახელმწიფოებრივად გამაერთიანებლის როლში გამოსულიყო, აუცილებელი იყო, რომ მას გადედქალაქების ბუნებრივი პირობებიც ჰქონოდა. კერძოდ, აუცილებელი იყო, რომ მას შესაფერისი სასოფლო-სამეურნეო უბნები ჰხლებოდა. ერთ-ერთი ასეთი უბანი სწორედ მუხრანი უნდა ყოფილიყო. ამის მატერიალურ მოწმობად მიგვაჩნია „საგლახო რუ“²⁰⁵.

იბერული ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რაიონი და მისი დაბები შედარებით კარგად შეიძლება წარმოვიდგინოთ უფლისციხის მაგალითზე, სადაც მომდინარეობს ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რაიონის ანტიკურ ნადაბართა არქეოლოგიური შესწავლა (1957—1965 წწ.) და მოპოვებულია მასალები დაახლებათა ხასიათზე, მეურნეობაზე, სადაბო თემის სოციალურ სახეზე და ა. შ.

ანტიკური ხანის ქართული ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რაიონი „ქალაქის ქვეყნის“ ის ნაწილი იყო, რომელიც მეტ-ნაკლები დაშორებით გარს ერტყა ქალაქურ დასახლებას და მისი არსებობის ეკონომიურ საფუძველს შეადგენდა. უფლისციხის ერთ-ერთი სასოფლო-სამეურნეო უბანი წარმოდგენილი იყო კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარის დასავლეთით მდ. მტკვარსა და კვერნაქის ქედს შორის. ეს ის ტერიტორიაა, სადაც გამოვლინდა წინაანტიკური და ანტიკური ხანის ნადაბარები (ბამბების, ყათნალიხევის, ლალანთხევის, ღრმა ხევის, ფარჩოს ხევის ნასახლარები). უფლისციხის კლდეში ნაკვეთი გორასაცხოვრისის თემი ზემოჩამოთვლილ დაბათა თემების დამორჩილებას, როგორც არქეოლოგიური მასალის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, ძვ. წ. IX—VIII სს-ში ამთავრებს და მათი ჰეგემონი ხდება. ეს იყო ის ამოსავალი ვითარება, რომელიც კლდეში

203 ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველო-1, გვ. 220.

204 აფაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 245.

205 ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული აღიარება, გვ. 177—178.

ნაკვეთი სამოსახლოს თემის შემდგომ გაძლიერებასა და „ზენა სოფლის“ მოზრდილი რაიონის ჰეგემონად წამოწევას აპირობებდა (ძვ. წ. VI—V სს.). ამავე პერიოდში უნდა მომხდარიყო, როგორც ჩანს, იმ მიწების ათვისება, რომელიც უფლისციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა და ნადარბაზევის ტბის შემოგარენსაც მიითვლიდა. უფლისციხესა და ნადარბაზევის მინდორს შორის წარმოდგენილია სოფ. ავაზნებსა და ე. წ. კლდის ორლობეს (დიდ კლდეკარს) შორის გაშლილი ტერიტორია, რომლის სამეურნეო ათვისება საკმაოდ ადრე მომხდარა. ამისი მოწმობაა ორი ტოპონიმი, რომლებიც მორწყვასა და „ახალნაღვაწის“ არსებობაზე მიუთითებს. ესენია: „ავაზნები“ და ახაშნები“ (ახალშენი). აღნიშნულ ტოპონიმებში ახახული ვითარება ადრეელინისტური ხანიდან მაინცაა სავარაუდებელი. ამავე დროს, როგორც ჩანს, უფლისციხის ერთ-ერთი უბანი, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ქვახვრელის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მიდამოებშიც იქმნება, რომელიც ქალაქთან სპეციალური გზითა და ხილით იყო დაკავშირებული. ამ უბნის წარმოქმნა ხოვლეს მსხვილი დასახლების დაცემას, განსაკუთრებით კი იქ ხელოსნური წარმოების მოსპობასა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ამ რაიონის მოსახლეობის ქალაქთან ეკონომიური ურთიერთობის აუცილებლობას უნდა დაეჩქარებინა.

უფლისციხის სასოფლო რაიონის სამეურნეო სავარგულების ერთი ნაწილი დაბათა თემების სარგებლობაში უნდა ყოფილიყო, მეორე ნაწილი — მოქალაქეთა დაბალი ფენის — წვრილი მიწათმფლობელობისა, ხოლო მესამე — მსხვილი და საშუალო მიწათმფლობელობისა, რომელშიც, როგორც ჩანს, ტაძრები, აგრეთვე სამონხელო არისტოკრატია უნდა ვიგულისხმოთ.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ უფლისციხის ერთ-ერთ აგარას ტირიფონის ველიც წარმოადგენდა²⁰⁶. ეს ვარაუდი საკმაოდ საფუძვლიანად გამოიყურება, თუმცა ტირიფონის რუსხმულის დათარიღებამდე ჩვენ მისი დადებითად გადაწყვეტა საძნელოდ გვეჩვენება. ცხადია, ძნელი წარმოსადგენია, რომ ტირიფონის ველზე თავიანთი ნაკვეთები ჰქონოდათ უფლისციხის რიგით, თუნდაც საშუალო შეძლების მოქალაქეებმა. ტირიფონის ველის ინტენსიური სამეურნეო ექსპლუატაცია, როგორც ეს ადრევე იყო აღნიშნული, გულისხმობს რუსხმულისა და შესაბამისი სარწყავი სისტემის არსებობას, რაც ფაქტიურადაც არის დადასტურებული²⁰⁷. თუ კი ტირიფონის

²⁰⁶ ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, გვ. 75—77.

²⁰⁷ მ. გეგეშიძე, რწყვის ძველი და ახალი სისტემები ტირიფონის ველზე, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, 1953 წ., გვ. 65. ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, გვ. 76—77.

ველი მართლაც უფლისციხის აგარა იყო, იგი, უნდა ვიფიქროთ-
ნეფის დომენს წარმოადგენდა, რომლის სამეურნეო ექსპლუატა-
ცია უფლისციხის მეშვეობით ხორციელდებოდა. გამორიცხული
არ არის შესაძლებლობა, რომ დომენში მუშაობდნენ როგორც
„ლაოები“ (ტირიფონის სარწყავ მიწებზე დახმული თემები),
ისე მიწაზე დახმული მონები. მუხრანის „საგლახო რუ“ და ნასტა-
ქისის „კაცნი მერუენი“, შესაძლებელია, გარკვეულ წარმოდგენას
მოგვცემდა ტირიფონის რუხხმულისა და ტირიფონის ველის სა-
მეურნეო გამოყენებაზე ანტიკურ ხანაში. მაგრამ დაგროვილი მასა-
ლები, როგორც ჩვენ გვგონია, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმი-
სათვის, რომ დასმული საკითხი შესაფერის დონეზე და სიბრლით
იქნეს შესწავლილი. რუხხმულების ქრონოლოგიის დადგენისაგან
ღიდად არის დამოკიდებული ანტიკური ხანის იბერიის ისტორიის
რიგი საყურადღებო საკითხების შესწავლა. მათ რიცხვში, როგორც
ვფიქრობთ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქალაქთა მეურნეო-
ბის შესწავლასა და სოფლის მეურნეობაში მონის შრომის გამო-
ყენების საკითხს, მისი ხასიათის გარკვევას.

ახ. წ. IV—V საუკუნეებში უფლისციხის სასოფლო რაიონის
დაბათა უმრავლესობამ, განსაკუთრებით მდ. მტკვრის მარცხენა სა-
ნაპიროს მიყოლებით განლაგებულმა დასახლებებმა, შეწყვიტა არ-
სებობა, რაც აშკარად დაეტყო ქალაქსა და საქალაქო ცხოვრებას.
ფეოდალური ძალების შეტევა მეფის ხელისუფლებისა და ქალაქე-
ბის წინააღმდეგ ქალაქთა დაბების) „მიტაცებითა“ და დაბის მცხოვ-
რებთა დაუმევეებით მთავრდება, ~~რასაც~~, როგორც ჩანს, ხშირად თან
სდევდა დაბის მცხოვრებთა გადასახლება ახალი სენიორიისათვის
მიხალეობ რაიონებში. ხდება კულტურულ-პოლიტიკური და ეკონო-
მიური ცენტრების გადანაცვლება. იბერიის ანტიკური ქალაქები
თანდათანობით ქვეითდებიან: ქალაქთა ერთი ნაწილი დაეცა, ხო-
ლო მეორე, ციხე-ქალაქისა თუ ციხის მდგომარეობამდე ჩამოქვეით-
და. იწყება ახალი ქალაქების წარმოქმნა, რომლებიც სულ სხვა სა-
ფუძველზე ეწყობოდნენ და ახალი, ფეოდალური საზოგადოებრივი
ურთიერთობისათვის შესაფერ უჭრედებს წარმოადგენდნენ.

აღრველინისტური ხანის იბერული ქალაქების, მათ შორის
უფლისციხის, გარეგნული სახისა და აღნაგობის შესწავლისას მრავალი
პარალელი შეიძლებოდა მიგვეთითებინა ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის
სინამდვილიდან. უფლისციხისათვის მეტად

საყოფადღებო მონაცემებს იძლევა, მაგალითად, ნაქალაქარი ნისა, რომელიც არქეოლოგიურად კარგად არის შესწავლილი. იგი ანტიკური ხანის შუა აზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრი იყო. დადგინდა, რომ პართულ ხანაში ქალაქი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა. იგი მიითვლიდა: ციტადელს (შიდა ციხე), ქალაქს და სასოფლო-სამეურნეო რაიონს. ციტადელი, რომლის ფართობი 18 ჰექტარს შეადგენდა, დაცული იყო მაღალი კედლით და ჰქონდა წყალსადენი. აქ განლაგებული იყო მმართველის სასახლე, ტაძრები, ადმინისტრაციული დაწესებულებები, ყაზარმები და ა. შ. პართული ხანის ნისას ციტადელი წინაპართულ ხანაში თვითონ წარმოადგენდა ქალაქს, ხოლო ელინისტურ ხანაში, როცა ქალაქი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, იგი შიდა ციხედ გადაიქცა. ქალაქი (ქალაქური ნაწილი) შიდა ციხის გარშემო მდებარეობდა და დაცული იყო სპეციალური ზღუდით. აქ ცხოვრობდა პართელი დიდკაცობა და ვაჭრები. აქვე იყო ხელოსანთა უბნები. სასოფლო-სამეურნეო რაიონი, რომელიც ასევე 7 კმ სიგრძის ზღუდით იყო დაცული, გაშლილი იყო ქალაქის ზღუდის გარშემო.

ქალაქის მახლობლად იდგა დიდი იზოლირებული ციხე მიპრდატკერტი, რომელიც პართიის მეფეთა ერთ-ერთ რეზიდენციას და საძვალეს წარმოადგენდა. როგორც ფიქრობენ, აქვე იყო მეფისნაცვლის (სატრაპის) რეზიდენციაც (არქეოლოგიური გათხრების დროს, აქ ნაპოვნი იყო პართიის სამეურნეო დოკუმენტების მთელი არქივი)²⁰⁸.

თუ გადავხედავთ ელინისტური ხანის უფლისციხეს, მის აღნაგობას, ტოპოგრაფიას, ვნახავთ, რომ მას ბევრი საერთო აქვს პართული ხანის ნისასთან. ქალაქის გარეგნული სახის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესი დაახლოებით ერთნაირად მიმდინარეობდა ორივეგან. ნისას და უფლისციხის შიდა ციხეები წინარე პერიოდის ქალაქურ დასახლებებს წარმოადგენდნენ. ორივეგანაა წარმოდგენილი შიდა ციხის გარშემო გაშლილი „ქალაქი“ და სასოფლო-სამეურნეო რაიონი, რაც შეეხება ნისასთან მდებარე მიპრდატკერტის ციხეს, მსგავსი სურათის მითითება, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, უფლისციხის მიდამოებშიც შეიძლება, ადრეელინისტური ხანის გორაკების სახით, რომელიც ამ პეროდში უფლისციხესთან საკმაოდ მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მომავალი არქეოლოგიური გათხრების ერთ-ერთ ამოცანად მსგავს საკითხებზე პასუხის გაცემაც უნდა მივიჩნიოთ.

²⁰⁸ М. М. Дьяконов, Очерк истории древнего Ирана, г. 196—197.

თავი მეორე

იბერიის ქალაქების მუხრანობრივი სახე

§ 1. საქალაქო ხელოსნობა და მისი ღირებულება ანტიკური ხანის იბერიაში

ანტიკური ხანის იბერიის საქალაქო ხელოსნური წარმოება, როგორც შესაბამისი მასალების შესწავლა გვიჩვენებს, წინაქალაქობრივი პერიოდის იბერიული ხელოსნური წარმოების გაგრძელება იყო. ბუნებრივია, იგი ასახავდა იმ თავისებურებებს, რომლებიც ანტიკური ხანის იბერიის აღრეკლასობრივ საზოგადოებას წინაქალაქობრივი პერიოდის საზოგადოებისაგან განასხვავებდა. ეს ზოგადი დასკვნა, რომელიც მიღებულია ანტიკური და წინაანტიკური ხანის ხელოსნური ნაწარმისა და საერთო მდგომარეობის ურთიერთშედარების საფუძველზე, შეეხება იბერიის ბარის რაიონებში არსებულ ვითარებას; მართალია, ბარის რაიონებში მიმდინარე პროცესები გავლენას ახდენენ მთიელთა საზოგადოებრივ და სოციალურ ყოფაზე, მაგრამ განვითარების პირობების თავისებურებათა გამო ეს ზემოქმედება არ ატარებდა რამდენადმე შესამჩნევ ხასიათს.

ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან იბერიის ბარში მოსახლე ტომთა სამეურნეო ყოფაში, კერძოდ ხელოსნურ წარმოებაში, შეინიშნება ერთი მომენტი: იწყება ცალკეულ თემთა წვრილი ხელოსნური წარმოების კონცენტრაცია და ხელოსნური წარმოების შედარებით მსხვილი ცენტრების ჩასახვა. ამავე დროს ხელოსნური წარმოება თანდათანობით კარგავდა აღრინდელ ხასიათს და უფროდაუფრო სასაქონლო იერს იღებდა. სამწუხაროდ, სათანადო მონაცემების სიმცირის გამო, ძნელდება თვალი მივადევნოთ განვითარების პროცესის ყველა რგოლს, მაგრამ არსებული მასალები იმის საშუალებას მაინც იძლევა, რომ მხოლოდ საკითხის დასმით არ დაეკმაყოფილდეთ.

ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგს, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, იბერიისა და კოლხეთის ბარის რაიონებში წარმოიქმნებოდა მსხვილი, დაბური ტიპის სამოსახლოები, რომელთა ერთ ჯგუფს, თუ ყველას არა, გააჩნდა ხელოსნობის ამა თუ იმ დარგში დასაქმებული სახელოსნო უბნები. ხოვლეს ძველი დასახლება, რომელიც ძვ. წ. XV—XIV სს-ში ჩანს წარმოქმნილი, ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებში მსხვილი სამოსახლოს სახეს იღებდა და უკვე გააჩნდა საკმაოდ დიდი, თავისი დროისათვის კარგად აღჭურვილი სახელოსნო უბანი, რომელიც კერამიკულ წარმოებაში იყო დასაქმებული. სახელოსნო უბანი, როგორც არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, თიხის ქურჭლის გაქონაწევად რამდენიმე ქურას მიითვლიდა და ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობდა. წარმოების მასშტაბები იმდენად დიდი იყო, რომ ხელოსნური ნაწარმის მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც ჩანს, სასაქონლო ხასიათი უნდა ჰქონოდა: ხოვლეს ძველი დასახლების მცხოვრებლები თიხის ნაწარმის ამ ოდენობას, ბუნებრივია, ვერ აითვისებდა. ამავე დროს, როგორც ჩანს, ეს მსხვილი დასახლება თეძამ-ტანას ორპინდარეთის ეკონომიური ცენტრის როლშიც გამოდიოდა. არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ამ დროს მტკვრის მეორე სანაპიროს რაიონს კერამიკული წარმოების სხვა ცენტრი ემსახურებოდა. ზოგიერთი არქეოლოგიური მონაცემი საშუალებას იძლევა მივუთითოთ, რომ ამ დროიდან იწყებდა შესუსტებას ხელოსნის კავშირი სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან და მისი საქმიანობა უფრო და უფრო პროფესიონალურ (სასაქონლო) ხასიათს იღებდა. კერამიკული წარმოება, როგორც ცნობილია, გულისხმობს ერთმანეთის მომდევნო რამოდენიმე ოპერაციას (თიხის მოთხრა, ორმოში გაფუება, გასუფთავება, თიხის ნაზავის შემზადება, მოზელვა, ჩარხზე ქურჭლის გაფორმება, გაშრობა, ქურჭლის გაპრიალება-დეკორირება, საწვავის მომზადება და ტრანსპორტირება, ქურის მომზადება და ქურჭლის გამოწვა), რომელთაგან ერთი ჯგუფი დამხმარე შრომის გამოყენებას გულისხმობს. (თიხის დამზადება და ტრანსპორტირება, საწვავის მომზადება და ტრანსპორტირება, თიხის მოზელვა და ა. შ.), ხოლო მეორე თვით ხელოსანს უნდა შეენარეულებინა (ჩარხზე ქურჭლის გაფორმება, გაპრიალება, ანგობირება და დეკორირება, ქურის მომზადება, ქურჭლის გამოწვა და ა. შ.).

მეთუნეთა სახელოსნო უბანი მარტო ხოვლეს ძველი ნამოსახლარისათვის არ იყო დამახასიათებელი. ამ მხრივ, დიდმნიშვნელოვანი მასალები მოგვცა იორ-ალაზნის ძეგლებმა, კერძოდ, ხირსის კომპლექსმა, სადაც სახელოსნო უბანზე დადასტურდა, „ხოვლუ-

რი I ტიპის“ (ძვ. წ. IX—VIII სს.) 50-მდე ქურა, ხოლო მისგან ოდნავ მოშორებით — მძლავრი სინქრონული ნამოსახლარი¹.

ასეთივე ხასიათის სახელოსნო უბნები, როგორც აღმოჩნდა, წარმოებენ სხვა დარგებშიც არსებულა. კერძოდ, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს მეტალურგიასა და ლათონდამუშავებაში დასაქმებული სახელოსნო უბნების არსებობა. იბერიის სინამდვილიდან საილუსტრაციოდ შეიძლებოდა მიგვეთითებინა: მცხეთის სარკინე შადა ქართლში². ქვემო ბოლნისის სამოსახლოსთან აღმოჩენილი ქურა-სახელოსნო ქვემო ქართლში³ და ქვემო ქედის ქურა-სახელოსნოები კახეთში⁴. მცხეთის სარკინეში „საველე სამუშაოები, როგორც ა. აფაქიძე შენიშნავს, ძიებას არ გასცილებია, ხოლო აღმოჩენილი ძეგლების ხასიათი არ იძლევა საშუალებას დედაქალაქის ამ ნაწილის სრული სურათი მოეხაზოთ“. არსებული მასალების საფუძველზე ა. აფაქიძეს შესაძლებლად მიაჩნია მიუთითოს, რომ „ამ უბანზე არა ჩანს ძვ. წ. IV—III საუკუნეებზე უფრო ადრინდელი ძეგლები, ე. ი. აქ დედაქალაქობის წინა ხანის მოსახლეობის არსებობა არქეოლოგიურად დადგენილი არ არის“⁵. ცხადია, მცხეთის სარკინის ქრონოლოგიის საბოლოოდ დადგენა მომავლის საქმედ რჩება, მაგრამ „ღიდი მცხეთის“ ჩაიონის ადრეული ხანის საერთო ვითარებას თუ გადავხედავთ, მოგვეცემა ერთგვარი საფუძველი, რომ სარკინეში ხელოსნური წარმოების წინაქალაქური საფეხურიც ვივარაუდოთ. სამწუხაროდ, ლოგიკურ დასრულებამდე არც ქვემო ბოლნისის ნამოსახლარი კომპლექსის არქეოლოგიური გათხრები ყოფილა მიყვანილი, რომ შესაძლებელი გამხდარიყო გარკვეული სურათის წარმოდგენა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება. განსაკუთრებით საინტერესო მასალები მოგვცა და კიდევ მეტს გვპირდება ქვემო ქედის სახელოსნო უბნის შესწავლა, რომელიც ლითონის დამუშავებაში ყოფილა დასაქმებული. იგი იმითაცაა საინტერესო, რომ მრავალდარგობრივ საწარმოო უბანს წარმოადგენდა⁶ და ამ ნიშნით (და არა ქრონოლოგიურ-სოციალური გარემოთი) ძალიან უახლოვდებოდა მცხეთის სარკინეს.

¹ კ. ფიცხელაური, იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბილისი, 1965, გვ. 53—61.

² ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, გვ. 206—214.

³ И. А. Гзелишвили, Железоплавильное дело в древней Грузии, გვ. 31—32.

⁴ კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრ., გვ. 61 და შმდ.

⁵ ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 206—207.

⁶ კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრ., გვ. 61—62.

ადრეკინის ხანაში ასეთივე სურათი დასტურდება კოლხეთის დაბლობის სინამდვილეშიც. როგორც ჩოლოქისა და ქოროხის ქვემო დინების (ქარნალი) რკინის წარმოების ცენტრების არქეოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მოხდა რკინის წარმოების კონცენტრაცია და მიღებულმა პროდუქციამ, მისმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა შინს, პრაიმითული სასაქონლო ხასიათი მიიღო. ჩოლოქის ხეობაში გამოვლენილი მსხვილი სახელოსნო უბანი, რომელიც 100-მდე ქურა-სახელოსნოს მიითვლიდა, ლითონით (რკინით) ამარაგებდა საკმაოდ მოზრდილ რაიონს. მაგრამ, ქვემო ქედის სახელოსნო უბნისაგან განსხვავებით, რომელიც სპილენძ-ბრინჯაოს მოპოვება-დამუშავებაში იყო დასაქმებული და მრავალდარგობრივი პროფილი ჰქონდა, ჩოლოქ-ქოროხის რკინის მოპოვებელი სახელოსნო უბნები ერთდარგოვანი საწარმოები იყო და მხოლოდ რკინის მოპოვებაზე მუშაობდნენ. ის, რაც სპილენძ-ბრინჯაოს წარმოებაში ადრეკინის ხანაში ჩანს მიღწეული (ქვემო ქედი), რკინა-ფოლადის წარმოებაში ქალაქური ხელოსნობის სტადიაზე ჩნდება (მცხეთის სარკინე). ე. ი. წარმოების მთელი ციკლი რიგ დარგებში თავს იყრის ერთ სახელოსნო უბნის ფარგლებში, რითაც მთავრდება ხელოსნური წარმოების კონცენტრაციის, მისი განვითარების ერთი საფეხური.

ქალაქური ხელოსნური წარმოების წარმოქმნამ საფუძველი გამოაცალა ხელოსნური წარმოების ძველი ცენტრების ერთი ჯგუფის არსებობას. უკანასკნელთა პროდუქცია კონკურენციას ვეღარ უწევდა ქალაქურ ხელოსნურ ნაწარმს, თანდათანობით იკვეცებოდა და წყვეტდა არსებობას. აღმოსავლეთ საქართველოდან ამ დასკვნის საილუსტრაციოდ შეიძლებოდა მიგვეთითებინა ხელოსნური წარმოების მოსპობა ხოვლეში, ქვემო ბოლნისში, ქვემო ქედში, ხირსაში, ნაცარგორაზე და ა. შ., ხოლო დასავლეთ საქართველოდან — ხელოსნური წარმოების მოსპობა ციხისძირში, ჭარნალში, კვირიკეში, ლეღვაში, ვაკიჯვარში, სურებში, პირველ ჭოღაში, ხაბუმეში და ა. შ. მათი დაცემა იბერიისა და კოლხეთის ქალაქთა ხელოსნური წარმოების განვითარებას უკავშირდება და მასთან კავშირშია გასაგები.

თუ ძვ. წ. IX—VII საუკუნეებში ხოვლეს სახელოსნო უბანი ერთდროულად მოქმედ რამდენიმე ქურას მიითვლიდა, ძვ. წ. IV საუკუნეში, როცა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ქალაქური ხელოსნური წარმოების ცენტრები მოქმედებდნენ, იგი მხოლოდ ერთ ქურას შეიცავდა და ჩქარა შეწყვეტა კიდევ არსებობა. ასევე, როცა მცხეთის სარკინე ამოქმედდა, არსებობის საფუძველი გამოეცალა ლითონის მოპოვება-დამუშავებაზე დასაქმებულ სახელოს-

ნოებს ქვემო ბოლნისში, ნაცარგორასთან და, ალბათ, არაერთ სხვა პუნქტში. როცა ჩოლოქ-ოჩხამურის წყალსაყართან ქალაქური ხელოსნური წარმოების ცენტრი შეიქმნა, არსებობა შეწყვიტა ქარნალისა (ბათუმის რ-ნი) და კვირიკის (ქობულეთის რ-ნი) მეტალურგთა უბნებმა. იგივე შეიძლებოდა თქმულიყო ხობ-ოჩხომურის (სოფ. პირველი ჭოლა, ხაბუმე და ა. შ.) მეტალურგთა უბანზეც, რომელმაც, როგორც ჩანს, კოლხური ქალაქების წარმოქმნის პერიოდში შეწყვიტა არსებობა. ასეთივე ვითარება შეინიშნება იორალაზნის ორმდინარეთის დაწინაურებულ რაიონებშიც.

ამგვარად, ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში, როცა ისახება და ვითარდება ქალაქური (სასაქონლო) ხელოსნური წარმოება, არსებობას წყვეტს წინაკლასობრივი ხანის ხელოსნური წარმოების ლოკალური კერები. ქალაქური ხელოსნური წარმოება, წინა პერიოდის წარმოებასთან შედარებით, თვისობრივად ახალი საფეხური იყო. მიუხედავად იმისა, რომ ხელოსნის ტექნიკურ ტრადიციებსა და საწარმოო იარაღს პრინციპული ცვლილება არ შეემჩნეოდა. ეს სიახლე გამოხატული იყო როგორც ხელოსნობაში დასაქმებული შრომის, ისე, განსაკუთრებით, ხელოსნური ნაწარმის ხასიათში. ქალაქური ხელოსნური ნაწარმის სასაქონლო ხასიათი, მის მოძრაობასა და გავრცელებას თუ დავაკვირდებით, ექვს არ უნდა იწვევდეს, რაც, თავის მხრავ, წარმოებაში დასაქმებული შრომის ბუნებაზეც გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას.

ანტიკური ხანის იბერიის ქალაქთა ხელოსნური წარმოების დარგებზე ცნობები საკმაოდ არათანაბრადაა დაგროვებული. ხელოსნობის რიგ დარგებზე მსჯელობა მხოლოდ ნაწარმის მიხედვით გვიხდება, მეორე ჯგუფზე, ნაწარმის გვერდით, გავგაჩნია წარმოების იარაღებიც, ხოლო მესამე ჯგუფის არსებობაზე მოგვიანო წერილობითი წყაროების მიხედვით გვიხდება საუბარი.



ქალაქური ხელოსნური წარმოების ერთ-ერთი ძირითადი დარგი ანტიკური ხანის იბერიაში ლითონის დამუშავება ჩანს. ამ დარგში ტონის მიმცემად, ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან მაინც, იბერთა სამეფოს დედაქალაქი მცხეთა წარმოგვიდგება, რომლის ერთ-ერთი უბანი, როგორც ეს სარკინეთის არქეოლოგიური გათხრების დროს დადგინდა, სწორედ ლითონის მოპოვება-დამუშავებაში ყოფილა დასაქმებული. სარკინეთში თავმოყრილი იყო როგორც რკინის მოპოვება-დამუშავებაზე (მეტალურგია-მჭედლობა), ისე

სხვა ლითონების დამუშავებაზე დასაქმებული სახელოსნოები. ზოგჯერ ლითონის მოპოვების (დაწურვის) და მისი შემდგომი დამუშავების სამუშაოები თავმოყრილია ერთი სახელოსნოს (ნაგებობის) ფარგლებში. სარკინეთში აღმოჩენილი ერთ-ერთი მრავალგანყოფილებიანი დიდი სახელოსნოს ერთ განყოფილებაში რკინის დაწურვა უწარმოებიათ, მეორეში ტყვია გამოუდნიათ, ხოლო მესამეში — სპილენძი. ამავე სახელოსნოს დასავლეთ ნაწილში ოქრომჭედელთა სახელოსნო ყოფილა გამართული, რაზედაც, როგორც ეს ა. აფაქიძემ მიუთითა, ტივლებისა და ტეიფრის აღმოჩენა უნდა მიუთითებდეს⁷.

მცხეთის სარკინეში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს დადასტურდა რკინის მოპოვება-დამუშავების მთელი ციკლის კონცენტრაცია ერთი სახელოსნოს ფარგლებში, რაც, როგორც ა. აფაქიძემ მიუთითა, შრომის (წარმოების) შესაბამის ორგანიზაციასაც გულისხმობდა⁸, რომელშიც პროფესიული შრომის გვერდით დამხმარე, არაპროფესიული შრომაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მადნის ამოღება, გადარჩევა და საკმაო მანძილზე ტრანსპორტირება, საწვავის დამზადება და ტრანსპორტირება, ცეცხლგამძლე თიხების მოთხრა, გასუფთავება და ტრანსპორტირება, მადნის შემზადება ქურაში ჩასატვირთად, ქურის გამართვა, მადნის ჩატვირთვა და ქურის გადვივება, ქურის მუშაობის რეჟიმზე თვალყურის დევნება და გამოდნობის პროცესის დამთავრება, ლუგვი რკინის პირველადი დამუშავება „საეპელაზე“ (გრდემლზე?) და სამჭედლო რკინის მიღება, „სახელადე“ რკინის დაჭრა, „სადედნეების“ მოკვეთა, „ხელადის“ (სასურველი ფორმის ნივთის) გამოჭედა და გამოწრობა, აი ის ძირითადი ოპერაციები, რომელთაც რკინა-ფოლადის მზა ნაწარმის მიღება გულისხმობდა⁹. სარკინეში აღმოჩენილი იყო რკინის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაო იარაღები, წარმოების გადანაყარი, ნახევარფაბრიკატები და დასრულებული ნაწარმი, აგრეთვე, სახელოსნოთა ნაგებობები. წარმოების ამგვარი კონცენტრაცია, ბუნებრივია, ხელოსნური წარმოების განვითარებულ საფეხურს გულისხმობდა, რაც, მართლაც, წარმოუდგენელი იყო შრომის შესაბამისი ორგანიზაციის გარეშე¹⁰. ამასთან იგი წარმოების ორგანიზატორის დიდ ეკონომიურ შესაძ-

⁷ ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 209.

⁸ იქვე, გვ. 209—213, 232—233. О. Д. Лордкипанидзе, Ремесленное производство... გვ. 127.

⁹ შდრ. ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 209 და შმდ.

¹⁰ О. Д. Лордкипанидзе, Ремесленное производство..., გვ. 125—127.

ლებლობაზე შეუთითებდა და ამ როლში ინდივიდუალური ხელოსანის წარმოდგენას გამორიცხავდა. ეს იყო ნამდვილი ხელოსანური წარმოება, რომელსაც თავისი სპეციფიურობის გამო კონცენტრაციის განვითარებაში გარკვეული დონისათვის მიეღწია.

მცხეთის სარკინეს როცა ვეხებით, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ვითარება, რომელიც ფიჭვნარ-ჩოლოქის ანტიკური ნაქალაქარას მიდამოებში დადასტურდა. რკინის წარმოება აქაც საკმაოდ კონცენტრირებულია და დიდი მასშტაბებით ხასიათდება, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, სარკინეში ამ მხრივ უფრო მაღალი დონეა წარმოდგენილი. ქობულეთ-ფიჭვნარის სახელოსნო ცენტრი პირდაპირ აგრძელებს წინარე საფეხურის სახელოსნო ცენტრის ტრადიციებს, სადაც რკინის მოპოვებისა (მეტალურგია) და დამუშავების პროცესები (მჭედლობა) გათიშულია ერთმანეთისაგან. სახელოსნოების გათხრის დროს დადასტურებული არ ყოფილა რკინის დამუშავებასთან (მჭედლობასთან) დაკავშირებული რაიმე მასალა. აქ წარმოების ციკლი სამჭედლო რკინის მიღებით მთავრდებოდა, ხოლო მიღებული ნაწარმი შესაბამისი ბაზრებისაკენ იგზავნებოდა. ადრეანტიკური ხანიდან ჩოლოქის ხეობის სარკინეს ნაწარმის ძირითადი მომხმარებელი თანამედროვე ქობულეთ-ფიჭვნარის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქი და სუფსა-ჩაქვისწყლის ორმდინარეთის რაიონის მოსახლეობა უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ამ მხრივ სუსტადაა შესწავლილი როგორც ანტიკური ქობულეთ-ფიჭვნარის, ისე მცხეთის „ქვეყანა“, მაგრამ, როგორც ჩანს, მცხეთის სარკინეს ნაწარმი, არსებული მონაცემების მიხედვით, დიდ რაიონს, იქნებ მთელ შიდა ქართლს, ამარაგებდა სამჭედლო რკინითა და რკინის ნაწარმით¹¹.

თუ რკინის მოპოვებასთან დაკავშირებული წარმოება ანტიკურ ქალაქთა მხოლოდ მცირე ჯგუფის მეურნეობისათვის იყო დამახასიათებელი, რაც საწარმოო ბაზის (მადნის საბადოების) ქონებით იყო ძირითადად პირობადებული, რკინის დამუშავება (მჭედლობა და მისი დარგები) უკლებლივ ყველა ქალაქის მეურნეობაში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. მჭედლობის გარეშე ქალაქის სამეურნეო ცხოვრება წარმოუდგენელია, რაც გაპირობებული იყო სათანადო ხარისხის ფოლადის უქონლობითაც. ამისი მოწმობა უნდა იყოს ანტიკურ ნაქალაქართა ტერიტორიაზე დროდადრო აღმოჩენილი სამჭედლო წიდეები (უფლისციხე, აფსაროსი, დიოსკურია და ა. შ.) და ანტიკური ხანის ზოგიერთი ნაქალაქარის მონუმენტური ძეგლები. ამ მხრივ იბერია-კოლხეთის

¹¹ შპრ. ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 233.

ნივთიერი კულტურისათვის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი, რომლის ცენტრალური ნაწილი, როგორც ცნობილია, წარმოადგენდა კლდეში ნაკვეთ გრანდიოზულ ანსამბლს. მის შესაქმნელად ამოკაფული იყო ასეულ ათასობით კუბამეტრი კლდე (დარბაზები, მოედნები, სათავსოები, ქუჩები, გზები, კლდეკარები, გვირაბი, ხაროები, საწნახლები, წყალსადენი არხები, სასიმაგრო კედლების ასაგები მოედნები), მოკვეთილი და დამუშავებული იყო ათეულ ათასობით ქვათილი. ძნელი მისასველრი არ არის, რომ ამგვარ სამუშაოებს, სათანადო სახსრებისა და სამუშაო ძალის ქონებასთან ერთად, არაერთი ათეული ტონა მალახარისხოვანი ლითონისაგან დამზადებული სამუშაო იარაღი სჭირდებოდა (ურთები, ჩაქუჩები, წერაყინები, წალკატეები, ნიჩბები, სოლები და ა. შ.). არქეოლოგიური გათხრებისას ექსპედიცია დააკვირდა კლდის კაფვის პროცესს; გამოირკვა, რომ მალახარისხოვანი, თანამედროვე ფოლადისაგან დამზადებული იარაღებიც კი, რამდენიმე საათის მუშაობის შემდეგ შეკეთებას საჭიროებდა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ იმდენად ცვეთბოდა, რომ შესაცვლელი ხდებოდა. იარაღის დაჩლუნგების გამო, შრომის ნაყოფიერების მკვეთრი დაქვეითება პირველივე საათის შემდეგ იწყებოდა და მიუხედავად იმისა, რომ კლდის კაფვაზე დახარჯული შრომის ინტენსივობა იზრდებოდა, შრომის ნაყოფიერება რამდენიმე საათის შემდეგ თითქმის ნულამდე ეცემოდა. მეორე მხრივ, კლდის კაფვაზე რამდენიმე საათით მუშაობას ფიზიკურად ყველაზე ძლიერი და ნაწრთობი მშრომელიც კი ვერ ახერხებდა. რა რაოდენობის იარაღი უნდა გაცვეთილიყო და რა შრომა უნდა დახარჯულიყო ასეულ ათასობით მ კლდის ამოსაკაფავად! და თუ კლდის კაფვაზე არათავისუფალთა შრომის გამოყენებას დავეშვებით, რაც, მართლაც, ასე უნდა ყოფილიყო, ცხადია, სამუშაო იარაღის გაცვეთისა და მწყობრიდან გამოსვლის ხარისხი ძალიან დიდი უნდა ვიგულისხმოთ. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მშენებლობის ორგანიზატორს შესაბამისი ზრუნვა უნდა გამოეჩინა მშენებლობის სამუშაო იარაღებით უზრუნველსაყოფად და სათანადო შემკეთებული სახელოსნოების გასამართავად. მათ შორის, პირველ რიგში, ფართოდ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი სამკედლოები, სადაც არა მარტო ახალი იარაღების გამოკედვა-გამოწრთობა, არამედ იარაღის შეკეთება-გამოპირვაც უნდა ეწარმოებინათ. ქალაქის სხვადასხვა უბნებში აღმოჩენილი სამკედლო წილები, როგორც მივეუთითეთ, ასეთი სახელოსნოების არსებობის ნაკვალევად უნდა იყოს. მართალია, აღწერილი ვითარება ქალაქის მშენებლო-

ბის პერიოდს მოიცავდა, რომლის შემდეგ ამგვარი სახელოსნოების დატვირთვა თითქოს შესამჩნევად უნდა შემცირებულყო, მაგრამ რკინის ნაწარმზე მოთხოვნილება და შესაბამისი სახელოსნოების ქონების აუცილებლობა ანტიკურ ქალაქში ყოველთვის არაებობდა: გარნიზონს სჭირდებოდა იარაღის არსენალის შევსება და დაზიანებული იარაღის შეკეთება, სოფლის მეურნე თხოულობდა ნამგალს, სახნისს, ურმის თვის სალტეებს, დუქარდს (ცხვრის საკრეჭ მკარატელს), ვაზის სახსლავ დანებს, სამზარეულო და პირად იარაღს, რკინის სამკაულს (ბეჭდები, სამაჭურები, საყურეები, და ა. შ.), ხელოსნობის სხვა დარგების წარმომადგენლებს სჭირდებოდათ სახელოსნო იარაღები და ა. შ. განუწყვეტელი შეტევითი თუ თავდაცვითი ომები საჭიროებდა არა მარტო ქალაქის გარნიზონის, არამედ საერთოდ სამეფოს საბრძოლო იარაღის არსენალის შევსებაზე მუდმივ ზრუნვას, რაც მკვდლობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო. ასეთი სამუშაოები უნდა წარმოებულყო არა მარტო მცხეთის სარკინეში. თუმცა მას იბერიის სამეფოში წაყვანი ადგილი ეკირა, არამედ უფლსციხის, ურბნისისა თუ სხვა ქალაქების, მათ შორის მცხეთის სხვა უბნების სამკვდლო-სახელოსნოებში. ასე რომ, რკინის დამუშავება და ზოგჯერ რკინის მოპოვებაც ანტიკური ხანის იბერიის საქალაქო ხელოსნური წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი ჩანს, სადაც პროფესიული შრომის გვერდით არაპროფესიული შრომის მნიშვნელოვანი ოდენობა უნდა ყოფილიყო დასაქმებულნი. სამწუხაროდ, ბევრი არაფერია ცნობილი ხელოსნური ნაწარმის რეალიზაციის ფორმებსა და ხასიათზე, თუმცა ნაწარმის მნიშვნელოვან ნაწილს უდავოდ სასაქონლო ხასიათი უნდა ჰქონოდა. ამისი მოწმობაა არქეოლოგიურად კარგად ცნობილი ფაქტები ქალაქური ხელოსნური ნაწარმის ფართო გავრცელებაზე ახლო თუ შორეულ რაიონებში.

ადრეანტიკური ხანიდან ქალაქური ხელოსნური წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად კერამიკული წარმოება წარმოგვიდგება. სამზარეულო, სუფრისა და სამეურნეო ტურქული, კრამიტის ორივე სახეობა და აგური, წყალსადენის მილები და ტერაკოტა საერთოდ აგრძელებდა კერამიკული წარმოების

ძველ ტრადიციებს, მაგრამ დროთა ვითარებაში იქმნებოდა ნაწარმის ახალი სახეობანი, დამუშავების ხერხები და საწარმოო იარაღების განვითარებული სახეობანი. ასე, მაგალითად, ძვ. წ. VIII—III საუკუნეებს შორის წარმოდგენილ პერიოდში ხოვლეს მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია აღვნიშნოთ სამეთუნეო ქურების სამი, გენეტიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული ტიპი¹² ამავე დროს, როგორც მცხეთის გათხრებმა გვიჩვენა, ანტიკური ხანის იბერიის ქალაქური კერამიკული წარმოება იცნობდა სამეთუნეო ქურის სხვა სახეობას, რომელიც გენეტიკურად ქურების სულ სხვა ტიპს უკავშირდებოდა: სვეტიცხოვლის მახლობლად (არაგვის ქუჩის დასაწყისთან) 1958 წელს აღმოჩენილი სამეთუნეო ქურა აღნაგობით ემსგავსება ქურების იმ ტიპს, რომელიც მინგეჩაურის ნაქალაქარზე იყო აღმოჩენილი¹³. მცხეთას კერამიკული სახელოსნოები ჰქონია არა მარტო მუხრანით კერძი ქალაქის“ უბანზე, არამედ არმაზის ძირასაც, მტკვრის პირველ ტერასზე¹⁴. სამწუხაროდ, შეუძლებელი გახდა ურბნისის ნაქალაქარზე გამოვლენილი, ელინისტური ხანის სამეთუნეო ქურების აღნაგობის გარკვევა¹⁵.

კერამიკულ წარმოებაში, როგორც აღვნიშნეთ, განვითარების სურათი დასტურდება არ ამარტო სამეთუნეო ქურებში, არამედ ამ პროცესის საკმაოდ ნათელი სურათის წარმოდგენა შეიძლება თვით ხელოსნური ნაწარმის მონაცემების საფუძველზე. იბერიის კერამიკული წარმოება მხარდამხარ მიჰყვებოდა მეზობელი ხალხების ხელოსნურ წარმოებას; იგი დასავლური „ორიენტაციის“ კოლხური ხელოსნური წარმოებისაგან განსხვავებით, ახლო ურთიერთობაშია ჯერ ურარტულ და აქემენიდურ, შემდეგ კი პართულ და სასანურ სამყაროსთან, ხოლო შედარებით სუსტად იცნობს დასავლურ კერამიკულ ნაწარმს. მართალია, ბერძნულ-მცირეაზიული თუ რომაული ნაწარმი მისთვის უცნობი არ არის (ხოვლე, ავლევი, ფრონეს ხეობის რუსთავი, უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი, უფლისციხე-ბამბების ნადაბარი და ა. შ.), მაგრამ

12 დ. ხ ა ხ უ ტ ა შ ვ ი ლ ი, ხოვლეს სამოსახლოს სახელოსნო უბნის გათხრების შედეგები და მისი მნიშვნელობა საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლისათვის (ხელნაწერი), თბილისი, 1962. იხანება ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების არქივში (№ 61).

13 ა. ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წ. სეზონის ძირითადი შედეგებისათვის, საქართველოში 1958 წ. წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მოხსენებების თეზისები, თბილისი, 1959, გვ. 15.

14 ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, გვ. 68.

15 ლ ე ვ ა ნ ჯ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 41—42.

რომაულ ხანაჲმდე მაინცდამაინც არც კი შეიმჩნევა დასავლური ხელოსნური წარმოების ზემოქმედების ნიშნები. სხე სურათი შეინიშნება აღმოსავლეთთან, განსაკუთრებით კი ირანულ სამყაროსთან ურთიერთობაში. აქ კულტურულ-ეკონომიური კავშირები უფრო ადრე და უფრო მკვეთრადაა გამოხატული, რაც კერამიკულ ნაწარმშიც ნახულობს ასახვას. უკვე, ძვ. წ. VI საუკუნეშივე იჩენს თავს წერნაქით მოხატული თუ შეღებილი თიხის ჭურჭელი, რომელმაც მალე იბერიიდან კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებშიც შეაღწია (ითხვისი)¹⁶. მაგრამ იბერიის საწარმოო ძალთა განვითარების მაღალი დონე აპრობებდა იმ გარემოებას, რომ ხელოსნური წარმოება, მათ შორის მეთუნეობაც, ადგილობრივ ნიადაგზე ამუშავებდა მეზობლებისაგან შეძენილ ტექნიკურ ხერხებს.

ქალაქური კერამიკული წარმოების ერთ-ერთი წამყვანი დარგი თიხის ჭურჭლის დამზადება იყო, სადაც განვითარების სამი ძირითადი საფეხური შეინიშნება: ადრეანტიკური ხანა (ძვ. წ. VI—IV საუკუნეები), რომელიც საწყის სტადიაზე დიდ სიახლოვეს იჩენდა წინარე საფეხურის კერამიკულ წარმოებასთან, მაგრამ თანდათანობით შორდებოდა მას. ძვ. წ. V—IV საუკუნეებში იგი სავსებით ჩამოყალიბებულ, თავისთავად სახეს იღებს. ამ პერიოდის დამახასიათებელი ნიშნებია წითელი კეცის კერამიკის გამოჩენა, რომელიც ნაწარმის ერთ-ერთ წამყვან სახეობად იქცევა, წერნაქით შეღებილი და მოხატული ჭურჭლის გამოჩენა, კარგად გამოხატული ქუსლის მქონე პროფილირებული ფორმების, შემუშავება, რომელიც გარკვეულ მსგავსებას იჩენს დასავლურ, ლაციან სუფრის ჭურჭელთან. ჭურჭლის გაპრიალება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საღვინე ქვევრებს, სამზარეულო და სუფრის ჭურჭლის ზედაპირის დამუშავების ძირითად ხერხად რჩება. ამ პერიოდის მიწურულს, ძვ. წ. IV საუკუნეში, წითელკეციანი კერამიკა წამყვან მდგომარეობას იკავებს. ამავე დროს თავს იჩენს თევშების ფორმის თხელკეციანი ჭურჭელი. ელინისტური ხანა (ძვ. წ. III—I საუკუნეები) თავისი ადრეული ეტაპით უშუალო გაგრძელებაა IV საუკუნის ტრადიციებისა, მაგრამ ამ პერიოდში ჭურჭლის პროფილირების ხერხები იხვეწება და რთულდება, მრავლდება წერნაქით მოხატული ჭურჭელი, თავს იჩენს მოხატული, თხელკეციანი საღვინე ქვევრები და დერგები (უფლისციხე, ბამბების ნაშოსახლარი 1965 წ. განათხარი მასალა), ხდება თიხის ჭურჭლის, განსაკუთრებით, ლეგა და შავპრიალა ჭურჭლის,

¹⁶ ი. გავრშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, გვ. 67—68.

ზედაპირის დამუშავების (გაპრიალების) ხერხების ახალი აღმავლობა — ჩნდება ე. წ. სარკისებრზედაპირიანი ჭურჭლები, თუმცა თავს იჩენს ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ ჭურჭლის ზედაპირის დამუშავების ამ ხერხის დაქვეითების დაწყებაზე. თავს იჩენს აგრეთვე, მეტად თხელკეციანი სამზარეულო ჭურჭელი, განსაკუთრებით, ქოთნები, რომელთა ზედაპირი უყურადღებოდაა დამუშავებული (გაპრიალებული). ამავე პერიოდში ჩნდება წითელკეციანი თიხის ჭურჭლის თავისებური სახეობა, რომელსაც სარკისებური ზედაპირი აქვს და კარგადაა ანგობირებულ-შეღებილი. იბერიაში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამგვარი ნაწარმი ცნობილია მხოლოდ უფლისციხიდან (კლდეში ნაკვეთი შიდა ქალაქისა და ბაშბეზის ნაღაბარის ადრეელინისტური ფენები; 1964—1965 წწ. განათხარი). არმენიაში მსგავსი კერამიკული მასალა აღმოჩენილი იყო გარნის ციხის ადრეელინისტურ ფენაში. ელინისტურ ხანაში მრავლდება დასავლური იმპორტული კერამიკული ნაწარმი. ამ მხრივ, ჯერჯერობით, ძირითადად უფლისციხეში მოპოვებული მასალების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, სადაც აღმოჩნდა კოლხური და მცირეაზიული ამფორების, აგრეთვე, მცირეაზიული (პერგამული) წითელლაქიანი თევზებისა და შავლაქიანი კერამიკის გვიანი, მცირეაზიული მინაბაძების ფრაგმენტები¹⁷. აღებული პერიოდის მიწურულს ჩნდება სადა, ხაოიანი ზედაპირის მქონე თიხის ჭურჭლები, თუმცა არსებობას განაგრძობდა როგორც მოხატული, ისე შეღებილი და გაპრიალებული ზედაპირის მქონე ნაწარმიც. ამავე დროს, აშკარად შეიმჩნევა ნიშნები ჭურჭლის ზედაპირის დამუშავების ძველი ხერხების დაქვეითებისა: ეცემა შეღებვა-მოხატვის ხარისხი, ჰქრება „სარკისებურზედაპირიანი“ გაპრიალებული ჭურჭლები და ა. შ. ეს გარემოება, როგორც ფიქრობენ, საჭურჭლე მასალის ახალ სახეობათა (მინა, ლითონი) ფართო გამოყენების დაწყებას უკავშირდებოდა. პერიოდი, რომელიც ახ. წ. პირველ საუკუნეებში მოიცავს, ხასიათდება თიხის ჭურჭლის წარმოების შემდგომი „დაქვეითებით“. ბუნებრივია, საკმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ნაწარმის გარეგნულ სახეს: ზედაპირის დამუშავების ხერხებს, შემკულობას და ა. შ. რაოდენობრივად, წარმოების მასშტაბების მიხედვით კი, ცხადია, არავითარი დაქვეითება არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ დროს, ყოველ შემთხვევაში საწყის პერიოდში მაინც, როგორც ერთგვარი გადმონაშთი, განაგრძობს არსებობას

¹⁷ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 57. 1964 წ. მასალები საგრძნობლად მომრავლდა.

წერნაქით მოხატული ჭურჭლის წარმოება. მთლად არ არის მიე-
წყებული ზედაპირის გაპრიალება და ა. შ., მაგრამ წამყვანი ხდება
ხაოიანზედაპირიანი ნაწარმი. თავს იჩენს ლითონის ჭურჭლის მი-
ბაძვით შესრულებული ფორმები (წინარე საფეხურზე საპირისპი-
რო სურათს ედასტურებთ) და ა. შ. ამ დროს, თიხის ჭურჭლის
მომხმარებელთა სიას გამოერიცხა ქალაქის მოსახლეობის არის-
ტოკრატიული ნაწილი, რომელიც ახლა მინისა და ლითონის სუფ-
რის ჭურჭელს იყენებდა. ამისივე მოწმობაა, რომ ამ პერიოდის
მდიდრულ სამარხებში იშვიათად თუ ყოფილა აღმოჩენილი თიხის
ჭურჭელი.

ანტიკური ხანის საქალაქო კერამიკული წარმოების ერთ-ერთი
მნიშვნელოვანი დარგი კ რ ა მ ი ტ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა იყო. იბე-
რიაში იგი ძვ. წ. IV საუკუნიდან არის დადასტურებული. მოგვიან-
ო პერიოდში, როგორც ჩანს, გვიან ანტიკურ ხანაში, მას ემატება
აგურის წარმოება. იბერული კერამიკის წარმოება ქართველი არ-
ქეოლოგების მიერ საკმაოდ კარგად არის შესწავლილი (ა. აფაქი-
ძე, ირ. ციციშვილი, ოთ. ლორთქიფანიძე და სხვები)¹⁸ და სიტყვას
აღარ გავაგრძელებთ.

კერამიტი ძირითადად საქალაქო მშენებლობაში იყო გამოყე-
ნებული, მაგრამ უკანასკნელ წლებში მოპოვებული მასალა მიუ-
თითებს, რომ ელინისტურ ხანასა და მომდევნო პერიოდში კრა-
მიტით გადახურული სახლები გვხვდებოდა დაბურ სამოსახლოებ-
შიც (უფლოსციხესთან ბაშბებისა და ყათნალიხევის ნადაბარი, თე-
ლათგორას ნამოსასლარი, ბორი და ა. შ.). როგორც ჩანს, ადრე
გამოთქმული მოსაზრება, რომ კერამიტით გადახურული ნაგებო-
ბანი ანტიკური ხანის იბერიაში მხოლოდ ქალაქებისათვის იყო და-
მახასიათებელი, მოითხოვს ერთგვარ დაზუსტებას: მართალია,
კერამიტი ძირითადად საქალაქო მშენებლობაში იყო გავრცელებუ-
ლი და საქალაქო სახელოსნოები იყო მისი მწარმოებელი, მაგრამ
იგი გამოიყენებოდა სასოფლო მშენებლობაშიც, თუმცა არა ისე
ფართოდ, როგორც ქალაქებში.

კერამიკის წარმოების ძირითადი ცენტრი იბერიაში, როგორც
ფიქრობენ, მცხეთა უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ნაქალაქარზე
ჯერაც არ არის გათხრილ-შესწავლილი კერამიკის სახელოსნოები
(თუმცა მინიშნებულია ერთი ასეთი სახელოსნოს ადგილსამყოფე-
ლი)¹⁹, რამ შესაძლებელი გახდეს აღნიშნული მოსაზრების უყოყ-

¹⁸ ა. აფაქიძე, სამშენებლო კერამიკის წარმოების საკითხისათვის ანტი-
კური ხანის ქართლის სამეფოში, გვ. 101—133. მისივე, ქალაქები და საქა-
ლაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 44—77. ლიტ-რა იქვე.

¹⁹ ა. აფაქიძე, მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, გვ. 69.

მანოდ მიღება. უფლისციხისა და ურბნისის არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა, რომ კრამიტის ორივე სახეობა საკმაოდ გავრცელებული იყო იბერიის სხვა ქალაქების მშენებლობაშიაც. უფლისციხური კრამიტი თავისი ფორმებითა და კრამიტზე ამოკაწრული ნიშნებით დიდ მსგავსებას იჩენს მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ანტიკურ კრამიტთან²⁰, რაც იმისი მოწმობა შეიძლება იყოს, რომ ანტიკური ხანის იბერიას, ყოველ შემთხვევაში შიდა ქართლს მაინც, კრამიტის წარმოების ერთი ძლიერი ცენტრი ემსახურებოდა. საკითხი იმის თაობაზე, თუ სად მდებარეობდა ასეთი ცენტრი, საბოლოოდ მომავალი კვლევა-ძიების პროცესში დადგინდება ალბათ, მაგრამ დღეისათვის არსებული მასალის მიხედვით, ასეთად ანტიკური მცხეთა უფრო შეიძლება მიგვეჩნია. ვიდრე სხვა რომელიმე პუნქტი²¹. აქვე შეიძლება შეგვენიშნა, რომ მცხეთის დიდი როლი (თუ ასეთი მართლაც დადასტურდებოდა), სრულებითაც არ გამორიცხავს კრამიტისა და კერამიკულ სამშენებლო მასალათა წარმოების სხვა ცენტრების არსებობას.

მცხეთური კრამიტის, კერძოდ ღარიანი კრამიტის დამზადების ხერხების შესწავლამ ა. აფაქიძე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „მცხეთას ღარიანი კრამიტი უკეთებიან კერამიკულ ჩარხზე, ისე როგორც წყალსადენის მილები, ე. ი. ასე ვთქვათ, „საკრამიტე მილები“ უკეთებიან (ეს იქნებოდა ნახევარფაბრიკატი), შემდეგ დაახლოებით შუაზე, სიგრძეზე გაუჭრიათ ეს მილები და თითო საკრამიტე მილისაგან ორ-ორი ღარიანი კრამიტი მიუღიათ“²². ამ ფაქტის დადგენა იმის მოწმობადაც გამოგვადგება, რომ ანტიკურ იბერიაში წყალსადენი მილების წარმოებას გარკვეული ტრადიცია ჰქონია, რაც წყალსადენებისა და წყალსადენი მილების აღმოჩენებითაც დასტურდება (მცხეთა, ბაგინეთი, არმაზისხევი, უფლისციხე, ურბნისი და ა. შ.).

სამშენებლო მასალების წარმოების შესწავლასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მიეთითოს აგურის, მათ შორის კალორი-

20 ი. რ. ციციშვილი, მცხეთის ანტიკური კრამიტის შესწავლისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. IX, № 8, 1948 წ., გვ. 517—524. დ. ხახუტაშვილი, უფლისციხე, I, გვ. 57, 86, ტაბ. XXXIV.

21 არმაზისხევისა და ბაგინეთში აღმოჩენილი წუნდებული კრამიტი, აგრეთვე, განსაკუთრებით კრამიტებზე დადასტურებული ნიშნების განმეორება თიხის კურკლებზე და კერამიკულ ფილებზე (ი. რ. ციციშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 521—522) საამისო მოწმობა უნდა იყოს, მაგრამ მათ მთლად გადამწვევრი მნიშვნელობა არ უნდა მივაკუთვნოთ.

22 ა. აფაქიძე, სამშენებლო კერამიკის წარმოების საკითხისათვის..., გვ. 117.

ფერის აგურია და იატაკის ფილების წარმოებაზე, მართალია, სათანადო მასალა აქაც მხოლოდ ნაწარმით განისაზღვრება. მაგრამ ნაწარმის ადგილობრივობა და მისი წარმოშობა ქალაქური სახელოსნოებისაგან ექვს არ უნდა იწვევდეს.

ქალაქური ხელოსნური წარმოება, როგორც არქეოლოგიური მასალა მიუთითებს, მიითვლიდა ხელოსნობის ისეთ დარგებს, როგორცაა: მხატვრული ხელოსნობა, მინის წარმოება, კვეთა ქვებზე და ძვალზე, წარწერების გაკეთება, მეიარაღეობა, ლითონის ქურჭლის დამზადება, კალატოზობა, ღურგლობა, ქვისმტეხელობა, მუხამლეობა, თერძობა, ნალბანდობა, მეზარტხანეობა და ა. შ.²³. წარმოების თითოეული დარგის მასშტაბები ძირითადად დამოკიდებული უნდა ყოფილიყო მოთხოვნილებაზე და ნაწარმის მნიშვნელობაზე ქვეყნის მეურნეობაში.

სახელოსნო წარმოებისა და ხელოსნების განლაგება უშუალოდ ქალაქის ზღუდის შიგნით სრულებითაც არ იყო საველდებულო. საამისო საყურადღებო მონაცემებს იძლევა როგორც მცხეთის, ისე სხვა ქალაქების მონაცემები. მცხეთის კერამიკული სახელოსნოები, როგორც არსებული მასალები მიუთითებს, საქალაქო ზღუდის შიგნით მდებარე ტერიტორიის სხვადასხვა უბნებზე იყო წარმოდგენილი. ასეთი ნიშნები და სახელოსნოთა ნაშთები შემჩნეულია როგორც „მუხნარით კერძი ქალაქის“ (სვეტიცხოვლის მიდამოები), ისე „არმაზით კერძი ქალაქის“ (ბაგინეთის ჩრდ.-აღმოსავლეთით, მტკვრის პირველ ტერასაზე, არმაზისხევი) მასალებში. ლითონის მოპოვებასა და დამუშავებაში დასაქმებული სახელოსნოები დადასტურებულია ქალაქის ერთ-ერთ საწარმოო გარეუბან — სარკინეში, ხელოსნობის ცალკეულ დარგებში დასაქმებული სახელოსნოები შეიძლებოდა ქალაქის სასოფლო ოლქის დაბებშიაც ყოფილიყო წარმოდგენილი. ამ მხრივ, მეტად დამახასიათებელი მასალა მოგვცა უფლისციხის ერთ-ერთი ანტიკური ნადაბარის ტერიტორიაზე ჩატარებულმა გუშაობამ. კერძოდ, 1965 წ. ბამბების ანტიკური ნადაბარის II უბნის გათხრებისას აღრეელინისტური ხანის I საცხოვრებელი კომპლექსის I ოთახის იატაკის დონის ქვეშ, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 4,8 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნ-

²³ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, გვ. 224—235, 240.

და ორმოსამარხი (№ 10), რომელიც ძვ. წ. V—IV სს-ით თარიღდება. სამარხში ესვენა 25—30 წლის მამაკაცი. პროფესიით იგი „მხატვარ-გრაფიორი“ უნდა ყოფილიყო. სამარხში ჩასვენებულის პროფესიის ამგვარი განსაზღვრის საფუძველს იძლევა ინვენტარი, რომელიც სამარხი ინვენტარის ჩვეულებრივი კომპლექსის გვერდით (თიხის შავპრიალა ხელადა, ვერცხლის 1 ცალი საყურე, ვერცხლის რგოლები, როგორც ჩანს, ქაბრის საკიდები, რკინის მასრიანი შუბის პირი, რკინის დანა, საღესი ქვა საკიდი ყუნწით, მძივები წელის არეში და ა. შ.), შეიცავდა სხვა რიგის: „არაჩვეულებრივ“ მასალასაც. კერძოდ, მიცვალებულის მკერდის წინ ელაგა ცხოველის ძვლების დიდი გროვა რკინის რაღაც საგანთან ერთად, რომლის ფორმა აღარ გაირკვევა. გროვა შეიცავდა: ლულოვანი ძვლისაგან დამზადებულ მინიატურულ სარწყულს საკიდი ყუნწებით. სარწყულის ძირი ძვლისავე ლურსმებით ყოფილა დამაკრებული, ხოლო ზედაპირი ყურადღებითაა გაშანდაკებული და ამოკაწრული წერტილებითაა შემკული. ძვლის ფირფიტა (3×3 სმ). რომლის კარგად დამუშავებულ ზედაპირზე ამოღარვით დატანიალია ტახის გამოსახულება. ცხოველი ექსპრესიანაა მიცემული. ოსტატი სადა შტრიხებით ახერხებს შექმნას უაღრესად ეფექტური რეალისტური სურათი, რომელიც ავტორის ნიჭსა და გაწაფულობაზე მიუთითებს. ასეთივე ფორმისა და დამუშავებისაა კიდევ ერთი ფირფიტა, რომელზედაც გამოსახულ სურათს, შესაძლებელია. ქართული ხალხური ზღაპრების პანთეონში, შევყავდეთ: უკანა ფეხებზე შემდგარი მელა, რომელსაც მიაშიტი გამომეტყველება მიუღია, უწყინარი სახით უცქერის მის წინ მშვიდად მიმავალ ბატს თუ ამ ჯიშის რაღაც შინაურ ფრინველს. წინა თათები მხეცს მკერდის წინ გაუშვერია და მზად არის თავს დაესხას ფრინველს. გამოსახულებები უაღრესად რეალისტურად და დახვეწილი გემოვნებითაა შესრულებული. შესრულების მანერით ორივე ფირფიტა ერთნაირია და ისინი უდავოდ ერთი ოსტატის ნახელავია. ძვლის სამი ცალი ფირფიტა, ამათგან, ერთი ზემოთ აღწერილი ფირფიტების ფორმისაა, მაგრამ გამოსახულების გარეშე, ხოლო ორი ცალი მოზრდილი ზომისა. მხოლოდ გაფორმებულია და ზედაპირის დამუშავება (გაპრიალება) დაუმთავრებელი აქვს. როგორც ჩანს, ოსტატს ვერ მოუხწრია მათი გამოყენება და იხიბი მისთვის „გაუტანებიათ“. ამავე გროვაში წარმოდგენილი იყო ცხვრის რამდენიმე კოჭი (მათ შორის ერთი ვერცხლის საკიდი რგოლით) და ცხვრის 100 ცალამდე ფალანგა, რომელთა ერთი ნაწილი უკვე გახვრეტილია (ზოგიერთი როგორც სიგრძივ, ისე განივ ღერძზე) და მომზადებულია საკიდებად. ეს უნდა იყოს ოს-

ტატის (ხელოსნის) მიერ გამოუყენებელი მარაგი, რომელიც მას გარდაცვალების მომენტში დარჩენია. როგორც ჩანს, ოსტატის სამუშაო იარაღი უნდა ყოფილიყო რკინის ნივთი, რომელიც ძვლის ნივთების გროვაში აღმოჩნდა, მაგრამ იგი ქანგისაგან ძლიერ დაშლილიყო და თავდაპირველი ფორმის აღდგენა გაძნელდა.

ეს, წინამდებარე ნაშრომისათვის 'მეუფერებლად დეტალური, აღწერილობა იმიტომ მოვიტანეთ, რომ მასალა ჯერ გამოქვეყნებული არ არის, ხოლო საკითხის შესწავლისათვის მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს²⁴. აღწერილი სამარხი უფლისციხის ერთ-ერთი დაბის ნეკროპოლიდანაა და მიუთითებს, რომ ანტიკური ხანის იბერული ქალაქური ხელოსნური წარმოების ესა თუ ის დარგი შეიძლება ქალაქის დაბაშიც ყოფილიყო წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ქალაქის გარეუბნის სოფლურ დასახლებათა არქეოლოგიურ შესწავლას არც თუ დიდი ხანია, რაც ყურადღება მიექცა. ამიტომაცაა, რომ მასალები ჯერჯერობით მცირეა და გვაიძულებს ძირითადად საკითხის დასმით დაკმაყოფილდეთ, ხოლო მისი გადაწყვეტა მომავლის საქმედ მივიჩნით.

§ 2. მავრობისა და სავაზრო გზების როლი იბერიის ძალაქთა მუარნობაში

ადრეკლასობრივი ქალაქის მეურნეობა, გარკვეული თავისებურებების გამო, წარმოუდგენელია ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი ორგანიზაციის გარეშე. სოფლის მეურნეობისაგან ხელოსნობის გამოყოფის პროცესი თანდათანობით თიშავს ერთმანეთისაგან წარმოებასა და მოხმარებას და სვამს საკითხს მწარმოებლისა და მომხმარებლის ურთიერთობის მოწესრიგებაზე. ადრეკლასობრივი საზოგადოება შეეცადა ეს პროცესი თავის ლოგიკურ დასრულებამდე მიეყვანა, მაგრამ იმის გამო, რომ ამ დროს შრომის დანაწილება ყოვლის მომცველი არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო, მან ამ ამოცანის განხორციელება ვერ მოასწრო. ფაქტიურად იგი არც განვითარებულ ფეოდალურ საზოგადო-

²⁴ მიცვალბულთა ინვენტარში პროფესიული იარაღის არსებობა მრავალჯერაა დადასტურებული არქეოლოგიურ პრაქტიკაში, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე ადრეეპო. იმავე უფლისციხის ერთ-ერთი ნადაბარის არქეოლოგიური დაზვერვისას გათხრილ იქნა ელინისტური ხანის ორმოსამარხი, რომელშიც მიცვალბული კეერზე ესვენა. მევენახე-მიწათმოქმედთა სამარხებად მიიჩნევენ ქვეერსამარხებს. ამ მხრივ საყურადღებო მონაცემებს იძლევა XIX—XX საუკუნის სამარხთა ლოდებზე წარმოდგენილი გამოსახულებები და წარწერები აღმოსავლეთ საქართველოდან.

ებას გადაუჭრია და გადასაწყვეტად დაუტოვა საზოგადოებრივი განვითარების შემდგომ საფეხურს.

იბერიის ბარის რაიონებში ძვ. წ. VI—V საუკუნეებში წარმოქმნილი ქალაქური ტიპის სამოსახლოები იმავე დროს ადგილობრივი სავაჭრო (ცენტრების სახესაც იღებდნენ, სადაც მიწათმოქმედი მოსახლეობა თავისი ნაწარმის ნაპარბს ასაღებდა და მისთვის საჭირო ხელოსნურ ნაწარმს იძენდა. როგორც ზემოთ მიუთითებდით, ქალაქური ხელოსნური წარმოების ჩასახვამ და გაძლიერებამ გამოიწვია მრავლად წარმოდგენილი ლოკალური, თემური, წვრილი სახელოსნო ცენტრების დაქვეითება და დაცემა. ამკარად გამოისახა შრომის დანაწილება ქალაქსა და სოფელს შორის, რაც ბუნებრივ პირობებს ქმნიდა ნამდვილი სავაჭრო ურთიერთობის წარმოქმნა-განვითარებისათვის. სათანადო მასალების სიმცირე ჭერჭერობით საკითხის უფრო კონკრეტულად შესწავლის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ საერთო ვითარების გათვალისწინება ამგვარი მდგომარეობის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. უფრო მეტიც, ამ პერიოდში ჩნდება მასალები, რომლებიც მაგალითად, მიუთითებენ, რომ შიდა ქართლის მტკვრისპირა ქალაქური ტიპის დასახლებების მეშვეობით იბერიის მოსახლეობას საშუალება ჰქონოდა მიეღო ზოგიერთი იმპორტული ნაწარმი და ზოგჯერ დაეწყო მისი ადგილობრივი წარმოებაც კი. ამისი მოწმობა უნდა იყოს, როგორც ჩანს, შავფიფურიანი ბერძნული ქურჭლის ფრაგმენტი ხოვლედან და ე. წ. ფიკელურას ტიპის ლაკიანი ქურჭლის ნატეხი ავლევიდან, შავლაკიანი ბერძნული ქურჭლის ნატეხი რუსთაჯიდან (დვანის წყლის ხეობა) და აქემენიდური სიკილა სორამიდან, ზოგიერთი ნივთი საქეგურის, ყაზბეგის, ყანჩაეთის (ცნობილი კომპლექსებიდან და ფინიკიური საბეჭდავი მცხეთიდან, მცირეაზიული დედნების მიხედვით დამზადებული მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები და მოხატული თუ შეღებილი თიხის ნაწარმი, წელშეზნეპილი, თავგახსნილი სამაჯურები და ზოგიერთი სხვა.

ცალკეულ რაიონებს შორის ამა თუ იმ ნაწარმის გაცვლა გაცილებით ადრე შეინიშნება. გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ადრეკინის ხანის პირველ საფეხურზევე მარტივ სასაქონლო ხასიათს იღებს ხელოსნობის ზოგიერთი დარგის ნაწარმის გარკვეული ნაწილი (ლითონის მომპოვებელი წარმოება, კერამიკული წარმოება, მჭატრული ხელოსნობა), მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ქალაქური (სასაქონლო) ხელოსნური წარმოება და არც გაცვლა-გამოცვლას მიუღია ჯერ რეგულარული ხასიათი, ე. ი. ვაჭრობის სახე. ამ დროს ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი ვაჭართა ფენა და არ გამოჩენილა „საქონელთა საქონელი“ — ფულის ნიშნები. მართა-

ლია, მითათებული იყო (ე. დე მორგანი, ივ. ჯავახიშვილი) სათანადო საცვლელი ექვივალენტის გამოჩენაზე ბრინჯაოს რგოლების სახით (ე. წ. ჯავახიური სიკილა)²⁵, მაგრამ ჭერჭერობით ამ მოსაზრებას ერთგვარად დასაბუთებული ჰიპოთეზის სახე აქვს მხოლოდ და მისი შესწავლა ე. დე მორგანის შემდეგ ბევრად არ წაწეულა წინ.

ძვ. წ. VI—V საუკუნეებში იბერიის ბარის რაიონებში, როგორც აღვნიშნეთ, ფორმდება ქალაქური ტიპის დასახლებები, რომლებიც ადგილობრივი საეპრო ცენტრებიან სახეს იღებენ და არეგულირებენ ხელოსნური ნაწარმისა და სასოფლო-სამეურნეო ჭარბი ნაწარმის გაცვლა-გამოცვლას. ამ ხანისათვის გარკვევით შეგვიძლია ვილაპარაკოთ ხელოსნური ნაწარმის სასაქონლო ხასიათზე, მაგრამ. სათანადო მასალების სიმციროს გამო, არაფერი შეგვიძლია ვთქვათ იმაზე, არსებობდა თუ არა ამ პერიოდის იბერიაში მეურნეობები, რომელთა პროდუქტის ნაწილი მაინც სპეციალურად ბაზრისათვის იყო გამიზნული.

ორიოდ ცალი უცხოური მონეტა, რომელაც იბერიის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი²⁶ და, აგრეთვე, რამდენიმე ცალი კოლხური თეთრი (რომლებიც, შესაძლებელია, წინაელისტური ხანის არც კი იყოს), ცხადია, უფრო იმის მოწმობად გამოდგება, რომ საგარეო ვაჭრობაში მხოლოდ ახლა ისახებოდა მონეტის გამოყენება, ხოლო საშინაო ვაჭრობა ტრადიციული საშუალებებით ხორციელდებოდა. იბერებმა, ბუნებრივია, იცოდნენ მონეტის არსებობაზე, მის დანიშნულებაზე და მონეტარულობაზე. საამისო მაგალითად მათ ახლო მონათესავე კოლხეთი გამოადგებოდათ. ისინი იცნობდნენ ფულას ნიშნების აქემენიდურ სისტემასაც, მაგრამ ელინისტურ ხანამდე საკუთარი სამონეტო წარმოების შექმნაზე, როგორც ირკვევა, არ უზრუნვიათ. ძვ. წ. VI—IV სს-ბის იბერია განაგრძობდა ტრადიციული ხერხების გამოყენებას, მაგრამ, შეიძლება ვივარაუდოთ. რომ ამ დროს უკვე გამოიყოფოდა ნაწარმის გარკვეული ჯგუფი, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის საცვლელი ექვივალენტის მოვალეობას ასრულებდა. გავიხსენოთ ქსენოფონტის მონათხრობი შკვითინი გამცილებლის შესახებ, რომელიც

²⁵ J. de Morgan, *Mission scientifique au Caucase*, I, Paris, 1889, გვ. 104—109. ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, I, თბილისი, 1951, გვ. 18—19.

²⁶ აქემენიდური სიკილა სურამიდან (ძვ. წ. V ს.), ათენური ტეტრადრაქმა დმანისის რაიონის ს. კოშათელასთან (ძვ. წ. V—IV სს.) იხ. E. A. Пахонин, *Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа*, № 2, № 1310.

„დარიკებისადმი“ არც თუ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა, მაგრამ დიდი მონღომებით აგროვებდა ბექდებს ბერძენ ჭარისკაცებში. საყურადღებოა, რომ იგი იმ შკვითინების ქვეყნიდანაა, რომელთაც ჰყავდათ „ქვეყნის მმართველი“ და ჰქონდათ „დიდი, მდიდარი და ხალხმრავალი ქალაქი“²⁷. ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ რითი უნდა აეხსნათ გამცილებლის უცნაური ქცევა, რომ ის უპირატესად ბექდებს თხოულობდა და არა დარიკებს, რომლითაც მას შეეძლო არა მარტო ბექდების, არამედ მისთვის სასურველი სხვა საქონლის შექენაც. იქნებ სინამდვილეს დიდად არ დაეცილებთ თუ დავუშვებთ, რომ შკვითინებში საცვლელი (სავაჭრო) ექვივალენტის ძირითად ან ერთ-ერთ სახეობას ბექდები წარმოადგენდა. ძვ. წ. V საუკუნის მიწურულს, როცა აღწერილი სცენა გათამაშდა, შკვითინების გაერთიანება ეკონომიურად აქემენიდური ირანის გავლენის სფეროში ჩანს. მდგომარეობის უკეთ წარმოდგენისათვის შეიძლებოდა მიგვეთითებინა, რომ აქემენიდურ ირანს (მხედველობაში გვაქვს თვით ირანი და არა იმპერიაში შემავალი დაწინაურებული რაიონები — ბაბილონი, ფინიკიის, სირიის, მცირე აზიის ქალაქები და ა.შ.), მართალია, ჰქონდა საკუთარი სამონეტო სისტემა, მაგრამ მხოლოდ იმპერიის წარმოქმნის შემდეგ და ისიც, როგორც ჩანს, ლიდიელებისაგან გადაღებულ²⁸. მოცემულ პერიოდში საკუთარ სამონეტო სისტემებს არ იცნობენ შუა აზიის რაიონებიც, რომელთაც განვითარების ადრეკლასობრივი საფეხურისათვის მიუღწევიათ და უკვე სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფერხულში ჩაბმულან. ასე რომ VI—IV სს-ის იბერიაში ადგილობრივი სამონეტო სისტემის უქონლობა იმისი მოწმობა ჩანს, რომ აქ უკვე შემუშავდა რაღაც ადგილობრივი ეტალონები, რომლებიც ელინისტურ ხანაში მეტ-ნაკლები ეფექტით ასრულებდნენ საცვლელი ექვივალენტის მოვალეობას²⁹.

ელინისტურ ხანაში ვითარებაც იცვლება და წყაროებიც მრავლდება. ამ პერიოდში, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, საგარეო ვაჭრობის ხაზით განსაკუთრებით გაცხოველებულია ურ-

²⁷ ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ე, ანბაზისი, IV, 7, 27.

²⁸ М. М. Дьяконов, Очерк истории древнего Ирана, გვ. 91.

²⁹ როგორც ი. მ. დიაკონოვმა მოუთითა, ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს ამა თუ იმ ქვეყანაში მონეტის უქონლობა ამ ქვეყნის საზოგადოების არაკლასობრივი ხასიათის ძირითად მოწმობად მიიჩნიოს, მაგრამ მიდიის სამეფო, ისევე როგორც მისი წინამორბედი ადრეკლასობრივი („ადრემონათმფლობელური“) სამეფოები, არ იცნობდნენ მონეტას, ხოლო აქემენიდებმა და ბერძნულმა ქალაქებმა ლიდიის სამეფოსაგან მიიღეს იგი. И. М. Дьяконов, История Мидии, გვ. 342, შენიშვნა 1.

თიერთობა, ერთი მხრივ, კოლხეთის ქალაქებთან, ხოლო, მეორე მხრივ, აღმოსავლეთთან (სელევიკიდების სამეფო, პართია, ბაქტრია და ა. შ.).

კოლხეთის ქალაქებთან ეკონომიური ურთიერთობის შესწავლისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ძვ. წ. III—II საუკუნეების კოლხური და მცირეაზიური ამფორების, სირიული მინის ნაწარმისა (ძვ. წ. I საუკუნის მიწურული), მცირეაზიური (პერგამული) წითელკანიანი კერამიკისა და შავლაკიანი კერამიკის გვიანი მინაბადების (ძვ. წ. II საუკუნე) აღმოჩენას იბერიის ქალაქების ტერიტორიაზე (უფლისციხის კლდეში ნაკვეთი შიდა ქალაქი, ბამბეების ელინისტური ნამოსახლარი). ამავე დროს, მრავლდება კოლხური მონეტებიც; იბერია, ამ დროს გარს არტყია კოლხეთს როგორც აღმოსავლეთიდან, ისე სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან. თუ უფლისციხეში ჩატარებულმა შედარებით მცირე მასშტაბის არქეოლოგიურმა გათხრებმა ამდენად საყურადღებო მასალები მოგვცა, ბუნებრივია, კიდევ უფრო გამრავლდება ცნობები, როცა შეიწავლება შიდა ქართლის, ზემო და ქვემო ქართლის, კახეთის ანტიკურ ქალაქთა ელინისტური ხანის ფენები. მტკვრისპირა ქალაქები, ბუნებრივია ვიფიქროთ, იყო ის ცენტრები, რომელთა მეშვეობითაც იბერიის მოსახლეობა იმპორტულ ნაწარმს ეცნობოდა. სამეურნეო ჭურჭლების (ამფორების) იმპორტი მიუთითებს, რომ იბერიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობა კოლხურ ცენტრებთან ფუფუნების საგნებით არ განისაზღვრებოდა და სავაჭრო ასორტიმენტი გაცილებით ფართო იყო³⁰. სამწუხაროდ, იბერული ექსპორტის საგნებზე კონკრეტული მსჯელობა, პირდაპირი მასალების თითქმის უქონლობის გამო, ვარაუდების ფარგლებს ვერ გასცილდება. ექსპორტის საგნებზე ერთგვარი მინიშნების საშუალებას გვაძლევს იბერული წელშეზნეჟილი სამაჭურების გავრცელება კოლხეთში, მაგრამ აქ შესაძლებელია საქმე გვეკონდეს ფორმის სესხებასთან და არა ნაწარმის ექსპორტთან.

ელინისტური ხანის აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობის გაცხოველებასზე მიგვიითითებს როგორც ნუმიზმატიკური მონაცემები³¹, ისე სხვა რიგის მასალებიც. ბუნებრივია იყო დაგვეშვა, რომ ელინისტური აღმოსავლეთის ქვეყნებიდან დასავლეთისაკენ ექსპორტირებული საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც იბერიის ტერიტორიაზე გაივლიდა, ადგილობრივ ქალაქებში რჩებოდა (სპი-

³⁰ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I. გვ. 71.

³¹ პართული, ბაქტრული დრახმები. იხ. საქართველოში აღმოჩენილი განძებისა და ცალკე მონეტების კართოთეკა, შედგენილი საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის მიერ. ინახება ნუმიზმატიკის კაბინეტში.

ლოს ძვლას ფირფიტა ბაგინეთიდან, წითლად შეღებილ-გაპრიალ-ებული ქურქლები უფლისციხიდან, ვერცხლი და ვერცხლის ნაწარმის ზოგიერთი სახეობა, ძვირფასი ქვისგან დამზადებული ნივთები და ნედლეული და ა. შ.), სადაც, ამ ხანის იბერული საზოგადოების შექმნებული ფენების სახით იგი შესაფერ, მსყიდველობის უნარის მქონე მომხმარებელს ნახულობდა.

ელინისტურ ხანაში უფრო მჭიდრო და მოწესრიგებული სახე უნდა მიეღო ბარისა და მთის რაიონების ეკონომიურ ურთიერთობას, რომელიც უპირატესად ქალაქების (ბაზრობების) მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო. ბარს შეეძლო მთისთვის მიეწოდებინა როგორც ქალაქური ხელოსნური ნაწარმი (სამკაული, საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, კერამიკული ნაწარმი და ა. შ.), ისე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ღვინო, ხორბლეული), ხოლო მთას ტრადიციული ნაწარმით ეპასუხნა (მეცხოველეობის პროდუქტები, ლითონის ზოგიერთი სახეობა, ტყვეები, შინახელოსნური ნაწარმი და ა. შ.). შრომის დანაწილების შემდგომი გაღრმავება და რიგი საზოგადოებრივი მოვლენები (ქალაქური ხელოსნობის მსხვილი ცენტრების გაფორმება, სახელმწიფო ხელისუფლების წარმოქმნა და სატომო საზღვრების მოშლა, სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტსა და ქალაქურ ხელოსნურ ნაწარმზე მოთხოვნილების ზრდა, კეთილმოწყობილი, სათანადოდ დაცული გზები და ა. შ.), მანამდე არნახულ გაქანებას აძლევდა შიდასაქვეყნო ვაჭრობას. ამისი ერთ-ერთი მოწმობაა პირველი ადგილობრივი (მართალია მინაბადი) მონეტის გამოჩენა და უცხოური მონეტების მომრავლება³². მოსახლეობის პერიოდული სავაჭრო შეხვედრები, როგორც ჩანს, რელიგიური დღესასწაულების პერიოდშიც ხდებოდა; საერთო საქვეყნო კულტების არსებობის ხანაში ამ შეხვედრებს დიდ ბაზრობათა სახე უნდა მიეღო; ამისი გამოძახილი მოგვიანო ქართულ წერილობით ტრადიციასაც უნდა ქმნიდეს შემონახული, სადაც მცხეთის დიდ ბაზრობაზეა მოთხრობილი, რომელიც, როგორც ჩანს, „არმაზობის“ დღესასწაულს უკავშირდებოდა³³. მაგრამ მცხეთა ერთადერთი რელიგიური ცენტრი არ იყო ანტიკური ხანის იბერიაში. მის გვერდით საკულტო ცენტრები ჩანს ლევკოთეას სატაძრო დასახლება და ფრიქსოპოლისი (?) მესხეთში (სტრაბონი, XI, 2, 17-18), ხოლო ურბნისი და უფლის-

³² О. Д. Лордкипанидзе, Ремесленное производство и торговля..., გვ. 137—143. ლიტ-რა იქვე.

³³ Г. ჯ. А. Мѣлкишвили, К истории древней Грузии, გვ. 445.

ლევან ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 147.

ციხე შიდა ქართლში. წყაროების უქონლობის გამო არაფერი შეგვიძლია ვთქვათ სხვა რელიგიურ ცენტრებზე (სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს ვიტყვით ისეთ პუნქტებზე, როგორცაა ზადენგორა სამცხეში, არმაზი და ზადენი ქსნის ხეობაში და ა. შ.), მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანტიკური ხანის ქალაქები მეტ-ნაკლები მნიშვნელობის რელიგიურ ცენტრებად წარმოადგენდნენ. რამდენადაც წარმართული (და არა მართო წარმართული) რელიგიური ცენტრები წარმოუდგენელია შესაბამისი რელიგიური დღესასწაულების გარეშე, რომლებიც ამასთანავე ბაზრობებსაც წარმოადგენდნენ, შეიძლება დავუშვათ, რომ იბერიის შიდასაქვეყნო ვაჭრობაში მათ გარკვეული როლი უნდა ეთამაშნათ. ბაზრობებზე, ბუნებრივია ვიფიქროთ, თითოეული მხარე თავის ტრადიციული ნაწარმით იქნებოდა წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ამ პერიოდის იბერი ხელოსანი ვაჭრობას მოწყდა და ხელოსანსა და მომხმარებელს შორის უკვე გადაულახავად იყო აღმართულ ვაჭრის ფიგურა: საზოგადოებრივ ურთიერთობას ჯერ კიდევ არ მიეღწია იმ საფეხურისათვის, რომ ხელოსნობისაგან ვაჭრობის გამოყოფას მთლიანად მოეცვა შიდასაქვეყნო ვაჭრობაც.

ელანისტური ხანის მიწურულს წინა აზიაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენები ვითარდება; რომი ახერხებს ძირითად მოწინააღმდეგეთა დამარცხებას და პართიის პირისპირ დგება. რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში ამიერკავკასია მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და პომპეუსის ლაშქრობათა შემდეგ მასთან გარკვეულ ურთიერთობას ამყარებს. ამიერკავკასიის ქვეყანათაგან იბერია რომის მოკავშირე ხდება და, ბუნებრივია, რომაულ პროვინციებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობაში ებმება.

ახ. წ. პირველ საუკუნეებში საგარეო ეკონომიური ურთიერთობის ხაზით იბერია არ ასუსტებს კავშირს პართულ ირანთან, მაგრამ იგი მტკიცედ ადგება რომის იმპერიის საქალაქო ცენტრებთან ურთიერთობის გზას. თუ კოლხეთში რომის ეკონომიური გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ იქ თითქმის ვერ ვხვდებით პართულ მონეტებს, იბერია იმ ქვეყნად წარმოგვიდგება, სადაც პართიასა და რომს თავისებური სავაჭრო „ომი“ გაუმართავეთ. ამის მოწმობაა როგორც პართული და რომაული სახელოსნო ცენტრების ნაწარმის, ძირითადად ფუფუნების საგნების, მოზღვავება, ისე სავაჭრო მიმოქცევაში რომაული ღენარებისა (აგრეთვე აურეუსების) და პართული ღრახმების დიდი რაოდენობის თანაარსებობა. რომის იმპერიაში შემავალი საქალაქო სახელოსნო ცენტრების ნაწარმი-

დან ამ პერიოდის იბერიის ნივთიერ კულტურაში დადასტურებულია ეგვიპტის, სირიის, მცირე აზიის, კამპანიის სახელოსნოების ნაწარმი (პასტისა და მინის მძივები, საკიდი-ხოჭობები, ქვის, სარდლონის, აქატის, სარდონიქსის... მძივები და საკიდები, გემები. მინის ქურქელი, ბრინჯაოს ქურქლები და ა. შ.). აღმოსავლეთიდან (ირანი, შუა აზია, ინდოეთი) შემოპქონდათ ძვირფასი ქვები და მისგან დამზადებული ნაწარმი³⁴, ქსოვილები, სპილოს ძვალი, ვერცხლი, ვერცხლის ნაწარმი და ა. შ. ახ. წ. პირველ საუკუნეებში იბერიის სავაჭრო საქმიანობაში გაბატონებული იყო შონეტის ორი სახე: გოტარზეს დრახმები და ოქტავიანე ავგუსტის დენარები. აქა-იქ მათ გვერდით თავს იჩენდა მონეტების სხვა სახეობაც, რომლებიც, ძირითადად, პართიის მეფეთა და რომის იმპერიაში შემავალ ქალაქთა „სამონეტო სახლებიდანაა“ გამოსული. ასე მაგალითად, უფლისციხის ერთ-ერთი ნადაბარის (ყათნალიხევის მარჯვენა ნაპირის ნამოსახლარი) ნეკროპოლის გათხრისას გამოვლენილი ორმოსამარხის ინვენტარში აღმოჩნდა ოქტავიანე ავგუსტის დენარები (9 ცალი), გოტარზეს დრახმები (2 ცალი) და იმპერატორ ტიტუს აურეუსი³⁵. ამავე დროს, იბერიაში იწყება წამყვანი მონეტების მინაბაძების გამოშვებაც, რაც საშინაო მოთხოვნილების ზრდას უნდა უკავშირდებოდეს³⁶; და მართლაც, შიდასაქვეყნო ვაჭრობა კიდევ უფრო ფართოვდება; ქვეყნის დაშორებულ რაიონებში ფართოდ იკაფავს გზას არა მარტო ადგილობრივი ქალაქური ხელოსნური ნაწარმი, არამედ იმპორტულიც. ცხადია, პერიოდულ, რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებულ ბაზრობათა გარდა, ყოველ ქალაქს მეტ-ნაკლებად გამართული მუდმივმოქმედი სავაჭრო ადგილიც უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ, სათანადო მასალების უქონლობას ვერ ავსებს იბერიის ძველი ქალაქების ტოპონიმიკაში შემონახული ორიოდ ტოპონიმი, მაგალითად, როგორიცაა, „რაბატი“ და „ნაქულბაქევი“. თუ ქართლის მოქცევის ავტორის მოგვიანო ცნობიდან ამოვალთ, „რაბატი“, გვიანანტიკურ ხანაში მაინც, იბერული ქალაქის უბანს წარმოადგენდა, სადაც მხოლოდ ვაჭრები არ ესახლნენ³⁷. სამწუხაროდ, ამ მშრალი და თანაც მეტად გვიანდელი ცნობის საფუძველზე ძნელია მსჯელობა იბერიის ქალაქების იმ უბანზე, რომელსაც მოგვიანო წყაროები რაბატს

³⁴ О. Д. Лордкипанидзе, Ремесленное производство..., გვ. 143—150. ლიტ-რა იქვე.

³⁵ დ. ხახუტაშვილი, უფლისციხე, I, გვ. 88—90. ტაბ. IV, 1—12.

³⁶ შტრ. О. Д. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

³⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 116.

ეძახიან. აქვე არაფერს იძლევა ტოპონიმი „ნაქულბაქევი“, რომელიც ძველ მცხეთასთანაა დადასტურებული. როგორც აკად. ივ. ჭავჭავაძე აღნიშნავს, „ქულბაქი“ სპარსული სიტყვაა („ქულბეჰ“ — სავაჭრო ადგილი, დუქანი) და ქართულში IX საუკუნიდან გვხვდება. მისი წინამორბედი ტერმინია „სავაჭრო“, რომელიც სასანიანთა ხანას უკავშირდება და გვიანდელ „ბაზარსაც“ შეესაბამება³⁸. „სავაჭროს“ გვერდით გვხვდება ტერმინი „საფარდული“, რომელიც „ფრთადან“ ჩანს ნაწარმოები (შეუდ. „ვერცხლით ფრდილი“, „ვერცხლით სყიდული“ ბიბლიის ქართული თარგმანის უძველესი რედაქციებიდან)³⁹.

ანტიკური ხანის ქალაქებთან უნდა არსებულებოდა საზღერესაბაჟოც. საიდანაც ქალაქს თუ ქალაქში მჭდომ ხელისუფალს გარკვეული შემოსავალი უნდა მიეღო. ცხადია, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა. თითქოს ბაჟი ვაჭრობის განვითარების და ქალაქთა კეთილდღეობის ზრდას ემსახურებოდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იბერიის სამეფო ხელისუფლების ზრუნვას გზებისა და ხიდების კეთილმოწყობაზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არაებობდა საბაჟოებიც და საბაჟო გადასახადებზე. სილვეკიდების სამეფოს ე. წ. სამეფო გადასახადი სხვებს შორის მითვლიდა საბაჟო გადასახადებსაც⁴⁰. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გაგვეხსენებინა ლეონტი მროველის მოგვიანო, მაგრამ საკმაოდ დამახასიათებელი ცნობა ფარნავაზის მიერ დაწესებული „ხარკი სამეუფოს“ შესახებ⁴¹.

ვაჭრობა (აღებ-მიცემობა) იბერიის ქალაქის არსებობის ერთ-ერთ ეკონომიურ პირობას წარმოადგენდა და მისი განვითარებით დაინტერესებული უნდა ყოფილიყო არა მარტო ხელოსნები და სახელოსნოების პატრონები, არამედ მეფის ხელისუფლებაც. მეფის ზრუნვა ქალაქებისა და გზების კეთილმოწყობაზე, აგრეთვე როგორც ჩანს, მოძრაობის უსაფრთხოებაზე მიუთითებს, რომ ქალაქები მეფის ხელისუფლების დასაყრდენს შეადგენდა როგორც პოლიტიკურად ისე, განსაკუთრებით, ეკონომიურად.

38 ივ. ჭავჭავაძის შვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, გვ. 35 და შემდ.

39 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 426, 445.

40 М. М. Дьяконов, Очерк истории древнего Ирана, гв. 169.

41 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 25.

მითითებული გვექონდა, რომ იბერიის ქალაქთა წარმოქმნის პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა ადგილობრივი გზების სავაჭრო გზებად გაფორმების პროცესი ძვ. წ. VI—V საუკუნეებისათვის ამიერკავკასიის ძირითადი სავაჭრო გზების კონტურები უკვე მოხაზულია. იბერიის ტერიტორიაზე მოქმედ სავაჭრო გზებს შორის ამ დროისათვის წამყვან, მაგისტრალურ მნიშვნელობას იძენდა ის გზა, რომელიც შიდა ქართლის ტერიტორიაზე მტკვრის მარცხენა სანაპიროს მიუყვებოდა. შემდეგში, უკვე ადრეელინისტურ ხანაში, იგი ფასიდ-პირკანის სავაჭრო მაგისტრალის ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთად იქცა. სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნა, რომ ძველი საქართველოს ძირითადი სავაჭრო გზები იქვე გადიოდნენ, სადაც ახლანდელი ძირითადი მაგისტრალური გზები გადის⁴². ეს შეეხება ფასიდ-პირკანის გზის იბერულ მონაკვეთსაც⁴³. ანტიკური ავტორების ზოგიერთი ცნობის საფუძველზე

⁴² Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 441.

⁴³ ანტიკური ხანის საქართველოსა და ამიერკავკასიის გზების შესახებ იხილეთ: ს. ჭანაშია, გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში, შრომები, II, გვ. 127—128. მისივე, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, იქვე, გვ. 149—150. მისივე, ადრეული ფეოდალიზმი, იქვე, გვ. 181—192. მისივე, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, გვ. 182—185. С. Т. Еремян, Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов. ВДИ, 1939, № 1. Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван, 1954, გვ. 48—52, 126—169. Г. К. Гозалишвили, О древнем торговом пути в Закавказье, исторический институтის „შრომები“, II, 1956, გვ. 153—160. З. И. Ямпольский, К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Кура через Грузию к Черному морю, იქვე, გვ. 161—180. ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ, გვ. 277—381. მისივე, Ремесленное производство и торговля в Мцхета в I—III вв. н. э. გვ. 150—152. ნ. ლომოური ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, IV, 1, 1958, გვ. 99—118. მისივე, შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თსუ „შრომები“, 107, 1964, გვ. 87—97. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии. გვ. 440—444. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 5. Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, გვ. 15—16. დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის უფლოსციხე..., გვ. 372. მისივე, ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) ქალაქების გეოგრაფიული განლაგების საკითხისათვის გვ. 499—504. მისივე, ვაჭრობა და სავაჭრო გზები ანტიკური ხანის იბერი-

მკვლევართა ერთი ნაწილი გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მდ. მტკვარზე ნაოსნობას და უშვებდა მასზე ორმხრივ მოძრაობას. უკვე 1956 წ. ზ. იამპოლსკიმ მიუთითა, რომ მდ. მტკვარი დინების შეყოლებით სანაოსნოდ გამოსადეგი იყო შესართავიდან „მინგეჩაურის ფონამდე“, ხოლო შემდეგ სანაოსნოდ აღარ გამოდგებოდა. აქედან მკვლევარი აცეთებს სავსებით ლოგიკურ დასკვნას. რომ მინგეჩაურის მიდამოებიდან ვიდრე შორაპნამდე ფასიდ-პირკანიის მაგისტრალი სახმელეთო გზას წარმოადგენდა⁴⁴. ამ გზის იბერული მონაკვეთის სახმელეთო ხასიათზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს სტრაბონის ცნობა, რომ „ალბანიიდან (იბერიაში) შემოსასვლელი კლდეებში არის გამოჭრილი“⁴⁵. სტრაბონის ამ ცნობას ამ გზის ხასიათზე ადასტურებს უფლისციხის დიდი კლდეკარი, რომელიც ანტიკური ხანის ერთ-ერთ უდიდეს საგზაო ნაგებობას წარმოადგენდა და გამართული იყო არა მარტო საქაპანო ქარავნების, არამედ ბორბლიანი ტრანსპორტის სამოძრაოდაც⁴⁶.

ფასიდ-პირკანიის სავაჭრო გზა როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დამაკავშირებელი მაგისტრალი, მართალია, აღრეელინისტურ ხანაში გაფორმდა, მაგრამ ამ გზის ცალკეული მონაკვეთები დადი ხნით აღრე მოქმედებდნენ. ელინისტურ ხანაშივე იღებს იგი სატრანზიტო გზის ხასიათს, მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ იგი მხოლოდ სატრანზიტო ვაჭრობას ემსახურებოდა და საშუაშაშლო ვაჭრობა ამ გზის ექსპლოატაციის ძირითადი ფორმა იყო.

ანტიკური ხანის ქართლის სავაჭრო გზების ერთ-ერთ საკვანძო პუნქტს, აღრეელინისტური ხანიდან მაინც, მცხეთა წარმოადგენდა. აქ ფასიდ-პირკანიის სავაჭრო მაგისტრალს უერთდებოდა, ერთა მხრივ, დარიალის ხეობით ჩრდილო კავკასიიდან მომავალი გზა, ხოლო, მეორე მხრივ, არმენიიდან ქვემო ქართლზე მომავალი გზა, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას მტკვრისპირა ქალა-

აში (ხელნაწერი), 1962, გვ. 56—73. მისივე, მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის საკითხისათვის, გვ. 318—319. ლევან კილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 142—147. დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 68—69. დ. ბერძენიშვილი, ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, II, 1964, გვ. 11—14. გ. ცქიტიშვილი, ანტიკური ხანის შორაპნის საერისთაოს საკითხისათვის, იქვე, გვ. 71—106. W. W. Tarn, The Greeks in Bactria and India, Oxford, 1955, გვ. 488—490. Д. О. Томсон, История древней Географии, М., 1953, გვ. 248. K. Müller, Itineraria Romana, Stuttgart, 1916 და სხვ.

⁴⁴ З. И. Ямпольский, დასახ. ნაშრ., გვ. 180.

⁴⁵ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, XI, 3, 5. თბილისი, 1957, გვ. 129.

⁴⁶ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 68—69, ტაბ. XXIX, 1.

ქებთან აკავშირებდა. მეტ-ნაკლები მნიშვნელობის ასეთივე გზები თითქმის ყველა ხეობაზე იდო. ხეობათა სათავეებში გზები გადასასვლელებით იკეტებოდა. ამასთან დაკავშირებით უურადლებას იქცევს ძველი ქართული ტერმინი „კარი“, რომელიც მთის გადასასვლელსაც აღნიშნავდა⁴⁷. სავაჭრო გზებით დასერილი იყო იბერიის ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პროვინცია, ხოლო ჭვეყნის საზღვრებთან ძირითადი გზები მონაპირე ერისთავთა დაცვის ობიექტი ჩანს და ხშირად ძლიერი ციხეებითაა ჩაკეტილი. ანტიკური ხანის იბერიის გზების ქსელი მოგვაგონებს სისხლის მიმოქცევის სისტემას, რომელშიც ქალაქთა დამაკავშირებელ სავაჭრო გზებს ძირითადი არტერიაების ადგილი უჭირავთ. სამწუხაროდ, იბერიის ანტიკურ ნაქალაქართა გეოგრაფია სასურველი სისრულით ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, რომ შესაძლებელი გამხდარიყო სავაჭრო გზების კონკრეტული ტრასების დადგენა. ამ მხრივ, დახლოებით ერთნაირი სურათი გვაქვს კახეთისა და მესხეთის ქალაქების შესწავლის ხაზით. გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია ისტორიული „ზენა სოფლის“ (შიდა ქართლის) ანტიკურ ქალაქთა შესწავლა, სადაც არქეოლოგიური გათხრები თუ დაზვერვები თითქმის ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ნაქალაქარს შეეხო. ძველი ნაქალაქარების არქეოლოგიური თუ ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის გარეშე ძნელი ხდება ე. წ. *Tabula Peutingeriana*-სა და რავენელი ანონიმის „კოსმოგრაფიის“ იმ მონაცემთა გამოყენება, რომლებიც ანტიკური ხანის ამიერკავკასიის სავაჭრო გზების შესწავლის ძირითად წერილობით წყაროს წარმოადგენს⁴⁸.

სავაჭრო გზებისა და ვაჭრობის ის სურათი, რომელიც ანტიკური ხანის იბერიაში წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის მიხედვით დასტურდება, წარმოუდგენელი იქნებოდა გზების მოვლასა და მგზავრობის უსაფრთხოებაზე სათანადო ზრუნვის გარეშე. ჩვენ მისაღებად გვეჩვენება გ. ცქიტიშვილის მოსაზრება, რომ გზების დაცვაზე ზრუნვა ადმინისტრაციული ოლქების შესაბამის მოხელეთა (სპასალარ-ციხისთავთა) გამგებლობაში უნდა ყოფილიყო⁴⁹.

სავაჭრო გზები ფორმდებოდნენ ქალაქთა წარმოქმნის პარა-

⁴⁷ ს. ჭანაშია, საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 183. და შმდ.

⁴⁸ ნ. ლომოური, ძველი საქართველოს სავაჭრო გზები, გვ. 99—118.

Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, гв. 441—444.

⁴⁹ გ. ცქიტიშვილი, ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის, გვ. 99—100.

ლელურად და ქალაქების შემდგომი სამეურნეო აღმავლობის ერთ-ერთ პირობას ქმნიდნენ. ცენტრალურ ხელისუფლებას ორი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი უკარნახებდა გზების კეთილმოწყობა:სა და დაცვაზე ეზრუნა. პირველი მათგანი ეკონომიური ხასიათისა იყო და ქვეყნის სამეურნეო აღმავლობის საკითხს უკავშირდებოდა, რაშიდაც მეფის ხელისუფლება, ბუნებრივია, დაინტერესებული უნდა ყოფილიყო. მეორე კი — გზების სამხედრო დანიშნულება იყო. გზებს, როგორც ეს თავის დროზე აკად. ს. ჭანაშიამ კავკასიონის გადასასვლელებთან დაკავშირებით მიუთითა⁵⁰, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ; სამხედრო შენაერთების სწრაფი მანევრი და თავდაცვა-შეტევეთი ოპერაციების ორგანიზაცია წარმოუდგენელია შესაბამისად გამართული გზების გარეშე. საყურადღებო გარემოებაა, რომ პომპეუსის ლაშქრობათა მემატია-ნეები არაფერს ამბობენ იბერიაში დიდი საჯარისო შენაერთების გადაადგილების სიძნელეზე, რაც იმისი მოწმობა უნდა იყოს, რომ აქ სათანადოდ გამართული გზები არსებულა. მათ, როგორც ჩანს, შეეძლოთ გაეტარებინათ ანტიკური ტექნიკით აღჭურვილი უზარმაზარი არმია და მისი ალალი⁵¹. ამისი პირდაპირი მოწმობაა ცნობები მდინარეებზე ხიდების არსებობის შესახებ⁵² და ზოგიერთი საგზაო ნაგებობა, რომელიც დღემდე შემოინახა. უკანასკნელთა შორის შეიძლება მიგვეთითებინა უფლისციხის დიდი კლდე-კარი და უფლისციხის გარე ქალაქის აღმოჩენილ უბანზე დადასტურებული კლდეში ნაკვეთი გზა, რომელიც ასევე ბორბლიანი ტრანსპორტისათვის ყოფილა გამართული.

იბერიის მტკვრისპირა ქალაქები, როგორც აღნიშნული გვექონდა, თავის „ქვეყანაში“ მიითვლიდნენ მტკვრის ორივე სანაპიროს ვრცელ რაიონებს. ასეთ ვითარებას ბუნებრივად უნდა დაეყენებინა ხიდების მშენებლობის აუცილებლობის საკითხი. ამიტომ ხიდების არსებობა მცხეთასთან გამონაკლისად არ უნდა მივიჩნიოთ. მსგავსივე ნაგებობების არსებობაზე მეტ-ნაკლები საბუთიანობით შეიძლება მიგვეთითებინა კასპთან, უფლისციხესთან, გორთან, ურბნისთან და ა. შ. ხიდების მშენებლობის ხელოვნების გარკვეულ დონეზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტი, თუ როგორ სწრაფად მოახდინა იბერთა მეფემ დანგრეული ხიდების აღდგენა მცხეთასთან (დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVII, 2).

50 ს. ჭანაშია, აღრეული ფეოდალიზმი, გვ. 181.

51 კარგად არის ცნობილი, თუ რას წარმოადგენდა ამ პერიოდის რომაული არმია და როგორ იყო იგი შეიარაღებული.

52 სტრაბონი, XI, 3, 4. დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVII, 1, 2.

იბერიაში დადასტურებული ფართო საგზაო მშენებლობა ძნელი წარმოსადგენია სამეფო ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე. უფრო მეტი, ამ სამუშაოთა ორგანიზატორი და დამფინანსებელი ცენტრალური ხელისუფლება უნდა ყოფილიყო, რომელიც დაინტერესებული იყო ქალაქების ეკონომიური აღმავლობით, რადგან ისინი, როგორც ეს გ. მელიქიშვილმა მიუთითა, სამეფო ხელისუფლების ძლიერ საყრდენს წარმოადგენდა⁵³. ამითი უნდა აიხსნას, როგორც ჩანს, სამეფო ხელისუფლების განუწყვეტელი ზრუნვა როგორც ძველი ქალაქების აღდგენა-კეთილმოწყობაზე, ისე ახალი ქალაქების დაარსება-მშენებლობასა და გაძლიერებაზე⁵⁴. ასეთ ღონისძიებათა წრეში უდავოდ იგულისხმება გზებია, მათ შორის სავაჭრო გზებია, გამართვა-მოვლაზე ზრუნვაც.

§ 8. სასოფლო რაიონი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ადგილი იბერიის ქალაქთა მუშაობაში

ანტიკური ხანის იბერული ქალაქი, როგორც აღნიშნული იყო, გარკვეული ტიპის მსხვილი სამიწათმოქმედო დასახლებისაგან განვითარდა. ადრეკლასობრივ საფეხურზე ეს გარემოება არ შეიძლებოდა არ ასახულიყო ქალაქის მეურნეობრივ სახეზე, მის სტრუქტურაზე. მცხეთის, უფლისციხის, ურბნისის არქეოლოგიური მასალები მიუთითებენ, რომ ეს მართლაც ასე იყო და ანტიკური ხანის მთელ სიგრძეზე, იბერიის ქალაქთა ეკონომიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

1948 წ. აკად. ნ. ბერძენიშვილმა მიუთითა, რომ ანტიკური და ფეოდალური ხანის ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ქალაქს აგარაებით დასახლებული სასოფლო-სამეურნეო რაიონი გააჩნდა, რომელთა შეუსწავლელად შეუძლებელია სწორად გავიგოთ ქალაქთა წარმოშობის, ზრდისა და დაცემის საკითხები. მანვე მიუთითა კონკრეტული მაგალითიც, რომ „მცხეთა-არამაზის უახლოესი აგარაები უნდა ყოფილიყვნენ ნაქულბაქევი, მუხათჯვერდი, კარსანა, ქართლი, ციხე-დიდი, კოდმანი, წიწამური, ჭაჭვი, ჰაეჭალა (აქ არას

⁵³ ასეთივე ვითარებაა ელინისტური ხანის აღმოსავლეთში, სადაც, მაგალითად, ქალაქი ოლქის მმართველს (სატრაპს) კი არ ექვემდებარება, არამედ პარდაპირ მეფეს. მას სატრაპზე გვერდის ავლით შეუძლია დელეგაცია გაუგზავნოს მეფეს. ქალაქში შეიძლება მდგარიყო მეფის გარნიზონი და ეპისტატი — მეფის წარმომადგენელი, რომელიც შეიძლება მოქალაქეთა წრიდანაც შეერჩიათ. (М. М. Дьяконов, Очерк истории древнего Ирана, გვ. 170). მაშასადამე, მეფე ცდილობს არ დაუშვას ოლქების მმართველთა (მსხვილი არისტოკრატის) გავლენის გაძლიერება ქალაქების ცხოვრებაზე და ქალაქებთან უმეშვეო ურთიერთობას ახორციელებს.

⁵⁴ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 452.

ვაშობთ მუხრანის და დიღმის სოფლებზე... მცხეთა-არმაზს, როგორც ქალაქს, უეპველია ხელი მიუწვდებოდა ამ „აგარაებზედაც“⁵⁵.

იბერიის ქალაქთა სასოფლო-სამეურნეო რაიონი დასახლებული იყო აგარაებითა და სოფლებით, რომელთა მეურნეობაში წამყვანი ადგილი ეჭირა ინტენსიურ, მრავალდარგობრივ სოფლის მეურნეობას, თუმცა იქ ხელოსნობის ესა თუ ის დარგიც იყო წარმოდგენილი. მცხეთის სასოფლო-სამეურნეო რაიონის დაბეჭე უკვე იყო მითითებული. ასეთივე ვითარება დასტურდება უფლისციხის⁵⁶ და ურბნისის⁵⁷ სინამდვილეში. კერძოდ, როგორც გამოიჩევა, უფლისციხის სასოფლო-სამეურნეო რაიონი დასახლებული იყო დაბებით, რომელთა ნაკვალევი შემორჩენილია ადგილ ბამბებში, ყათნალიხევეში (ორი ნადაბური), ლალანთბევეში, ღრძახევეში, ყვავის საყდართან (ახაშნების მიდამოები), ქვახვრელში (მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე). ელინისტური ხანიდან მათ უნდა შემატებოდა აგარათა ტიპის დასახლებანი ავაზნების მიდამოებში და, როგორც ჩანს, ტირიფონის ველზე, რომლის სამეურნეო ათვისება ამ ხანაში უნდა მომხდარიყო⁵⁸.

ელინისტური ხანის იბერიული ქალაქის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების როლზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს უფლისციხისა და სხვა ნაქალაქარებას გათხრებისას მოპოვებული მასალები. იბერიის სინამდვილეში ჭერ-ჭერობით უფლოსციხეა ერთადერთი ძეგლი, სადაც მოპოვებულ იქნა პირდაპირი მა-

⁵⁵ ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (ავარანი), გვ. 318.

⁵⁶ დ. ხახუტაიშვილი, ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის, გვ. 113—127. მისივე, უფლისციხე, 1, გვ. 63—66.

⁵⁷ ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, გვ. 65 და შმდ. ლევა ნკილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 138.

⁵⁸ ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, გვ. 75—77, 85, მისაღებად ვეჩვენება ი. კიკვიძის მოსახრება, რომ შიდა ქართლის მსხვილი სარწყავი სისტემების გამართვა აღრეკლასობრივ ხანაში უნდა მომხდარიყო. საესებით სამარაულიანად, ამის ერთ-ერთ მოწმობად მკვლევარი იმ თაქტსაც მიიჩნევს, რომ „ზენა სოფლის“ ტერიტორიაზე დადასტურებული სამივე რუსმული (მუხრანის, ტირიფონისა და ურბნისის) აღრეკლასობრივი ქალაქების (მცხეთა, უფლისციხე და ურბნისი) სასოფლო ოლქებს ემსახურება (იქვე, გვ. 85). ამისივე მოწმობაა მევენახეობის დიდი წონა ქალაქების ეკონომიკაში: უფლისციხის მხოლოდ შიდა ქალაქის კლდეშინაყეთი საწნახელები, ერთჯერად გამოყენებისას, 5000 ლიტრამდე სითხეს იძლეოდა. ყურადღება აქონდა მიქცეული იმ გარემოებას, რომ უძველესი ერთენული ტრადიცია, „ზენა სოფლის“ უძველესი სარწყავი სისტემის გატანას იმ რაიონში მიუთითებს, რომელიც აღრეკლასობრივი ქალაქის სასოფლო რაიონს წარმოადგენდა.

სალები აღნიშნული საკითხის შესწავლისათვის. კერძოდ, შიდა ქალაქის არქეოლოგიური გათხრების პროცესში გამოვლინდა 5 ცალი, კლდეში ნაკვეთი საწნახელი, რომელთა ერთჯერადი წარმადობა 5000 ლიტრს შეადგენდა. ცხადია, არავინ იფიქრებს, რომ ეს რთული ნაგებობები ერთჯერადი გამოყენებისათვის იქნა გამართული. პირიქით, გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ისინი მაქსიმალური დატვირთვით გამოიყენებოდნენ მოსავლის აღების მთელ პერიოდში⁵⁹. იქვე ქალაქის სხვადასხვა უბანზე გაიწმინდა დიდი მოცულობის, კარგად გამართული, ღრმა ორმოები, როგორც ჩანს, მარცვლის შესანახი ხაროები, რაც ასევე, ქალაქის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების გარკვეულ მნიშვნელობაზე მიგვითითებს.

ანტიკური ხანის ქართული ქალაქის მოსახლეობის სოფლის მეურნეობასთან კავშირის დასამოწმებლად ქვევრსამარხების გამოჩენის ფაქტზეც მიუთითებენ, მაგრამ იგი იბერიისათვის მიცვალეზულს დამარხვის ნასესხები წესი ჩანს და ქვევრსამარხში არა მარტო მევენახე შეიძლება დამარხულიყო, არამედ სხვა საქმიანობის წარმომადგენელიც.

ქალაქთა ეკონომიკაში მევენახეობისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის მნიშვნელობაზე მასალები შედარებით მრავლდება ახ. წ. პირველი საუკუნეებისათვის. ამ დროს, როგორც ირკვევა, განაგრძობს მოქმედებას უფლისციხის კლდეში ნაკვეთი საწნახლები, მაგრამ მას ემატება საყურადღებო მასალები მცხეთიდან. კერძოდ, ბაგინეთში, არმაზისხევში და მცხეთა-სამთავროში აღმოჩენილი მარნები მიუთითებს, რომ ქალაქის მახლობლად დიდი ზერებიც იყო გაშენებული⁶⁰. არმაზისხევში ერისთავთა უბნის გათხრებისას გამოვლენილი მარანის (50-ზე მეტი ქვევრი) მიხედვით ფიქრობენ, რომ ერისთავთა საშუალო წლიური შემოსავალი 20 ათას ლიტრამდე ღვინოს შეადგენდა⁶¹. ამავე პერიოდის ერთ-ერთი მარანი, რომელიც მცხეთაში, არაგვის ქუჩის დასაწყისთან, აღმოჩნდა. ასევე, 50-ოდე ქვევრს ითვლიდა, ხოლო მისი საერთო ტევადობა, ა. კალანდაძის გამოანგარიშებით, დაახლოებით 12 ათას

⁵⁹ დ. ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 120—121.

⁶⁰ გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახ. წ. I—III საუკუნეებში, ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, I, 1955, გვ. 357—358.

⁶¹ მცხეთა, I, გვ. 167—168. О. Д. Лордкипанидзе, Ремесленное производство..., გვ. 156—157.

ლიტრს შეადგენდა⁶². მსგავსი მასალები, ბუნებრივია, იმისი მოწმობაა, რომ ქალაქს მკიდრო ეკონომიური კავშირი ჰქონდა გარეუბანთან — სასოფლო-სამეურნეო რაიონთან, რომლის ნაწარმს ქალაქის მოსახლეობის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა⁶³. გამოსარკვევია, თუ რას წარმოადგენდა ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რაიონი და როგორი იყო მისი მეურნეობრივი სახე.

ანტიკური ხანის იბერული ქალაქების სასოფლო ტერიტორია წარმოადგენდა მრავალდარგობრივი ინტენსიური მეურნეობის მქონე რაიონს, სადაც მეცხოველეობას დაქვემდებარებული ადგილი უნდა სჭეროდა. მაწათმოქმედება ემყარება მორწყვას, სადაც ბუნებრივი პირობების თავისებურებათა მიხედვით, შესაძლებელია დავადასტუროთ როგორც წყარო-ნაკადულებრივ, ისე დიდი საირიგაციო სისტემებით მორწყვაზე დაფუძნებული მიწათმოქმედება. ანტიკური ხანის უფლისციხის სასოფლო რაიონში, მაგალითად, შეიძლება მივუთითოთ როგორც წყარო-ნაკადულებრივი მორწყვა (ავაზნების, ახაშნების, კოდის წყაროს, ჭათიბის წყაროს, მუხის წყაროს და სხვათა გამოყენება მტკვრის მარცხენა სანაპიროზე — კვერნავის ქედსა და მტკვარს შორის), ისე დიდ სარწყავ სისტემაზე მოქმედი მეურნეობა (ტირიფონის ველი). მევენახეობა-მეღვინეობის ის დონე, რომელიც უფლისციხეში გვაქვს დადასტურებული, არსებულ კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებში, ყოვლად წარმოუდგენელია მორწყვის გარეშე (მტკვრის წყლის სარწყავ გამოყენება, ცხადია, გამორიცხულია). მაგრამ უფლისციხე გამო-ნაკლისს როდი წარმოადგენდა; ასეთივე სურათი დასტურდება მცხეთის სასოფლო რაიონშიც. აქ არქეოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემების გვერდით გავაჩნია წერილობითი წყაროს, მართალია, მოგვიანო, მაგრამ მეტად ნიშანდობლივი ცნობა ნასტავისის რუს შესახებ⁶⁴, რომელიც, როგორც ფიქრობენ, მეტად რთული ტექნიკური ნაგებობა უნდა ყოფილიყო⁶⁵. ასევე, შესანიშნავი მონაცემები შემოუნახავს მუხრანის ველის სარწყავ სისტემებს („საგლეხო რუ“, „თელოვანის რუ“, „დიდი რუ“)⁶⁶, ავ-

62 ა. ლ. კალანდაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წ. სეზონის ძირითადი შედეგებისათვის, გვ. 14.

63 Г. А. Мелнкншвнли, К истории древней Грузии гв. 451—452.

64 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 81.

65 ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, გვ. 393—394, 415. ი. კიკეიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, გვ. 78—79.

66 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., 393—394, 406—426. ი. კიკეიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 77—88.

რეთვე, გ. ცქიტიშვილის მიერ დიღმის ველზე გამოვლენილ სარწყავ სისტემაზე, რომელიც სათავეს დიღმის ხევიდან იღებდა⁶⁷. თავისი სარწყავი სისტემა გააჩნდა ანტიკური ურბნისის სასოფლო გარეუბანს. აქ დაცულია როგორც სარწყავი სისტემები, მათ შორის რუსხმული, ისე ისეთი საინტერესო ტაპონიმი, როგორცაა „რუსი“⁶⁸.

მორწყვა აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთისწინა ზოლის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის, განსაკუთრებით, ანტენსიური მიწათმოქმედების საფუძველია⁶⁹. თუ ჩვენ ვადასტურებთ ინტენსიური მეურნეობის კარგად განვითარებული ფორმების არსებობას, უფლებას ვიძენთ მორწყვითი მიწათმოქმედების არსებობაზეც ვილაპარაკოთ. იბერიის ანტიკურ ქალაქთა ეკონომიკაში ჩვენ ინტენსიური მიწათმოქმედების დიდ მნიშვნელობასაც ვადასტურებთ და, საბედნიეროდ, მორწყვის სისტემების არსებობის დამოწმებასაც ვახერხებთ.

ქალაქის სასოფლო რაიონი, როგორც აღვნიშნეთ, დასახლებული იყო დაბებით, რომლებშიც მიწათმოქმედი თემები ესახლნენ. თემის მეურნეობაში წამყვანი ადგილი ეკირა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ დარგებს. მართალია, ქოხტეოლოგიური მასალა მიუთითებს როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა პირუტყვის (ცხენი, ძროხა, ცხვარი, ღორი) მოშენებაზე (ამისვე მოწმობაა ცხრველთა თიხის ფიგურები), მაგრამ ინტენსიური მეურნეობის პირობებში მეცხოველეობას დაქვემდებარებული და საიალლო ხასიათი უნდა ჰქონოდა. იქნებ ამის მოწმობა იყოს „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ შემონახული მოგვიანო, მაგრამ მეტად საინტერესო ცნობა მცხეთელ მწყემსებზე, რომლებიც პირუტყვს ფარავნის ტბის მიდამოებში აძოვებდნენ⁷⁰. ძნელი სათქმელია, თუ ვის ეკუთვნოდა ის ჯოგები, რომელთაც მცხეთელი მწყემსები ასე შორს მიერეკებოდნენ. ის შეიძლებოდა კუთვნიებოდა როგორც ტაძრებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, დიდი უძრავ-მოძრავი ქონების, მათ შორის ჯოგების მესაკუთრენი იყვნენ, ისე მსხვილი არისტოკრატიის წარმომადგენლებს, რომლებიც, არსებული მასალების მიხედვით, არ შეგვიძლია მაინცდამაინც ქალაქის არისტოკრატის მივათვა-

67 ი. ციციანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

68 ი. ციციანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 65—75.

69 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 370—371.

70 ძველი ქათული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, გვ. 116.

ლოთ და ჯოგებიც ქალაქის საქონებლად მივიჩნით. ჩვენ უფრო იქეთ ვიხრებით, რომ მითითებულ ცნობაში სამეფო-სამოხელეო არისტოკრატის წარმომადგენლების საკუთრებაზეა ლაპარაკი, რომელთაც ხელი მიუწვდებოდათ მედაბურთა (მდაბიოთა) შრომით ბეგარაზეც. ამ ცნობაში, ასევე, შეიძლება ლაპარაკი იყოს მეფის ოჯახის საკუთრებაზე, რომელსაც სტრაბონის მეოთხე გენეს წარმომადგენლები უვლიდნენ. დაბოლოს, გვიანდელი, ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ შეიძლება ლაპარაკი იყოს მდაბიოთა და ქალაქის მკვიდრთა კუთვნილ პირუტყვზეც, რომელსაც მდაბიურთა ან მოქალაქეთა თემების მიერ გამოყოფილი მწყემსები უვლიდნენ.

ქალაქის სასოფლო რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოება იცნობდა დაბლარ ვაზს (ვაზის სასხლავი დანები, ყურძნის წიპწიბი, პალეობოტანიკური მონაცემები, მევენახეობის მასშტაბები), ღრმა მოხვნას და კევრით ლეწვას (მიცვალებულის კევრზე დამარხვა ყათნალიხევის მარცხენა ნაპირის ნამოსახლარის ნეკროპოლზე, კევრის კოხები ბამბების ნამოსახლარის I ნაგებობაში)⁷¹.

ქალაქის სასოფლო რაიონის დაბის მცხოვრებლის მეურნეობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს უფლისციხის მიდამოების სასოფლო დასახლებათა გათხრებისას მოპოვებული მასალები. სანიმუშოდ შეიძლება მიგვეთითებინა 1965 წ. ბამბების ნამოსახლარზე გამოვლენილი უკეთ დაცული საცხოვრებელი ნაგებობა, რომელიც ძვ. წ. III—II სს-ით თარიღდება: სახლი მრავალსათავესოიანი, თიხით შელესილი ძეღური ნაგებობაა, რომელიც, როგორც ჩანს, კრამიტით ყოფილა გადახურული. ერთ-ერთ სათავსოში გამართული იყო მარანი, რომელიც წერნაქით მოხატულ 4 ქვევრსა და 2 ქოცოს ითვლიდა. ქვევრების საერთო ტევადობა 1000 ლიტრამდე აღწევს. მარანშივე ყოფილა შენახული სამზარეულო და სუფრის ქურჭლის ძირითადი ნაწილი (დოქები, ხელადები, ფიალები, ჭამები, თეფშები, დერგები, ქოთნები და ა. შ.). აქვე აღმოჩნდა თიხის საბეჭდავი (ბეჭედი) ცხენის სქემატური გამოსახულებით. მარნის სამხრეთით მდებარე სათავსოში დადასტურდა მარცვლის შესანახი ხარო და დამტვრეული ხელსაფქვაეები, ხოლო ძირითად ოთახში — დაბალი თარო და ღუმელის ნანგრევი. მისი აღნაგობის წარმოდგენა ძნელდება, თუმცა გადარჩენილი ნაწილის მიხედვით, ე. წ. ხოვლური ტიპის იმ ღუმელებს მოგვაგონებს, რომლის მსგავსი ყათნალიხევის გორასამლოცველოზეც იქნა გამოვლენილი⁷².

⁷¹ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 73, 84, 86—88; ტაბ. XLII, LII.

⁷² დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 26, 30—31, ტაბ. V, XI.

ამგვარად, მევენახეობა და მარცვლეულის წარმოება იბერული ქალაქის სასოფლო რაიონის თემების სამეურნეო საქმიანობის ძირითადი დარგები ჩანს. სამწუხაროდ, თითქმის არ მოგვეპოვება მასალები სოფლის მეურნეობის სხვა დარგებზე, მაგალითად, მეხილეობაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ანტიკური ხანის იბერული ქალაქის მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. უახლეს სპეციალურ ლიტერატურაში სავსებით კანონ-ზომიერად დაისვა ქალაქისა და მის გარშემო მდებარე რაიონის თემთა ურთიერთობისა და საქალაქო მიწათმფლობელობის არსებობის საკითხი. ამასთან დაკავშირებით ყურადღება მიექცა „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაცულ ცნობას, თითქოს ადრეელისტიური ხანის დამდეგს, ქართლის მტკვრისპირა ზოლის მოსახლეობას შეადგენდა „ბუნ-თურქნი, — მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუვეით, ოთხ ქალაქად და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაქე, და ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისაჲ, უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრაჯისაჲ⁷³. კერძოდ, ამ ცნობისა და რიგი სხვა მონაცემების საფუძველზე, ო. ლორთქიფანიძემ წამოაყენა მოსაზრება, რომ იბერიის ქალაქები ფლობდნენ მიწას, რომელიც მათ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიას შეადგენდა. ქალაქის მიწების ერთი ნაწილი, მისი აზრით, მოქალაქეთა კერძო მფლობელობაში იყო და მათივე შრომით მუშავდებოდა. საამისო მოწმობას იგი ქვევრსამარხებში ხედავს, რომლებიც, როგორც იგი ფიქრობს, „მევენახეთა სამარხები“ ჩანს, რაც ქალაქებში თავისუფალ, წვრილ მიწათმოქმედთა ფენის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს. ქალაქის მიწები, მისი აზრით, ქალაქის მამასახლისის კომპეტენციაში შედიოდა, რომელიც ქალაქის თვითმმართველობის მეთაური იყო. ახ. წ. პირველ საუკუნეებში, ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, შეინიშნება ქალაქის თემიდან მსხვილი მიწათმფლობელების გამოყოფა, რომლებიც მსხვილი სახელოსნოების მფლობელებთან ერთად ქალაქის არისტოკრატიულ ზედაფენას შეადგენდა⁷⁴. მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოქმნა, როგორც იგი ფიქრობს, ქალაქის მიწების ფონ-

⁷³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 81. O. D. Лордкипанидзе, Ремесленное производство... გვ. 152—153. დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის უფლისციხე..., გვ. 371.

⁷⁴ O. D. Лордкипанидзе, Ремесленное производство... გვ. 152—154. მისივე, სამეფო მიწისფლობელობის შესახებ ანტიკური ხანის იბერიაში, გვ. 764, მისივე, მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის, გვ. 801—803.

დის ხარჯზე მიმდინარეობდა და ასუსტებდა ქალაქების ეკონომიურ საფუძველს⁷⁵.

გ. მელიქიშვილს სადავოდ არ მიაჩნია, რომ ანტიკური ხანის ქართული ქალაქების გარშემო არსებობდნენ სამიწათმოქმედო დასახლებები, რომლებიც ეკონომიურად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქალაქებთან, მაგრამ „ძნელია თქმა, თუ როგორი იყო ამ სოფლებისა და მისი მცხოვრებლების სტატუსი“. ისინი შეიძლება ყოფილიყო მეფის ან ტაძრის მიწებზე მსხდომ მიწათმოქმედთა დასახლებანი, იბერიის უმაღლესი არისტოკრატიის აგარაკები ან თავისუფალ მიწათმოქმედთა თემები. მაგრამ საქალაქო ცხოვრების განვითარებას აქ იმ დონისათვის არ უნდა მიეღწია, რომ ქართული ქალაქები თვითმმართველ პოლისებად ქცეულიყვნენ, ხოლო ქალაქის გარშემო მდებარე მიწებს „ქალაქის მიწის“ სტატუსი მიეღო.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული (თავი I, § 4) გ. მელიქიშვილმა არ გაიზიარა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ზემომოტანილი ცნობის ტრადიციული გაგება და გამოიციხა იგი იმ საბუთთა რიცხვიდან, რომლებიც „ქალაქის მიწების“ არსებობის მოწმობად გამოდგებოდა. ანტიკური ხანის ქართული ქალაქების მახლობლად მდებარე რაიონში მან მიწათმფლობელობის რიგი ფორმების თანაარსებობაზე მიუთითა (სამეფო, სატაძრო, მსხვილი კერძო მიწათმფლობელობა, თემური), მაგრამ „საქალაქო მიწათმფლობელობის“, როგორც მიწათმფლობელობის სპეციფიკური ფორმის, არსებობის დაშვება შესაძლებლად არ მიიჩნია⁷⁶.

საკითხი იმის შესახებ, არსებობდა თუ არა იბერიაში „საქალაქო მიწათმფლობელობა“, შეუძლებელია გაირკვეს მანამ, სანამ არ გაირკვევა საქალაქო თემისა და საერთო საქალაქო თვითმმართველობის არსებობის საკითხი. ოთ. ლორთქიფანიძე აღიარებს საქალაქო თემისა და საქალაქო თვითმმართველობის არსებობას. გ. მელიქიშვილი უარყოფს საერთო-საქალაქო მაგისტრატისა და თვითმმართველობის არსებობას და მიაჩნია, რომ ანტიკური ხანის ქართული ქალაქის მოსახლეობა რელიგიურ-ეთნიკურ თვითმმართველ თემებად იყო დაჯგუფებული⁷⁷.

ჩვენი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი მომდევნო თავშია გადმოცემული (თავი მესამე, § 1); აქ გვინდა მხოლოდ იმ დამატებით მასალაზე მიუთითოთ, რომელიც აღნიშნულ მოსაზ-

⁷⁵ О. Д. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 157.

⁷⁶ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 451—454.

⁷⁷ იქვე, გვ. 448.

რებათა გამოთქმის შემდეგ გახდა ცნობილი და მიწათმფლობელობის ფორმებზე გვაძლევს წარმოდგენას. მცხეთის გვიანანტიკური ვითარების შესახებ მასალებს (მარნები ბაგინეთსა და არმაზისხევის ერისთავთა კომპლექსთან) დაემატა ახალი მონაცემები სამთავროდან (ალ. კალანდაძე) და ურბნისიდან (ლ. ჭილაშვილი). სამწუხაროდ, მცხეთისა და ურბნისის ახალი მასალები ისევე მსხვილ მიწათმფლობელობას შეეხება და არაფერს გვაძლევს საშუალო და წვრილი მიწათმფლობელობის სურათის წარმოსადგენად. სამაგიეროდ, უფრო მრავალმხრივი მასალა მოგვცა უფლისციხემ, რომელიც ამასთან ადრეელინისტური ხანის ვითარებას ასახავს.

1959—1965 წლებში უფლისციხის შიდა ქალაქისა და მტკვრისპირა ნაშოსახლარების გათხრებისას მოპოვებული მასალები მსხვილი, სატაძრო და საერო მიწათმფლობელობის გვერდით საშუალო და წვრილი მიწათმფლობელობის არსებობაზეც მიუთითებს. ამ მასალის მახედვით ქალაქის უმსხვილეს მიწათმფლობელად ქალაქის უმაღლესი ხელისუფალი წარმოგვიდგება (ორი კლდეში ნაკვეთი საწნახელი სასახლის კომპლექსში და მარცვლის შესანახი კლდეში ნაკვეთი ორმოები). რომელიც მეფის მოხელე უნდა ყოფილიყო. იგი, შესაძლებელია, უფლისციხის გაბატონებული თემის ზედაფენიდანაც იყო გამოსული და ეს სახელო, ფორმალურად მაინც, საკუთარი თემის „დასტურით“ ჰქონდა მიღებული. შიდა ქალაქის სასახლეში მჯდომ ხელისუფლის შემოსავლის მუდმივობაზე მიუთითებს სასახლის კომპლექსის ერთ-ერთ სათავსოში დადასტურებული კლდეში ნაკვეთი საწნახლები და მარცვლის შესანახი ხაროები, რომელთა გამართვა უმიზნო იქნებოდა, თუ შემოსავლის მიღება რაიმე პირობებით იქნებოდა განსაზღვრული. მოცულობით ასეთივე შემოსავალი ჰქონია უფლისციხის ტაძარსაც, რომელიც სასახლის გვერდითვე იდგა და იქვე ჰქონდა გამართული საწნახლები და მარცვლის შესანახი ხაროები.

მსხვილ მიწათმფლობელთა სამეურნეო ნაგებობების ფონზე სხვა სურათს წარმოგვიდგენს უფლისციხის შიდა ქალაქის „მცირე კლდეკარის“ უბანზე გამოვლენილი მცირე ზომის კლდეში ნაკვეთი საწნახელი, რომელიც, როგორც ჩანს, ამ მიკროუბნის მთელ მოსახლეობას ემსახურებოდა. მაშასადამე, ქალაქის გარშემო მდებარე მიწებზე ხელი მიუწვდებოდა ქალაქის როგორც არისტოკრატიულ ნაწილს, ისე რიგით მცხოვრებლებსაც⁷⁸.

78 დ. ხახუტაიშვილი, ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის (იბერიის) ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის, გვ. 113—127. მისივე, უფლისციხე, I, გვ. 63—66.

გარდა ამისა, ქალაქის გარშემო მიწების მნიშვნელოვან ნაწილს სასოფლო თემები ფლობდნენ, რომლებიც დაბეზად იყვნენ დასახლებული. ამისი მოწმობაა ვლადიკავის კარმიდამო ბაზების ნამონახლარიდან, რომელიც ზემოთ იყო აღწერილი, აგრეთვე, ყათნალიხევის ანტიკურ ნამოსახლარზე მოპოვებული მასალები (კვერზე დამარხვა, მარანთა ნაშთები, რკინის სახნისი, მარცელის შესანახი ხარობი და ა. შ.)⁷⁹. ამავე დროს, ნადაბურთა არქეოლოგიურ მასალაში შეინიშნება მკვეთრი კონტრასტი თემის ცალკეული ოჯახების ქონებრივ შესაძლებლობაში, რასაც, უნდა ვიფიქროთ. მიწის ნაკვეთების არათანაბარი განაწილება უქმნიდა საფუძველს.

ქალაქის გარშემო მდებარე სასოფლო-სამეურნეო რაიონის სამიწათმოქმედო სავარგულების მფლობელობითი ხასიათის გასაკვევად მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის დადგენასაც, თუ როდის და როგორ ხდება ამ სავარგულების სამეურნეო ათვისება. მცხეთის, უფლისციხის და ურბნისის მევენახეობა, მაგალითად, მორწყვაზეა დაფუძნებული. ამ ქალაქთა გარშემო მდებარე მოხერხებულად განლაგებული ნაკვეთები შესაძლებელი იყო წყარო-ნაკადულებრივი მორწყვის პირობებშიც ათვისებინათ (და აუთვისებიათ კიდევ), რაც თემის ძალებითაც იქნებოდა შესაძლებელი. მაგრამ მიწების დიდი ნაწილის ათვისება წარმოუდგენელი იყო შედარებით დიდი და რთული საირიგაციო სისტემების გაუმართავად (ნასტაგის-მუხრანი, დიღვის ველი და ა. შ. მცხეთასთან, ტირიფონის ველი, ავაზნებ-ნადარბაზევის მინდორი და ქვახვრელის სანახები უფლისციხესთან, რუის-საქაშეთ-ფხვენიისის ზოლი ურბნისთან)⁸⁰.

ადრეელინისტური ხანისა და მომდევნო პერიოდის იბერიის ქალაქებში მევენახეობა-მეღვინეობისა და მემინდვრეობის ის მასშტაბი, რომელიც მცხეთის, უფლისციხისა და ურბნისის მასალებით დასტურდება, აშკარად მიუთითებს იმ რაიონების სამეურნეო გამოყენებაზე, რომელთა ათვისება მსხვილი საირიგაციო სისტემების ქონებაზე მიუთითებს. მართო ურბნისის რუსხმულის თავდაპირველი მოცულობა 300 ათას მ³ შეადგენდა, ხოლო არხის საერთო სიგრძე — 23-25 კილომეტრს⁸¹. ცხადია, ასეთი მოცულობისა და ტექნიკურად რთული საინჟინრო ნაგებობის გამართვა თემს არ შეეძლო და იგი ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა განეხორციე-

79 დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 73, 82, 84, 86—88.

80 ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, გვ. 65 და შმდ.

81 ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 70—72.

ლებინა. ამიტომაცაა, რომ ცნობების გამოჩენა მხვილი მეურნეობების წარმოქმნისა და სარწყავი სისტემების გამართვის თაობაზე ნმთხვევა იბერიის სამეფო ხელისუფლების წარმოქმნის ხანასა და მომდევნო პერიოდს. თუ ეს ასეა, მაშინ ახალათვისებულ („ახალ-ნალვაწ“) მიწების მესაკუთრედ მეფის ხელისუფლება უნდა მივიჩნიოთ, რომელიც მას სამეფო დომენს მიაწერდა ან საკუთარი შეხედულებისამებრ კერძო მფლობელობაში გადასცემდა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, მართალია, მოგვიანო. მაგრამ რიგი ნიშნების მიხედვით ძველი ვითარების ამსახველი ცნობა, რომ გაქრისტიანებულ ბარაბეანთა „სახლი“ „მკვდრ იქმნეს მცხეთას შინა, და მიუბოძა მირეან მეფემან დაბაჲ ერთი, რომელსა ჰრქვან ციხჲ დიდი, და იყვნეს დიდ წინაშე მეფისა“⁸². ის გარემოება, რომ VI საუკუნეში ციხედიდის გლეხებისა და მიწების ერთი ნაწილი კერძო საკუთრებაში იყო და უიღვა-გაუიღვის ობიექტს წარმოადგენდა⁸³, გვაფიქრებინებს, რომ IV საუკუნეში მეფის მიერ კერძო მფლობელობაში გადაცემული მიწები და მასზე მსხდომი გლეხები VI საუკუნეში, როგორც ჩანს, მეფის ხელისუფლების მოსპობის შემდეგ, კერძო საკუთრებად გაფორმებულა. ამ ცნობიდან ისიც ირკვევა, რომ სამეფო დომენის კუთვნილი მიწები ქალაქის გარშემო მდებარე რაიონსაც მიითვლიდა. ამაზე მოგვეხსენოს ზაქარია კათალიკოზის 1624 წ. „მცხეთის სიგელიც“: სადაც ნათქვამია: „ვახტანგ გორგასალისგან შემოწირული იყო ძეგვი და ციხედიდი, და აწ სახასოდ საქათალიკოზოდ გავხადეთო“⁸⁴. ძეგვი, ციხედიდი, ნასტაგისი, მუხრანი, როგორც ჩანს, დიდმის ველიც სამეფო დომენის მიწებს წარმოადგენდა და მასზე საქალაქო თემს, თუ კი ასეთი არსებობდა, ხელი არ მიუწვდებოდა. ასეთივე სურათი შეიძლება მიეთითოს უფლისციხისა და ურბნისის სინამდვილეშიც. რა თქმა უნდა, ეს გარემოება საფუძველს არ გვაძლევს მიწაზე საქალაქო-თემური საკუთრების არსებობა სავსებით უარყოფით, მაგრამ იგი მიწათმფლობელობის ამ ფორმის დაქვემდებარებული როლისა თუ სისუსტის მოწმობა მაინცა ჩანს.

⁸² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 147.

⁸³ ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, II, 1956, გვ. 106—110.

⁸⁴ იქვე, გვ. 110—111.

ქალაქების ეკონომიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დიდი წონა, როგორც მოტანალი მასალებიდანაცა ჩანს, სადავო არ უნდა იყოს, მაგრამ მეტად მცირე მონაცემები გავაჩნია იმ საკითხის გასარკვევად, თუ რამდენად სასაქონლო ხასიათისა იყო სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი. სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოება ანტიკური ხანის იბერიაში, ვფიქრობთ, ექვს არ უნდა იწვევდეს. ამაზე მიუთითებს როგორც შრომის დანაწილების საერთო სურათი, ისე იმპორტული სატრანზიტო სამეურნეო ჭურჭლის გამოჩენა, რაც აღრეელინისტური ხანიდან შეანიშნება (უფლისციხის შიდა ქალაქი, ბამბების ნამოსახლარი...). სასაქონლო პროდუქტის ძირითადი რაოდენობა მსხვილ მეურნეობებს (სამეფო დომენი, მსხვილი კერძო აგარაკები, სატაძრო მამულები) უნდა მოეცა (უფლისციხის საწნახლები, ბაგინეთის, არმაზისხევისა და სამთავროს მარნები და ა. შ.), მაგრამ ბაზარზე მიდიოდა, როგორც ჩანს, მეთემეთა მიერ მოყვანილი პროდუქტის გარკვეული ნაწილიც. ამისი შოწმობაა მონეტებისა და სამკაულების, აგრეთვე სხვა სახის ხელოსნური ნაწარმის სიმრავლე ქალაქების გარშემო მდებარე რაიონის სამიწათმოქმედო დასახლებათა ნივთიერ კულტურაში, რომელიც აგარაკებისა და დაბების მოსახლეობას ვაჭრობის ან გაცვლის გზით უნდა ჰქონოდა. გვიანელინისტურ ხანიდან ვაჭრობის ადგილობრივ ფორმებს ძლიერ ავიწროვებს ვაჭრობის საერთაშორისო ფორმა — მიმოქცევაში ფართოდ შემოდის მონეტები. საქალაქო ცხოვრების დაწინაურების პარალელურად უნდა გაფართოებულყო სასაქონლო ხასიათის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოება, მაგრამ, ვიმეორებთ, პირდაპირი მასალების უქონლობის გამო საკითხის სათანადო სისრულით შესწავლა ჭერ-ჭერობით შესაძლებლად არ გვეჩვენება.

**ადრეკლასობრივი ხანის იბარული ქალაქის მმართველობის
ორგანიზაციის, საადგილმამულო ურთიერთობისა და
სოციალური უფის ზოგინართი საკითხი**

წინაფეოდალური ხანის ქართული საზოგადოება აკად. გ. მელიქიშვილმა 1955 წ. განსაზღვრა როგორც ისეთი საზოგადოება, რომლის „ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს შეადგენდა სასოფლო თემის და გვაროვნული წყობის ბევრი სხვა გადმონაშთის არსებობა, მონური შრომის შედარებით შეზღუდული გამოყენება, მონების გვერდით რიგითი მეთემეების ფართო მასების ექსპლუატაცია სამეფო ხელისუფლებისა და არისტოკრატიული ზედაფენის მიერ, ტაძრებისა და მის მსახურთა (ქურუმების) დიდი ხვედრითი წონა ქვეყნის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში და ა. შ.“¹ 1956 წ. მკვლევარი მიუთითებდა, რომ ელინისტური ხანის აბერული საზოგადოება შედარებით განუვითარებელი კლასობრივი საზოგადოებაა, სადაც ჯერ კიდევ მძლავრადაა წარმოდგენილი პირველყოფილ-თემური წყობილების გადმონაშთები, ხოლო „მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა ძირითად მასას კვლავ წარმოადგენდნენ თავისუფალი და ნახევრადთავისუფალი მიწისმომქმენი, რომელნიც სასოფლო თემებად იყვნენ გაერთიანებული. ასინი ექსპლუატაციას განიცდიდნენ სამეფო ხელისუფლების, არისტოკრატიული ზედაფენისა და ქურუმებისაგან... მეურნეობაში მონური შრომა შედარებით ნაკლებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული...“² იგივე აზრია გატარებული 1958³ და 1959 წელს⁴ გამოქვეყნებულ ნაშრომებში. 1965 წელს გ. მელიქიშვილი აჯამებს წინა-

¹ გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, გვ. 184—185.

² გ. მელიქიშვილი, პირველ სახელმწიფოთა წარმოქმნა აწინდელ საქართველოს ტერიტორიაზე. წიგნში: „საქართველოს ისტორია“, I, თბილისი, 1956 (მაკეტი ხელნაწერის უფლებით), გვ. 49—50, შდრ. გვ. 43.

³ გ. მელიქიშვილი, ადრემონათმფლობელური ურთიერთობის გაბატონება საქართველოში. აქემენიდური სპარსეთისა და ელინისტური სახელ-

ფეოდალური ხანის საზოგადოების შესწავლაზე მის მიერ გაწეულ ხანგრძლივ მუშაობას და მიუთითებს, რომ ანტიკური ხანის ქართული საზოგადოება, ისევე როგორც ძველადმოსავლური კლასობრივი საზოგადოებანი, არ შეიძლება მივიჩნიოთ მონათმფლობელურ საზოგადოებად, რადგან იქ მატერიალური დოვლათის ძირითად მწარმოებელს მონა კი არ წარმოადგენდა, არამედ თავისუფალი და ნახევრად თავისუფალი ექსპლუატირებული მოსახლეობა, რომელიც თემებში იყო თავმოყრილი⁵. აღინიშნა, რომ ელინისტური ხანის ქართლში „ხალხის ძირითად მასას ჯერ კიდევ თავისუფალი მეთემენი („მიწათმოქმედნი და მოლაშქრენი“) შეადგენდნენ; ამის გვერდით ვხვდებით მმართველი ზედაფენის — სახელმწიფოს, სამეფო საგვარეულოს, სამხედრო-საგვარეულო არისტოკრატისა და ბიუროკრატული აპარატის მხრივ დამორჩილებული თემების („ლაოი“) ნახევრადფეოდალური ტიპის ექსპლუატაციას. ჰიმიე ვალდებულეებებს სახელმწიფოსა, დიდებულთა და ტაძრების მიმართ ასრულებდნენ, უეკველია, თავისუფალ მეთემენიც. გარკვეული ზომით გავრცელებული იქნებოდა მონობაც. ამრიგად, აქაც ესედავთ მონათმფლობელური და წინაფეოდალური (პროტოფეოდალური) ექსპლუატაციის ფორმების თანაარსებობას ხალხის ძირითადი მასის მიერ ჯერ კიდევ პირადი თავისუფლებისა და სამეურნეო დამოუკიდებლობის შენარჩუნების, სათემო მიწათმფლობელობისა და პირველყოფილ-თემური წყობილების სხვა ტრადიციების არსებობის პირობებში⁶. ასეთი საზოგადოება აკად. გ. მელიქიშვილმა დაახასიათა როგორც საზოგადოების განვი-

მნიშვნელობის ექსპანსიის ხანა. წიგნში „საქართველოს ისტორია“, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის VIII—X კლასებისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1958, გვ. 31, 37.

⁴ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, гв. 310—321, 396—478.

⁵ გ. მელიქიშვილი, ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური წყობილების საკითხი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მაცნე“, 1966, № 1, გვ. 72—90. საკითხის შეაწავლის ისტორია იხილეთ იქვე, გვ. 52—72. 1966 წ. 25 თებერვალს ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეთოდოლოგიურ სემინარზე აკად. გ. მელიქიშვილმა წაიკითხა მოხსენება, სადაც ფართოდ იყო მსჯელობა ძველი საზოგადოების ბუნების შესახებ. მოხსენების შემდეგ გაშლილი ცხარე დისკუსია იმისი მოწმობა იყო, რომ საკითხი მარჯვედ იქნა დასმული და მის შესწავლას სწორი მიმართულება მიეცა. იხ. ნ. ხაზარაძე, დ. ხახუტაიშვილი, დისკუსია უძველესი კლასობრივი საზოგადოების ბუნების საკითხზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნიერებათა განყოფილებას „მაცნე“, 1966 წ., № 4.

ბ. ბ ქ ვ ე, გვ. 88—89.

თარების ადრეკლასობრივი ანუ განუვითარებელი კლასობრივი საფეხური, როგორც გარდამავალი ეტაპი უკლასო საზოგადოებიდან განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებაზე (არა მარტო მონათმფლობელურზე, არამედ ფეოდალურზე)⁷.

აკად. გ. მელიქიშვილის მიერ გამოქვეყნებული ეს, მოცულობით მცირე, მაგრამ საკვლევად დასმული პრობლემების მნიშვნელობით ფუნდამენტური გამოკვლევა დასაბამს აძლევს წინაფეოდალური ხანის ქართული საზოგადოების ისტორიის საკვანძო პრობლემების მეცნიერული შესწავლის ახალ აღმავლობას და ქნის რუტინისაგან თავისუფალი, შემოქმედებითი კვლევა-ძიების ფართო პერსპექტივასა და შესაძლებლობას.

როგორც აღვნიშნეთ, აკად. გ. მელიქიშვილმა წინაფეოდალური ხანის ქართული საზოგადოება, კერძოდ იბერული საზოგადოებაც, დაახასიათა როგორც ადრეკლასობრივი საზოგადოება, სადაც ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდნენ წინაფეოდალური ტიპის ექსპლუატაციის ფორმები. ექსპლუატაციის ამ ძირითადი ფორმების უკან, ბუნებრივია, იღვა მოცემული საზოგადოების ძირითადი სოციალური ფენები (იბერიაში, მაგალითად, სტრაბონის ოთხი გენე+მონები, ვაჭრები, ხელოსნები). ადრეკლასობრივი ხანის იბერიაში მეთემეები (თემები) წარმოადგენდნენ არა მარტო ექსპლუატაციის ძირითად ობიექტს, მატერიალური დოვლათის ძირითად მწარმოებელს, არამედ თემი იყო საზოგადოების ძირითადი სოციალურ-ეკონომიური და ადმინისტრაციულ-ფისკალური უჯრედი. ამ პერიოდში თემებადაა წარმოდგენილი არა მარტო დაბა-სოფლების ფორმალურად მაინც თავისუფალი და თანასწორუფლებიანი მოსახლეობა, არამედ ასევე თემებადაა დაჯგუფებული სოციალურად ისეთი მრავალსახიანი უჯრედიც, როგორცაა ქალაქი, რომელიც განვითარების ადრეკლასობრივ საფეხურზე ძირითადად სოციალურ წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა. მხოლოდ ადრეკლასობრივი ქალაქები წარმოადგენდნენ იმ ერთეულებს, სადაც ფაქტიურად წარმოდგენილი იყო ამ ხანის საზოგადოების დამახასიათებელი ყველა სოციალური ფენა, ექსპლუატაციის ყველა ცნობილი ფორმა, თანაც უფრო განვითარებული, უფრო გაშიშვლებული და უფრო რელიეფური სახით.

ანტიკური ხანის იბერული ქალაქი, განვითარების მოგვიანო საფეხურზე (გვიანელინისტური ხანა და მომდევნო პერიოდი), როგორც

⁷ გ. მელიქიშვილი, ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური წყობილების საკითხები, გვ. 81—85.

ირკვევა. მრავალთემიანობით ხასიათდებოდა. ეს, როგორც ჩანს, საგრძნობლად შეზღუდული თვითმმართველობის მქონე თემები ეთნიკურ-რელიგიურ საფუძველზე ყოფილან მოწყობილი და „უბნებად“ განსახლებული⁹. ამდენად, ბუნებრივად გვეჩვენება აღრეკლასობრივი ხანის იბერული ქალაქის სოციალური სახის შესწავლა ქალაქის თემის (თემების) წარმოქმნისა და მისი ბუნების საკითხის გარკვევის ცდით დავიწყოთ.

§ 1. ქალაქის „ჰავილარი თემის“ წარმოშობა-განვითარება და მისი სოციალური სახე, მრავალთემიანობის წარმოშობის პირობები

აღრეკლასობრივი ხანის იბერული ქალაქის განვითარების მოგვიანო საფეხურზე ქალაქის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც თემებში იყო გაერთიანებული, როგორც დასტურდება. ორ ძირითად ჯგუფად განიყოფებოდა: მკვიდრი თემის მოსახლეობა (ქართ-იბერული ეთნიკურ-რელიგიური კოლექტივები) და არამკვიდრი თემების მოსახლეობა (ებრაული, სირიული, ირანული ეთნიკურ-რელიგიური კოლექტივები). ამათგან ქალაქის უძველეს და პრივილეგირებულ თემს, რომელსაც, როგორც ირკვევა. სხვა ეთნიკურ-რელიგიურ თემებზე გარკვეული უფლებრივი უპირატესობაც ჰქონდა, მკვიდრი თემი წარმოადგენდა. ეს ასე უნდა ყოფილიყო საერთო ისტორიული ვითარებისა და განვითარების ხასიათის მიხედვითაც, მაგრამ ამგვარი მტკიცებინათვის გავვაჩნია. მართალია, მოგვიანო, მაგრამ, როგორც ჩანს, სანდო და ამდენად მეტად მნიშვნელოვანი ცნობები, რომლებიც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შემოუნახავს და ქალაქის მკვიდრად „უცხოს“ ჩარიცხვას ეხება. ერთ მომენტში ქართლის მეფე შირიანი ეუბნება ნინოს: „უკეთუ განჰკურნო მთავარი ესე, განგამდიდრო და გყო მკვდრ მცხეთას შინა, მსახურად არმაზისა“⁹. ხოლო, როცა მცხეთის ებრაელთა თემის წინაშე ქრისტიანობის მიღების საკითხი დადგა, თემის წევრთა დიდმა ნაწილმა თავი აარიდა ანალი სარწმუნოების მიღებას „და იწყეს სადაითვე წარსვლად თვნიერ ხოლო ბარაბეანთასა, რომელნიცა მოინათლნეს ორმეოც და ათი სული სახლისა მათისა, და მკვდრ იქმნეს მცხეთას შინა. და მიუბოძა მირეან მეფემან დაბაჲ ერთი, რომელსა ჰრქვან ციხჲ დიდი, და იყვნეს დიდ წინაშე მეფისა“¹⁰. მოტანილ ნაწყვეტებში, როგორც ვნახეთ, ერთ შემთხვევაში, ლაპარაკია მკვიდრი თემის წევრად „უცხოს“, „ტყვის“ მიღებაზე, მეორე შემთხვევაში კი — ქალაქის არამკვიდრი თემის ერთ-ერთი „სახ-

⁹ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, гл. 449—452.

⁹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 132.

¹⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 147.

ლის“ ჩარიცხვაზე მკვიდრი თემის შემადგენლობაში. მემპათიანეს მიაჩნია, რომ არამკვიდრი თემის წევრობიდან მკვიდრი თემის შემადგენლობაში მოხვედრა დიდი პატივი იყო და მკვეთრად აუშჯობესებდა მკვიდრად მიღებულის უფლებრივ და ქონებრივ მდგომარეობას, ამასთან მკვიდრობა, როგორც ჩანს, საზოგადოებრივი მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად პირობასაც წარმოადგენდა. ამისი მოწმობა უნდა იყოს იმავე წყაროს ცნობა, რომ „მეფობდა ფარსმან სხუაჲ და კათალიკოზი იყო დასაბია, მკვდრი მცხეთელი. და აქაჲთვან ორთა სახლთა აღიდეს კათალიკოზობაჲ, მცხეთელითა მკვდრითა“¹¹.

გარდა ამისა, მოქცევაჲ „ქართლისაჲს“ ზემომოტანილი ორი ცნობა „ბარაბენთა სახლთა“ და კათალიკოზობის სახელოს მიმტაცებელი მცხეთის მკვიდრი ორი „სახლის“ შესახებ გვიჩვენებს, რომ იბერული ქალაქის თემები, როგორც მკვიდრი, ისე არამკვიდრი, ადრეფეოდალური ხანის ქართლში წარმოდგენილი კქონდაჲ „სახლებისაგან“ შემდგარ ერთეულებად. ერთ შემთხვევაში, განსაზღვრულია ასეთი სახლის წევრთა რიცხვიც—50 სული. როგორც აკად. გ. მელიქიშვილმა მიუთითა, სიტყვა „სახლი“ ამ დროს ალბათ „ტერიტორიულ თემს“ კი აღარ აღნიშნავდა, არამედ საოჯახოს. მისი აზრით, „სახლი“ უძველეს ხანაში გვიარის (род) აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ხოლო საგვარეულო თემის (родоваჲ ინაჲ) სასოფლო (ტერიტორიულ) თემად გადაზრდის პროცესში მოხდა, როგორც ჩანს, „სახლი“ ცნების მნიშვნელობის შეზღუდვა: ჯერ იგი ტერიტორიული თემის შიგნით დიდ-ოჯახური თემების აღმნიშვნელად იქცა; ხოლო გვიან კი — ფეოდალური საგვარეულოს აღმნიშვნელ ცნებად¹².

ადრეკლასობრივი ხანის ქართული საქალაქო თემის არსებობაზე ამ ოცდაათი ოდენ წლის წინ მიეთითა. კერძოდ, აკად. ს. ჯანაშია, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ იმ ცნობასთან დაკავშირებით, რომელშიც „მცხეთის ერია“ მოხსენიებული, მიუთითებდა: „ეს ერი მცხეთის ერი ყოფილა, ქალაქის ერი. ასეთი ქალაქა“

¹¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 147. ცნება „მკვიდრის“ შესახებ დაწვრილებითი ცნობებია იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, I, თბილისი, 1928, გვ. 13—16, 48—50, 55. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 402—404.

¹² Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 405 და შემდ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 148, II, I, გვ. 24—25. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, გვ. 131—133.

ერო — კი, სრულებით არ არის სავალდებულო გვაროვნულ საზოგადოებას ეიგივებოდეს. ქალაქის ერი, შესაძლოა, მონათმფლობელურ დემოკრატიასაც წარმოადგენდეს, მაგალითად, და თავის სოციალურ შინაარსით იგი გნსხვავებული იქნება პირველყოფილი დემოკრატიისაგან¹³.

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მოწვევებით, მცხეთის კონკრეტულ მაგალითზე, ოთ. ლორთქიფანიძემ დასვა საკითხი იბერიისაში საქალაქო თვითმმართველი თემისა და საქალაქო მიწათმფლობელობის არსებობის შესახებ. კერძოდ, ლეონტი მროველთან მოხსენიებული „ყოველნი ქართველნი“ მან მცხეთის სრულყოფილებიან მოქალაქეთა კოლექტივად მიიჩნია, ხოლო „მცხეთელი მამასახლისი“ — ამ კოლექტივის, საქალაქო თემის მეთაურად¹⁴. ამასთან დაკავშირებით, როგორც გვეგონია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რისი დასაბუთება გვსურს ჩვენ, არამედ იმას, თუ რას გულისხმობდა, როგორ ჰყავდა წარმოდგენილი ლეონტი მროველს „მცხეთელი მამასახლისი“. თუ ტექსტს გულდასმით დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ „მცხეთელი მამასახლისი“ საქალაქო თემის მეთაური კი არაა, არამედ მთელი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ნომინალური მეთაური: ლეონტის წარმოდგენით, ქართლოსიანთა შთამომავლობა შფოთმა და არეულობამ მოიცვა. „არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილითი-ადგილად თავადნი იჩინიან. ხოლო ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვის ყოველთა მათ სხუათა ზედა. და არცა სახელ-ედებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდა, და იგი იყვის მაზავებულ და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა. რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა, და უწოდდეს დედა-ქალაქად“¹⁵. შემდეგ, ქაიხოსრო სპარსთა მეფეს სომხეთი, აღბანეთი და ქართლი დაეპყრო. მაგრამ როცა იგი

¹³ ს. ჯანაშია, საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, გვ. 219.

¹⁴ О. Д. Лордкипанидзе, Ремесленное производство..., გვ. 152—158. მისივე, სამეფო მიწათმფლობელობის შესახებ... გვ. 764. მისივე, მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის, გვ. 802—803. ივ. ჭავჭავაძის ლეონტი მროველის „მცხეთის მამასახლისი“ ერთ შემთხვევაში აღმ. საქართველოს უმაღლეს გამგებლად ჰყავს მიჩნეული, მეორე შემთხვევაში კი ქალაქის უფროსად, მამასახლისად. იხ. ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 171—172; შდრ. გვ. 185.

¹⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 11.

თურქებთან ომებში ჩაება, სომხებმა და ქართველებმა ისარგებლეს მისი მოუცლელიობით, აჯანყდნენ და სპარსელები განდევნეს. „ხოლო მასვე ჟამსა მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქაიხოსროსგან. გამოვლეს ზღუა გურჯანისი, აღმოყვეს მტყუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდა რვა¹⁶. და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა, და შემწეობისათჳს დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნა, და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა¹⁷ შინა. ხო-

16 გ. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ ცნობა თურქთა 28 სახლის მოსვლის შესახებ ლეონტი მროველის ნაშრომში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ იმ ადგილას გადაშუშალება უნდა იყოს, სადაც აზოს შიერ არიან ქართლიდან თავის თანამეტომეთა 18 სახლის გადმოსახლებაზე საუბარი (იხ. მისი К истории древней Грузии, გვ. 37, შტრ. ო. თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის, გვ. 802). რა თქმა უნდა, თუ გავითვალისწინებთ ლეონტი მროველის მანერას მის შიერ შემუშავებული სქემების გასამართაოდ არ დაერიდოს ძველი წყაროების, მათ შორის „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობების დამახინჯება-შეცვლას (ცნობები ქალაქების მშენებლობაზე, აზოს ჩამომავლობაზე და ა. შ.), მათ ქრონოლოგიურ გადაჯგუფებას, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მისი ცნობა, მართლაც თურქთა 28 ოჯახისა და საერთოდ თურქების მოსვლის შესახებ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობის გადამშუშავებაა და სხვა არაფერი.

17 ოთ. ლორთქიფანიძე ფიქრობს, რომ რამდენადაც გამოთქმა „ყოველთა ქალაქთა“ დადასტურებულია ქართლის ცხოვრების მხოლოდ მარიამისეულ ხელნაწერში და ყველა სხვა ხელნაწერი იძლევა წაკითხვას „ყოველსა ქალაქთა“, ამიტომ სწორი უნდა იყოს უკანასკნელი და შესაბამისად უნდა გაიმართოს ამ გამოთქმის ფორმა: „ყოველსა ქალაქსა“, ე. ი. აქ ლაპარაკია თურქების დასახლებაზე მცხეთაში და არა მათ განსახლებაზე ქართლის ქალაქებში (იხ. მისი, მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის, გვ. 799, 802—803). თავი რომ დავანებოთ საკითხის „უმრავლესობის“ მიხედვით გადაწყვეტის მიუღებლობას, წყაროს თითქმის იმავე აბზაცში მოცემული მითითებიდანაც, რომ „იყვნეს ესე თურქნი და ქართველნი ნებისყოფელ ერთმანერთისა, მოელოდეს მოსვლასა სპარსთასა, ამაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა“ (და არა მარტო მცხეთას; როგორც უნდა ყოფილიყო, თუ მითითებულ შესწორებას მივიღებდით) აშკარად ჩანს, რომ ლეონტი მოგვითხრობს თურქების განსახლებაზე ქართლის ქალაქებში და არა მხოლოდ მცხეთაში. მაშასადამე, სწორია „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ხელნაწერის წაკითხვა და ცდება „ყველა სხვა ხელნაწერი“. ე. ი. უნდა ვასწორდეს სხვა ხელნაწერების წაკითხვა „ყოველსა“, მით უფრო, რომ გამოთქმის საზღვრული სიტყვა გამოუცლებლივ ყველა ხელნაწერში წარმოდგენილია ფორმით „ქალაქთა“. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორად მოიქცა „ქართლის ცხოვრების“ დადგენილი ტექსტის გამომცემელი პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, როცა უპირატესობა მისცა სწორედ მარიამისეულ ხელნაწერის წაკითხვას.

ლო უმრავლესნი მათგანი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას, დასავლით კერძო კლდეთა შორის გამოკუთილი, ღრმა, და შოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე. და იყვნეს ესე თურქნი და ქართველნი ნებისყოფელ ერთმანერთისა, მოელოდეს მოსვლასა სპარსთასა, ამგარებდეს ციხეთა და ქალაქთა. მას უამსა შინა სადათაც ვინ ჰოვიდის ძვრის-მოქმედთაგან საბერძნეთით, გინა ასურით ოტებული, გინა ხაზარეთით, ყოველივე და იმეგობრიან ქართველთა შემწეობისათვის სპარსთა ზედა. და გამოკდეს ამას შინა უამნი მრავალნი. მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქვან ზერკ ხარკისა მისთვის¹⁸. მაშასადამე, დიდ საგარეო საფრთხესთან დაკავშირებით „ყოველთა ქართველთა“ კრებას მიუღია გადაწყვეტილება, რომ მომზადებულიყვნენ მტრის მოსალოდნელი შემოსევის მოსაგერიებლად და მოკავშირეებად მიეღოთ თურქები. ამავე დროს, საფრთხე იმდენად დიდი ყოფილა, რომ ქართველებს გადაუწყვეტიათ, უარი არ თქვან სხვადასხვა ქვეყნებიდან გამოქცეულ ბოროტმოქმედთა (ძვრის-მოქმედთა) დახმარებაზეც. დაახლოებით ამავე პერიოდში. ყოველ შემთხვევაში, სპარსელების ახალ შემოსევამდე იფარებენ ებრაელებსაც. „ყოველთა ქართველთა“ პირველ თავმოყრაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ დაიმეგობრონ თურქები და ქართლის ქალაქებში განასახლონ. ამის შემდეგ, „მცხეთელი მამასახლისი“, როგორც ქართლოსანთა „ბჭე და გამრიგე“, თავისი სახელით მოქმედებს, მაგრამ საამისოდ მას მიღებული აქვს იურიდიული საფუძველი — „ყოველთა ქართველთა“ კრების დადგენილება. ეს „ყოველნი ქართველნი“ კი ისეთი კოლექტივია, რომელსაც მთელი ქვეყანა ეკუთვნის, ხოლო „მცხეთელი მამასახლისი“ მისი მეთაურია. ასე რომ, როგორც ჩვენ გვეჩვენება, ლეონტი მროველის მიხედვით, „მცხეთელი მამასახლისი“ მთელი ქართლის, ქართლოსიანთა მოდგმის მეთაურია და არა მცხეთის საქალაქო თემის უფროსი¹⁹. ამისი მოწმობაა ლეონტი მროველის მომდევნო ცნობა, რომელიც ფარნა-

¹⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 15—16.

¹⁹ ით. ლორთქიფანიძე ფიქრობს, რომ თემის წევრად „უცხოთა“ მიღება თემის წევრთა საერთო კრების კომპეტენციაში შედიოდა და საქალაქო თემის

ვაზის გამეფებას ეხება: ალექსანდრეს შემოსევებისას დაიღუპა მცხეთის მამასახლისი სამარა და მისი ძმა (ფარნავაზის მამა). დავაჟკაცებული ფარნავაზი აჯანყებისათვის ემზადება: აი, როგორ იურიდიულ დასაბუთებას აძლევს იგი თავის უფლებას, გახდეს ქართველთა მოდგმის მეთაური: „მე ვარ ნათესავი უფლოს, მცხეთოსის ძისა, და ძ მ ი ს წ უ ლ ი ს ა მ ა რ ა მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი ს ა“. ეგრიპის ერისთავი ქუჯი ფარნავაზთან შეხვედრისას უფრო შორს მიდის, როცა აცხადებს: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი“²⁰. მაშასადამე, რამდენადაც ფარნავაზი მცხეთელი მამასახლისის ანუ ქართლის ჰეგემონი სახლის შვილია, მას უფლება აქვს მამათა ადგილი დაიკავოს. ასე ესმის ლეონტის ფარნავაზის იურიდიული მდგომარეობა.

„ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა „მცხეთელი მამასახლისის“, მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის, ქართლის მეფის ხელსუფლების მცხეთის მამასახლისის „სახლთან“ ნათესაობითი და მემკვიდრეობითი კავშირის შესახებ, როგორც ჩანს, ლეონტი მროველმა შეთხზა სხვადასხვა ღირსებობს, რიგისა და დროის მონაცემთა საფუძველზე²¹. მათ შორის შეიძლებაოდა მიგვეთითებინა: „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა, რომ „იყო პირველი მეფე მცხეთაჲ შინა აზოჲ, ძე არიან ქართველთა მეფისა“²², აგრეთვე იმის თაობაზე, რომ ქართლის უძველესი დედაქალაქი მცხეთა იყო, ცოდნა იმისა, რომ ლეონტის თანამედროვე ბაგრატიონ მეფეთა მამასახლისს ეს საკითხი თემზე დაუკითხავად არ შეეძლო გადაეწყვიტა. სამაგიეროდ მამასახლისს უფლება ჰქონდა, როგორც იგი ფიქრობს, საქალაქო მიწის ფინანსი თემისი შეხედულებისამებრ გაეცა ისე, რომ სამისოდ ნებართვა არავისთვის ეკითხა (იხ., მისი მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის, გვ. 79², 80²—80³). აღნიშნული მოსაზრება, როგორც ჩვენ გვგონია, იწვევს გარკვეულ, საკმაოდ ანგარიშგასაწევ შენიშვნებს. ჯერ ერთი, წარმოუდგენელია, რომ საერთო-საოჯო საკუთრების გაცემის უფლება ჰქონოდა ისეთ მამასახლისს, რომელსაც არ შეეძლო თემზე დაუკითხავად თემის წევრად უცხოის მიღება. გარდა ამისა, სათემო მიწის ნაკვეთის მიღება, რამდენადაც ეს მასალებიდან არის ცნობილი, ავტომატურად იწვევდა სათემო მიწის ნაკვეთის მიმღების თემის წევრად მიღებას. მიწაზე კოლექტიური საკუთრების დროს, ეს ორი მხარე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ შეიძლებაოდა წარმოედგინათ და, როგორც ჩანს, არც იყო წარმოდგენილი.

²⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 22. იხ. კონსტანტინე გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 11—13.

²¹ ლეონტის კრიტიკასთან დაკავშირებით ჩვენ არას ვამბობთ იმაზე, რომ მის მიერ აღწერილ ქართლში, სადაც „არავინ იყო უწარჩინებულეს და უსახელოვანეს“ და „ადგილითი-ადგილად თავადნი იჩინიან“, მას მამასახლისის სახელო მემკვიდრეობით ინსტიტუტად აქვს წარმოდგენილი.

²² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 82. ე. ი. პირველი მეფის წინ იყო უმეფობის ხანა.

დომენი მართვლიდა „სამამასახლისო სამსახურებელს“²³, აგრეთვე იმისა, რომ „ქართლის კათალიკოზი“ „მცხეთისა კათალიკოზადაც“ იწოდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მას არა მარტო აღმოსავლეთ საქართველო ექვემდებარებოდა და ა. შ.

ამგვარად, ლეონტი მროველის „მცხეთის მამასახლისი“ ქართლოსიანთა მოდგმის მეთაურია. სხვა რამ მონაცემი კი გარდა თვით სახელწოდებისა — „მცხეთელი“, — არ გაგვაჩნია, რომ საშუალება გვქონოდა იგი მცხეთის საქალაქო თვითმმართველობის მეთაურად. მამასახლისად წარმოგვედგინა.

რა თქმა უნდა, ყოველივე ის, რაც ზემოთ იყო ნათქვამი, ჩვენ იმის მოწმობად სულაც არ მიგვაჩნია, რომ ადრეკლასობრივი ხანის იბერიაში საქალაქო თემი არ არსებობდა. აქ მხოლოდ იმის ჩვენება გვინდოდა. რომ ლეონტი მროველის მონათხრობი არ შეიცავს ცნობებს იბერიაში თვითმმართველი საქალაქო თემისა და საქალაქო მიწათმფლობელობის არსებობაზე. მაგრამ ეს არ შეეხება ქართულ წერილობით წყაროებს საერთოდ; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლეონტი მროველის წინამორბედი წყაროები შეიცავენ ცნობებს, რომელთა საფუძველზე ქალაქებში თემთა თანაარსებობას ვადასტურებთ. ამასთან თათოვეულ რამდენადმე მნიშვნელოვან ქალაქში არსებულა ეთნიკურ-რელიგიურ საფუძველზე მოწყობილი ერთი მკვიდრი და რამდენიმე არამკვიდრი თემი. მითითებული იყო, რომ იბერული ქალაქის თემთა შორის ყველაზე უძველესი და წარჩინებულთა მკვიდრი თემი, რომელიც განვითარების ადრეულ საფეხურზე ქალაქის ერთადერთი თემი უნდა ყოფილიყო. იბერული ქალაქის გამრავალთემიანება შედარებით გვიან მომხდარი ფაქტია და, სამწუხაროდ, ჩვენ არაფერი ვიცით იმაზე; თუ რა როლს ასრულებდა ამ პროცესში მკვიდრი საქალაქო თემი, როგორი იყო მისი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი ან როგორ იცვლებოდა მისი სტატუსი. წერილობითი წყაროების მოგვიანო ცნობებიდან თუ ამოვალთ, მკვიდრი თემის უფლებები მეფის ხელისუფლებას ძლიერ შეუზღუდავს და შეუკვეცია იმდენადაც კი, რომ თემს არც თემის ახალი წევრების მიღების საქმე ეკითხება და თითქოს არც მიწის ფონდზე მიუწვდება ხელი. ყოველ შემთხვევაში, ქალაქების გარშემო გაშლილი მიწების უდიდესი ნაწილი მეფის განკარგულებაშია. შესაძლებელია, ეს კიდევ ერთი მოწმობა იყოს იმისა, რომ იბერიის ქალაქები სამეფო ქალაქებს წარმოადგენდნენ²⁴.

23 საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 4.

24 Г. А. Меликишвили, К истории..., გვ. 452. დ. ხახუტაი-შვილი, ანტიკური ხანის უფლისციხე..., გვ. 374.

იბერული ქალაქის მკვიდრი თემის წარმოშობა-განვითარების სურათი შედარებით უკეთ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იმ მასალების მიხედვით, რომლებიც უფლისციხის კომპლექსის გათხრების დროს იყო მოპოვებული.

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, როგორც აღვნიშნეთ, უფლისციხის შიდაშობებში არსებობდა ერთადერთი სამიწათმოქმედო თემი, რომელიც ყათნალიხევის ბორცვზე მოსახლეობდა, როგორც უნდა ვივარაუდოთ, ხატის გარშემო იყო დაჯგუფებული. დასახლება და სამლოცველო ამ დროს ჯერ კიდევ შერწყმულადა წარმოდგენილი, რაც ასევე კარგად ჩანს ხოვლეს ნამოსახლარის უძველესი ფენების მიხედვითაც. ყათნალიხევის ბორცვზე განლაგებული თემის „მარტოობა“ დიდხანს არ გაგრძელებულა: ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულს იწყება მოსახლეობის ნაწილ-ნაწილ გამოყოფა, რაც, უნდა ვიფიქროთ, საგვარეულოების (ნათესაობის) პრინციპის მიხედვით ხდებოდა. შეიძლება დავუშვათ, რომ ეს იყო „სახლი“ ანუ ე. წ. საოჯახო თემი²⁵, მაგრამ იგი ფაქტიურად ის აღარ იყო, როგორც ზოგჯერ აქვთ ხოლმე წარმოდგენილი: ინდივიდუალური მცირე ოჯახი უკვე გაფორმებულია, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიური უჯრედი და „სახლთან“ (საოჯახო თემთან) მას უფრო ნათესაობითი მომენტი აკავშირებს, ვიდრე საოჯახო თემისათვის დამახასიათებელი ეკონომიური ნიშნები (თემური საკუთრება მიწაზე, კოლექტიური წარმოება და მოხმარება, საერთო სახლი, კოლექტიური სამეურნეო ნაგებობანი და ა. შ.). ყოველ შემთხვევაში, იბერიის ბარის რაიონებში ჩვენ ასეთი სურათის დადასტურება შეგვიძლია ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან, თუმცა, ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ამ დროს სხვაგვარი სურათი უნდა გვქონოდა წარმოდგენილი. საკითხის ამგვარად დასმის საფუძველს გვაძლევს ხოვლეს ძველი ნამოსახლარის გათხრებისას მოპოვებული მონაცემები, სადაც არც ერთ შემთხვევაში არა ჩანს დიდი ოჯახისათვის დამახასიათებელი სამეურნეო ან საცხოვრებელი ნაგებობა, არა ჩანს პირუტყვისა და მიწაზე საოჯახო-თემური საკუთრება და მსხვილი საოჯახო-თემური

²⁵ ქართული საოჯახო თემის შესახებ იხ. Русудан Харадзе, Грузинская семейная община, I, Тбилиси, 1960, II, Тбилиси, 1961, შტრ. И. В. Чкония, О природе большой семьи, VII международный конгресс антропологических и этнографических наук, Тбилиси, 1964.

მეურნეობის რაიმე ინაშანი²⁶. საცხოვრებელი სახლი ინდივიდუალური მცირე ოჯახისთვისაა განკუთვნილი, სადაც საცხოვრებელი ნაწილისაგან გამოყოფილი არ არის ზღვე (პირუტყვის სადგომი), რომელაც, როგორც წესი, თითქმის ყველა სახლის შემადგენლობაშია. ამასთან ერთად, დამოუკიდებელი სამზარეულო, მარცვლის შესანახი ორმო, სამზარეულო მაგიდა, ღუმელი, ხელსაფეჭავი და ა. შ. მიგვითითებს, რომ საოჯახო თემის საფუძვლები მორღვეულია, თუმცა შეიძლება ვიფიქროთ, რომ სათიბი, საძოვარი და ტყე ჯერ კიდევ საოჯახო-თემურ საკუთრებაშია. მაგრამ ახალ-ახალი წევრების წამოზრდა-დავაყვავებისა და ინდივიდუალური ოჯახების სარგებლობისათვის მიწის ახალი ნაკვეთების გამოყოფის აუცილებლობასთან დაკავშირებით „სახლი“ კუთვნილ საერთო-საოჯახო მიწის ფონდს თანდათან უნდა ეკლო. „სახლის“ საოჯახო-თემური მიწის ფონდი, ცხადია, საერთო-სათემო მიწის ფონდის ნაწილს შეადგენდა და „სახლის“ რიცხობრივი გამრავლების შედეგად შემცირებული კოლექტიური ფონდი, უნდა ვიფიქროთ, საერთო სათემო ან ახლადათვისებული მიწების ფონდიდან შეიქმნებოდა. ამ პერიოდის მცირე ოჯახი არა მარტო უმცირესი ეკონომიური უჯრედი იყო, არამედ საერთო სათემო სალოცავთან ერთად მას ჰქონდა თავისი, ხშირად კერასთან დაკავშირებული კულტი და შესაბამისი საკურთხეველი²⁷. საერთოდ კი, მთელი თემი საერთო სათემო სალოცავის გარშემო იყო თავმოყრილი, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულამდე, შიდა ქართლის მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საცხოვრისთან იყო შერწყმული. ამ დროს კი, გორასაცხოვრისი, რომელიც მოცემული რაიონის დედა-თემის საბინადროს წარმოადგენდა, გორასამლოცველოდ გადაიქცევა (ნაცარგორა III, ხოვლეგორა, ყათნალიხევი II), ხოლო გამონაყოფი „სახლები“, რომლებიც თანდათანობით ცალკე თემების სახეს იღებდნენ, მის გარშემო ლაგდებოდნენ. გორასამლოცველოზე რჩებოდა ე. წ. ჯვარიონი, ე. ი. დედა-თემის ის ოჯა-

²⁶ მართალია, ხოვლეს არქეოლოგიურ გათხრებში ავტორი სისტემატურად მონაწილეობდა, მაგრამ ის მასალები, რომელსაც იგი ახლა იშველიებს, მოპოვებული და შესწავლილი იყო, ზოგჯერ ავტორის თანამონაწილეობით, გ. ცქიტიშვილისა და დ. მუსხელიშვილის რაზმების მიერ, აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით

²⁷ ამ პერიოდის თემური ორგანიზაციის შესწავლისათვის მეტად საინტერესო მასალას იძლევა ხევსურული თემი, რომელიც, როგორც ე. ბარდაველიძე ფიქრობს, „ძველი აღმოსავლური თემების ტიპისა იყო“. იხ. მისი, ხევსურული თემი. სტრუქტურა და ჯვარისყმობის ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. XIII, № 8, 1952, გვ. 496—502. მისივე ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, იქვე, ტ. XIII, № 10, გვ. 623—630.

ნები თუ წევრები, რომელთაც კულტის მსახურებასთან პირდაპირი დაპოკიდებულება ჰქონდათ. საერთო სათემო სალოცავის — დედა-ხატის გვერდით თითოეულ გამოყოფილ „სახლს“, თუ იგი რამდენადმე დაშორებული იყო თავის ოდინდელ საცხოვრისს, საკუთარი ხატი უნდა შეექმნა, რომლის გავლენის სიძლიერე დამოკიდებული იყო გამონაყოფი „სახლის“ გაძლიერებაზე.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ამ დროს „სახლს“ თავისი საოჯახო-სათემო წარმოებითი მეურნეობა არ ჰქონია, მაგრამ დასტურდება საკმაოდ მსხვილი სატაძრო (ხატის) მეურნეობის არსებობა. ხოვლეგორას ბოსელი და იქვე დადასტურებული კვერები, მარცვლის შესანახი ორმოები და „კოდები“, აგრეთვე, ყათნალიხევის გორასამლოცველოს („ყათნალიხევი II“) ბეღელი და ბოსელი ნათელი ილუსტრაცია იმისა, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულსა და I ათასწლეულის დამდეგს იბერიის ბარის რაიონებში სახეზეა სამიწათმოქმედო ტიპის სატაძრო მეურნეობები, რომელიც, როგორც ჩანს, ე. წ. ხატის ყმათა შრომის შენიღბული ექსპლუატაციის უმარტივეს ფორმებზეა დაფუძნებული²⁸.

აღებული პერიოდი იმითაცაა საყურადღებო, რომ ამ დროს ჯდება რკინის სამეურნეო ათვისება, ფართოვდება ინტენსიური მრავალდარგობრივი სოფლის მეურნეობა, რასაც ხელს უწყობდა ახალი სამიწათმოქმედო სავარგულების გაძლიერებული ათვისება, ძლიერდება სიმდიდრის დაგროვების პროცესი, ძირი ეთხრება მიწის ნაკვეთთა გადანაწილების ტრადიციებს და მძაფრ სახეს იღებს თემთა შორის ბრძოლა ჰეგემონობისათვის, რაც ექსპლუატაციის ახალი ფორმების გამოჩენასაც აპირობებდა. ოდინდელი ქონებრივი უთანასწორობის ჩანსახებს ახლა ემატებოდა უფლებბრივად არათანასწორი თემების გამოჩენა, რაც, საბოლოო ჯამში, სოციალური უთანასწორობის წარმოქმნის ერთ-ერთი წყაროსთვალი გახდა.

თემთა შორის ჰეგემონობისათვის ბრძოლამ, როგორც ირკვევა, უფლასციხის რაიონშიც იფეთქა. ჩვენ საშუალება გვაქვს თვალი მივადევნოთ იმ კონფლიქტს, რომელიც კლდეში ნაკვეთ სამოსახლოს თემსა და ყათნალიხევის გორასამლოცველოს გარშემო დაჭგუფებულ თემებს შორის გაშლილა. ჩვენთვის ცნობილია ამ

²⁸ იხ. В. В. Бардавелидзе, Земельные владения древнегрузинских святилищ, СЭ, 1949, № 1, გვ. 92—107. მისივე, Древнейшие формы землевладения в свете грузинских этнографических материалов, VII международный конгресс антропологических и этнографических наук, Москва, 1964.

ბრძოლის ფინალური სცენა, რომელიც ყათნალიხების გორასამლოცველან გადაწვითა და სამლოცველოს საბოლოო განადგურებით დამთავრებულა. კლდეში ნაკვეთი სამოსახლოს თემი უფლისციხის რაიონის თემთა ერთადერთი ჰეგემონი გამხდარა, ხოლო მისი ხატ — ერთადერთი სალოცავი. მაგრამ პრინციპული განსხვავება იყო, ერთი მხრივ, იმ ურთიერთობასა, რომელიც ყათნალიხების გორასამლოცველოსა და მის გამონაყოფ თემებს შორის არსებობდა და, მეორე მხრივ, იმ ურთიერთობას შორის, რომელიც კლდეში ნაკვეთ სამოსახლოს თემსა და იმავე თემებს შორის ამიერიდან დამყარდა. ამათგან პირველი ნათესაობის პრინციპსა და ტრადიციულ ფორმებს ემყარებოდა, მეორე კი — ძალადობასა და დაპყრობის გზით დაქვემდებარებას. ამგვარად, ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებში უფლისციხის რაიონში ვადასტურებთ ჰეგემონი და დაქვემდებარებული თემების ურთიერთობას, რომელიც შექმნილ ვითარებაში, თანდათანობით, სოციალურ უთანასწორობაში უნდა გადაზრდილიყო და, როგორც ჰეგემოთ ვნახავთ, გადაიზრდება კიდევ. ამ მხრივ, უფლისციხის რაიონი განმარტობით არ გამოიყურება. ასეთივე მდგომარეობა საეულიანხმებელი ზოვლეს ძველი სამოსახლო ვითარებაში, სადაც მოსახლეობის ერთი, პრივილეგირებული ნაწილი სამოსახლოს გამაგრებულ ნაწილში ცხოვრობდა, ხოლო, მეორე, რიგითი მეთემეები („სახლები“) იქვე: გაუმაგრებელ უბნებზე იყო განლაგებული.

ამ გამარჯვების შემდეგ უფლისციხის ჰეგემონი თემის წარმატებებს საკმაოდ მყარი ეკონომიური და პოლიტიკურ-რელიგიური საძირკველი შეექმნა. გამარჯვებული თემის სალოცავის (ტაძრის) მიწები და ქონება გაიზარდა დამარცხებული თემების სალოცავის მიწის ფონდისა და ქონების ხარჯზე. ასევე, გამარჯვებული თემის გავლენა საკმაოდ მოზრდილ რაიონზე გავრცელდა, სადაც დაქვემდებარებული თემები ესახლნენ, რომლებიც, როგორც მოგვიანო მასალების მიხედვით შეიძლება მსჯელობა, ჰეგემონი თემის ხატის საყმოდ იყო გააზრებული. ყველაფერი ეს, როგორც ჩანს, აპრობებდა განვითარების პროცესის იმ თავისებურებებს, რომელთაც უფლისციხის ჰეგემონი თემის მომდევნო პერიოდის ცხოვრებაში ვადასტურებთ. ძვ. წ. VI—V საუკუნეებში ჰეგემონი თემის საცხოვრისმა ქალაქური ტიპის სამოსახლოს სახე მიიღო, რომელსაც საკმაოდ დაწინაურებული სასოფლო-სამეურნეო გარეუბანი ექვემდებარებოდა. ამავე დროს, უკვე სახეზეა საზოგადოების აშკარად გავმოხატული სოციალური დიფერენციაცია (საძეგური, ყანჩაეთი, წინწყარო. ეანი და ა. შ.), რომელიც, რა თქმა უნდა, ძირითადად დაქვემდებარებულ მეთემეთა შრომის ექსპლუატაციის პრიმიტიულ.

მაგრამ განვითარებად ფორმებზე იყო დაფუძნებული, რაც ქმნადა პირობებს სიმდიდრის შემდგომი დაგროვების გაძლიერებისა და სოციალური უთანასწორობის პროცესის შემდგომი გაღრმავებისათვის. აღრეკლასობრივ ხანაში, როდესაც უფლისციხის კლდეში ნაკვეთი მსხვილი სამოსახლო ქალაქური ტიპის დასახლებად გაფორმდა, ჰეგემონი თემი საქალაქო თემის როლში მოგვევლინა; მას, როგორც ირკვევა, იმთავითვე სატაძრო თემის იერი ჰქონდა²⁹ და, ცხადია, თვითმმართველ უჭრედს წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ ჰეგემონობისათვის ბრძოლის პროცესის მომთავრების დროიდან, ჰეგემონი თემის არისტოკრატიული ნაწილი დაეინებით აუმჯობესებდა თავის ქონებრივ მდგომარეობას და უფრო და უფრო ეთიშებოდა თანამეთემეთა ძირითად მასას, რომელიც მას ახლა მხოლოდ თავისი მდგომარეობის შესანარჩუნებლად და მოქმედების ფორმალურ საფარად ჰქირდებოდა. ძვ. წ. VI—V საუკუნეებში იგი თემის დასახლების შიგნით „ტერიტორიულადაც“ გამოყოფია რიგით მეთემეთა მასას და იმდროისათვის საკმაოდ თვალშისაცემი ბრწყინვალეობით გაუმართავს თავისი „სახლის“ ყოფა (უფლისციხის შიდაქალაქის ცენტრალური უბნის კლდეში ნაკვეთი რთული დარბაზები, ხოვლეგორას გორასამლოცველოს საცხოვრებელი ნაგებობანი, საძვეგურის, ყანჩაეთის და წინწყაროს სამარხების ინვენტარი და ა. შ.). ამ დროს, დაქვემდებარებული თემების ექსპლუატაციის გვერდით, როგორც ჩანს, ალბათ უკვე იყენებენ სამხედრო ტყვეების (მონების) შრომასაც. შესაძლებელია, მონის შრომის ექსპლუატაციას სისტემატური ხასიათი ჯერ კიდევ არ ჰქონოდა, მაგრამ სათანადო პირობები უკვე შექმნილი იყო (მშენებლობა, მეთემეთა ერთი ნაწილის მწარმოებლურ შრომაზე ჩამოშორება სამხედრო რაზმის მუდმივ საჭიროებასთან დაკავშირებით და ა. შ.). ბუნებრივია, თემის ეკონომიურად დაწინაურებული ოჯახების ხელში ხედება ყველა მნიშვნელოვანი თემური თანამდებობები (თემის მამასახლისი, ქურუმი, ხარკის ამკრეფი, უხუცესთა საბჭო. რაზმების უფროსები და ა. შ.) და ჩახვერად-მუდმივ სამხედრო რაზმსაც, უნდა ვიფიქროთ, ძლიერი „სახლის“ შვილები შეადგენდნენ. შეიარაღების სიძვირე (ჯაჭვის პერანგი, ლითონის მუზარადი, ხმალ-ხანჯლის გამართულობა, ცხენი და მისი აკაზმულობა და ა. შ.), ბუნებრივია, ეკონომიურად შეძლებულთა წრით განსაზღვრავდა სამხედრო რაზმებისა და სამხედრო ლაშქრობების მონაწი-

²⁹ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 406, В. В. Бардавелидзе, Древнейшие формы землевладения в свете грузинских этнографических материалов, გვ. 1 და შმდ. გ. მედიქიშვილი ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი, გვ. 87—88.

ლებს, რაც, ცხადია, ერთთა შემდგომი აღზევებისა და მეორეთა შემდგომი დამცრობის კიდევ ერთ ფაქტორად ხდებოდა. ელინისტურ ხანაში უფლისციხის მკვიდრი თემის მეურნეობა, როგორც მასალები გვიჩვენებს, უკვე დანაწევრებულია სამ ძირითად ფორმად: სატაძრო მეურნეობა, თემის ზედაფენის მეურნეობა და რიგითი მეთემეების მეურნეობა. ამავე დროს სახეზეა მკვიდრი თემის შიგნით სოციალური და ქონებრივი უთანასწორობის ჩამოყალიბების სურათი. ელინისტური ხანის უფლისციხის არქეოლოგიურ მასალაში ეს ვითარება შემდეგი სახითაა გამოხატული: მკვიდრი თემის ზედაფენა ცხოვრობს მდიდრულად გაფორმებულ დარბაზებში და თანაც შიდა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, რიგითი წევრები კი — შიდა ქალაქის პერიფერიაზე და თანაც მცირე მოცულობის, მარტივი აღნაგობის, სადა დარბაზებში. მკვიდრი თემის ზედაფენა ფლობს დიდი ფართის სამიწათმოქმედო სავარგულებს, სადაც სოფლის მეურნეობის მრავალდარგობრივი ინტენსიური ფორმებია წარმოდგენილი, ხოლო პროლეტის მნიშვნელოვან ნაწილს სასაქონლო ხასიათი აქვს, რიგითი მეთემეები კი — მცირე ზომის მიწის ნაკვეთებს, რაც მათი ეკონომიური და სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუარესების ამოსავალი ხდება; მკვიდრი თემის ზედაფენა იყენებს ძვირადღირებულ იმპორტულ ხელოსნურ ნაწარმს (მინა, ლაკიანი კერამიკა და ა. შ.), რიგითი მეთემეები კი — მხოლოდ ადგილობრივ ნაწარმს და ხშირად, როგორც ჩანს, დაზიანებულ თიხის ქურქლის შეცვლის საშუალებაც კი არ გააჩნიათ.

ამგვარად, ელინისტური ხანის იბერული ქალაქის მკვიდრი თემი სოციალურად საკმაოდ კრედი უჯრედი ა, რომელშიც წარმოდგენილია ძირითადი ეკონომიური და პოლიტიკური წინამძღვრები სოციალური უთანასწორობის შემდგომი განვითარებისათვის. ამ დროს, არსებულ ფაქტორებს ემატება კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი — სამეფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო აპარატის წარმოქმნა.

იბერიის მეფის ხელისუფლება, როგორც ჩანს, ადრევე ჩაერია ქალაქების პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში. წერილობითი წყაროების ცნობები სამეფო ხელისუფლების აქტიურ მოღვაწეობაზე ქალაქების მშენებლობაში დაადსატურა ნაქალაქართა არქეოლოგიური გათხრების მონაცემებმა. მაგრამ ცენტრალური ხელისუფლება აქტიურად მონაწილეობდა არა მარტო საქალაქო მშენებლობაში, არამედ დიდ ღონისძიებებს ახორციელებდა იმისათვის, რომ ქალაქის გარშემო მდებარე აუთენსიკური მი-

წები სამეურნეო სავარგულებად ექცია (ურბნისის, ტირიფონის, მუხრანის რუსხმულები, ურბნისის, უფლისციხისა და მუხრან-დიდის სარწყავი სისტემები და ა. შ.). ეს იყო მძლავრი ეკონომიურა ბერკეტი, რომელიც საშუალებას აძლევდა მეფის ხელისუფლებას აქტიურად ჩარეულყო ქალაქების ცხოვრებაში. ამის შედეგიც იყო, რომ მკვიდრი თვითმმართველი თემი თანდათანობით კარგავდა გავლენას როგორც ქალაქზე, ისე სასოფლო-სამეურნეო რაიონის თემებზე. ძველი თვითმმართველი ქალაქები თანდათანობით სკამეფო ქალაქებად იქცეოდნენ.

ამავე დროს, იბერიის ქალაქებში თავს იჩენდა უცხო ეთნიკური ელემენტიც, რომელიც მიწათმფლობელობის არსებული ფორმების პირობებში, ბუნებრივია, ქალაქებში უნდა დასახლებულიყო, სადაც თემური ტრადიციებისაგან თავისუფალ ხელოსნურ შრომასა და ვაჭრობაში შეეძლო მონაწილეობის მიღება. ქალაქებში დასახლებული უცხო კოლექტივები, როგორც მოგვიანო მონაცემების მიხედვით შეიძლება მსჯელობა, რელიგიურ-ეთნიკურ საფუძველზე ეწყობოდნენ და ქალაქების ე. წ. არამკვიდრ თემებად ქმნიდნენ.

ქალაქები მეფის ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს წარმოადგენდა³⁰, რაც ბუნებრივს ხდიდა მეფის მისწრაფებას, რომ მათი მმართველობის სისტემა მაქსიმალურად შეეთანხმებინა სამეფო ხელისუფლების ინტერესებისათვის. რა თქმა უნდა. მეფის ხელისუფლების მიძალბას ქალაქის მკვიდრი თემის უფლებებზე უნდა გამოეწვია საპასუხო რეაქცია ამ უფლებების დასაცავად. ეს პერიოდი, როგორც ჩანს, ისე მშვიდი არ უნდა ყოფილიყო, როგორც არსებული მასალების მიხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს; გამორიცხული არ არის თვითმმართველ ქალაქთა აჯანყებისა და მათი ძალით დათრგუნვის მომენტებიც. შესაძლებელია, ამისი გამოძახილი იყოს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა, რომ „მეფობდა არსუკ, რომელმან კასპი შეიპყრა“³¹. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ასეთი დათრგუნვის შემდეგ ქალაქის თვითმმართველობისაგან ბევრი არაფერი უნდა გადარჩენილიყო, ხოლო ქალაქის მიწების უდიდესი ნაწილი მეფის განკარგულებაში გადასულიყო. როგორც იმავე წყაროს მონაცემებიდან ჩანს (გაიხსენეთ მონათხრობი მირიან მეფეზე ნინოსა და ბარაბეანთა სახლთან დაკავშირებით), მეფეს მკვიდრი თემის დაუკითხავად თემის შემად-

³⁰ Г. А. Мелкишвили, К истории древней Грузии, гл. 452.

³¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 82. შტრ. Г. А. Мелкишвили, К истории древней Грузии, гл. 440, შენიშვნა 201.

გენლობაში შეეძლო შეეყვანა როგორც „უცხო“, ისე არამკვიდრი თემის მთელი სახლიც; ამასთან, ერთპიროვნულად გადაეწყვიტა ქალაქის გარშემო მდებარე მიწების მეთემის მფლობელობაში გადაცემის საკითხი³².

მართალია, მკვიდრი თემების დამოუკიდებლობა ძლიერ იყო შეზღუდული, მაგრამ მათი მდგომარეობა შეუდარებლად უკეთესი იყო, ვიდრე არამკვიდრისა. ამისი ნიშნობაა ის გარემოება, რომ თვით იბერიის მეფე პირდება შეწყალებულ პირსა თუ სახლს, რომ მას ქალაქის მკვიდრად მიიღებს. თუმცა მკვიდრი თემის თვითმმართველობა ძლიერ იყო შეზღუდული, მაგრამ მკვიდრობა აუცილებელი პირობა უნდა ყოფილიყო საქალაქო თუ სხვა რიგის თანამდებობის დაკავებისათვის. მართალია, ამ უპირატესობით ძირითადად მკვიდრი თემის დაწინაურებულ სახლებს უნდა ესარგებლნა, მაგრამ პირადი თუ სხვა მონაცემების ქონებისას მისგან გარკვეული სარგებლობა შეეძლო მიეღო რიგით მოქალაქესაც, რასაც ვერ ვიტყვი არამკვიდრი თემების მიმართ.³³

ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რაიონში მკვიდრი თემის გამგებლობაში შეიძლებოდა დარჩენილიყო ის მიწები, რომლებიც ამ თემის უნჯი საკუთრება, მისი მკვიდრი იყო, ხოლო დაქვემდებარებულ თემებსა და მკვიდრ (პეგეჟონ) თემს შორის მეფის ხელისუფლება (მეფის მოხელე) უნდა ჩამდგარიყო. სამწუხაროდ, მასალების სრული უქონლობის პირობებში ამგვარი საკითხების გადაწყვეტა ძნელდება, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მკვიდრი თემის შემადგენლობაში მიღებულ სახლზე გადაცემულ მიწას მეფე ამ თემს მიაწერდა და ქალაქის ხელისუფლის საგამგეოში შეიტანდა.

გვიანდელი მასალების მიხედვით იმისი ვარაუდიც შეიძლება, რომ განვითარების პროცესში მკვიდრი თემის სახე გარკვეულ ცვლილებას განიცდიდა. თუ ადრე ეთნიკურ მომენტს განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა, შემდგომში ძლიერდება რელიგიური მომენტის როლი და მნიშვნელობა.

თვითმმართველი კოლექტივები უნდა ყოფილიყო იბერიის ქალაქის არამკვიდრი თემებიც. წერილობითი წყაროებისა და ეპიგრაფიკული მასალების მიხედვით, იბერიის ქალაქებში ვადასტურებთ ებრაელთა, სირიელთა და ირანელთა ეთნიკურ-რელიგიური

³² ძველი ქართული..., გვ. 132, 147.

³³ „მოქცევა ქართლისაჲს“ მიხედვით, მაგალითად, თბილისის „მკვიდრნი“ (ქალაქის მკვიდრი თემი) მიითვლიდა „ერისთავებსა“ და „ყოველ ერს“ (საქალაქო თემის რიგით წევრებს). იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 95. Г. А. Мелкишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 449.

თემების არსებობას, ე. ი. ისეთივე ვითარებას. როგორც მეზობელ ქვეყნებში (არმენია, ირანი და ა. შ.) იყო წარმოდგენილი³⁴. მაგრამ თუ ჩვენ დაახლოებით ვიცით იბერიის მეზობელი თუ დაშორებული ქვეყნების ქალაქებში უცხო რელიგიურ-ეთნიკური თემების გამოჩენის გზები, დრო, მათი სტატუსი თუ თემური ორგანიზაციის ფორმები, სამწუხაროდ, იგივე არ შეგვიძლია ვთქვათ იბერიის ქალაქთა არამკვიდრ რელიგიურ-ეთნიკურ თემებზე. აქ ჩვენი წყაროები შეუღებულად მწირია, ხოლო სხვა ქვეყნების მაგალითის მიხედვით საკითხის გადაწყვეტის ცდა დამაჯერებელი არ იქნებოდა. ვიცით, მაგალითად, რომ არმენიის ქალაქებში მოსახლეობდა ბერძენთა, სირიელთა და ებრაელთა რელიგიურ-ეთნიკური თემები, რომლებიც ტიგრან II-ემ თუ მომდევნო მეფეებმა სირიპალესტინისა თუ მცირე აზიის ქალაქებიდან გამოარეკეს და ცალკე კოლექტივებად დაასახლეს (სტრაბონი, დიონ კასიოსი, აპიანე, პლუტარქე; ეპიგრაფიკული ძეგლები). გადასახლებულმა მოსახლეობამ ძირითადად შეინარჩუნა ორგანიზაციის ის ფორმა, რომელიც მას ძველ სამშობლოში ჰქონდა და, როგორც დადგინდა, მონის მდგომარეობაში არ ყოფილა ჩაყენებული³⁵.

იბერიის არამკვიდრ თემებზე ჩვენ ვიცით, რომ ისინი რელიგიურ-ეთნიკურ საფუძველზე იყვნენ მოწყობილი და „უბნებად“ ესახლნენ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „მარტვილობაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ“, ლეონტი მროველი?), ე. ი. ჰქონდათ თემური ორგანიზაცია; ვიცით, რომ ქალაქის თავისუფალ მოსახლეობას შეადგენდნენ და არ იყვნენ მონები, „სახლებისაგან“ შედგებოდნენ და ჰყავდათ „მთავარნი კაცი“ („მარტვილობაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ“). ვიცით, რომ შესაბამისი ვითარების დროს არამკვიდრი თემის წევრებს, ზოგჯერ „სახლებსაც“ კი, შეეძლოთ მკვიდრი თემის წევრი და მიწის მფლობელი გამხდარიყო, მაგრამ არაფერი ვიცით, თუ როგორ იყო ამ თემების ორგანიზაციული და სოციალური სტრუქტურა, თვითმმართველობის ხასიათი, დამოკიდებულება მკვიდრ თემთან, მეფის ხელისუფლებასთან, სამხედრო სამსახურ-

³⁴ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, гл. 400—402, 448—458. С. Т. Еремян, Развитие городов и городской жизни в древней Армении, ВДИ, 1953, № 3, гл. 14—25. Г. Х. Саркисян, Градостроительство в Армении при Тигране II и о переселении чужеземцев, Известия АН Армянской ССР, Общественные науки, 1955, №2, მისივე, Тигранакерт, Москва, 1960, გვ. 52—74.

³⁵ Г. Х. Саркисян, Тигранакерт, გვ. 65—73, შტრ. А. Абрамян, О периодизации истории армянского народа, Известия АН Армянской ССР, Общественные науки, 1947, № 2, გვ. 19. С. Акопян, Рабство и рабовладельческая общественная формация в древней Армении, იგივე ჟურნალი 1948, № 8, გვ. 18 და შტდ.

თან, მიწასთან, სამართლის წარმოებასთან და ა. შ. რა თქმა უნდა. ამთგან ბევრი რამ ჩვენ არც მკვიდრ საქალაქო თემებზე ვიცით კარგად, მაგრამ აქ პერსპექტივა უფრო საიმედოა და მასალეზეც მეტი (არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, გვიანდელ ვითარებაში შემორჩენილი აღრინდელი ფორმების გამორჩევა და ა. შ.).

ზემოთ მიუთითებთ მკვიდრი საქალაქო თემის შიგნით ქონებრივი დიფერენციაციის სურათზე, რომელიც აშკარად მიუთითებს სოციალური მდგომარეობის გარკვეულ, აშკარად გამოხატულ უთანაბრობაზე თემის წევრებს შორის. მკვიდრი თემის „მთავარი კაცნი“, ბუნებრივია, სარგებლობდნენ თავიანთი მდგომარეობითა და ქონებრივი შესაძლებლობით უფრო მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის მოპოვებისათვის მისწრაფებაში, ამკლავებდნენ ტენდენციას მათ მიერ მიღებული სათემო თუ სახელმწიფოებრივი თანამდებობა და მასთან დაკავშირებით ქონებული მიწები („სამსახურებელი“, გასამრჯელო მოვალეობის შესრულებასათვის) მემკვიდრეობით საქონებლად ექციათ. ანტიკური ხანის მოგვიანო საფეხურზე იბერიაში კარგად შეინიშნება მემკვიდრეობითი ინსტიტუტის შემდგომი განვითარებისა და მომწიფების ნიშანი, რომელიც თავის საბოლოო გადაწყვეტას მეფის ხელისუფლების მოსპობაში ნახულობს. ეს პროცესი ქალაქებისათვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ამასთან დაკავშირებით ქართლის მოქცევის ქრონიკას შემოუნახავს მეტად დამახასიათებელი ცნობა, რომელიც მცხეთის მკვიდრი ორი სახლის მიერ კათალიკოზობის მიტაცებაზე მოგვიანრობს. არც სირიული თემის „მთავარი კაცნი“ იყვნენ თემის მხოლოდ უხუცესები; ისინი, როგორც ჩანს, ქონებრივადაც გამოირჩეოდნენ სირიული თემის რიგითი წევრებისაგან.

ღიად რჩება საერთო-საქალაქო თვითმმართველობის არსებობის საკითხი, თუმცა არსებული მასალა იმის სასარგებლოდ მიუთითებს, რომ სახელმწიფო ორგანიზაციის მოგვიანო პერიოდში საერთო-საქალაქო თვითმმართველობა, თუნდაც ნახევრად დამოუკიდებელი სახისა, იბერულ ქალაქებში აღარ არსებობდა. ასევე აღარ უნდა არსებულებო საერთო-საქალაქო მიწათმფლობელობა. საერთო-საქალაქო მმართველობა ელინისტურ ხანიდან მეფის მოხელეს უნდა შეესრულებინა, რომელიც, შესაძლებელია, იმავე მკვიდრი თემიდან შეირჩეოდა, მაგრამ იგი ახლა მეფის მოხელე იყო და არა თემის მსახური.

ადრეკლასობრივი ხანის იბერული ქალაქი თავის სასოფლო გარეუბანთან ერთად სოციალურად საკმაოდ მრავალსახოვან ერთეულს წარმოადგენდა. როგორც უკვე დაგროვილი მასალები მიხედვით შეიძლება მსჯელობა, ფაქტიურად ქალაქი იყო ის უჭრედი, სადაც ქვეყნის ყველა საზოგადოებრივი ფენა თუ კატეგორიაა წარმოდგენილი, ძირითადი სოციალური დაპირისპირებანია ასახული და შემდგომი სოციალური განვითარების პირობებია მოცემული. ქალაქები ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ, სამხედრო-სტრატეგიულ, სავაჭრო-სახელოსნო და კულტურულ-რელიგიურ ცენტრებს წარმოადგენდნენ³⁶. ამავე დროს, ქალაქების სამიწათმოქმედო გარეუბნები, როგორც ჩანს, სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ძირითად ნაწილსაც აწარმოებდნენ. ახეთ ვითარებაში გასაგებია, თუ ქალაქებში იყო თავმოყრილი სამოქალაქო და სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატის, კულტის მსახურთა, ვაჭრებისა და ხელოსნების, აგრეთვე, თავისუფალი თემებისა და მონების გარკვეული ნაწილი.

რა თქმა უნდა, სახელმწიფო ხელისუფლების წარმოქმნის შემდეგაც, სოციალური განვითარების ამ შედარებით ადრეულ საფეხურზე კლასობრივი საზღვრები (კონტურები) ისე ნათლად არ არის გამოკვეთილი, როგორც ეს, მაგალითად, ანტიკური ხანის რომსა და ბერძნულ ქალაქებში ან თუნდაც ელინისტური ხანის ახლო აღმოსავლეთის განვითარებული ქვეყნების (მცირე აზია, შუამდინარეთი, ეგვიპტე და ა. შ.) ქალაქებში არის დადასტურებული, მაგრამ თითოეული საზოგადოებრივი ფენა თუ კატეგორია უკვე მტკიცედ აღდგია განვითარების ისტორიულად მიჩენილ გზას.

მართალია, ელინისტური ხანის ქართული საზოგადოება სოციალური განვითარების მიმართულებით შესამჩნევ ნაბიჯებს აკეთებს, მაგრამ ამ პერიოდში იგი ვერ ამთავრებს ყოვლისმომცველი კლასობრივი გათიშულობის პროცესს³⁷ და მას ფაქტიურად ფეოდალიზმის გამარჯვებონ პერიოდში ასრულებს. როგორც აკად. გ. მელიქიშვილმა მიუთითა. მიზეზი იმისა, რომ ქართულ სინამდვილეში განვითარებული მონათმფლობელობა არ წარმოიქმნა და გან-

³⁶ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 439—454. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 245.

³⁷ შდრ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, შრომები, II, გვ. 147.

ვითარების ადრეკლასობრივი საფეხური ფეოდალიზმით დამთავრდა, ადგილობრივი პირობების თავისებურებებში უნდა ვეძებოთ. ირკვევს რა ელინისტური ხანის იბერიის საზოგადოების ხასიათს და მისი განვითარების თავისებურებებს, გ. მელიქიშვილი მიუთითებს: „მას შემდეგ, რაც იბერია ძვ. და ახ. წ. მიჯნაზე ერთგვარად მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდა, რომის მონათმფლობელური იმპერიის ორბიტაში ჩაება და მეტად აქტიური როლის თამაში იწყო კავკასიასა და მეზობელ მხარეებში, ძალზე სწრაფად უნდა წასულიყო აქ აგრეთვე საზოგადოებრივი განვითარების პროცესიც. სავარაუდებელია მონათმფლობელობის მნიშვნელოვანი ზრდაც, განსაკუთრებით ქალაქებში, ხელოსნობასა და მშენებლობაში. მაინც უეჭველია, აქ მონათმფლობელობამ საკუთრივ წარმოების პროცესში ვერ დაიკავა გაბატონებული ადგილი. მასიური მონობისათვის აქ არც შინაგანი პირობები არსებობდა (თავისუფალ მეთემთა ექსპროპრიაცია) და არც გარეგანი პირობები იძლეოდა ამის სტიმულს. მონების მოპოვება ქართლის მესვეურთ შეეძლოთ ძირითადად მეზობელ ჩამორჩენილ, პირველყოფილთემური წყობილების პირობებში მცხოვრებ მასაში. მაგრამ მასიური დარბევის საწარმოებლად მათ, ექვს გარეშეა, ძალა არ შესწევდათ. პირიქით, როგორც ცნობილია, იბერიის სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება მნიშვნელოვან წილად სწორედ მეზობელ და მომთაბარე ტომებთან მშვიდობიან და სამოკავშირეო ურთიერთობას ემყარებოდა...“³⁸ ამასთან, როგორც მან მიუთითა, მონათმფლობელობის კლასიკურ ქვეყნებშიც კი მონათმფლობელობის წარმოქმნა-განვითარება საზოგადოების შინაგანი დიფერენციაციის გზით კი არ წავიდა (გათიშვა მონათმფლობელებად და მონებად), არამედ ადრეკლასობრივი ტიპის საზოგადოებისათვის დამახასიათებელ კლასობრივ-ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა საზოგადოების გარეთ გატანის გზით. ერთი მხრივ, მონური შრომის ფართოდ გამოყენების შინაგანი პირობები, რაც გამოხატულუბას ნახულობდა „მეურნეობის ინდივიდუალიზაციაში, ფულადი-სასაქონლო საკუთრების სწრაფ განვითარებასა და თემის სწრაფ დაშლაში და თავისუფალთა მნიშვნელოვანი მასის გაღატაკება-პაუპერიზაციაში“, ხოლო, მეორე მხრივ, ვრცელი ჩამორჩენილი გარემოცვის არსებობა, რომელზედაც ეკონომიური და სამხედრო ძალადობის გზით განვითარებულ საზოგადოებას ექსპლუატაციის ძირითადი სიმძიმე გადააქვს, ძარცვავს მას და მონების დიდ მასებს ერეკება, წარმოადგენდა განვითარებული მონათ-

³⁸ გ. მელიქიშვილი, ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი, გვ. 89—90.

მფლობელური საზოგადოების წარმოშობის ძირითად პირობებს, ძირითად სიტუაციას³⁹. ასეთი პირობების უქონლობა განსაზღვრავდა, რომ იბერიის და მსგავსი პირობების მქონე სხვა ქვეყნების სოციალური განვითარება ანტიკურ ხანაში საკუთარი კანონზომიერებით, საზოგადოების შინაგანი დიფერენციაციის გზით წავიდა და ფეოდალური საზოგადოების წარმოქმნით დაგვირგვინდა.

ადრეკლასობრივი ხანის იბერული საზოგადოების სოციალური განვითარების სურათის სწორად წარმოდგენისათვის, როგორც ჩვენ გვეჩვენება, საჭირო და აუცილებელია ვიცოდეთ თუ რა სახით, როგორი აღნაგობით შემოვიდა ეს საზოგადოება ანტიკურ ხანაში. სამისოდ გაკეთებული ექსკურსი, ბუნებრივია, საშუალებას მოგვცემს სწორად წარმოვიდგინოთ ადრეკლასობრივი ხანის იბერული ქალაქის მოსახლეობის სოციალური განვითარების თავისებურებანიც.

რამდენადაც იბერული საზოგადოება თემურობის საფუძველზე იყო მოწყობილი, განვითარების მაგისტრალური ხაზი თემური ურთიერთობის განვითარების, თემური წყობილების რღვევის, თემის დაშლისა და გათიშვის, თემური წყობილების საფუძველების რღვევის გზით ვითარდებოდა. ეს პროცესი, რომელიც ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნაზე იწყება, ძვ. წ. VI-: საუკუნეებში ადრეკლასობრივ ურთიერთობათა ადრეული ფორმების წარმოქმნით გვირგვინდება, ხოლო თავის ლოგიკურ დასრულებას ფეოდალიზმის გამარჯვებაში ნახულობს.

ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან იბერიის ბარის დაწინაურებულ რაიონებში უკვე სახეზეა გარკვეული მულმივმოქმედი საზოგადოებრივ-ეკონომიური პირობები. ისინი საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის იმ აღმავალი პროცესის დაწყებაზე მიგვითითებს, რომელიც ადრეკლასობრივი ტიპის საზოგადოების წარმოქმნით მთავრდება.

რკინის სამეურნეო ათვისება და სიმდიდრის დაგროვების პროცესის გაძლიერება, ქურუმებისა და თემური არისტოკრატის სამეურნეო და პოლიტიკური როლის ზრდა, მრავალდარგობრივი მეურნეობის წარმოქმნა, ხელოსნობის სოფლის მეურნეობისაგან გამოყოფის პროცესის გაძლიერება და თემისაგან ფაქტიურად გამოყოფილ ხელოსანთა ფენის გაჩენა, მსხვილი, დაბური ტიპის სამოსახლოების წარმოქმნა, მევენახეობის შემდგომი აღმავლობა და მისი სამეურნეო როლის გაძლიერება და ა. შ. ქმნიდა პირობებს თემის რღვევისა და

³⁹ გ. მელიქიშვილი, ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი, გვ. 89—90.

საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის პროცესის ვაძლიერებისათვის.

ამ პროცესის პარალელურად, მის ბაზაზე და მასთან კავშირში, ძლიერდებოდა და ახალ სახეს იღებდა ტომთა და თემთა შორის ბრძოლები ჰეგემონობისათვის, რომელიც, ამავე დროს, ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესის დაწყებასაც მოასწავებდა. ამ პროცესში ჩათრეული აღმოჩნდა როგორც უმცირესი საზოგადოებრივი უჯრედები (თემები), ისე მსხვილი ეთნიკური კოლექტივები (ტომები, ტომთა კავშირები). ამგვარ საფუძველზე გაშლილი ბრძოლების შედეგი იყო ტომთა ახალი, შედარებით სტაბილურ გაერთიანებათა წარმოქმნა, რომელთა უფრო განვითარებულმა წარმომადგენლებმა ადრეკლასობრივი ხანის სამეფოების (იბერია, კოლხეთი) ბირთვი შეადგინეს⁴⁰.

ეს ზოგადი მონახაზი, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედის იბერიის ბარის დაწინაურებულ რაიონებში არსებულ ვითარებას შეეხება, ანალოგიების ან აპრიორული თეორიული მსჯელობის გზით კი არ არის მიღებული, არამედ დაფუძნებულია კარგად შემოწმებულ, სანდო კონკრეტულ მასალაზე, რომლის ძირითადი ნაწილი ქართველი არქეოლოგების მიერ უკანასკნელ ათწელში ოქნა მოპოვებული და მთლიანად, სამწუხაროდ, ჯერაც არ არის გამოქვეყნებული.

იბერული საზოგადოება, როგორც მივუთითეთ, თემურობის საფუძველზე იყო მოწყობილი და სოციალური განვითარების მაგისტრალური ხაზიც თემის რღვევის გზით მიდიოდა. ამასთან, სოციალური უთანასწორობის ჩასახვა და მისი შემდგომი განვითარება მოდიოდა ორი საწყისით: ერთი მხრივ, ძლიერდებოდა თემის დაშლის შინაგანი პროცესი, ხოლო, მეორე მხრივ, სამხედრო თუ ეკონომიური ზემოქმედება წარმოშობდა დაქვემდებარებული (ექსპლუატირებულ) და ჰეგემონი (ექსპლუატატორი) თემების ინსტიტუტს. ამ ორი საწყისის საფუძველზე განვითარდა ექსპლუატაციის ის ადგილობრივი ფორმები, რომელთაც წამყვანი მდგომარეობა დაიკავეს ადრეკლასობრივი ხანის იბერიის საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

⁴⁰ ამიერკავკასიისა და სამხრეთ რაიონების ტომთა გაერთიანებისა და მათი წარმოქმნის პირობების შესახებ იხილეთ: Г. А. Меликишвили, Найри-Урарту, Тбилиси, 1954, გვ. 177 და შმდ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии. გვ. 176—283.

ქვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედის იბერული თემის სოციალური განვითარების, მისი რღვევის დაწყების პირველი უდავო კონკრეტული მონაცემები ხოვლეს ძველი სამოსახლოს არქეოლოგიური გათხრების პროცესში იქნა ფიქსირებული. ამ მონაცემთაგან, პირველ რიგში, ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ თემის ერთი ნაწილი, რომელიც, როგორც ჩანს, კულტის მსახურებს და მათ ოჯახებს მიითვლიდა, სამოსახლოს გამაგრებულ, ბორცვზე განლაგებულ ნაწილში ცხოვრობდა. ბორცვის თხემზე განლაგებული იყო ძირითადი სამლოცველო კომპლექსი, ხოლო ფერდობებზე და ბორცვის ძირას—საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. არქეოლოგიურ მასალაში კარგად შეინიშნება, თუ როგორ იზრდებოდა თემის არისტოკრატიული ნაწილის რიცხვი და ამის შესაბამისად ფართოვდებოდა ზღუდითა და თხრილით დაცული უბანი.

საერთო, იმ დროისათვის საკმაოდ მოზრდილი ბოსელი, როგორც ჩანს, იმისი მოწმობა უნდა იყოს, რომ აქ საქმე გვაქვს კოლექტიური მეურნეობის თავისებურ სახესთან — სატაძრო (ხატის) მეურნეობასთან, რომელიც გამოყოფილი იყო თემის მეურნეობისაგან და, როგორც ჩანს, მიწის დამოუკიდებელი ფონდი ჰქონდა. ზღუდის შიგნით განლაგებული ბოსლის გათხრების დროს ნაპოვნი სამი თუ ოთხი ცალი კევრი იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ხატი დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული იყო და მისი შემოსავალი მხოლოდ ხატის „უძების“ ნატურალური შემოსაწირავისა ან გამოსაღებისაგან კი არ შედგებოდა (თუმცა დასაშვებად მიგვაჩნია ამგვარი ვალდებულების არსებობა), არამედ ხატის ნაკვეთებზეც იყო მოყვანილი. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ხატის მიწებს, რიგითი მეთემეები ამუშავებდნენ შრომითი ბეგარის სახით, რომელსაც ჯერ კიდევ და კარგა ხანს შემდეგშიაც „ხატისადმი სამსახურის“ ფორმა უნდა ჰქონოდა.

სათემო არისტოკრატიის გაჩენის მოწმობავე უნდა იყოს არქეოლოგიურად კარგად დადგენილი ფაქტი, რომ ე. წ. საბექდავები, რომელიც ხოვლეში აღმოჩნდა, როგორც წესი, სამოსახლოს გამაგრებული ნაწილის ფენებში შეგვხვდა და არც ერთი ცალი არ დადასტურებულა თხრილის გარეთ მდებარე ნასახლარებზე. როგორც ჩვენ ყათნალიხევის მასალის მიხედვით შევეცადეთ დაგვედგინა⁴¹, წინაკლასობრივი ხანის ქართულ ნივთიერ კულტურაში დადასტურებული საბექდავები ქურუმთა „ინსიგნიის“ ელემენტი ჩანს და მისგან უნდა იყოს განვითარებული კლასობრივი ხანის ოფიციალური თუ კერძო საბექდავები, რომლებიც კერძო საკუთრებისა და პო-

⁴¹ დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 30—31.

ლიტიკური ხელისუფლების გაჩენის ერთ-ერთ მოწმობად მიაჩნიათ. წინაქლასობრივი ხანის ქართული საბეჭდავების ხატის მსახურთა კუთვნილებაზე მიუთითებს საბეჭდავების გამოსახულებათა: სიუჟეტიც, რომელიც საწესო ხასიათისა ჩანს, რაც არ ითქმის კლასობრივი ხანის საბეჭდავთა ძირითად ნაწილზე მაინც⁴². მაშასადამე წინა-ქლასობრივი ხანის საბეჭდავებს, მართალია, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ის შინაარსი, როგორც მათ კლასობრივ საზოგადოებაში მიიღეს, მაგრამ ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგს იბინი სატაძრო თემის მეთაურის სახელისუფლო ნიშნად გადაქცევის ტენდენციას ამჟღავნებდნენ.

თემური არისტოკრატიის გამოყოფის დაწყებაზე და სატაძრო მეურნეობის გამოყოფის პროცესზე ხოვლეს მასალების გვერდით გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს უფლისციხის კომპლექსის უძველესი გორასამლოცველოს („ყათნალიხევი II“) და კლდეში ნაკვეთი სამოსახლოს მასალები. ყათნალიხევის გორასამლოცველოს გათხრებისას გამოვლენილი იყო როგორც პირუტყვის სადგომი დიდი ნაგებობა, ისე „ხატის ბეღელი“⁴³. უკანასკნელი აშკარად მიუთითებს, რომ ხატს საკუთარი სახანავ-სათესი მიწის ნაკვეთები ჰქონია, რომლის შემოსავალი ხატის მსახურთა განკარგულებაში მიდიოდა. მიწის ნაკვეთებს, ბუნებრივია, ხატის მსახურნი არ ამუშავებდნენ და იქ ხატის გარშემო განლაგებულ გამონაყოფ „სახლთა“ და თემთა რიგითი ოჯახების „ხატისადმი სამსახურის“ გამოყენება უნდა ვივარაუდოთ. მაშასადამე, აქაც ისევე, როგორც ხოვლეს სინამდვილეში უკვე იწყება რიგით მეთემეთა შრომის პრიმიტიული და შენიღბული („ხატის სამსახური“) ექსპლუატაცია, რომლის ნაყოფი თემური არისტოკრატიის (ხატის მსახურთა) განკარგულებაში გადადის და მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის შემდგომი განმტკიცების, რიგით მეთემეებზე და თემებზე გავლენის შემდგომი გაძლიერების საქმეს ემსახურება.

სათემო არისტოკრატია აქაც, ისევე როგორც ხოვლეს სინამდვილეში, უკვე გამოეყო თემის დანარჩენ ნაწილს. იგი დედა-თემის საცხოვრისში დარჩა, რომელიც სპეციალურადაა გამაგრებული და, მაშასადამე, მოულოდნელობისაგან დაზღვეული. ასეთივე სურათი უნდა გვექონდეს წარმოდგენილი ნაცარგორას ძვე-

⁴² რა თქმა უნდა, ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ თიხის ჭურჭელზე დეკორის დასატანი ტვიფრები და საწესო დანიშნულებით გამოსაყენებელი საბეჭდავები.

⁴³ დ. ხ ა ხ უ ტ ა ი წ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 41—44.

ლი დასახლების სინამდვილეში „ნაცარგორა III-ის“ სახით, სადაც თემური არისტოკრატია დედა-თემის გამაგრებულ საცხოვრისში ზის, ხოლო მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დამცველ თხრილს გარეთაა დასახლებული.

ქურუმთა როლის ზრდას, ცხადია, გარკვეული, სავსებით კონკრეტული საფუძველი უნდა ჰქონოდა, რომელიც თავდაპირველად, როგორც ჩანს, ძირითადად ხატისა (კულტების) ავტორიტეტს ემყარებოდა. ძველი ადამიანის წარმოდგენაში სამეურნეო და საერთოდ ყოველგვარი კეთილდღეობის კულტებთან დაკავშირებას ბუნებრივად უნდა გამოეწვია ისეთი სიტუაციის შექმნა, რომელიც ქურუმების როლს განსაკუთრებულ ელფერს აძლევდა და მათ ავტორიტეტს განუზომლად ზრდიდა.

მევენახეობის განვითარებას, რაც ვაზის კულტის გამოჩენაშიც ნახულობს აახვას, მოხვნითი მიწათმოქმედების გაძლიერებას („ხარის-მხვნელის“ კულტი, კევრი და ა. შ.), მოსახლეობის რიცხვის ზრდას, ბუნებრივია, უნდა დაესვა საკითხი ახალი სამიწათმოქმედო-საეარგულეების ათვისებაზე. ადგილობრივი მნიშვნელობის ახალი სარწყავი ბისტემების გამართვა, ახლების აღება და ყამირის გატეხვა, თავდაცვისა და დაპყრობითი ლაშქრობის მოწყობა და ა. შ. ის მომენტები იყო, რომლის ორგანიზაცია, მათ განსახორციელებლად თემების გამოყვანა ქურუმთა ჩარევას ბუნებრივად გულისხმობდა. მაგრამ, გარდა ამისა, ხატის მსახურთა საკრეცითა და მათი ხელმძღვანელობით უნდა მომხდარიყო ახალათვისებულ თუ უკვე გამოყენებული მიწის ფონდების განაწილება-გადანაწილება, მეზობელ თემებთან სადავო თუ სამშვიდობო ურთიერთობის გარიგება-გადაწყვეტა, „ხატის ყმებად“ ახალი თემების მიღება და ა. შ.⁴⁴ ხატის მსახურთა კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული, იმდროინდელი ადამიანის წარმოდგენით, პირადად მისი და მთელი სახლის როგორც სამეურნეო, ისე საერთო კეთილდღეობა და წარმატება.

ჰეგემონობისათვის ბრძოლის პროცესში იწყება, როგორც ჩანს, თავისუფალი თემების შემადგენლობიდან სამხედრო ხელმძღვანელთა წრისა და მათი ოჯახების აღზევება. ე. ი. თემის არისტოკრატია ული ნაწილის ერთგვარ საერთო შედეგადებასაც იღებს, მაგრამ აღებულ პერიოდში მას, ისევე როგორც მთელ თემს, ჯერ კიდევ სატაძრო ხასიათი აქვს.

⁴⁴ შტრ. ს. ჯანაშია, ადრეული ფეოდალიზმი, შრომები, II, გვ. 172—173. მისივე, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, გვ. 168—169.

თემის არისტოკრატისა უპირისპირდება თავისუფალ მეთემეთა მასა, რომელიც მსხვილი სამოსახლოების სინამდვილეში სამოსახლოს გამაგრებული ნაწილის ზღუდის გარეთ ზის⁴⁵. მართალია, თემის არისტოკრატული ნაწილის მხრივ იგი გარკვეულ ექსპლუატაციას განიცდიდა, მონაწილეობდა საერთო სათემო საქმიანობაში (სამუშაოები, ლაშქრობა და ა. შ.), მაგრამ ჯერ კიდევ ნამდვილად თავისუფალი იყო და დამოუკიდებელ საოჯახო მეურნეობას ეწეოდა.

ამ დროის სამიწათმოქმედო თემის ძირითადი მასა ქონებრივად და უფლებრივად ერთგვაროვანია; უკვე აღარა ჩანდა საოჯახო თემი და, როგორც აღვნიშნეთ, უმცირეს ეკონომიურ უჯრედს ინდივიდუალური მცირე ოჯახი წარმოადგენდა. ამასთან, როგორც ჩანს, ფეხს იკიდებდა საოჯახო მიწათმფლობელობა, ხოლო მევენახეობისა და მებაღეობის განვითარება საფუძველს აკლიდა სათემო მიწის ფონდის გადანაწილების ტრადიციას. რა თქმა უნდა, საერთო სათემო მიწის ფონდი არა თუ ამ დროს, არამედ გაცილებით გვიანაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, მაგრამ მას უჩნდება მუდმივმოქმედი ტენდენცია შემცირებისა კერძო-საოჯახო მიწათმფლობელობის სასარგებლოდ.

იბერიის სინამდვილეში მიწაზე კერძო საკუთრების განვითარება, როცა იგი საწყისებს იღებდა სათემო მიწათმფლობელობის წიაღში, კერძო-საოჯახო მიწათმფლობელობის განვითარებისა და ამ საფუძველზე სათემო მიწათმფლობელობის დასუსტების გზით მიდიოდა, რომელიც ამავე დროს სათემო მიწების გადანაწილების წესის უარყოფას გულისხმობდა: მევენახეობა-მებაღეობისა და საერთოდ ინტენსიურ მრავალდარგობრივი მორწყვითი მიწათმოქმედების განვითარება დრომოქმულს ხდიდა ამ ტრადიციას. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა: „აღმოსავლეთ საქართველოში მიწის მორწყვა იყო ის უმთავრესი მნიშვნელობის მომენტი, რასაც ქართლის ინტენსიური მეურნეობის განვითარება ძირითადად ემყარებოდა და რაც, თავის მხრივ, იყო მთავარი საფუძველი როგორც მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენისა და კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნისა, ისე, განვითარების შემდგომ საფეხურზე, ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებისა და კიდევ

⁴⁵ ფრ. ენგელსის ასეთი დასახლებები ჰქონდა მხედველობაში, როცა მიუთითებდა: „ახლად გამაგრებულ ქალაქებს ამოდ როდი არტყია მრისხანე კედლები: მათ თხრილებში გვაროვნული წყობილებების სამარეაპირდაღებული, ხოლო მათი კოშკები უკვე ცივილიზაციას ებჯინებოდა“ (ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, თბილისი, 1950, გვ. 376).

უფრო გვიან. მისი აღმავლობის მწვერვალის — ბატონყმობისა⁴⁶ ცხადია, ალებულ პერიოდში კერძო საოჯახო მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთი თემის საკუთრებად განიხილებოდა, მაგრამ ეს გარემოება მეურნეობის წარმართვაზე არსებით გავლენას ვეღარ ახდენდა. მეორე მხრივ, სწორედ მორწყვის მომენტის აუცილებლობა და წყალზე თემური საკუთრება, სხვა მომენტების გვერდით, აპირობებდა თემური საკუთრების შენარჩუნებას. ასე, რომ „საოჯახო თემის“ დაშლა და მიწაზე თემური საკუთრების შიგნით ინდივიდუალური საოჯახო მიწათმფლობელობის გაჩენა, მართალია, სერიოზულად არყვედა თემური საკუთრების საძირკველს და შეიცავდა საწყის მონაცემს მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობისათვის, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო თემური საკუთრების აღსასრული. იბერიაში მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენა, ძირითადად, სხვა პერიოდსა და ვითარებას უკავშირდებოდა, თუმცა იქაც ძირითადი იყო მორწყვისა და ახალი სავარგულების ათვისების მომენტი.

ამგვარად, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედში იბერიის ბარის დაწინაურებულ რაიონებში ვადასტურებთ სამიწათმოქმედო თემის შიგნით სოციალური დიფერენციაციის აშკარად გამოხატულ ჩანასახებს: თემური არიატოკრატია (ქურუმები, სამხედრო წინამძღოლები და მათი ოჯახები) აშკარადაა დაპირისპირებული თემის დანარჩენ მასაზე და მის შენიღბულ ექსპლუატაციას ეწევა (ხატის სამსახური, სამხედრო ლაშქრობა, საერთო-სათემო სამუშაოებში მონაწილეობა და ა. შ.). თემის არისტოკრატიული ნაწილი ფაქტიურად აღარ მონაწილეობდა მწარმოებლურ შრომაში და თემის საქმიანობის ორგანიზატორის ფუნქციება იჩემებდა.

ალებული პერიოდის იბერული თემის დიფერენციაციის პროცესი მითითებული მომენტით არ ამოიწურება. სამიწათმოქმედო თემს გამოეყოფა, აგრეთვე, მოსახლეობის (ოჯახების) ერთი ნაწილი, რომელიც პროფესიულ ხელოსნურ წარმოებაშია დასაქმებული. ამ პერიოდში ხელოსნები, ფორმალურად მაინც, ჯერ კიდევ არ არიან მოწყვეტილი თემს, მაგრამ ძვ. წ. IV—III საუკუნისათვის, როდესაც საბაქონლო ხელოსნური წარმოების ნამდვილი ცენტრები წარმოქმნება და ხელოსნური წარმოების ძველი ცენტრები ეცემა, თემისაგან ხელოსნის მოწყვეტის პროცესიც ძირითადად მთავრდება. სამიწათმოქმედო თემისაგან ხელოსანთა გამოყოფაზე, როგორც ზემოთ გვქონდა მითითებული, საყურადღებო და მდიდარი მასალები

⁴⁶ ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, შრომები, I, გვ. 426.

მოგვცა ხოვლეს, ქვემო ქედის, ხირსის, ქვემო ბოლნისის, ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთის, ჭოროხის ქვემო დინების და სხვა რაიონების ძეგლებმა. მათ შესახებ უკვე გვქონდა საუბარი და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

აღწერალი ვითარება უკვე ისეთ საზოგადოებას გულისხმობს, რომელშიც აღარა გვაქვს პირობები საგვარეულო თემის არსებობისათვის. თემების სეგმენტაცია, საოჯახო თემის მოშლა და ინდივიდუალური საოჯახო მეურნეობის წარმოქმნა, შრომის პროდუქტზე კერძო საკუთრება, თემისაგან არისტოკრატიული ზედაფენისა და ხელოსანთა ფაქტიურად გამოყოფა ტერიტორიული თემის წარმოქმნის ძირითად პირობებს ქმნიდნენ. ადრეკლასობრივი ურთიერთობის დადგომისას, როგორც ჩვენ გვგონია, სასოფლო-ტერიტორიული თემის ორგანიზაციული გაფორმების პროცესი ძირითადად მთავრდება. რა თქმა უნდა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ყველა თემმა სასოფლო თემის სახე მიიღო და მთელი მოსახლეობა სასოფლო-ტერიტორიულ თემებად დაჯგუფდა. ცხადია, ბარის რაიონების თემთა გარკვეულ ჯგუფს ჯერ კიდევ შენარჩუნებული უნდა ჰქონოდა ტრადიციული ორგანიზაციული სახე, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ისინი ინტენსიურად იღებდნენ ტერიტორიული თემის სახეს.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედის იბერიაში საზოგადოების სოციალური და ქონებრივი დიფერენციაციის პირობები მზადდებოდა არა მარტო თემის საშინაო განვითარების გზით, არამედ, როგორც აღვნიშნეთ, სხვა მიმართულებითაც. მეურნეობრივად ისე დაწინაურებულ ქვეყანაში, როგორც იყო იმ პერიოდის იბერიის ბარი, ჰეგემონობისათვის ბრძოლის პროცესი არ შეიძლებოდა სოციალური უთანასწორობის ჩასახვა-განვითარების ხელშემწყობი არ გამხდარიყო. ამ ბრძოლის ერთ-ერთი გამოვლინება იყო ჰეგემონი თემების ინსტიტუტი და მასთან დაკავშირებით მოხარკე თემების ინსტიტუტის გაჩენა⁴⁷. ასე იწყებოდა, როგორც ჩანს, თავისუფალი თემების ექსპროპრიაცია და საფუძველი ეყრებოდა ექსპლუატაციის მარტივ ფორმას, რომელმაც ადრეკლასობრივ ხანაში მოწესრიგებული. სტაბილური სახე მიიღო და ექსპლუატაციის პროტოფეოდალურ ფორმად მოგვევლინა⁴⁸. აქად. ს. ჯანაშია, სწავლობდა რა იბერიაში სტრაბონისეული მეოთხე გენეს წარმოშობის ვითარებას, მიუთითებდა, რომ ყველაზე შესაძლებელი გზა ლაოების გაჩენისა-

47 Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 315—318.

48 გ. მელიქიშვილი, ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი, გვ. 88—89. ზღრ. მისივე, К истории..., გვ. 315—316.

თვის იყო „უცხო თემების დაპყრობა კლასობრივად საკმაოდ დიფერენცირებულ საზოგადოებრივ ხელისუფლების მიერ. დაპყრობილ თემთა მიწების სამეფო ფონდში გადარიცხვა და ამ ნიადაგზე თვით დაპყრობილთა ჩაყენება ყმურ მდგომარეობაში მეფის, როგორც სამხედრო ხელისუფლების უზენაესი წარმომადგენლისა და დასახლებული მიწის ფონდის უზენაესი პატრონის მიმართ“⁴⁹. მოტანილ ამონაწერში საუბარია ადრეკლასობრივი ხანის იბერიის მდგომარეობაზე, ისეთ ვითარებაზე, როცა უკვე არსებობდა სახელმწიფო ხელისუფლება და შესაბამისი ორგანიზაცია. მაგრამ როგორც მითითებული გვქონდა, ქართის ტომების კონსოლიდაცია და სახელმწიფო ცხოვრებისათვის მომზადება ხანგრძლივი პროცესი იყო, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებას ჰეგემონობისათვის (გაერთიანებისათვის) ბრძოლა წარმოადგენდა. ამ პროცესის ერთი შედეგთაგანი იყო დაქვემდებარებული თემების ინსტიტუტისა და ექსპლუატაციის მარტივი ფორმების გაჩენა.

ჰეგემონი და დაქვემდებარებული თემების ინსტიტუტის არსებობა თავისთავად გულისხმობდა გაბატონებული თემის შემდგომი აღზევებისა და დაქვემდებარებული თემების ექსპლუატაციის ტვირთის შემდგომი დამძიმების შესაძლებლობას. ჰეგემონი თემისათვის ასეთი ვითარება, კონკრეტულ პირობებთან კავშირში, ერთ შემთხვევაში, შემდგომი განვითარების ამოსავალი ხდებოდა (მაგალითად, უფლისციხის, მცხეთის, ურბნისის რაიონის ჰეგემონი თემები), მეორე შემთხვევაში კი — არა (ხოვლეს, ხირაის, ქვემო ქედის, გუდაბერტყას, ჭადიჯვრის... ძველი დასახლებანი).

თემის რღვევის შინაგანი პროცესი, რომელზედაც ზემოთ მივუთითებდით, რა თქმა უნდა, გაბატონებული თემების წილშიც მიმდინარეობდა; მაგრამ ჰეგემონობისათვის ბრძოლა სატომო გაერთიანებების წარმოქმნაზე არ შეჩერებულა: საზოგადოებრივი შერჩევის პრინციპის შესაბამისად, ბრძოლის შემდგომ ეტაპს ეთიშებოდნენ უფრო სუსტნი, რომელთა ხარჯზე ხდებოდა ძლიერთა შემდგომი აღზევება — ისინი უფრო ფართო რაიონისა და მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მოთავენი ხდებოდნენ. სამწუხაროდ, ჩვენ საშუალება არა გვაქვს თვალი მივადევნოთ ამ პროცესის მთელ მსვლელობას, მაგრამ ვიცით, რომ იგი ადრეკლასობრივი ურთიერთობისა და სახელმწიფო ხელისუფლების წარმოქმნით დაგვირგვინდა⁵⁰. ასეთი ფინალი იმისი მოწმობაა, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის

⁴⁹ ს. ჭანაშია, ადრეული ფეოდალიზმი, შრომები, II, გვ. 166.

⁵⁰ იბერიის სამეფოს წარმოქმნაზე დაწერილებით იხ. Г. А. Меликшвили, К истории древней Грузии, гв. 265—283.

დამდეგს ჰეგემონობისათვის დაწეებულ ბრძოლებს საკმაოდ კარგი მუდმივმოქმედი საფუძველი აღმოჩნდა, რომელმაც განსაზღვრა გაერთიანება-კონსოლიდაციის პროცესის აღმავლობა, მისი სტაბილურობა და სიცოცხლისუნარიანობა.

ჩვენ საშუალება გვაქვს თვალი მივადევნოთ ამ პროცესის ზოგიერთ ლოკალურ გამოვლენას (უფლისციხე, მცხეთა, ხოვლე, ხირსა, ჭვემო ქედი, ჭვემო ბოლნისი, ნაცარგორა...). როგორც აღნიშნული გვეჩვენა, ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგს, უფლისციხის რაიონში დაწინაურებას იწყებს ის თემი, რომელსაც კლდეში ნაკვეთი სამოსახლო ეკავა. ჩქარა მან დათრგუნა ყათნალიხევის გორასამლოცველოს გარშემო დაჯგუფებულ თემთა წინააღმდეგობა, განადგურა მათი სამლოცველო და ამ რაიონის ერთადერთი ჰეგემონი გახდა. მოპოვებული პოზიციები იმდენად მტკიცე, ხოლო მიღებული ეკონომიური შესაძლებლობანი ისე ფართო აღმოჩნდა, რომ ამ თემმა შეძლო მოქმედების არეალის გაფართოება, საკმაოდ მსხვილი გაერთიანების შექმნა და თავისი სამოსახლოს უფლისციხედ ქცევა. უკანასკნელი, ამასთან, ქალაქური დასახლებების იერსილებს და შესაფერადაც ფორმდება. ბრძოლების პროცესში, უნდა ვიფიქროთ, თავისუფალი თემების ერთი ნაწილი ინარჩუნებდა თავის მდგომარეობას, ხოლო მეორე დაქვემდებარებულის სტატუსს იღებდა და ექსპლუატაციის უფრო მძიმე უღელში ებმებოდა. რომელიმე სატომო გაერთიანების დამარცხება ამ გაერთიანების ჰეგემონისადმი დაქვემდებარებული, ექსპლუატირებული თემების მდგომარეობაზე არსებით გავლენას არ ახდენდა—იცვლებოდა ჰეგემონი, მაგრამ ვალდებულებანი უცვლელი რჩებოდა (ცხადია, გარკვეულ სიტუაციაში, მაგალითად, საკუთარი ჰეგემონის წინააღმდეგ გამოსვლა და მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლა, გამარჯვებულის წინაშე სხვა რამ დამსახურება და ა. შ., დაქვემდებარებული თემი შეიძლება თავისუფალის მდგომარეობას დაბრუნებოდა, მაგრამ ამგვარი გამონაკლასები, რამდენად მრავალრიცხოვანიც არ უნდა ყოფილიყო, განვითარების საერთო ხასიათს, მის მიმართულებას გათიშულობის გაღრმავებისა და დაკანონებისაკენ, არა ცვლიდა).

ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში უფლისციხის კლდეში ნაკვეთი, უკვე ქალაქური ტიპის დასახლებაში მჯდომი თემი „ზენა სოფლის“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი გაერთიანების ჰეგემონია. ამასთან. ჰეგემონი თემის გაბატონებული სახლის მეთაური (მამასახლისი) უკვე უფლად იწოდება. მაგრამ ახლა იგი მხოლოდ საკუთარი თემის უფალი კი არაა, არამედ მთელი გაერთიანებისა. ამისი მოწმობაა დასახლების სახელწოდება უფლისციხე („უფლის სამოსახლო“, „უფლის ქალაქი“). აღმოსავლეთით ეს გაერთიანება, როგორც

ჩანს, მცხეთის ირგვლივ დაჭგუფებულ თემთა გაერთიანებას უპირისპირდება, ხოლო დასავლეთით — ურბნისის გარშემო დაჭგუფებულ თემთა გაერთიანებას, რომელიც თავის მხრივ ერთ-ერთ მესხურ გაერთიანებასთანაა დაპირისპირებული.

გაერთიანება-კონსოლიდაციის პერიოდის ხანგრძლივ ბრძოლებს და დაქვემდებარებული (დაპყრობილი) თემების ინსტიტუტის გაჩენას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია მხედართა ფენის გაჩენა და სამხედრო წინამძღოლთა როლის ზრდა. ეს იყო მწარმოებლურ შრომას მოწყვეტილი ახალი ფენა, რომლის რიგებში არა მარტო გაბატონებული თემის წევრები, არამედ თავისუფალ თემთა დაწინაურებული მხედრებიც შედიოდნენ. რა თქმა უნდა, ეს ფენა წოდებრიობის ბარიერით ჭერ კიდევ არ იყო შეზღუდული და მის შემადგენლობაში მოხვედრა ყოველ თავისუფალ მამაკაცს შეეძლო, თუ, რა თქმა უნდა, მას საკუთარი შეიარაღების ქონებრივი შესაძლებლობა გააჩნდა და შესაბამისი ფიზიკური მონაცემებით იყო დაჯილდოებული. სამხედრო წინამძღოლთა საზოგადოებრივი მდგომარეობის განმტკიცებას, როგორც ჩანს, ხელს უწყობდნენ ქურუმებიც, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ომებში და სასიციოცხლოდ იყვნენ დაინტერესებული ლაშქრობათა წარმატებით დამთავრებაში. ტაძრების დაინტერესება გასაგებია: გარდა იმისა, რომ ნადავლის, აგრეთვე, თემებით დასახლებული, დაპყრობილი მიწის ფონდის ერთი ნაწილი ტაძრების მფლობელობაში გადადიოდა, დამარცხების პერსპექტივა მათ ფიზიკურ არსებობასაც ემუქრებოდა: ყათნალიხევის, ხოვლეს და ნაცარგორას გორასამლოცველთა დამხობა-განადგურება ამ მხრივ მკერმეტყველური მაგალითი უნდა ყოფილიყო მათთვის.

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჰეგემონობისათვის (გაერთიანებისათვის) ბრძოლები შესაბამისი კულტებისა და ტაძრების წარმოქმნა-განვითარების მომენტსაც შეიცავდა. სათანადო საილუსტრაციო მაგალითებად გამოგვაღებოდა, ერთი მხრივ, უფლისციხე, რომელიც იბერიის სამეფოს წარმოქმნამდე „ზენა სოფლის“ ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრი გახდა, ხოლო, მორიგე მხრივ, მცხეთა, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების წარმოქმნის შემდეგ საერთო-საქვეყნო პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრად იქცა. მაშასადამე, სამხედრო-თემური არისტოკრატის „პოლიტიკური“ როლის ზრდა ქურუმთა ხელისუფლების შემცირების ხარჯზე სულაც არ მიმდინარეობდა. პირიქით, სამხედრო-თემური არისტოკრატია და ქურუმები საიმედო მოკავშირეები ჩანან (ჰეგემონობისათვის ბრძოლების ეპოქაში გამარჯვებული ანადგურებდა დამარცხებულთა არა ყოველ სალოცავსა თუ ნატს, არამედ მხო-

ლოდ დამარცხებული გაერთიანების ჰეგემონი თემის სალოცავს, რაც გაგებული უნდა ყოფილიყო დამარცხებულის ძლიერების საბოლოო გატეხისა და დათრგუნვის მოწმობად).

ძვ. წ. VI საუკუნიდან იბერიის ბარში, როგორც ჩანს, თემთა დაქვემდებარების ხარისხი ძლიერდებოდა, ხოლო საზოგადოების სოციალური გათიშულობა უფრო და უფრო ადრეკლასობრივ შეფერადებას იღებდა. თუ რა სახე მიიღო ამ გათიშულობამ, მიახლოებით მაინც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ უფლისციხის შიდა ქალაქის, საძეგურის, ყაზბეგის, ყათნალიხევისა და წინწყაროს მასალების მიხედვით⁵¹, სადაც დიდი ეკონომიური შეძლების მქონე ოჯახებისა⁵² და „სახლების“ გვერდით, ქონებრივად სუსტ და, როგორც ჩანს, ექსპლუატირებულ მასას ვადასტურებთ. ირკვევა, რომ საზოგადოების გათიშვას ექსპლუატირებულ უმრავლესობად და გაბატონებულ უმცირესობად ამ დროს იმ დონისათვის მიუღწევია, როცა მწიფდება სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნის საკითხი.

ამგვარად, იბერიის ბარის საზოგადოება სახელმწიფოებრიობის ზღურბლს ასეთი აღნაგობით მოადგა: სოციალური სახე — სოციალური გათიშულობისა და ექსპლუატაციის ადრეული ფორმების საკმაოდ ნათლად გამოსახული კონტურები. ქურუმები, სამხედრო-თემური არისტოკრატია და თემის მამასახლანები შეადგენენ მწარმოებლურ შრომას მოწყვეტილ წრეს, რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელის, ორგანიზატორის როლი მიუთვინებია და მასზე დაყრდნობით მოსახლეობის ძირითადი მასის შენიღბულ თუ აშკარა ექსპლუატაციას ეწევა. დაქვემდებარებული თემების (სტრაბონის მეოთხე გენე) და თავისუფალი თემების (სტრაბონის მესამე გენე)⁵³ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მწარმოებლურ შრომაშია ჩაბმული, აგრეთვე, თემისაგან გამოყოფილი ხელოსნები შეადგენენ ექსპლუატირებული მასის უდიდეს უმრავლესობას (დასაშვებია საშინაო მონობის არსებობაც). მეურნეობა — მრავალდარგობრივი, ინტენსიური მორწყვით მიწათმოქმედება (მევენახეობა-მელვინეობა, შერეული თესლი, ფოლადის სახნისი, კევირი...), დაქვემდებარებული სახის მეცხოველეობა (ცხვარი, ძროხა, ღორი, ცხენი...) და დაწინაურებული ხელოსნობა (მეთუ-

⁵¹ Г. А. Мелкишвили, К истории древней Грузии, 83. 270 — 71.

⁵² სწორედ, ოჯახისა და არა ცალკეული ბელადებისა, როგორც ეს თრიალეთისა და ამიერკავკასიის სხვა რაიონების შუაბრინჯაოს ხანის მასალებით ჩანს.

⁵³ აკად. ს. ჯანაშიამ ჭერ კიდეც 30-იან წლებში მიუთითა, რომ სტრაბონის მეორე, მესამე და მეოთხე გენეები „წინაფეოდალური ხანისათვისანი“ იქნენო (შრომები, I, გვ. 136).

ნეობა, მეტალურგია, მკვდლობა, საიუველირო საქმე...). მიწათმფლობელობის სხვადასხვა ფორმების თანაარსებობით (საოჯახო წვრილი მიწათმფლობელობა, საოჯახო მსხვილი მიწათმფლობელობა, „სამამასახლისო სამსახურებლის“ ტიპის წვრილი და მსხვილი მიწათმფლობელობა...), რომელიც საფუძვლიანად არყევს თემური საკუთრების საყრდენებს. რელიგია — სამიწათმოქმედო კულტების წამყვანი მდგომარეობა (დიდი დედანა, აგუნა, „ხარი-მხენელი“...). მრავალ კულტთა ერთი სალოცავის ფარგლებში თავმოყრა როგორც ღვთაებათა სინკრეტიზმის პროცესის მოწმობა, გეზი საერთო-საქვეყნო უზენაეს ღვთაებათა პანთეონის შექმნისაკენ და მსხვილი რელიგიური ცენტრების წარმოქმნა.

სამხედრო ხელოვნება და შეიარაღება — ქვეითობა და მხედრობა: ფარი, ჯაჭვის პერანგი, ლითონის მუზარადი და დამკველი სარტყელი: საცემი, საჩხები, საძგერებელი, სასროლი და სატყორცნი იარაღები, კატაპულტები; გამაგრებულ დასახლებათა დაცვისა და დაძლევის ხერხები. დასახლების ტიპები — დაბა (სოფელი), მსხვილი დასახლება გამაგრებული ცენტრალური ნაწილით, სატაძრო დასახლება, ქალაქური ტიპის სამოსახლო.

ამ სახით წარმოგვიდგება ჩვენ, ცნობილი მასალების სინათლეზე, იბერიის ბარის რაიონების საზოგადოება სახელმწიფო ხელისუფლების წარმოქმნამდე. იგი თანდათან იქცა სუსტად დიფერენცირებულ, ადრეკლასობრივი ტიპის საზოგადოებად, რომელიც ცდილობდა აშკარად გამოხატული საშინაო წინააღმდეგობანი თავისუფალ თემთა ექსპროპრიაციის გზით გადაეჭრა.

ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის ხანაში ქართის ტომთა სხვადასხვა გაერთიანებას შორის გაჩაღებულ ბრძოლებს, ბუნებრივია, გავლენა უნდა მოეხდინა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამ დროს თემთა დაქვემდებარების პროცესი უფრო ყოველმომკველი უნდა გამხდარიყო, ხოლო სამხედრო-არისტოკრატიული ზედაფენისა და ქურუმების როლი გაზრდილიყო.

ამავე დროს, როგორც ჩანს, ყოველი გაერთიანების შიგნით ჰეგემონი თემის წილში დაწინაურებას იწყებდა ერთი „სახლი“, რომელიც უკვე „უფლის სახლად“ იწოდებოდა და სეფე სახლად გადაქცევის ტენდენციას ამჟღავნებდა. იბერიაში, როგორც ირკვევა. ბრძოლის სასწორი იმ გაერთიანების მხარეს გადაიხარა, რომლის „სახლი უფლისაა“, ქართული და სომხური წყაროების მიხედვით (ფაუსტოს ბუზანდი, „მოქცევა ქართლისაა“, „ქართლის ცხოვრება“) ფარნავაზიანთა სახელს ატარებდა. ეს გაერთიანება, როგორც ეს გ. მელიქიშვილმა მიუთითა, მესხურ ტომთა სამხრეთ-ქართული გაერთიანება უნდა ყოფილიყო, რომელიც, პონტოსა თუ ელინისტური

ხანის სხვა მეზობელი სამეფოს მიერ ზურგმომავრებული, ძვ. წ. III საუკუნის დამდეგს ამარცხებს „ზენა სოფლის“ (შიდა ქართლის) მსხვილ გაერთიანებებს, იქვემდებარებს მათ და ამთავრებს იბერიის სამეფოს წარმოქმნის პროცესს⁵⁴. ამ დროსვე, როგორც ჩანს, „ზენა სოფელში“ შემოაღწევს მესხური მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რომელიც „ზენა სოფლის“ მოსახლეობის ზედაფენებთან ერთად ახალწარმოქმნილი სამეფო ხელისუფლების დასაყრდენი ხდება. სამხრეთ-ქართული გაერთიანება („მოქცევაჲ ქართლისაჲს“ არიან ქართლი), სოციალური განვითარების მხრით, როგორც ჩანს, დიდად არ განსხვავდებოდა „ზენა სოფლის“ ბარის რაიონების გაერთიანებათაგან, თუმცა აქემენიდურ სამყაროსთან ახლო ურთიერთობას მისი განვითარების ტემპები, შესაძლებელია, ოდნავ აეჩქარებინა⁵⁵.

ამასთან, ეს ის ხანაა, როცა ადრეკლასობრივი იბერული ქალაქის გაფორმების პროცესი მთავრდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. ელინისტური და მომდევნო პერიოდის იბერული ქალაქი იცნობდა ყველა იმ ფენას, რომელიც კი წარმოდგენილი იყო იმ ხანის საზოგადოებაში. უფრო მეტიც, ამ დროს მხოლოდ ქალაქია (თავისი სასოფლო-სამეურნეო გარემოცვით) ის უჭრედი, სადაც ექსპლუატაციის ყველა არსებული ფორმა და შესაბამისი საზოგადოებრივი ფენა შეიძლება დავადასტუროთ.

ა. მონები

მონები ადრეკლასობრივი ხანის ქართული ქალაქების ექსპლუატირებული მოსახლეობის მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენდა და ძირითადად, როგორც ჩანს, საქალაქო მეურნეობის სხვადასხვა დარგში იყო გამოყენებული (მშენებლობა, ხელოსნური წარმოება, სოფლის მეურნეობა). მართალია, ექსპლუატაციის სხვა ფორმების უპირატესობის პირობებში მონის შრომის ექსპლუატაციას, როგორც დასტურდება, აქ წამყვანი მდგომარეობა არ ჰქონია და ექსპლუატაციის განვითარებადი ფორმა არ ყოფილა, მაგრამ საქალაქო ცხოვრების ზოგიერთი მხარე გაუგებარი დაგვრჩებოდა, თუ იქ მონის შრომის საკმაოდ ფართოდ გამოყენებას არ დავუშვებდით.

ანტიკური ხანის საქართველოში მონის შრომის გამოყენების საკითხის მარქსისტული პოზიციებიდან ფართოდ შესწავლის პირვე-

⁵⁴ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 276—278, 316—317.

⁵⁵ შესაძლებელია სწორედ ამ გზით იყოს შემოსული ქართლში ირანულ-ნოვანი სახელებისა და ტერმინების მნიშვნელოვანი ნაწილი. იხ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 279.

ლი ცდები აკად. ს. ჯანაშიას სახელს უკავშირდება. მას ძიაჩნდა, რომ მონის შრომის სამეურნეო გამოყენების სფეროები საკმაოდ ფართო იყო და მოიცავდა: სატაძრო მეურნეობებს, საქალაქო მეურნეობას (მშენებლობა, ხელოსნობა და ა. შ.), მდინარეებზე ნაოსნობას (მენიჩბეები), მსხვილ კერძო მეურნეობებს და წვრილ კერძო მეურნეობებს. მონათმფლობელთა კლასს აკად. ს. ჯანაშია მიათვლიდა: სამეფო საგვარეულოს (სტრაბონის I გენე), ქურუმებს (სტრაბონის II გენე) და ნაწილობრივ თავისუფალ ერას (სტრაბონის III გენე). ამასთან, მკვლევარი ფიქრობდა, რომ „მეფის ხელისუფლება ქართველ ტომებში მონათმფლობელთა ინტერესებისა და საჭიროებათა ნიადაგზე აღმოცენდა უპირატესად“⁵⁶.

აკად. გ. მელიქიშვილმა 1954 წ. აღნიშნა, რომ ანტიკური ხანის საქართველოში მონის შრომის გამოყენების ძირითადი სფერო საქალაქო მეურნეობა იყო. კერძოდ, მან მიუთითა, რომ „ანტიკური ხანის საქართველოს გრანდიოზული ნაგებობანი. ალბათ, სწორედ მონების ხელითაა ძირითადად აგებულებული“⁵⁷. მონის შრომის სამეურნეო გამოყენების საკითხზე გ. მელიქიშვილი ფართოდ ჩერდება 1959 წ. გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში, სადაც მიუთითებს: „სამეურნეო საქმიანობის იმ სფეროებს, რომელშიც შრომის ეს სახეობა უნდა ყოფილიყო გამოყენებული (მშენებლობა, ხელოსნობა, შინამოსამახურეობა)“⁵⁸. ამავე მოსაზრებას იცავს იგი ახლახან გამოქვეყნებულ ნაშრომშიც⁵⁹.

1955 წ. ქართველი არქეოლოგები (ა. აფაქიძე, გ. ლომთათიძე და სხვ.) მონის შრომის გამოყენების სფეროებად აღიარებენ საქალაქო მეურნეობის ისეთ დარგებს, როგორცაა მშენებლობა, მადნის

56 ს. ჯანაშია, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, შრომები, II, გვ. 144—145. მისივე, აღრეული ფეოდალიზმში, გვ. 165, 194—195. მისივე, საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, გვ. 154—156, 202—206, 293—294. საქართველოს ისტორია, ნაწილი I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, თბილისი, 1948, გვ. 76. 87. ამ საკითხზე აკად. ს. ჯანაშიას შეხედულებების შესახებ იხ. გ. მელიქიშვილი, ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი, გვ. 54—63.

57 გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, გვ. 155—159.

58 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 313, 425—429.

59 გ. მელიქიშვილი, ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი, გვ. 88—89.

მოპოვება, სამშენებლო ქვის დამზადება და მსხვილი სამიწა-აგურ-
ლო მეურნეობები⁶⁰.

იბერიის ქალაქთა მეურნეობის სხვადასხვა დარგში მონის შრო-
მის გამოყენების საკითხი ვრცლად არის განხილული ა. აფაქიძის გა-
მოკვლევებში. შრომის ამ სახეობის გამოყენების ძირითად სფეროე-
ბად მას მითითებული აქვს კერამიკული წარმოება (კრამიტის, აგუ-
რისა და ჭურჭლის დამზადება), საქალაქო მშენებლობა (ქვის დამ-
ზადება, გათლა და ტრანსპორტირება, ალიზის დამზადება და ა. შ.),
ლითონის მოპოვება-დამუშავება (მადნის ამოღება და ტრანსპორტი-
რება, რკინის დაწურვა და გამოქვდვა და ა. შ.), აგრეთვე, მიწათმოქ-
მედება (სარწყავი არხების გატანა და ყანების მორწყვა, ზელების
დამუშავება და ა. შ.)⁶¹.

ამგვარად, მკვლევართა უმრავლესობა, რომელსაც ანტიკური ხა-
ნის იბერიაში მონის შრომის გამოყენების საკითხი უახლესი მასა-
ლების მოშველიებით შეუსწავლია, ფიქრობს, რომ მონის შრომის
ექსპლუატაციის ძირითადი სფერო საქალაქო მეურნეობის გარკვეუ-
ლი დარგები იყო.

წინაელისტიური ხანის იბერიაში, რამდენადაც ამის შესახებ
განვითარების საერთო სურათის მიხედვით შეიძლება მსჯელობა,
მონის შრომის გამოყენებას პატრიარქალური მონობის ხასიათი უნ-
და ჰქონოდა. საყურადღებო გარემოებაა, რომ წინაანტიკური ხანის
ამიერკავკასიური სინამდვილე კარგად იცნობს თავისუფლების წარ-
თმევისა და დამონების ინსტიტუტს, რაც ზოგჯერ ასახვას ნახულობს
იმ პერიოდის ხელოვნებასა (ჩაქვით დაბმული მონების ფიგურე-
ბი) და დასაფლავების რიტუალში (ს. ადიამანის (სევანის ტბის მი-
დამოებში), ს. ახმახის (მთიანი ყარაბაღი) გორასამარხები და შ.)⁶².

სახელმწიფო ხელისუფლების წარმოქმნის შემდეგ, როგორც
ჩანს, იწყება მონის შრომის სამეურნეო გამოყენების სფეროს გა-

⁶⁰ მცხეთა, 1, გვ. 206. გ. ლ. მ. თ. ა. თ. ი. ძე, საქართველოს მოქალაქეობის
სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახალი წელთაღრიცხვის
I—III საუკუნეებში, გვ. 370.

⁶¹ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში,
I, გვ. 225—227, 232, 238. ლიტ-რა იქვე.

⁶² ს. ჯანაშია, საქართველო აღინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 15.

Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, гв. 196—197.
В. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Ленинград, 1949, гв. 58.

ფართოება, რაც გაპირობებული იყო სამეფოს გაძლიერებით, სოციალურ სფეროში მომხდარი ძვრებით და საერთო სამეურნეო აღმავლობით.

ცხადია, იბერიის სამეფოს სამხედრო-პოლიტიკური და სამეურნეო ძლიერების გარეშე წარმოუდგენელია, მაგალითად, ის გრანდიოზული საქალაქო და სამეურნეო მშენებლობა, რომელიც ადრეელინისტურ ხანაში, კერძოდ IV—III საუკუნეებში გვაქვს დადასტურებული. როგორც დადგინდა, ძვ. წ. III საუკუნე იბერიის სამეფოს ძლიერების ხანაა. ამ დროს იგი წარმატებით აწარმოებდა საგარეო ომებს და, უნდა ვიფიქროთ, დაპყრობილი ტერიტორიებიდან მცხოვრებთა მნიშვნელოვან მასებს მიერეკებოდა, რომელსაც სამეურნეო საქმიანობაში აბამდა⁶³. სხვა მონაცემების გვერდით ამისი უდავო მოწმობაა ამ ხანის მატერიალური კულტურის მონუმენტური ძეგლები, რომლებიც იაფი მუშახელის ფართო მასშტაბით გამოყენებაზე მიგვითითებს.

ძვ. წ. IV—III საუკუნეების მცხეთის ანსამბლს („არმაციხე I“, „სევსამორა I“, სარკინეთი, საქალაქო ზღუდე) და გორინციხის ნანგრევებს 1957 წლიდან შეემატა ისეთი გრანდიოზული კომპლექსი, როგორცაა უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი, რომელიც, ძირითადად, სწორედ ამ დროის ნაგებობა აღმოჩნდა⁶⁴. როგორც სხვა დროს მივუთითებდით, უფლისციხის სინამდვილეში მონათა შრომის ფართო გამოყენების სურათი გვაქვს წარმოდგენილი. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს უფლისციხის შიდა ქალაქის მთელი ანსამბლი (ააფორტიფიკაციო სისტემა, კლდეში ნაკვეთი დარბაზები, სამეურნეო სათავსოები, ქუჩები, მოედნები, კლდეკარები, გვირაბი, წყალსაწრეტი არხები და ა. შ.). შიდა ქალაქის დამცველი თხრილის გასამართად, მაგალითად, ამოკაფულია რამდენიმე ათეული ათასი მ² კლდე. ხოლო სასიმაგრო კედლის ასაგებად მოკვეთილი და დამუშავებულია ათასობით ქვათილი (კვადრი), დამზადებულია ასეულ ათასობით ალიზის აგური და რთულ სამშენებლო პირობებში, სადაც ბორბლიანი ტრანსპორტის გამოყენებაც კი არ ხერხდებოდა, აღმართულია რთული აღნაგობის მქონე თავდაცვითი ნაგებობანი.

ცხადია, ის გრანდიოზული მოცულობის სამუშაო, რომელიც ადრეელინისტური ხანის უფლისციხეში შესრულდა, წარმოუდგენელია ამ რაიონის თემთა იძულებითი მობილიზაციის გზით ჩაეტარებინათ ან მეფის ხელისუფლებას მის შესრულებაზე „ზენა სოფ-

⁶³ Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 290—298.

⁶⁴ ლ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 56—69.

ლის“ (ახლა უკვე „შიდა ქართლის“) სხვა რაიონების თემები დაე-საქმებინა. ჭერ ერთი, ეს თემები ასეთი მოცულობის სამუშაოს შეს-რულებას ტოტალური მობილიზაციის შემთხვევაშიც ვერ აუვიდოდ-ნენ. გარდა ამისა, სოციალური განვითარების (თემთა ექსპროპრიაციის) დონეს ჭერ კიდევ არ მიეღწია იმ საფეხურისათვის, რომ მეფის ხელისუფლებას ქვეყნის მოსახლეობაზე ასეთი განუა-ზღვრელი უფლებები მიეღო. საეჭვოა, იბერიის მეფეს ამ დროს თუნდაც იმის უფლება ჰქონოდა, რომ ბარის თავისუფალი იბერული თემი უკანასკნელის სურვილის წინააღმდეგ აეყარა და ახალ ადგი-ლას დაესახლებინა. ამასთან, ეს თემები ხომ მეფის არმიის ძირითად კონტიგენტს შეადგენდა და სამხედრო ლაშქრობათა წარმატებები დიდად უნდა ყოფილიყო დამოკიდებული თავისუფალ თემთა გან-წყობილებაზე (ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა, გაგ-ვეხსენებინა აქემენიდურ ირანში დადასტურებული ჯურათი მეფისა და თავისუფალი თემების — Kāra-ს ურთიერთობაზე⁶⁵). დაბოლოს, თემების ხანგრძლივი მოწყვეტა სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან შეუძლებელი უნდა ყოფილიყო იმის გამოც, რომ ასეთი რამ ქვეყ-ნის სამეურნეო ცხოვრების მოშლასაც გამოიწვევდა.

მაგრამ ამ დროის იბერიაში, როგორც არქეოლოგიური მონაცე-მები გვიჩვენებს, გარდა უფლისციხისა, შენდებოდა მცხეთის ანსამ-ბლი, გორისციხე, წუნდა, შორაპანი, დიმნა და ა. შ., ხოლო პარალე-ლურად შეაპყნვენი ძვრები ხდებოდა სოფლის მეურნეობის აღმავ-ლობის, მისი გაფართოების, ახალი სასოფლო-სამეურნეო სავარგუ-ლების ათვისების, ახალი საირიგაციო სისტემების გამართვის ხაზით, რაშიაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მეფის ხელისუფლება ძირითად როლს ასრულებდა.

ამგვარად, ძვ. წ. III საუკუნის იბერიაში თავისუფალი თემების სასოფლო-სამეურნეო წარმოებისგან ხანგრძლივი მოწყვეტის პირო-ბები არ არსებობდა⁶⁶. მაგრამ ეს არც იყო აუცილებელი: წარმატები-თი ომები სამხედრო ტყვეების საკმაო ოდენობას იძლეოდა, ხოლო საპირობების შემთხვევაში ელინისტური ხანის მეფეები სულაც არ ერიდებოდნენ დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობის ტყვედ წასხმას და საკუთარ ქვეყანაში დასახლებას ან მონებად ქცევას. მაშასადა-მე, ადრეელინისტური ხანის იბერიის მესვეურთ საშუალება ჰქონ-დათ საქალაქო მშენებლობაში მონების (სამხედრო ტყვეების) სასუ-

65 И. М. Дьяконов, История Минд., гв. 332 და შმდ.

66 შდრ. დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ე ი ლ ი, ანტიკური ხანის უფლისციხე ახალმო-პოვებული მასალების სინათლეზე, გვ. 272—274.

რველი ოდენობა დაებანდებინათ. საყურადღებო გარემოებაა, რომ არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, იბერიის ქალაქებში დადასტურებული შედარებით დიდი მასშტაბის სამშენებლო სამუშაოები ქრონოლოგიურად ემთხვევა იბერიის სამეფოს ძლიერებისა და წარმატებითი საგარეო ომების პერიოდებს (ძვ. წ. III საუკუნე, ძვ. წ. I საუკუნის მიწურული—ახ. წ. I—II საუკუნეები).

ადრეელინისტური ხანის იბერიაში სამეფო ხელისუფლების სამეურნეო მოღვაწეობა, როგორც აღვნიშნეთ, საქალაქო მშენებლობით არ შემოიფარგლებოდა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ქართული წერილობითი ტრადიცია ქსან-ნასტაგისის არხის უძველესობაზე, რომელიც საკმაოდ რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობა უნდა ყოფილიყო⁶⁷. ამასთან, გარკვეული საბუთიანობით შეიძლება მტკიცება, რომ შიდა ქართლში დაცული სამი, რუსხმულიანი სარწყავი სისტემა (ურბნისის, ტირიფონისა და მუხრანის) სწორედ იბერიის სამეფოს ძლიერების ხანაში გაიშარათა. ამისი მოწმობა უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ სამივე რუსხმულიანი სარწყავი სისტემა ანტიკური ხანის იბერიის იმ ქალაქების სასოფლო გარეუბნებს ემსახურებოდა. რომლებიც სწორედ ადრეელინისტურ ხანაში დაწინაურდნენ (მცხეთა, ურბნისი, უფლისციხე)⁶⁸. აღნიშნული ტერიტორიების სამეურნეო ათვისება ადრეელინისტური ხანისათვის ექვს არ იწვევს, ხოლო ნითითებულ რაიონებში მრავალდარგობრივი ინტენსიური კულტურების მოშენება (რაც ფაქტიურად გვაქვს დადასტურებული) წარმოუდგენელია იმ რთული საირიგაციო სისტემების გარეშე, რომლებიც იქ მოგვიანო ხანაში არის წარმოდგენილი. მართო ურბნისის რუსხმულის ასაგებად შესრულებული მიწის სამუშაოების მოცულობა 300 ათას მ³ აღემატება, ხოლო მაგისტრალური არხის საერთო სიგრძე 20 კილომეტრზე მეტია (აქედან 5 კმ რუსხმული). ასეთივე ნაგებობანია ტირიფონისა და მუხრანის საირიგაციო სისტემებიც. იმდროინდელი ტექნიკის პირობებში ამგვარი სამუშაოების შესრულება სამუშაო ძალისა და სახსრების დიდ რაოდენობას მოითხოვდა, რაც საფუძვლიანს ხდის ვარაუდს იქ არათავისუფალთა შრომის დიდი რაოდენობით გამოყენებაზე⁶⁹.

ამგვარად, საქალაქო მშენებლობა და საირიგაციო სისტემების განართვა, როგორც ჩანს, ის დარგები იყო, სადაც იბერიის სამეფო ხელისუფლებას მონის შრომის ფართო მასშტაბით გამოყენება შეეძლო.

7. კ ი კ ვ ი ძ ე, მორწყვა ძველ საქართველოში, გვ. 78 და შპდ.

68 ი. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 107—108.

69 იქვე, გვ. 70-72, 107—108.

მაგრამ საქალაქო მშენებლობა და საირიგაციო სისტემების გამართვა მუდმივმოქმედი ფაქტორები არ იყო. მაშასადამე, მონათა შრომის ფართო გამოყენებას ამ დარგებში მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი, მაგრამ მაინც დროებითი ხასიათი ჰქონდა და ადრე თუ გვიან დგებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ სად უნდა დაესაქმებინათ გამოთავისუფლებული მუშახელი⁷⁰. ელინისტური ხანის იბერიაში ჩვენ არ გვეგულება სამეურნეო საქმიანობის სხვა რომელიმე დარგი, სადაც მონის შრომის ფართო გამოყენების შესაძლებლობას და აუცილებლობას დაეინახავდით. უნდა ვიფიქროთ, რომ მშენებლობის სფეროებიდან გამოთავისუფლებული არათავისუფალი მასის ერთ. შედარებით მცირე ნაწილს მსხვილ სახელოსნოებში (კერამიკული წარმოება, მადნის მოპოვება-დამუშავება და ა. შ.) აგზავნიდნენ, ხოლო ძირითად ნაწილს ახალათვისებულ მიწებზე სხამდნენ და გლეხებად აქცევდნენ. ამის გამოც უნდა იყოს, რომ იბერიაში მონის შრომის ექსპლუატაცია ყოველსმომცველი არ გამხდარა და ყოველთვის შეიძარჩუნა დამხმარე შრომის ექსპლუატაციის ხასიათი. ამისი მოწმობა უნდა იყოს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა მეფის მიერ ახალგატანილ არხზე „მერუვეთა დასხმის“ შესახებ და ე. წ. „საგლახო რუ“, რომელიც მუხრანის ველზე არის დადასტურებული⁷¹.

ცნობილია, რომ წინა აზიის დაწინაურებული რაიონების სოფლის მეურნეობაში სასოფლო თემების შრომის გვერდით საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა მონის შრომაც, მაგრამ როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე ხელოსნობაში მონას წშირად საშუალებას აძლევდნენ დამოუკიდებლად ემუშავნა, ყოფილიყო გარკვეული უძრავ-მოდრავი ქონების პატრონი და ჰქონოდა ოჯახი, ხოლო პატრონისადმი მისი ვალდებულება, ძირითადად, ზედმეტი პროდუქტის გარკვეული ნაწილის გადახდით განისაზღვრებოდა⁷².

აქემენიდურ ირანში, რომელთანაც იბერიას საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა, მეფისა და დიდუკეების მიწებზე დიდი რაოდე-

70 ანის გამო ჩვენ დამაჯერებლად არ გვეჩვენება ი. კიკვიძის მოსაზრება, რომ „დიდი ველების საცხოვრებლად ათვისება მოითხოვდა აღმ. საქართველოში მონათა დიდი რაოდენობის დაბანდებას მორწყვის სისტემების მშენებლობაში და აქედან გამომდინარე მონათა კლასის ჩამოყალიბებას“ (იქვე, გვ. 108). ამა თუ იმ კლასის ჩამოყალიბების გაპირობება მხოლოდ მუდმივმოქმედ ფაქტორებს შეუძლიათ, ხოლო დროებითი ფაქტორების ქონებისას ისეთივე საზოგადოებას მივიღებთ, როგორც იბერიაში განვითარდა.

71 ს. ჯანაშვილი, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის ვახზე, გვ. 263—265. ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, გვ. 416 და შმდ. ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, გვ. 77 და შმდ.

72 М. М. Дьяконов, Очерк истории древнего Ирана, гв. 105—106.

ნობით მუშაობდნენ სამხედრო ტყვე-მონები—გრდა რომლებიც დიდკაცების მამულებში ძირითად სამუშაო ძალას შეადგენდნენ (წყაროებში მოხსენებულია „მეფის გრდაც“). ცნობილია, რომ აქემენიდ მეფეებს დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი თავის არმიაში შეჰყავდათ, ხოლო ნაწილსაც სამეფო მიწებზე სხამდნენ როგორც დამოუკიდებელ მეურნეებს ან საერთოდ სამეფო მეურნეობაში ააქმებდნენ⁷³. იბერიას, როგორც აღნიშნული იყო, საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ირანულ სამყაროსთან, რის მოწმობადაც აღიარებენ ქართულ ენაში დადასტურებულ ირანულენოვან სოციალურ და ტექნიკურ ტერმინებს. ამასთან, როგორც აკად. გ. მელიქიშვილმა მიუთითა, აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა სპარსული სახელმწიფოებრიობის ტრადიციების ძლიერი გავლენის ქვეშ მიმდინარეობდა⁷⁴. ამდენად, უსაფუძვლო არ იქნებოდა ვარაუდი, რომ იბერიაში ტყვე-მონების შრომის გამოყენების დაახლოებით ისეთივე სურათი წაოშოგვედგინა, როგორიც ირანში გვაქვს დადასტურებული. სხვა რომ არა, ძნელი დასაჯერებელია ქართულ სინამდვილეს სათანადო პირობების უქონლად ესესხნა ისეთი ძველსპარსული ტერმინი, როგორიცაა „მონა“, რაც გ. მელიქიშვილის აზრით, ჯერ კიდევ აქემენიდურ ხანაში უნდა მომხდარიყო⁷⁵. ამასთან, მიდია-სპარსეთის გარკვეული რაიონები მეურნეობრივად ცდიდ მსგავსებას იჩენდა იბერიის ბარის რაიონებთან. ამ მხრივ, შეიძლებოდა მიგვეთითებინა მცირე მიდიის (ატროპატენის მიდია) ის ოლქები, რომლებშიც, სათანადო ბუნებრივ-კლიმატურმა პირობებმა ადრევე გააპირობეს ძირითადად წყარო-ნაკადულებრივ მორწყვაზე დაფუძნებული, მრავალდარგობრივი ინტენსიური მეურნეობის წარმოქმნა⁷⁶, რომელშიაც მონური შრომის ექსპლუატაციას „სუფთა“ სახე არასოდეს არ მიუღია და ძირითადად პროტოფეოდალური ექსპლუატაციის იერი ჰქონდა.

ადრეკლასობრივი იბერიის სინამდვილეში მეურნეობის იმ სფეროდ, სადაც მონის შრომის გამოყენებას მუდმივი და შედარებით „სუფთა“ სახე უნდა ჰქონოდა, საქალაქო ხელოსნობა, განსაკუთრებით კი მსხვილი სახელოსნოები წარმოგვიდგება, რომლებიც,

⁷³ И. М. Дьяконов, История Мидии, 328—330. М. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 109.

⁷⁴ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 279.

⁷⁵ Г. А. Меликишвили, *დასახ. ნაშრ.* გვ. 434—438. Ю. Б. Юсифов, Термины для рабов в Мидии, Эламе и Персии середины I тысячелетия до н. э., ВДИ, 1961, № 4, გვ. 32—49.

⁷⁶ И. М. Дьяконов, История Мидии, გვ. 82—84 და შზდ.

როგორც ფიქრობენ, სამეფო ოჯახს და დიდკაცობას ეკუთვნოდნენ (ა. აფაქიძე, გ. ლომთათიძე, ოთ. ლორთქიფანიძე). რაც შეეხება საშინაო მონობას, იგი ჯერ კიდევ წინაკლასობრივ ხანაში წარმოიქმნა, ფართოდ გამოიყენებოდა ადრეკლასობრივ საზოგადოებაშიც და არსებობის საფუძველი არც განვითარებულ კლასობრივ ურთიერთობათა პერიოდში მოშლია⁷⁷, მაგრამ მისი როლი და ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი წარმოებაში, უმნიშვნელო იყო და საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე რამდენადმე შესამჩნევ გავლენას ვერ ახდენდა.

ბ. ხელოსნები და ვაჭრები

ადრეკლასობრივი ხანის იბერიის ქალაქთა მოსახლეობის მნიშვნელოვან ჯგუფს ხელოსნები შეადგენდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან მწირი ცნობები გაგვაჩნია ამ პერიოდის ხელოსნის საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ. ვიცით, მაგალითად, რომ იბერიის ქალაქებში მოსაქმე უცხო ხელოსნები, მათი გარკვეული ნაწილი მაინც, რელიგიურ-ეთნიკურ თემებში იყვნენ გაერთიანებული, მაგრამ იბერი ხელოსნების შესახებ ჩვენ ასეთი ცნობებიც კი არ გაგვაჩნია.

ახ. წ. VI საუკუნეში ქალაქის რიგით ხელოსანს, მაგალითად, ხარაზს, საკუთარი მონა-მხველებიც ჰყოლია⁷⁸, რაც ხელოსანთა ფენის ქონებრივ მდგომარეობაზეც გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას. კერძოდ, ჩვენ საფუძველი გვეძლევა ხელოსანთა შორის ქონებრივად განსხვავებული ჯგუფების არსებობაც ვივარაუდოთ, მაგრამ ხელოსანთა მასა, როგორც ჩანს, არც სოციალურად უნდა ყოფილიყო ერთგვაროვანი: სამეფო და კერძო მსხვილ სახელოსნოებში, როგორც ფიქრობენ, ძირითადად, არათავისუფალთა შრომა იყო გამოყენებული, მაგრამ მის გვერდით თავისუფალ ხელოსანთა (სახელოსნოთა) არსებობაც არ არის გამორიცხული (სამარხები, რომელთა ინვენტარში ხელოსნის იარაღებიცაა დადასტურებული: მეთუნის სამარხი ყათნალიხევიდან, „ოქრომჭედლის სამარხი“ სამთავროდან და ა. შ.)⁷⁹.

77 ა. ბოგვერაძე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1961, გვ. 127—135.

78 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 34.

79 დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, გვ. 86. М. М. Иващенко, Находка византийского эксархия в Грузии, КСИИМК, вып. IX, 1948, გვ. 43—45.

შედარებით მდიდარი მასალები გავგაჩნია ხელოსანთა პროფესიული დანაწევრების სურათის წარმოსადგენად. გარდა ამისა, არქეოლოგიური მასალა საშუალებას იძლევა გავითვალისწინოთ ხელოსანის პროფესიული დახელოვნების დონე და ტექნიკური შეიარაღების ზოგიერთი მხარე⁸⁰. ხელოსნური ნაწარმის გამოვლენილი ჯგუფების და წერილობითი წყაროების მონაცემთა მიხედვით შესაძლებლობა გვაქვს მეტ-ნაკლები საბუთიანობით მივუთითოთ ხელოსანთა შემდეგ ჯგუფებზე: მეთუნეები (სამზარეულო, სუფრის, სამეურნეო და რიტუალური ქურკელი, თიხის სკულპტურა, კრამიტი, აგური, წყალსადენი მილები, თიხის საბეჭდავები და ტეიფრები), ოქრომჭედლები (სამკაული, ინსიგნიები და ა. შ.), მკედლები (სამეურნეო და საბრძოლო იარაღი, ლითონის ქურკელი და ა. შ.), კალატოზები, ღურგლები, მეავეჩენი, „მეტალურგები“ (რკინა, სპილენძი, ბრინჯაო, ოქრო), მინის მოქმენი, მხატვრები, ქვაზე კვეთის ოსტატები (გლიბტიკა, წარწერები), ზარაფხანის ოსტატები, ხარაზები, მეუნავირენი, ფეიქრები, თერძები და ა. შ. ხელოსნობის ზოგიერთი დარგი უფრო კონკრეტულ დარგებად უნდა ყოფილიყო დანაწილებული: თუ სამეურნეო იარაღის დამზადება, მაგალითად, განსაკუთრებულ ვიწრო დასპეციალებას არ მოითხოვდა, იგივე არ ითქმის საბრძოლო იარაღზე (სატევრის დამზადება და წრთობა, ცხადია, მკედლობა იყო და მასთან შეიძლებოდა გაერთიანებულიყო საბრძოლო ცულების, საძგერებელი და საჩეხი იარაღების, აგრეთვე ფარების წარმოება, მაგრამ ჯაჭვიან პერანგისა და ლითონის მუზარადის დამზადება განსაკუთრებულ დახელოვნებას მოითხოვდა, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მეაბჯრენი მკედელ-ხელოსანთა ცალკე ჯგუფს შეადგენდნენ. ასევე, მკედლობას უნდა გამოყოფდა ლითონის ქურკელის დამზადებაც⁸¹.

სრულებით არ გავგაჩნია მონაცემები ვაჭართა ფენის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, სოციალურ და ეთნიკურ შემადგელობაზე და ა. შ. მაგრამ ვაჭრობისა და ვაჭრების არსებობაზე მონაცემები იმდენად სანდო და მრავალმხრივია, რომ ვაჭართა საკმაოდ მრავ-

⁸⁰ VI საუკუნისათვის გავგაჩნია ცნობა, რომ იბერიის ქალაქებში ადგილობრივ ხდებოდა ხელოსანთა პროფესიული მომზადება. იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 30.

⁸¹ შტრ. გ. ლ. მ. თ. ი. ძ. ე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის..., გვ. 342—357. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 225—235. О. Д. Лордкипанидзе, Ремесленное производство и торговля в Мухета в I—III вв. н. э., გვ. 116—135. Г. А. Мелкишвили, К истории древней Грузии, გვ. 445—446.

ვალფეროვანი ფენის არსებობა ექვეს არ უნდა იწვევდეს (იმპორტული ნაწარმის დიდი რაოდენობა, მონეტათა განძები, პროფესიული ხელოსნობა, შრომის დანაწილების საკმაოდ მაღალი დონე და ა. შ.)⁸².

გ. ქალაქთა სასოფლო რაიონის თემები

იბერული ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რაიონი დასახლებული იყო თემებად (დაბეზად და აგარაბეზად) დაჯგუფებული წვრილი მიწათმფლობელი მოსახლეობით, რომლის ძირითად ნაწილს მესეფე გლეხები (სტრაბონის მეოთხე გენე) შეადგენდნენ⁸³. როგორც ჩანს, თავდაპირველად ეს იყო ოდესღაც ჰეგემონი თემისადმი დაქვემდებარებული მოსახლეობა, რომელიც თანდათანობით ივსებოდა დაპყრობილი ტერიტორიებიდან გადმოსახლებული თემებითა და მიწაზე დასმული ტყვე-მონებით.

ქალაქები, როგორც აღვნიშნეთ, იმ მსხვილ დასახლებათა განვითარების შედეგად წარმოიქმნა, რომლებიც, ამავე დროს, ჰეგემონი თემების საცხოვრისსა და წარმოდგენდა. ჰეგემონი თემისა და მთავარი ხატის სადგომი გარშემორტყმული იყო რაიონით, რომელიც დაქვემდებარებული თემებით იყო დასახლებული. სახელმწიფო ხელისუფლების წარმოქმნის შემდეგ, ჰეგემონი თემის ფუნქციებაა და მიწა-წყალს, როგორც ჩანს, მეფე მიისაკუთრებს. იგი არა მარტო დაქვემდებარებულ თემებსა და მიწა-წყალს ითვისებს, არამედ მოურიდებლად ერევა ქალაქის „მკვიდრი თემის“ საშინაო საქმეებშიც, რომელიც ამიერიდან მეფის მიწაზე მჭიდრო კოლექტივად განიხილება.

ახალი სამიწათმოქმედო სავარგულების ათვისების პროცესში, რაც ფართო საირიგაციო მშენებლობათან იყო დაკავშირებული, მეფის ხელისუფლება იწყებს ამ ტერიტორიების დასახლებას. ასეთ პირობებში ეკონომიურ სტიმულს ღებულობს დალაშქრულ-დაპყრობილი ტერიტორიების თემთა აყრა და ახალათვისებულ მიწებზე დასახლება. აქვე ასახლებენ, როგორც ჩანს, საირიგაციო და სა-

⁸² Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 440—445.

⁸³ ლიტ-რა ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 150—172, 264—275. ნ. ბერძენიშვილი. ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, გვ. 416 და შმდ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 416—421. ოთ. ლორთქიფანიძე, სამეფო მიწისმფლობელობის შესახებ ანტიკური ხანის იბერიაში, გვ. 762—765. ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 119—135. გ. შელიქაშვილი, ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი, გვ. 85 და შმდ.

ქალაქო მშენებლობიდან გამოთავისუფლებულ ტყვე-მონებსაც, რომლებიც მესეფე გლეხების ყველაზე უუფლებო და მძიმედ დაბეგრალ კატეგორიას ქმნიან. როგორც ჩვენ გვეჩვენება, აბორიგენი დაქვემდებარებული (მებეგრე) თემები, გადმოსახლებული თემები და მიწაზე დასხმული ტყვე-მონები შეადგენდნენ იბერიის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც სტრაბონის ცნობილ აღწერილობაში მეოთხე გენდ არის წარმოდგენილი. ეს არის დაბეზად (თემებად) და აგარაკებად დასახელებული, მძიმედ დაბეგრული მოსასლეობა, რომელიც მიწის პატარა ნაკვეთს ფლობს და ფეოდალური ტიპის ექსპლუატაციის ობიექტს წარმოადგენს.

ჩვენი აზრით, საეალდებულო სრულებითაც არ არის სტრაბონის მონათხრობი, რომ ლაოები ყველაფერს ქმნიდნენ სამეფო სახლისათვის, ისე გავიგოთ, თითქოს ლაოების ექსპლუატაციას მხოლოდ სამეფო სახლი ეწეოდა და, მაშასადამე, მსხვილ მიწათმფლობელობაში მონის შრომა იყო გამოყენებული. სტრაბონი ამ შემთხვევაში გადმოგვცემდა ზოგად თეორიულ ნორმას, რომ ქვეყანა მეფის საგვარეულო საკუთრება იყო, რომ ყველაფერი მეფისაა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ამა თუ იმ მიწისა ან მამულის მფლობელი.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ მეფის მოხელეები საგამგეო ერთეულის მიღების დროს იღებდნენ სამეფო მიწის ფონდიდან გამოყოფილ მამულსაც, რომელიც, ცხადია, მიწისმოქმედი მოსახლეობით უნდა ყოფილიყო დასახლებული. ასეთ მამულში მის მიმღებს შეიძლოა საკუთარი მონაც დაესაქმებინა ან მიწაზე დაესვა, მაგრამ ასეთი რამ შეიძლებოდა გამართლებული ყოფილიყო მხოლოდ ისეთ ვითარებაში, როცა მიწის მიმღები დარწმუნებული იქნებოდა საკუთარი მდგომარეობის სიმტკიცეში. მიწაზე დასხმული მონები, როგორც ჩანს, ყველაზე ადრე იქცევიან ყიდვა-გაყიდვის ობიექტად და შეადგენენ იბერიის მიწისმოქმედი მოსახლეობის იმ ჯგუფს, რომელშიც ადრევე იკათვას გზას უშუალო მწარმოებლის ცალკე ფუძედ გასხვისების პრაქტიკა. იბერიაში არსებულ ვითარებას აუცილებლად უნდა გამოეწვია ამ სოციალური ინსტიტუტის გაჩენა და იგი გაჩენილა კიდევ. ამისი მოწმობა უნდა იყოს ადრეფეოდალურ ხანაში დადასტურებული ვითარება, როცა ცალკე თემების (დაბების) გასხვისების გვერდით, ვადასტურებთ ცალკეული გლეხების გასხვისების პრაქტიკასაც; ამ დროს სოციალური ურთიერთობის განვითარებას ჯერ კიდევ არ მიუღწევია იმ დონემდე, რომ თემიდან ცალკეული ფუძის ამოგლეჯასა და გასხვისებას უმტკივნეულოდ ჩაეგლო.

აკად. ნ. ბერძენიშვილი ეხებოდა მუხრანის ველზე დადასტურებულ ე. წ. საგლახო რუს საკითხს და აღნიშნავდა: „...უნდა

დავუშვათ ისიც, რომ იმ ძველ დროს გლახა (თუ გლეხი) ეწოდებოდა მიწის მოქმედი საზოგადოების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, გარკვეულ ფენას, ხოლო მიწისმოქმედთა სხვა ნაწილს ასეთი სახელი არ ეწოდებოდა. სხვაგვარ ვითარებაში რუს ასეთი ტერმინი ვერ გაჩნდებოდა... გლახების (რუ გლეხების), ე. ი. მოსახლეობის სოციალური ფენის ტერიტორიული განცალკევებულობა, აქ რომ ჩანს, ძველი ვითარების დამახასიათებელია და იმისი მოწმობაა, რომ აქ ეს გლახები (თუ გლეხები) ან საგანგებოდ არის დასახმული, ან უცხო თემის დაპყრობა-დამორჩილების შედეგად მიწის მუშაობით სამსახური აკისრიათ. ეს ჩვენ ბუნებრივად გვაგონებს სტრაბონის მეოთხე გენოსს (მესეფეებს). სტრაბონის ჩვენება ისეთია, რომ მესეფეთა ეს სოციალური ფენა იბერიაში დიდი მნიშვნელობისაა, ამიტომაც დასკირდა სტრაბონს მისი საგანგებოდ აღნიშვნა. სავარაუდოა, მაშასადამე, რომ ეს მესეფენი (გლახები, გლეხები) მხოლოდ მუხრანში არ ისხდნენ, არამედ სხვა სეფეებშიაც (ვოსტანებში), მაგრამ მუხრანი, ჩვენი გუმანით, მაინც უმნიშვნელოვანესი უნდა ყოფილიყო სხვა სეფეთა შორის. ტერმინი „საგლახო“ თითქო იმასაც მოწმობს, რომ ეს რუ თვით იმ გლახებს (თუ გლეხებს) კი არ გაუტანიათ, მათ კი არ ეკუთვნით, არამედ მათთვის სხვამ გაიტანა და სხვას ეკუთვნის. თუ ასეა, მაშინ გამოდის, რომ ამ ტერმინში არა მარტო ისა ჩანს, რომ ეს რუ საგლეხო მიწებს რწყავდა, არამედ ისიც, რომ ეს რუ ამ გლეხების უფალს გაუტანია მათთვის. ამრიგად, ეს საგლახო რუ თითქო თარიღდება, ის, უნდა ვიფიქროთ, გატანილი იყო ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე იმ დროს, როცა მეუფე მამასახლისი უკვე მეფე იყო...“⁸⁴.

მცხეთის მიდამოებში ასეთივე მესეფენი უნდა სახლებულიყვნენ ნასტაგისში, ციხელიდში, დიღმის ველზე, წეროვნის ველზე და ა. შ.⁸⁵ ძირითადად ასეთივე კატეგორიის მიწისმოქმედი მოსახლეობა იყო წარმოდგენილი იბერიის ყველა მნიშვნელოვანი ქალაქის სასოფლო-სამეურნეო გარეუბანში.

მიწაზე მიმაგრებული სეფე გლეხები, მართალია, მეფის საკუთრება იყო, მაგრამ, როგორც მოგვიანო ვითარებისა და მასალების მიხედვით შეიძლება მიხვედრა, ისინი მათ მიერ დაკავებულ მიწებთან ერთად შეიძლებოდა კერძო მფლობელობაში გადასულიყვნენ (იხ. ზემოთ, თავი II, § 3).

